

1989



ISSN 0234-7385

ქართული რეალთაუი

XV

კრებულში შესულია წერილები ძველი ქართული ფილოლოგი-
იდან, რომელნიც აშუქებენ ჰიმნოგრაფიის, ბიბლიოლოგიისა თუ
ჰაგიოგრაფიის ცალკეულ საკითხებს. აქვეა წარმოდგენილი ისტო-
რიულ-წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ნარკვევები.

კრებულის საგანგებო ნაკვეთი ეძღვნება საიუბილეო თარიღებს.
კერძოდ, ქვეყნდება მასალები ცნობილი მეცნიერების ელ. მეტრევე-
ლის დაბადებიდან 70 წლისთავსა და ქრ. შარაშიძის დაბადებიდან
100 წლისთავთან დაკავშირებით.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა : **ც. აბულაძე, ც. კახაბრიშვილი (მდივანი),
მ. მამაცაშვილი, ელ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), მ. ქავთარია,
ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ე. ცაგარეიშვილი, ე. ხოშტარია.**
ტომის რედაქტორი **მ. შანიძე.**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მ. ქავთარია,**
უმცროსი მეცნიერთანამშრომელი **მ. კვაჭაძე**



კრიპტოგრამა X საუკუნის ათონურ ნუსხაში

უძველესი ნუსხა ქართული ბიბლიისა — ათონ. 1 დიდი ხანია მეცნიერების შეუწელებელი ინტერესის საგანია. როგორც ცნობილია, იგი გადაწერილია მეათე საუკუნეში იოვანე-თორნიკეს დაკვეთით. ეს უზარმაზარი ხელნაწერა (მოღწეულია არასრული სახით, შეიცავს ათასამდე ფურცელს) სამი პირის — მიქაელის, სტეფანეს და გიორგის მიერაა გადანუსხული. განსაკუთრებით დიდი შრომა გაუწევია მიქაელს, რომლის ხელით არის გადაწერილი ხელნაწერის უდიდესი ნაწილი. სწორედ მიქაელს ეკუთვნის ის ერთადერთი კრიპტოგრამა, რომელიც გვხვდება ათონ. 1-ში და რომელიც დღემდე ამოხსნილი არ ყოფილა.

ათონ. 1-ის მეორე ნაწილის 361r-ზე იწყება თორმეტი მცირე წინასწარმეტყველის ტექსტები, რასაც წინ უძღვის „ზანღუკი“ (ჩამოთვლა ამ წიგნებისა): სვეტის თითო სტრიქონზე თითო წიგნის დასახელებაა მოცემული სათანადო ნუმერაციით. წინასწარმეტყველის დასახელების შემდეგ თვითუფ სტრიქონზე სამ რიგად წერია მთავრული ასოები, რომელთა უმეტესობას (ძირითადად I და III სვეტებში) თავზე ქარაგმის ნიშანი და გვერდით ორწერტილი აქვს დასმული:

„წიგნი ათორმეტთა წინასწარმეტყუელთაჲ

ა. თავი მსესი	ა:	მ	კ:
ბ. თავი იოველისი	ა:	ო	ლ:
გ. თავი ამოსისი	ა:	ი	რ:
დ. თავი აბდიაასი	ე	ტ	გ:
ე. თავი იონაასი	ნ	ს	ქ:
ვ. თავი მიქეაასი	ე	ე	ჭ:
ზ. თავი ნაუმისი	ს	ო	ფ:
ც. თავი ამბაკუმისი	ტ	ო	ქ:
თ. თავი სოფონიაასი	ი	ა	ლ:
ი. თავი ანგეაასი	ო	ნ	ლ:
ია. თავი ზაქარიაასი	მ	კ	ჩ:
იბ. თავი მალაქიაასი	ჭ	ა	: “

ეს მთავრული ასოები იძლევიან აკროსტიქულ ფრაზას: პირველ სვეტში მეთერთმეტე (ია) სტრიქონიდან ზემოთ: „მოიკსენე რო ა“ (= მოიკსენე, უფალო, ამენ“); მეორე სვეტში იგივე ფრაზაა (ოდნავ შეცვლილი), იკითხება ზემოდან ქვემოთ: „მოიკსე (!) რო ან“. ამ სვეტში მეთერთმეტე (ია) და მეთორმეტე (იბ) სტრიქონებზე გვაქვს შესაბამისად კ და ა, რომლებიც წაკითხული

ნაქ. სსრ კ. შარქის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ფრაზის გარეშე რჩება, ისევე როგორც პირველ სვეტში მეთორმეტე (იბ) სტრიქონის ასო ჰ.

აქ წარმოდგენილი აკროსტიქულად დაწერილი ფრაზა პირველსა და მეორე სვეტში პირველად შენიშნა და წაკითხა რ. ბლეიკმა, რომელმაც აღწერა ქართული ხელნაწერების ათონური კოლექცია და რომელმაც ათონ. 1-ის შესწავლას საგანგებო წერილიც უძღვნა. მკვლევარმა ზემოთ ხსენებული მთავრული ასოების მესამე რიგი მიიჩნია ტექსტის საზომ ერთეულად — სტიქომეტრიად¹. სტიქომეტრიის ნაწილად ჩათვალა მან აგრეთვე პირველი სვეტის ბოლო ასო ჰ (რადგანაც ფრაზაში მისი წაკითხვა ვერ მოხერხდა).

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების სიაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მეთორმეტე (ბოლო) სტრიქონში მხოლოდ ორი მთავრული ასოა: ჰ და ა, მესამე რიგი ცარიელია. თუ ბოლო რიგის ასოები აღნიშნავენ საზომ ერთეულებს, მეთორმეტე სტრიქონზე იგი მიანცდამიანც რიგით პირველს (ჰ-ს) რატომ უნდა დაკისრებოდა?

საქმე ისაა, რომ ჰ-ს მომდევნო ა-ს რ. ბლეიკმა ადგილი მიუჩინა ფრაზაში, რომელიც მეორე სვეტშია მოცემული. მისეული წაკითხვით აქ წერია: „მოიკსე ო-ო ანჲა Remember, O Lord, aniiy“². ქართულისათვის უჩვეულო და გაუგებარი ანჲა სიტყვის შესახებ იქვე შენიშვნაა: ეს უნდა იყოს იოვანე ა-ს შემოკლებული ფორმაო³.

ანჲა ერთი სიტყვა არაა: მასში უსათუოდ უნდა გამოიყოს ან, რაც ა მე ნ-ს უდრის. რაც შეეხება ჰ და ა-ს, ისევე როგორც მეთორმეტე სტრიქონის ჰ-ს და სტიქომეტრიის აღმნიშვნელად ჩათვლილ მთელ მესამე სვეტს (ზემოდან ქვევით: უღრჲკჲჴჴღღჩ) — აქ საქმე გვაქვს ქართული ანჩინური სისტემით შესრულებულ კრიპტოგრაფიასთან.

ქართული საიდუმლო დამწერლობა მონოგრაფიულად შეისწავლა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, აწ განსვენებულმა ლილი ათანელიშვილმა. ქართულ ხელნაწერებში დაცული კრიპტოგრაფული დამწერლობის ნიმუშების დაძებნას, შესწავლას, ამოხსნასა და კლასიფიკაციას მრავალი წლის დაუღალავი შრომა და კვლევა დასჭირდა (გადაიფურცლა ათიათასობით ფურცელი ქართული ხელნაწერებისა). ახლა მკითხველს ხელთ აქვს კრიპტოგრაფების გასაღებები, გადახვევების მეცნიერული ახსნა და დასაბუთება, საკითხების სწორად გაანალიზების საფუძველზე მიღებული ისეთი დებულებანი, რომელთაც სავსებით ამართლებს ახლად გამოვლენილი კრიპტოგრაფები.

ქართული საიდუმლო დამწერლობის ისტორიაში ანჩინური სისტემა ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელია. ამ სისტემაში ანბანის მონაცვლეობა ეყრდნობა მათ რიცხობრივ მნიშვნელობას: „ბერძნულისაგან განსხვავებით, სადაც ერთეულები ერთეულებს ენაცვლებოდნენ, ათეულები — ათეულებს და ასეულები — ასეულებს, ქართულში ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა ისეა გათვალისწინებული, რომ ერთეულებისა და ათასეულების აღმნიშვნელი ასოები მონაცვლეობენ, ერთი მხრივ, და ათეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი ასოები, მეორე მხრივ: ე. ი. ერთის აღმნიშვნელი ა ასოს მაგიერ გვხვდება ჩ, რომელიც

¹ R. P. Blake, The Athos Codex of the Georgian Old Testament, Harvard Theological Review, XXII (1929), pp. 33—56.

² იქვე, გვ. 49.

³ იქვე, გვ. 49, შენ.



უდრის 1000-ს, ორის აღმნიშვნელი ბ ენაცვლება ც-ს, რომელიც 2000 ნავს და ა. შ. ასევე ათის აღმნიშვნელ ი-ს ენაცვლება რ (=100), ასო კ-ს (=20) ენაცვლება ს (=200) და ა. შ. ამ სისტემას სახელწოდებაც ანჩინური ამ მონაცვლებობის მიხედვით შერქმევია: ანჩინური ქართული ანბანის ან-ისა და ჩინ-ისაგან არის მიღებული.

ამრიგად, ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფულ ანბანში ერთეულებს ენაცვლება ათასეულები, ხოლო ათეულებს — ასეულები⁴. და მკვლევარი იქვე იძლევა ანჩინური სისტემის ტაბულას:

ა(1) — ჩ(1000)	ი(10) — რ(100)
ბ(2) — ც(2000)	კ(20) — ს(200)
გ(3) — ძ(3000)	ლ(30) — ტ(300)
დ(4) — წ(4000)	მ(40) — უ/ჯ(400)
ე(5) — ჭ(5000)	ნ(50) — ფ(500)
ვ(6) — ხ(6000)	ა(60) — ქ(600)
ზ(7) — ყ(7000)	ო(70) — ღ(700)
შ(8) — ჯ(8000)	პ(80) — ყ(800)
თ(9) — ჰ(9000)	უ(90) — შ(900).

ანჩინური სისტემის აქ წარმოდგენილი გასაღების გამოყენებამ ნათელი მოპოვინა მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების „ზანდუკში“ მოცემული მთავრული ასოების მესამე რიგის საიდუმლოებას: აქ იკითხება იგივე ფრაზა, რაც გვაქვს პირველსა და მეორე სვეტში: „მოიკსენე ო¹ო ა“. ხოლო ვ, ა, ჭ შესაბამისად იკითხება: მიქე. ეს არის კრიპტოგრაფის ავტორის (და ხელნაწერის ერთ-ერთი გადამწერის) სახელი: მიქაელ⁵. აკროსტიქული ფრაზა (სამჯერ დაწერილი) მიქაელ-ის ჩართვით უკვე დასრულებულ სახეს იღებს, უფრო გასაგებია მკითხველისათვის: მოიკსენე, უფალო, მიქაელ!

ამრიგად, მეათე საუკუნის ხელნაწერში (ათონ. 1) დადასტურდა ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფია, შესრულებული მთავრული ასოებით, რაც ძალზე იშვიათად გვხვდება დღეს ხელნაწერებში: „ამჟამად მცირე რაოდენობით შემოგვრჩა ანჩინური სისტემის ასომთავრულით ნაწერი კრიპტოგრაფები, მაგრამ უძველესი ნიმუშები, რა თქმა უნდა, ასომთავრულით იქნებოდა შესრულებული“⁶, — წერს ლ. ათანელიშვილი. მკვლევარი საგანგებოდ განიხილავს სხვადასხვა სისტემაში დადასტურებული გადახვევების ან ნაირგვარობის მიზეზებს. ერთ-ერთი ასეთი საკითხთაგანია ანჩინურ სისტემაში მ¹ანის მეწყვილედ რამდენიმე გრაფემის დადასტურება: „მ¹ის მეწყვილედ სხვადასხვანაირად დროს ყ, ღ და ღყ ასოების არსებობა ანჩინურ კრიპტოგრაფულ ანბანში აიხსნება, ერთა მხრივ, ღყ ბგერის რთული შედგენილობით, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი მონაცვლეობა საგულისხმო ჩანს, ვინაიდან ყ-ს არსებობა ანჩინურ კრიპტოგრაფულ ანბანში უთუოდ უნდა მიანიშნებდეს ამ სისტემის სიძველეზე.

4 ლ. ათანელიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, 1982, გვ. 15—16.
 5 მიქაელ-ის ამოკითხვაში დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება მ (-ვ), ქ(-ა) ე(-ჭ) ასოთა თავისებური განლაგება: მ მეორე სვეტის მეთერთმეტე სტრიქონში, მის ქვემოთ ქ და ქ-ს წინ ე-ზოგეერთი უზუსტობა მიქაელის აკროსტიქულ წინადადებაში სხვაც გვხვდება: ამენ ხან მხოლოდ ა-თია წარმოდგენილი, ხან — ან¹ით; მეორე სვეტში სიტყვას აკლია მარცვალი: მოიკსენე¹ ნაცვლად არის მოიკსენე.
 6 ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.



ამრიგად, შესაძლებელი ხდება უძველესი ანჩინური კრიპტოგრამული სადების აღდგენა (ივარაუდება ასომთავრული დაწერილობით შესრულებული): ამ ანბანში შ-ის მონაცვლე იქნებოდა 4, ხოლო შემდგომ Q4 (ან მისი კომპონენტი Q)⁷. რამდენადაც ციფრს 400-ს ქართულ ანბანში 4 (ვ) გადმოსცემდა, ამდენად ანჩინური სისტემისთვის ამოსავალი იქნებოდა მ (=40) : ვ (=400). ეს დებულება სავსებით გაამართლა ზემოთ განხილულმა კრიპტოგრამამ: მეათე საუკუნეში მთავრულით შესრულებულ კრიპტოგრამაში მ-ს მეწყვილედ სწორედ ვ (4) დადასტურდა.

მაშასადამე, მეათე საუკუნის ქართული ბიბლიის ნუსხაში დადასტურდა ქართული საიდუმლო დამწერლობის აქამდე უცნობი ნიმუში: იგი შედგენილია ანჩინური სისტემის მიხედვით, შესრულებულია ასომთავრულით. ასეთი ტიპის კრიპტოგრამის ნიმუშები ძალზე მცირერიცხოვანია.

Н. Д. ГОГУАДЗЕ

КРИПТОГРАММА В АФОНСКОЙ РУКОПИСИ X ВЕКА

Резюме

В древнейшем списке грузинского Ветхого завета Афон. 1 (переписан в 978 г.) на странице 361 (II тома) имеется криптограмма, выполненная древнегрузинским письмом «асомтаврули». Криптограмма, составленная по системе тайнописи «анчинури», читается следующим образом: «*თიოჲ სენე, ურალო, ამენ, მიჲაელ*» — «помяни, господи, аминь, Микаэла». Микаэл — переписчик этой части рукописи.

7 ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 18.

მ. ბილიძე

„ანტონ ცხოვრების“ წინათონური
რედაქციების ურთიერთმიჯარითების შესახებ

ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია „ანტონის ცხოვრების“ სამი თარ-
გმანი: I. წინათონური პერიოდისა, II. ექვთიმე ათონელისეული, III. პეტრი-
წონული სკოლის უცნობი წარმომადგენლისა¹.

ის თარგმანი, რომელიც წინათონურ პერიოდს ეკუთვნის, ორ რედაქციას
ქმნის: ერთი შემონახულია უდაბნოსა (IX ს.) და ტბეთის (X ს.) „მრავალთა-
ვებში“, მეორე კი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმის ქართულ ხელნაწერებში
Add. 11281, რომელიც გადაწერილია დაახლოებით 1034—1042 წწ.².

წინათონური რედაქციების ურთიერთმიჯარითების საკითხი სპეციალურად
შეისწავლა მ. შინჯიაშვილმა³. მკვლევარმა ცხადად აჩვენა (და ამისათვის საკ-
მარისია ტექსტების უბრალო გადაკითხვაც კი), რომ ხსენებული რედაქციები
უმეტესწილად სიტყვასიტყვით მისდევნენ ერთმანეთს ანუ წარმოადგენენ ერთ
თარგმანს. ბუნებრივია, ერთერთი რედაქცია მეორის საფუძველზეა აღმოცე-
ნებული. რომელია მათ შორის ადრინდელი და რომელი გვიანდელი?

მ. შინჯიაშვილის დასახელებული შრომა ძირითადად ამ საკითხის გარკვე-
ვას ეძღვნება. მიუხედავად იმისა, რომ წინათონური რედაქციებიდან ერთი და-
ცულია უძველეს „მრავალთავებში“, ხოლო მეორე — უფრო გვიანდელი ხანის
ბრიტანულ ხელნაწერში, მაინც, მკვლევარის აზრით, პირვანდელია სწორედ
გვიანდელი ხელნაწერის ტექსტი, ხოლო მის საფუძველზე ბერძნული
დედნის გათვალისწინების გარეშე, უნდა იყოს შექმნილი „მრავ-
ალთავებში“ დაცული ვერსია.

მ. შინჯიაშვილის არგუმენტები ასეთია:

1. ო რედაქცია (=ბრიტანული ნუსხის ტექსტს) ერთნახევარჯერ მეტია
4-ზე (=უდაბნოსა და ტბეთის „მრავალთავებში“ დაცული რედაქცია). შესა-
ბამისად, ეს უკანასკნელი პირველისგან უნდა იყოს გამოკრებილი; უფრო ზუს-

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 208; მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 8, 162; ათა-
ნასი ალექსანდრიელი, ცხოვრება წმიდისა ანტონისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლე-
ქსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1970, გვ. 84; მისივე, მამათა ცხოვრებანი, თბ., 1975,
გვ. 335; მ. შინჯიაშვილი, ათანასი ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრების“ ქართული თარ-
გმანები და რედაქციები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 1, გვ. 37—38.

² კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ.,
1961, გვ. 109.

³ მ. შინჯიაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 39. აღვნიშნავთ, რომ ექვთიმე ათონელისე-
ული თარგმანი ახლახან გამოაქვინა მ. დოლაქიძემ Ath. 79 (9r—24v); იხ. ქართულ ხელნა-
წერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია I, თბ., 1986, გვ. 116.



ტად, 4 რედაქციას აკლია 7 რედაქციისა და ბერძნული დედნის შუა ნაწილი. შინჯიაშვილის აზრით, ეს შემოკლება ქართველ რედაქტორს ეკუთვნის, რომელმაც „ანტონის ცხოვრების“ თავდაპირველი თარგმანი (7 რედაქცია) „მრავალთავისათვის“ შესაფერის საკითხავად გადააკეთა ანუ შეამოკლა იგი და აქცია სვინაქსარული ტიპის საკითხავად. მკვლევარი შენიშნავს: „4 რედაქცია საკითხავის (სვინაქსარული) ტიპის ცხოვრებაა, ამ მიზნით შემოკლებული და შესწორებული რედაქტორის მიერ... 7 რედაქციის შემოკლებების, შესწორების, გადასხვაფერების, ლექსიკური ჩანაცვლების გზით რედაქტორ-შემკვეთებელს შეუქმნია „ანტონის ცხოვრების“ ახალი, სვინაქსარული ტიპის მოკლე რედაქცია“⁴.

2. მ. შინჯიაშვილის მითითებით 4-ს აკლია ძალიან ხშირად 7 რედაქციაში (და ბერძნულ დედანში) არსებული დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები, სრულმნიშვნელოვანი სიტყვები, ფრაზები, რაც მკვლევარის აზრით „რედაქტორის შეგნებული მუშაობის ნაყოფია და ტექსტის შემოკლების მიზნითაა გაკეთებული“⁵.

3. შინაარსობრივი სხვაობის დროს 7 ზუსტად გადმოსცემს დედნის შინაარსს, 4 კი მისგან სხვაობს, რაც, მკვლევარის აზრით, უთუოდ იმით აიხსნება, რომ 4 რედაქციის ავტორი ო რ ი გ ი ნ ა ლ ი ს გ ა უ თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ლ ა დ ც ვ ლ ი ს 7 რედაქციის ტექსტს. ასეთ დროს, „სიჩქარისა თუ გაუაზრებლობის გამო“ (მ. შინჯიაშვილი) რედაქტორი ხშირად ამახინჯებს თავდაპირველ თარგმანს⁶.

საბოლოოდ, მკვლევარი ასკვნის: „7 რედაქციის ჩვენს ხელთ არსებული A ნუსხა (ე. ი. ბრიტანული ხელნაწერი — ე. ჯ.) ტექსტუალურ-შინაარსობრივად ზუსტი შესატყვისია დედნისა, ამასთან, შინაარსობრივ-სტილისტიკურად ის უადრესად დახვეწილია, თანამიმდევრული. მასში არასოდეს იჩენს თავს აზრობრივი შეუსაბამობანი, რაც იმის მაუწყებელია, რომ 7 რედაქცია ძალიან ახლოს დგას პირველ თარგმანთან. ის მცირეოდენი შეუსაბამობანი, რომლებიც ზოგჯერ იჩენს თავს 7-ში დედანთან შედარებით, გადამწერთა შენატანად უნდა ჩაითვალოს. 4 რედაქცია კი წარმოადგენს 7-ს ქართულ ნიადაგზე (ხაზი აქაც და ქვემოთაც ყველგან ჩვენია — ე. ჯ.) გადამუშავებულ სახეობას: გამოკრების, ჩამატებების, გრამატიკულ-სტილისტიკური და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ჩანაცვლების გზით რედაქტორ-შემკვეთებელს 7 პირველთარგმანი რედაქციის საფუძველზე შეუქმნია ახალი რედაქცია“⁷.

მკვლევარი ღრმად არის დარწმუნებული საკუთარი მსჯელობის სისწორეში, ამიტომ, კატეგორიულად შენიშნავს: „4 რედაქციის 7-ზე დამოკიდებულება ექვს არ იწვევს“⁸. სხვაგან ეს აზრი უფრო დაზუსტებულია: „4-ს რედაქტორი არ იცნობს ცხოვრების ბერძნულ ტექსტს, მას ხელთ 7 რედაქციის ტექსტი აქვს, რომელსაც ცვლის, ასხვაფერებს“⁹.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ვ. იმნაიშვილმა ანტონის „ცხოვრების“ კომენტარ რედაქციათა გამოცემაში უძველესად მიიჩნია „მრავალთავებში“ და-

4 მ. შინჯიაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 40.
 5 იქვე, გვ. 44—45.
 6 იქვე, გვ. 50—53.
 7 იქვე, გვ. 54.
 8 იქვე, გვ. 54.
 9 იქვე, გვ. 50.



ცული ტექსტი¹⁰. შემდეგში მ. შინჯიაშვილის ზემოაღნიშნული გამოკვლევების ფუძველზე მან ყოველგვარი კომენტარის გარეშე აზრი შეიცვალა და დედამისის რედაქციად ბრიტანული ხელნაწერის ტექსტი ჩათვალა¹¹.

ვფიქრობთ, მ. შინჯიაშვილის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „მრავალ-თავებში“ დაცული რედაქცია უფრო გვიანდელი დროისაა და წარმოადგენს ბრიტანული ხელნაწერით მოღწეული თავდაპირველი თარგმანის გადამუშავებას ორიგინალის გაუთვალისწინებლად, სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიუხედავად დამოწმებული მაგალითების სიმრავლისა, მკვლევარს არ მოაქვს თუნდაც ერთი ისეთი ნიმუში, სადაც აშკარად გამოჩნდებოდა 4-ს 7-ზე დამოკიდებულება.

საზოგადოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა ვრცელი „ცხოვრების“ სენაქსარულ საკითხავად გადაკეთება ხდება, ასეთ დროს რედაქტორი ყოველთვის ჩქითევენ ისწრაფის, რომ თავდაპირველი თარგმანის ენა მაქსიმალურად გამართივოს და ადვილად გასაგები გახადოს მრევლისათვის. მ. შინჯიაშვილის მიერ მოტანილ უკლებლივ ყველა მაგალითში საპირისპირო სურათს ვხედავთ: 4 რედაქციაში აზრი გაცილებით ბუნდოვანია, გაუგებარია, დამახინჯებულია, ვიდრე 7-ში. მკვლევარი ამას რედაქტორის „სიჩქარითა და გაუაზრებლობით“ ხსნის, სხვაგან კი ხაზგასმით შენიშნავს: „4-ს რედაქტორი... 7-ს ნათელ, გასაგებ კონტექსტებს, დედნის სრულ შესაბამისს, აბუნდოვნებს, ასხვაფერებს, გაუგებარს ხდის“¹².

საკითხავია, რატომ უნდა დაემახინჯებინა 4-ს რედაქტორს 7 რედაქციის „ნათელი, გასაგები კონტექსტები“? ასეთი რამ ყოვლად წარმოუდგენელია, რადგანაც საქმე ეხება არა რთული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის მსჯელობებს, რომლებიც მართლაც შეიძლებოდა კარგად ვერ გაეგო გვიანდელ რედაქტორს, არამედ — უაღრესად მარტივ, გასაგებ, ენობრივად გამართულ წინადადებებს.

ვფიქრობთ, მ. შინჯიაშვილის მიერ მოტანილი ნიმუშები ცხადყოფს არა იმას, რომ 7 რედაქციის დამახინჯებით მივიღეთ 4 რედაქცია, არამედ სწორედ საპირისპიროს: თავდაპირველი თარგმანი (მკვლევარის მიერ 4 ლიტერით აღნიშნული), რომელიც არცთუ ყოველთვის თანხვდებოდა დედანს, გვიანდელ პერიოდში ორიგინალთან შეჭერების საფუძველზე შესწორდა და ენობრივად დაიხვეწა.

როდესაც მ. შინჯიაშვილი 4 რედაქციას 7-ს გვიანდელ გადამუშავებად მიიჩნევს, ცხადია, გამორიცხავს გვიანდელი რედაქტორის მიერ ბერძნული ორიგინალით სარგებლობას, რადგანაც თუკი რედაქტორი 7 რედაქციას ორიგინალის გათვალისწინებით ცვლიდა, მაშინ იგი თავდაპირველი თარგმანის დედანთან იდენტურ ადგილებს უთუოდ აღარ დამახინჯებდა. ამგვარად, თუკი 4 რედაქცია 7-ს გადამუშავებაა, მაშინ გვიანდელი რედაქტორისათვის ორიგინალის გამოყენება სრულიად გამორიცხულია. სწორედ ამით აიხსნება, რომ მ. შინჯიაშვილი ხშირად აღნიშნავს 4 რედაქციის ორიგინალისაგან დამოუკიდებლობას.

¹⁰ ათანასი ალექსანდრიელი, დასახ. გამოც., გვ. 90.

¹¹ მამათა ცხორებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაშვილმა, გვ. 335.

¹² მ. შინჯიაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 50.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არამართო **Σ**, არამედ **Ϛ** რედაქცია, მიუხედავად **მ. შინჯიაშვილის** კატეგორიული უარყოფისა, ხშირად ამჟღავნებს უშუალოდ ორიგინალზე დამოკიდებულების კვალს. აშკარად ჩანს, რომ **Σ** და **Ϛ** რედაქციები, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უკავშირდებიან ბერძნულ ტექსტს და ასეთ შემთხვევებში აღრინდელია უთუოდ **Ϛ** რედაქცია. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1. **Ϛ** რედაქციის უშუალოდ ბერძნულ ტექსტზე დამოკიდებულება თვალში საცემია თხზულების დასაწყისშივე. ქართულ რედაქციებში ვკითხულობთ:

Σ

კეთილსა ზედა სიტყუასა და-
დგრომილ ხართ ეგვბტისა მიმართ მო-
ნაზონთა, ანუ მისწორებად, გინათუ
წარმატებად¹³.

Ϛ

კეთილსა ბაძვასა მისწუდებოდეთ
მათუჲს, რომელნი-იგი მონაზონებდეს
ცხორებისათჲს, გინათუ წარკმა-
ტებლით¹.

როგორც ვხედავთ, **Σ** რედაქციაში გვაქვს „სიტყუასა“, რასაც **Ϛ**-ში ენაცვლება „ბაძვასა“. საიდან გაჩნდა **Σ** რედაქციაში „სიტყუასა“, ძნელი გასარკვევია, ერთი რამ კი შეიძლება ითქვას: **Ϛ** რედაქციის „ბაძვასა“ გაცილებით ახლოს დგას ორიგინალთან, სადაც გვაქვს ἡ *ἔπιση*¹⁴ (შეჯიბრი, მეტოქეობა, ჯიბრი, შესწორება). ძველ ქართულში „ბაძვა“ სწორედ „ჯიბრს“, „მომუშრნეობას“, „შესწორებას“ ნიშნავდა¹⁵.

ამ შემთხვევაში მაინც რჩება შესაძლებლობა იმისა, რომ **Σ** რედაქციის „სიტყუასა“ გადამწერთა მიერ შებღალულ ფორმად მივიჩნიათ და ვავარაუდოთ, რომ თავდაპირველად მის ნაცვლად აქაც „ბაძვის“ აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო, ე. ი. **Ϛ** რედაქციის „ბაძვასა“ შეიძლება გვიმეღავნებდეს არა უშუალოდ ორიგინალის გამოყენების კვალს, არამედ ასახავდეს **Σ** რედაქციის თავდაპირველ ვითარებას, რაც შემდგომში გადამწერთა მიერ შეიჩვენა. სხვათაშორის, **მ. შინჯიაშვილი** ერთგან შენიშნავს, რომ **Σ** რედაქციის ორიგინალისგან დაცილება „გადამწერთა ნებით თუ უნებლიეთ შეტანილ ცვლილებათა რიგს“¹⁶ უნდა მივაკუთვნოთ.

ამგვარად, მოტანილი ნიმუში **Ϛ** რედაქციის უშუალოდ ორიგინალზე დამოკიდებულების ეჭვმიუტანელ მოწმობად თითქოს არ გამოდგება, მაგრამ იმავე შემოციტირებულ წინადადებაში გაცილებით უფრო საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე: **Σ** რედაქციის „მისწორებად“ **Ϛ**-ში წარმოდგენილია, როგორც „ცხორებისათჲს“.

როგორ შეიძლებოდა „მისწორების“ ნაცვლად მიგვეღო „ცხორება“. ცხადია, ამგვარ სხვაობას ვერ ავხსნით სიტყვათა ვერც გრაფიკული, ვერც შინაარსობრივი მსგავსებით. უთუოდ საქმე გვაქვს ორიგინალის უშუალო გავლენასთან, სადაც შესაბამის ადგილას გვხვდება ზმნა „*παρασθηται*“. ეს ზმნა ეფუძნება ზედსართავს „*ἴσως*“ (თანაბარი, სწორი) და ნიშნავს „შეტოლებას, გათანაბრებას“ (*παραστω*). **Ϛ** რედაქციის მთარგმნელს დამოუკიდებელ სიტყვად

¹³ ათანასი ალექსანდრიელი, ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი, დასახ. გამოც. გვ. 5.

¹⁴ ვსარგებლობთ Patrologia Graeca-ს ტექსტით (t. XXVI, col. 823—976).

¹⁵ იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 30.

¹⁶ **მ. შინჯიაშვილი**, დასახ. შრომა, გვ. 64.

აღუქვამს ზმნის მეორე ნაწილი „აამჟყაი“ (ე. ი. როგორც $\alpha\acute{\alpha}\rho\alpha$ $\sigma\alpha\mu\eta\gamma\alpha\iota$) როგორც მეორე მხარის ვარიანტი გვარის I აორისტიის ინფინიტივი ზმნისა ააღა (ვიზნა, ვადვარჩენ, ვაცხოვნებ) და რომელიც ძველ ქართულში სწორედ „ცხოვრებით“ გადმოიცემოდა¹⁷.

ნუთუ \mathcal{C} რედაქციის მართებული ფორმა „მისწორებად“ გვიანდელმა რედაქტორმა ორიგინალის ვარეშე „ცხოვრებად“ გადააკეთა და ამით შეგნებულად დაამახინჯა თარგმანი? ვფიქრობთ, საეჭვო არ არის, რომ, პირიქით, თავდაპირველი თარგმანის მცდარი ფორმა „ცხოვრებისათვის“, რასაც ორიგინალის არა-ზუსტი გააზრება დაედო საფუძვლად, გვიანდელმა რედაქტორ-მთარგმნელმა სწორი შესატყვისით შეცვალა.

\mathcal{C}

\mathcal{Q}

2. მოიქსენებდა წერილსა მას „ს ა ქ- მოიქსენებდა წერილსა „პ რ ა ქ ს ი ს ა-
მ ე ს ა მ ო ც ი ქ უ ლ თ ა ს ა“, ვითარ- ს ა“, ვითარ-იგი განჰყიდდეს მონაგებსა
იგი განჰყიდდეს მონაგებთა თჳსთა¹⁸. თჳსთა¹⁸.

იქ, სადაც \mathcal{C} რედაქციაში „საქმე მოციქულთა“ გვაქვს, \mathcal{Q} -ში მის ნაცვლად თვით ბერძნული სახელწოდება „პრაქსის“ გვხვდება (შდრ. ორიგინალის $\pi\alpha\acute{\rho}\chi\alpha\iota$). ამ შემთხვევაში \mathcal{Q} რედაქცია უთუოდ პირველთარგმანის ნიშანს ატარებს, რადგანაც შეუძლებელია ვიფიქროთ, გვიანდელმა რედაქტორმა, რომელიც სვინაქსარულ საკითხავს ქმნიდა, „საქმე მოციქულთა“ ქართულისათვის უცხო ბერძნული ტერმინით შეცვალა (თ ა ნ ა ც ო რ ი გ ი ნ ა ლ ი ს გ ა რ ე შ ე).

ამგვარად, შემომოტანილ შემთხვევაში \mathcal{Q} -ს უშუალოდ ორიგინალზე დამოკიდებულება ეჭვგარეშეა. ასევე ცხადია ისიც, რომ სწორედ \mathcal{C} რედაქცია ცვლის მას და არა პირიქით.

3. \mathcal{C}

\mathcal{Q}

მოუვლენ ქსენებასა...
ჭამადთა ფერადფერადთა,
გემოსა და სხუასაცა
ლ ხ ი ნ ს ა¹⁹.

აურვებნ ქსენებასა...
ჭამადთა ფერადფერადთა
გულისთქუმად და
სხუათაცა ქ ე ბ ა თ ა¹⁹.

\mathcal{C} რედაქციის „ლხინა“ \mathcal{Q} -ში წარმოდგენილია, როგორც „ქებათა“. ეს უკანასკნელი კონტექსტის მიხედვით აშკარად უადგილოა. ორიგინალში გვხვდება „ $\chi\acute{\nu}\sigma\alpha\iota$ “ (ჩ $\chi\acute{\nu}\sigma\alpha\iota$ — შვება, სულისმოთქმა), რასაც კარგად ესატყვისება \mathcal{C} რედაქციის „ლხინი“ (ეს სიტყვა ძველად, როგორც ცნობილია, სწორედ „შვებას“, „მოსვენებას“ აღნიშნავდა). მეტად საინტერესოა, რომ ბერძნული

¹⁷ მოგვაქვს რამდენიმე საგულისხმო ნიმუში: „ვითარ ძალ-მედვას ცხოვრებად? ($\pi\acute{\alpha}\tau\epsilon\delta$ $\delta\epsilon\upsilon\chi\eta\sigma\iota\mu\alpha\iota$ $\sigma\alpha\mu\eta\gamma\alpha\iota$; ესთერი 8, 6), „ვის კელ-ეწიფების ცხოვრებად“ ($\tau\epsilon\iota\varsigma$ $\acute{\alpha}\rho\alpha$ $\delta\epsilon\sigma\alpha\tau\alpha\iota$ $\sigma\alpha\mu\eta\gamma\alpha\iota$; მათე 19,25, მარკ. 10,26, ლუკა 18,26), „გურწამს ჩუენ ცხოვრებად“ ($\pi\alpha\tau\epsilon\sigma\iota\mu\alpha\epsilon\upsilon$ $\sigma\alpha\mu\eta\gamma\alpha\iota$. საქმე 15,11), „რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებაეს ცხოვრებად“ ($\beta\epsilon\upsilon$ $\pi\acute{\alpha}\tau\upsilon\tau\alpha\zeta$ $\delta\epsilon\upsilon\sigma\iota\mu\alpha\iota$ $\mu\acute{\epsilon}\lambda\epsilon\iota$ $\sigma\alpha\mu\eta\gamma\alpha\iota$; ტიმ. 2,4).

¹⁸ ა თ ა ნ ა ს ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი, დასახ. გამოც., გვ. 8.

¹⁹ იქვე, გვ. 12.

ტექსტის გამომცემლის შენიშვნით ზოგ ხელნაწერში გვაქვს არა „ἀνέσσει“²⁰ არა „ἀνίσσει“, (იხ. PG. XXVI, col. 848, comm. 50), რასაც ზუსტად გადმო-სცემს 4 რედაქციის „ქებათა“ (ἡ ἀνέσει — ქება, ხობტა).

ამგვარად, აღნიშნულ შემთხვევაში 7 და 4 რედაქციები ორიგინალის ხელნაწერთა სხვადასხვა ტრადიციას მისდევენ, ე. ი. აქაც 4-ს უშუალოდ ბერძნულ ტექსტზე დამოკიდებულება ექვევარეშა.

4. 7

4

მტერი იგი მოაკენებნ
გემოთა გულისთქუმისათა²⁰

მტერი იგი მოაკენებნ
შიშულად გულისთქუმასა²⁰.

ამ შემთხვევაში რედაქციებს შორის სხვაობა გამოიწვია შესაბამისი ბერძნული ტერმინის (τὸ λείον) ორატორებამ. ზედსართავი λείον ნიშნავს როგორც „შიშველს“ (голый), ისე „გემრიელს“ (приятный или нежный на вкус) შესაბამისად, გასუბსტანტივებული τὸ λείον შეიძლება ითარგმნოს „სიშიშველედაც“ და „სიგემრიელედაც“. კონტექსტის მიხედვით მაზანაშეწონილია ეს უკანასკნელი.

ამ შემთხვევაშიც 4 რედაქცია 7-ს გარეშე უკავშირდება ბერძნულ დედანს. ამ რედაქციის უმართებულო ფორმას („შიშულად“) გვიანდელი მთარგმნელ-რედაქტორი ბერძნული სიტყვის მართებული, კონტექსტისეული შესატყვისით ცვლის („გემო“).

5. 7

4

ვითარცა წერილ არს და
ვითარცა განკვრეებულ ი,
რაბამცა არს გონებთა²¹

ვითარცა წერილ არს, და
ვითარცა განძებულ მან,
რომელ არს გონება²¹.

7 რედაქციის „განკვრებულს“ და 4 რედაქციის „განძებულს“ ბერძნულში შეესატყვისება ἐξήραξις. წარმოდგენილი სხვაობა შემჩნეული აქვს მ. შინჯიაშვილსაც, რომელიც ქართულ-ბერძნულ ტექსტებს ასეთ კითხვით კომენტარს ურთავს: „განძებული გონება?“²²

მართალია, „განძებული გონება“ ამჟამად არასწორია, მაგრამ მკვლევარი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა გზით მივიღეთ იგი. 7 რედაქციის „განკვრეებული“ ნამდვილად მართებული ფორმაა, მაგრამ ამ სიტყვიდან ვერანაირი გზით „განძებულს“ ვერ მივიღებთ. 4 რედაქციის შეცდომის წყარო ისევ ბერძნული ორიგინალია.

სიტყვა ἐξήραξις არის საშუალ-ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობა ზმნიდან ἐξήραξι რომელიც პირდაპირი აზრით ნიშნავს გამოდგომას, გამოყვანას, გამოძევებას (ἐξ-გან, ἔραξι-დგმა). შემდგომში მან შეიძინა საკუთარი თავიდან გამოსვლის, მისტიკური გაცბუნების ანუ ექსტაზის შინაარსი (ἐξήρασις მომდინარეობს ἐξήραξι-დან და ნიშნავს „გაოცებას, გაკვირებას“). 4 რედაქციის ავტორისათვის ამჟამად უცნობია ἐξήραξις-ის თეოლოგიური

²⁰ ათანასის ალექსანდრიელი, დასახ. გამოც., გვ. 13.

²¹ იქვე, გვ. 14.

²² მ. შინჯიაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 49.

აზრი და ყოფითი, სასაუბრო შინაარსით აღიქვამს მას, რაც კონტექსტისათვის აშკარად შეუფერებელია. თავის მხრივ, **ჯ** რედაქციის ავტორი წინამორბედის შეცდომას სათანადოდ ასწორებს (ძველ ქართულში „განკურვებაჲ“ სწორედ ექსტატურ მდგომარეობას გამოხატავდა).

მოტანილი ნიმუში, ჩვენი აზრით, აშკარად გვიჩვენებს, ერთი მხრივ, **ჟ**-ს დამოკიდებულებას უშუალოდ ორიგინალზე და მეორე მხრივ იმას, რომ სწორედ **ჯ** ასწორებს **ჟ**-ს და არა პირიქით.

6. **ჯ**

სარეცლად მისა
იყო **ქ** ი ლ ი²³

ჟ

სარეცლად მისდა იყო
ფ ს ი ა დ ი²³.

ბერძნული ორიგინალის τὸ ψαμίσιον **ჯ** რედაქციაში თარგმნილია, როგორც „ქილი“, **ჟ** რედაქციის ავტორს კი უცვლელად გადმოაქვს იგი. ნუთუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ **ჟ** რედაქცია ორიგინალის გარეშე ამუშავებს სვინაქსარულ საკითხავად **ჯ** რედაქციას და ქართულ „ქილს“ საკუთრივ ბერძნული სიტყვით ცვლის?

ვფიქრობთ, აქაც სრულიად ცხადია, რომ **ჟ** რედაქციის ავტორს პირდაპირ გადმოაქვს ბერძნული სიტყვა, რაც შესაძლოა ბუნებრივიც იყო მისთვის. **ჯ**-ს რედაქტორი კი ყველასთვის კარგად ცნობილი ქართული შესატყვისით ცვლის უცხო ლექსიკურ ერთეულს.

7. **ჯ**

ამისა შემდგომად... სიტყუად
იყო... მ ყ ო ფ ე ბ ის ა თ ვ ს
სულისა²⁴.

ჟ

ამისა შემდგომად სიტყუად
იყო... წ ა რ ყ ვ ა ნ ე ბ ის ა თ ვ ის
სულთაჲსა²⁴.

ბერძნული ἡ δειψαχή, რომელსაც, ქართულ რედაქციებში შეესაბამება „წარყვანებაჲ და „მყოფებაჲ“, ორივე მნიშვნელობას შეიცავს. ზმნა δειψα და მისგან ნაწარმოები ἡ δειψαχή, ერთი მხრივ, ნიშნავს „გადატანას, გადაყვანას, წაყვანას“, ხოლო მეორე მხრივ — „ცხოვრებას“, „მყოფობას“, „ყოფნას“²⁵.

როგორც ვხედავთ, ქართულ რედაქციებს შორის სხვაობა კვლავ ბერძნული სიტყვის ორაზროვნებით არის გამოწვეული, ე. ი. აქაც **ჟ** რედაქციის ორიგინალზე დამოკიდებულება აშკარაა.

8. **ჯ**

ართუ სიმადლითა ჰასაკისა-
ათა... უშუენიერჳს
იყო სხუათა, არამედ
ჩუეულებითა, და წყნარებითა
და სულითა სიწმიდითა²⁶

ჟ

ართუ სიმადლითა ჰასა-
კისათა... უშუენიერჳს
იყო სხუათა, არამედ ჩუე-
ულებითა განგებულეთა
და სულითა სიწმიდისათა²⁶.

²³ მ. შინჯიაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 16.

²⁴ ათანასი ალექსანდრიელი, დასახ. გამოც., გვ. 54.

²⁵ ძველი ქართული „მყოფებაჲ“ სწორედ „ცხოვრებას“ ნიშნავს (იხ. ი. აბულაძე, დასახ. ლექსიკონი, გვ. 304).

²⁶ ათანასი ალექსანდრიელი, დასახ. გამოც., გვ. 56.



4 რედაქციის „განგებულება“ კონტექსტის მიხედვით არაბუნებრივი შეცდომის წყაროა შესაბამისი ბერძნული სიტყვა ἡ χαράματα რომელიც თი მხრივ, ნიშნავს „სიმშვიდეს“, „სიწყნარეს“, (როგორც ეს C რედაქციაშია), მეორე მხრივ კი — „დადგენას“, „განსაზღვრავს“, „განწესებას“, „განგებას“.

აქაც 4-ს მცდარი თარგმანი C რედაქციაში გასწორებულია.

9. C

4

არცაღა მელეტიანოზთა
გ ა ნ წ ვ ა ლ ე ბ ა თ ა ე ზ ი ა რ ა²⁷

არცაღა მელეტიანოზთა გ ა ნ ხ ე თ-
ქ ი ლ თ ა ე ზ ი ა რ ა²⁷.

4 პირდაპირი აზრით თარგმნის *σχεματισμός*-ს (*სქ:ლო* -განხეთქვა, გაჭრა), რასაც C რედაქციის ავტორი ბუნებრივი ქართული შესატყვისით ცვლის.

10. C

4

არა... ველურ იყო
სახითა, არამედ მ ხ ი ა რ უ ლ
იყო²⁸.

არა... ველურ იყო გონებად
მისი, არამედ მ ა დ ლ ი იყო²⁸.

4 რედაქციის „მადლი“ არაბუნებრივი ჩანს. ბერძნულ ტექსტში გვაქვს *χαρίς*, რასაც, ზუსტად გადმოსცემს C რედაქციის „მხიარულ“.

4 რედაქციის ავტორმა ზემოაღნიშნული სიტყვა უთუოდ ამოიკითხა, როგორც *χαρίς*, რაც „მადლს“ ნიშნავს.

ასე რომ, ამჯერადაც 4-ს შეცდომა უშუალოდ ორიგინალზე დამოკიდებულებას ცხადყოფს. აღნიშნულ შეცდომას ასწორებს C რედაქციის ავტორი.

11. C

4

მერმე კუალად ადრე მოიღოს
ეკლესიამან ს ა მ კ ა უ ლ ი თ ვ ს ი
და ეგრძთვე ჩუეულად
ბრწყინვიდენ²⁹

შეიწყნაროს კუალად
მსთუად ს ო ფ ე ლ ი თ ვ ს ი
და ეგრძთვე ჩუეულად
ბრწყინვიდენ ეკლესიანი²⁹.

C რედაქციის „სამკაულს“ 4-ში შესატყვისება „სოფელი“ სათანადო ბერძნული სიტყვა ἡ χάμας როგორც ცნობილია, „სოფელსაც“ (ანუ „სამყაროსაც“) ნიშნავს და „სამკაულსაც“. ეს კი ცხადყოფს, რომ 4 რედაქცია აქაც C-სგან დამოუკიდებლად უკავშირდება ორიგინალს.

ბერძნულის მიხედვით სწორია C რედაქციის ტექსტი, რადგანაც საუბარი ეხება ეკლესიის მიერ დაკარგული სამკაულის შემოსვლას (*καὶ πάλιν ταχέως ἀπολήψεται τὸν ἅπαντες χάμας ἢ ἐκκλησία* col. 960 B).

12. C

4

და ესოდენ თავი თვისი
მ ი ს ც ა და საყუარელ
იყო ყოველთაგან ანტონი

და ესოდენ თავით თვისით
მ ა რ ხ ვ ა ს ა ჰყუარობდა
უფროას ყოველთა ანტონი.

²⁷ თანასი ალექსანდრიელი, დასახ. გამოც., გვ. 56—57.
²⁸ იქვე, გვ. 60.
²⁹ იქვე, გვ. 71.



მოტანილ ნიმუშებში ლექსიკურ სხვაობას ქმნის სიტყვები „მისცა“³⁰ „მარხვასა“. სხვაობა შენიშნული აქვს მ. შინჯიაშვილსაც, მაგრამ მკვლევარმა არავითარ კომენტარს არ ურთავს მას. ბერძნული ტექსტის შესაბამის ადგილას გვაქვს სიტყვა *ἄψαυ*, რომელიც წარმოადგენს აწმყოს მოქმედებითი გვარის მიმღეობას ზმნისა *ἄψαυ*—*წყავანა*; ასე რომ, **Σ** რედაქციის „თავი თვის მისცა“ ზუსტად შეესაბამება ორიგინალის *ἄψαυ* *ἄψαυ*. საიდან გაჩნდა **Ϛ** რედაქციაში „მარხვა“? ძნელი არაა მიხვედრა. რომ **Ϛ** რედაქციის მთარგმნელს ზემოაღნიშნული მიმღეობა გაუგია, როგორც არსებითი სახელი *ἰ* *ბჷაυ*, რომელიც ქრისტიანულ მწერლობაში „ღვაწლს“, „სულიერ გარჯას“ ნიშნავს. საგულისხმოა, რომ „ანტონის ცხოვრების“ ქართული თარგმანის **Ϛ** რედაქციაში „მარხვა“, ჩვეულებრივ, გადმოსცემს ბერძნულ *ἡ* *ἄσχημα*. მაგალითად: „სწავლის ვინებს, ვითარ-იგი იწყო მარხვად“ (*ἄσχημα*)³⁰; „გამოირჩევდით ბრწყინვალეებისა თქუენისა მარხვასა“ (*τῆ* *ἄσχημα*);³¹ „იყო... ბერი ვინმე სიყრმიით თვისითგან მმარხველი“ (*ἄσχημα*)³² და სხვა. სიტყვა *ἡ* *ἄσχημα*, მსგავსად სიტყვისა *ἰ* *ბჷაυ*, აღნიშნავს „სულიერ მოღვაწეობას“, „სულიერ ღვაწლს“; ეს ორი ტერმინი ქრისტიანული ასკეზის არსს ასაჩინოებს და ისინი სინონიმურად მიემართებიან ურთიერთს; ასე რომ, ზემომოტანილი ციტატის „მარხვა“ უთუოდ *ἰ* *ბჷაυ*-ის შესატყვისია. ეს გარემოებაც **Ϛ** რედაქციის უშუალოდ ორიგინალზე დამოკიდებულებას გვიცხადებს.

მსგავსი ნიმუშები კიდევ ბევრი შეიძლება მოგვეტანა, მაგრამ, ვფიქრობთ, დამოწმებული ციტატებიც სავსებით საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ **Ϛ** რედაქცია უშუალოდ ორიგინალზეა დამოკიდებული. ეს გარემოება თავისთავად გამოორიქხავს აზრს იმის შესახებ, რომ იგი **Σ**-ს გადაამუშავებთაა შექმნილი, რადგანაც თუკი **Ϛ**-ს რედაქტორი **Σ**-ს ორიგინალის საფუძველზე ცვლიდა, შეუძლებელია, მას თავდაპირველი მართებული თარგმანი ყოველ ნაბიჯზე მცდარი, ნონსენსუალური ფორმებით შეეცვალა.

არ გვაქვს არცერთი შემთხვევა, იმისა, სადაც **Ϛ** რედაქცია აშკარად ასწორებდეს **Σ**-ს. სწორედ ამან აფიქრებინა მ. შინჯიაშვილს, რომ **Σ**-ს გადაკეთება ორიგინალის გარეშე ხდებოდა. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ეს ასე არაა. **Ϛ** რედაქცია უეჭველად უკავშირდება უშუალოდ ბერძნულ ტექსტს; მის მცდარ ფორმებს გვიანდელი შესწორება განუცდიათ, რის საფუძველზეც მივიღეთ **Σ** რედაქცია.

გარდა ყოველივე აღნიშნულისა, **Ϛ**-ს ადრინდელობას ცხადყოფს ტექსტის ზოგი ტერმინი. ორიგინალში ერთგან საუბარია ძის ღმერთობის შესახებ და აღნიშნულია, რომ იგი მამის არსებისაგან არის (*τῆ* *τῆ* *πατρὸς* *οὐσίας*; col. 941). ქართულ ვერსიებში ვკითხულობთ:

Σ

თვის არს მამისა არსებისა³³

Ϛ

თვისსა მამისა სიმდიდრეს არს³³.

³⁰ ანტონის ცხოვრება... გვ. 5, 22;

³¹ იქვე, გვ. 5, 13.

³² იქვე, გვ. 9, 33, შდრ. აგრეთვე, „მმარხველი (*ἄσχημα*) იგი იქმნ“ გვ. 19, 30;

³³ ათანასი ალექსანდრიელი, დასახ. გამოც., გვ. 57.



როგორც ვხედავთ, 4 რედაქციაში *σῶα* თარგმნილია, როგორც „სიმდიდრე“, ხოლო C-ში, როგორც „არსება“. ბერძნული *σῶα* ყოფითი შინაარსით ნიშნავდა „საუნჯეს“, „სიმდიდრეს“, თეოლოგიური აზრით კი — „არსებას“, „სუბსტანციას“. ეს სიტყვა თვით მკაცრ თეოლოგიურ კონტექსტშიც კი უადრეს პერიოდში (V—VI სს.) ქართულად ითარგმნებოდა სწორედ, როგორც „საუნჯე“, ან „სიმდიდრე“, რადგანაც ამ დროისათვის *σῶα*-ს ფილოსოფიური აზრი, როგორც ჩანს, მთარგმნელთათვის გაცხადებული არ იყო და არც სუბსტანციის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი „არსება“ იყო შექმნილი. ეს უკანასკნელი *σῶα*-ს შინაარსით ბატონდება დაახლ. VI—VII სს-იდან და დღემდე თითქმის უცვლელი შესატყვისია მისი³⁴.

ამ თვალსაზრისით 4 რედაქცია მეტად არქაულ სახეს გვიჩვენებს. ჩვენი აზრით, იგი ყოველ შემთხვევაში VI ს-ზე ადრე გვიანდელი არ უნდა იყოს. რაც შეეხება C რედაქციის „არსებას“, იგი უთუოდ თავდაპირველი „სიმდიდრის გვიანდელი შესწორებაა. პირუკუ პროცესი (ე. ი. „არსების“ „სიმდიდრედ“ გადაკეთება) სრულიად არასარწმუნო და ნონსენსუალური გვეჩვენება.

4 რედაქციის ავტორის ტერმინოლოგიურ გაუთვითცნობიერებლობაზე ზემოთაც მივუთითებდით, როცა აღვნიშნავდით, რომ მას არ ესმის *ἐπιστάμεις*-ის თეოლოგიური აზრი (რასაც ზედმიწევნით გამოხატავს C-ს „განკურებული“) და ბერძნული სიტყვის ყოფითი შინაარსის შესაბამისად სრულიად ნონსენსუალურ შესატყვისს გვაწვდის („განძებული“).

ამ აზრის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ კიდევ ერთ ნიმუშს.

მითითებულ „ცხოვრებაში“ ერთგან აღწერილია ანტონის პაექრობა ფილოსოფოსებთან. წმიდა ანტონი ფილოსოფოსებს მათივე იარაღით, ლოგიკური მსჯელობით ებრძვის და მიზეზობრიობის შესახებ ასეთ კითხვას უსვამს: *τί τινος ἄπειον, ὁ σινεῖ τῶν ὑραμμάτων ἢ τὰ ὑράματα τῶν σιν;* (col 945)-

„რომელი რომლის მიზეზია, გონება-წიგნებისა, თუ წიგნები — გონებისა“? აღნიშნული ადგილი ქართულ რედაქციაში ასეთი სახისაა:

C

4

რომელი რომლისა³⁵ მიზეზი არს: გონებაა წიგნისა ანუ წიგნი გონებისა³⁶.

ვინ ვისთვის ბრალეულ არს: გონებაა წიგნისათვის, ანუ წიგნი გონებისათვის³⁶.

ბერძნული *τὸ ἀπειον* ყოფითი შინაარსით ნიშნავს „დანაშაულს“, „ბრალს“, ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრით კი — მიზეზს, პრინციპს, სათავეს. ტერმინის ეს უკანასკნელი გააზრება თითქმის უნივერსალური ხდება ქრისტიანობაში.

ქართული მწერლობის ზოგი უადრესი ძეგლი *τὸ ἀπειον*-ის შესატყვისად სწორედ „ბრალს“ წარმოგვიდგენს, რადგანაც ამ დროისათვის ხსენ-

³⁴ აღნიშნული საკითხის დეტალური განხილვა ამჯერად ჩვენს მიზნებს სცილდება.

³⁵ გამოცემაში მცდარად გვხვდება „ძალისა“, რაც ხელნაწერის არასწორი ამოკითხვითაა მიღებული (ერთმანეთშია არეული *α* და *κ*).

³⁶ ათანასი ალექსანდრიელი, დასახ. გამოც., გვ. 60.

ნებული ბერძნული ტერმინის ფილოსოფიური აზრი, ჩანს, მთარგმნელთა ვაცხადებული ჯერ კიდევ არ არის. ამგვარი გაურკვეველობა მხოლოდ უაღრესად პერიოდის კუთვნილებაა. VI—VII სს-დან *τὸ ἀΐσιον*, როგორც მიზეზობრიობის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი, იმდენად ღრმად შემოდის და ცნურდება ქართულ სინამდვილეში, რომ ყოფითი შინაარსით ხმარების დროსაც კი *τὸ ἀΐσιον* უკვე, ჩვეულებრივ, „მიზეზად“ ითარგმნება და არა „ბრალად“.

საეჭვო არ არის, რომ **ჟ** რედაქციის „ბრალეული“ უთუოდ უადრესი პერიოდის ანარეკლია, რასაც **ტ** რედაქციის ავტორი მართებულად ცვლის სიტყვით „მიზეზი“.

* * *

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: ორიგინალის პირველთარგმანი არის „მრავალთავეში“ დაცული რედაქცია. იგი შეიცავს საზოგადოდ პირველთარგმანისათვის დამახასიათებელ მრავალ უზუსტობასა და ლაფსუსს, რასაც შემდეგში ასწორებს მეტად დახელოვნებული მთარგმნელ-რედაქტორი. გვიანდელი შესწორების გზით შექმნილია ის რედაქცია, რომელიც XI ს-ის ბრიტანულმა ხელნაწერმა შემოგვინახა (ვფიქრობთ, ეს რედაქცია დაახლ. VII ს-ისა არის).

ამ აზრს ეთანხმება ისიც, რომ **ჟ** რედაქცია დაცულია უძველეს მრავალთავეებში (IX—X), მაშინ როცა **ტ** რედაქცია მხოლოდ XI ს-ის მეორე მეოთხედის ხელნაწერთაა ცნობილი.

Э. Г. ЧЕЛИДЗЕ

О ВЗАИМООТНОШЕНИИ ДО-АФОНСКИХ РЕДАКЦИЙ «ЖИТИЯ АНТОНИЯ ВЕЛИКОГО»

Резюме

Изучив взаимоотношения до-афонских редакций «Жития Антония Великого», автор статьи заключает: 1. перевод «Жития Антона Великого» был осуществлен в древнейшие времена; этот перевод сохранился в «Многоглавах» Сванети и Удабно; 2. существующий перевод неизвестный редактор (приблизительно VII—VIII вв.) сравнил с оригиналом, дополнил и исправил. Этот отредактированный текст сохранился в британской рукописи XI в.

თ. ოთხმეზური

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტირების
ისტორიიდან

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტირებას რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბიზანტიური მწერლობის მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ თითქმის არც ერთი სასულიერო მწერლის თხზულებებზე არ შექმნილა იმდენი კომენტარი, რამდენიც გრიგოლის ჰომილიებზე, წერილებსა და პოეზიაზე. როგორც ცნობილია, გრიგოლ ნაზიანზელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბიზანტიის სასულიერო წრეებში. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მისი მოძღვრება ქრისტიანობის ძირითადი დოგმებს შესახებ იზიდავდა ბიზანტიელ მწიგნობრებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა გრიგოლის ქადაგებათა სტილი, თხრობის თავისებური მანერა, რაც მსჯელობის საგნად იყო ქცეული ბიზანტიის განათლებულ წრეებში. გრიგოლის თხზულებებზე იქმნებოდა სხვადასხვა ხასიათის კომენტარები, რომელთა ავტორები იყვნენ ბიზანტიური სასულიერო მწერლობის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორიცაა მაქსიმე აღმსარებელი, მიქელ ფსელოსი, ნიკიტა ჰერაკლიელი, ელია კრიტელი და სხვა.

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარებს შორის ყურადღებას იქცევს გრიგოლის 16-სიტყვიანი ლიტურგიული კრებული, რომელშიც გრიგოლის ჰომილიებთან ერთად ამ ჰომილიებზე დართული საკმაოდ ვრცელი კომენტარებია წარმოდგენილი. ეს კრებული ფართოდ იყო გამოყენებული ბიზანტიის სასულიერო პრაქტიკაში და დიდი პოპულარობით სარგებლობდა შუა საუკუნეების ბიზანტიაში. ბუნებრივია, გრიგოლის თხზულებათა შორის სწორედ ამ კრებულში დაცული საკითხავები იწვევდნენ შუა საუკუნეების მწიგნობართა განსაკუთრებულ ინტერესს. ამიტომაც არის, რომ დღეისთვის გამოვლენილი და აღწერილია, ალბათ, გრიგოლის ასზე მეტი 16-სიტყვიანი კრებული, რომელთა აშეიბზე, თუ ხელნაწერის ბოლოს ვხვდებით გრიგოლის ჰომილიათა კომენტარებს¹. გრიგოლის 16-სიტყვიანი კომენტირებული კრებულის პოპულარობას ის ფაქტიც მიანიშნებს, რომ იგი ქართულ ენაზეცაა თარგმნილი. თარგმანი ეკუთვნის XI საუკუნის ცნობილ მთარგმნელს, ეფრემ მცირეს².

გრიგოლ ნაზიანზელის 16-სიტყვიანი კრებულის კომენტარები, მათი ავტორის ვინაობა, შინაარსი ერთ-ერთი ყველაზე შეუსწავლელი საკითხია ბიზან-

¹ იხ. Repertorium Nazianzenum. Orationes. Textus Graecus I. Codices Galliae. recensuit J. Mossay, 1981. J. Sajdak. Historia Critica Scholiastarum et Commentatorum Gregorii Nazianzeni—Meletemata Patristica I. Cracoviae, 1914, pars I.

² ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი გრიგოლის 16-სიტყვიანი კომენტირებული კრებულებია: A 109, Jer. 13, Jer. 15, Jer. 43, A 16, A 1338. იხ. თ. ბრეგაძე. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1988, გვ. 151—153, 159—167, 133—139, 144—151, 114—124, 125—132.



ტიური ლიტერატურის ისტორიაში. ამის მიზეზია, უპირველეს ყოვლისა, საკითხის სირთულე — კომენტართა შემცველ კრებულებში დაცული მასალა მრავალმხრივად მრავალფეროვანია და გარკვეულ სისტემატიზაციას არ ექვემდებარება. 16-სიტყვიანი კომენტარებული კრებულის შედგენის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ კრებულში დაცული ეპისტოლე, რომელიც უძღვის გრიგოლ ნაზიანზელის 38-ე ჰომილიის, ქრისტეს შობის საკითხავის კომენტარს როგორც ბერძნულ³, ისე ქართულ⁴ ნუსხებში. აქ განვიხილავთ იმ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს, რომელსაც ეს ეპისტოლე წარმოჰყრის, წარმოვადგენთ აგრეთვე ეპისტოლის ქართული თარგმანის პუბლიკაციას.

ეპისტოლის ავტორია ბასილი უნდო, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსი, X საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწე, თავმდაბლობის ნაშნად „*Ἐλάχιςτος*“ — ად, „*Minimus*“ — ად — „მცირედ“, „უნდოდ“ წოდებული საპირისპიროდ IV საუკუნის საეკლესიო მამის, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსის, ბასილი დიდისა. ეპისტოლის ადრესატია კონსტანტინე მეუფე და თვითმპყრობელი — ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (913—959 წწ.). როგორც ეპისტოლიდან ირკვევა, ბასილი უნდოს კონსტანტინესთვის მიუერთმევია გრიგოლ ნაზიანზელის 16-სიტყვიანი კომენტარებული კრებული ქრისტიანთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დღესასწაულზე, ქრისტეს შობის დღეს, რასაც, როგორც ჩანს, ერთვოდა ბიზანტიის სამეფო კარზე გამართული მტერზე გამარჯვების სახალხო ზეიმიც (ეპისტოლეში ვკითხულობთ: „დღესასწაულსა ამას ქრისტეს შობისასა და სამადლობელსა მტერთა ძლევისასა...“). ეპისტოლეში კონსტანტინე იმპერატორი „სიტყუსმოყუარედ“ არის წოდებული, ყურადღება გამახვილებულია მის „მეცნიერებისმოყუარებაზე“. აშკარად ჩანს, რომ კონსტანტინე ჯეროვანი დამფასებელია იმ ძღვენისა, რომელსაც ბასილი უნდო უძღვნის მას ქრისტეს შობის დღესასწაულზე. აქ გარკვეული ეტიკეტის მიღმა, რაზეც შემდგომში გვექნება საუბარი, აშკარად იკვეთება კონსტანტინე პორფიროგენეტის, განათლებული, განსწავლული იმპერატორის სახე.

ისტორიული წყაროები, თუ ბიზანტიის კულტურის მკვლევარნი ხაზგასმით მიუთითებენ იმ დიდ კულტურულ აღმავლობაზე, რომელიც შეინიშნება ბიზანტიაში სწორედ კონსტანტინე პორფიროგენეტის მმართველობას პერიოდში. ეს არის „ოქროს ხანად“ წოდებული ეპოქა, როდესაც ხდება ელინისტური და ადრებიზანტიური კულტურული მემკვიდრეობის სისტემატიზაცია და ანალიზი⁵. იმპერატორის თანამედროვეთა გადმოცემით, კონსტანტინე VII გულგრილობას იჩენდა სახელმწიფო საქმეების მიმართ, მთელ ყურადღებას სიძველეთა შეგროვებასა და შესწავლისაკენ მიმართავდა. თავად კონსტანტინე თავისი

³ ეპისტოლის შემცველი ბერძნული ხელნაწერების შესახებ იხ. J. Sajdak, Op. cit., p. 56—89. ეს ტექსტი გამოცემულია: PG. 36, col. 1076—1080; R. Cantarella. Basilio Minimo II. Scilii inediti con introduzione e note. BZ 26, 1926.

⁴ ეპისტოლეს ვხვდებით გრიგოლის ქართულ ლიტურგიკულ კრებულთაგან ორში: Jer. 13-სა და Jer. 15-ში. იხ. თ. ბრეგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 164, 134. აღსანიშნავია, რომ თ. ბრეგაძეს ეპისტოლის ტექსტი გადმოწერილი აქვს Jer. 13-დან. ტექნიკური მიზეზების გამო ეს ტექსტი ვერ შევიდა მის ნაშრომში. ეპისტოლის ქართულ ტექსტს ვაქვეყნებთ თ. ბრეგაძის თანხმობით. აქვე შევნიშნავთ, რომ გრიგოლის 16-სიტყვიანი კრებულის შესახებ გარკვეული მონახრებები აქვს გამოთქმული ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელს შ. რაფაევას (1987 წ. 29 მაისს საინსტიტუტო სემინარზე წაკითხული მოხსენება „გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფრემ მცირისეული კრებულის შედგენილობა“).

⁵ Памятники византийской литературы IX—XIV веков, под ред. Л. А. Фрейберг. М., 1969, с. 13.

დროისათვის საკმაოდ განსწავლული პიროვნება იყო. მისი ხელმძღვანელობით
ზოგჯერ კი უშუალო მონაწილეობით კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე დიდ
კულტურული საქმიანობა იყო გაშლილი — მუშავდებოდა საცნობარო ლიტე-
რატურა, იკრიბებოდა ძველი ხელნაწერები. კონსტანტინე ფლობდა უმდიდრეს
ბიბლიოთეკას, რომელსაც ავსებდა და ამდიდრებდა სიცოცხლის ბოლომდე.⁶
კრუმბახერის შენიშვნით, სიძველეთა შეგროვებისა და სასტემმატიზაციის თვალ-
საზრისით ბიზანტიური კულტურის ეს პერიოდი ძალიან ჰგავს ალექსანდრიული
სკოლის სწავლულთა მოღვაწეობის ეპოქას.⁷

ამგვარ ვითარებაში იმპერატორისადმი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულება-
თა კრებულის მიძღვნა საეკლესიო პირისაგან სრულიად კანონზომიერი მოვ-
ლენაა. ეპოქის მეცნიერულმა ინტერესებმა და მოთხოვნებმა განსაზღვრა აგრე-
თვე ის სამუშაოც, რომელიც ჩაუტარებია ბასილი უნდოს გრიგოლ ნაზიანზე-
ლის თხზულებათა კრებულზე. როგორც ეპისტოლიდან ირკვევა, მას შეუტრე-
ბია გრიგოლის პომილიებზე არსებული კომენტარები, შეუშოკლებია, ნაწი-
ლობრივ გაუმარტივებია, თავის მხრივ დაურთავს საკუთარი განმარტებები და
ამ სახით მიურთმევია კრებული კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის.

ეს არის ძირითადად ის ცნობები, რომლებსაც გვაწვდის ბასილი უნდოს
ეპისტოლე გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარებული კრებულის
შედგენასთან დაკავშირებით. გარდა ისტორიულ-ლიტერატურული ინფორმა-
ციისა, ეპისტოლეში ილანდება ავტორის გარკვეული ლიტერატურულ-თეორი-
ული შეხედულებანი, რომლებიც, როგორც ჩანს, არსებობდნენ X საუკუნის
ბიზანტიის ლიტერატურულ წრეებში. ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში
საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც მწერლები თავისი ლიტერატურულ-
თეორიული კონცეფციის გადმოსაცემად სწორედ ეპისტოლურ ყანარს მიმარ-
თავენ. ამ მიზნითაა შექმნილი გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლე მიმართული
მისი სიძის, ნიკობულესადმი „იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იწერებოდეს
ეპისტოლე“⁸, აგრეთვე მიქელ ფსელოსის წერილი პოთოსისადმი — საკმაოდ
შოზრდილი ტრაქტატი გრიგოლ ნაზიანზელის სტილის შესახებ⁹. მართალია, ბა-
სილი უნდოს ეპისტოლეში ავტორის ლიტერატურული კონცეფცია ისე მწყობ-
რად, თანამიმდევრულად არ არის მოწოდებული, როგორც გრიგოლ ნაზიანზე-
ლისა თუ მიქელ ფსელოსის ეპისტოლეებში, მაგრამ აქ მოტანილი ტერმინოლო-
გია აშკარად მიანიშნებს ეპისტოლის ავტორის გარკვეულ განსწავლულობას ლი-
ტერატურისა და ორატორული ხელოვნების თეორიაში. ბასილი უნდოს მიერ
გრიგოლსა და მის თხზულებებზე საუბრისას გამოყენებულ ტერმინთა ანალიზი
ცხადყოფს, რომ მისი ლიტერატურულ-თეორიული შეხედულებანი ეფუძნება
გლინისტური ეპოქის ორატორთა, აგრეთვე ე. წ. „მეორე სოფისტიკის“ ორა-
ტორული ხელოვნების თეორეტიკოსთა ნაშრომებს, კერძოდ დიონისე პალიკარ-
ნასელისა და ჰერმოგენეს თხზულებებს რიტორიკის, მხატვრულ ნაწარმოებთა

⁶ კონსტანტინე VII-ს მმართველობის, მისი საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ იხ.
P. Lemerle. *Le Premier Humanisme Byzantin*. Paris, 1971, p 242—300; Фрейберг Л. А.
Литературное собирательство и риторика.—Византийская литература эпохи расцвета
IX—XV вв. М., 1978, с. 30.

⁷ K. Krumbacher. *Geschichte der byzantinischen Literatur*. München, 1897,
s. 484.

⁸ PG 37, Epist. 51, col. 105—108.

⁹ A. Mayer, *Psellos' Rede über den rhetorischen Charakter den Gregorios von Na-
zianz*.—BZ 20, 1911, s. 48—60.



სტილისა და ლიტერატურის თეორიის შესახებ. საერთოდ, ცნობილია, რომ X საუკუნის ბიზანტიის განსწავლულ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ზღნენ რიტორიკის სასკოლო სახელმძღვანელოები, ე. წ. „τέχνη“, რომლებიც გვიანანტიკური ლიტერატურისა და ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსთა ნაშრომების კონსპექტურ გადმოცემას წარმოადგენდნენ¹⁰. აღსანიშნავია, რომ ბასილი უნდოს ეპისტოლეში თითქმის ყველა ის ორატორული ელემენტი მოხსენიებული, რომელიც გვიანანტიკური ეპოქის ორატორთა მიერ მიჩნეული იყო ნაწარმოების მხატვრულობის განმსაზღვრელად.

გვიანანტიკური ორატორული თეორიის მიხედვით, მხატვრული ნაწარმოების განხილვისას გასათვალისწინებელია ორი ძირითადი მხარე. ერთია შინაარსი, ძირითადი აზრი, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში დევს. ბასილი უნდოს ეპისტოლეში ვხვდებით ამ ცნების აღმნიშვნელ რამდენიმე ტერმინს — „τὸ νόημα“ („გულისკმისყოფა“), „ἡ διάνοια“ („მოგონება“), „τὸ νόημα“ („გონება“). ბასილი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ნაზიანზელის თხზულებებში დაუჩვენებელი აზრის სიღრმესა და სიცხოველეს. ზემოთ დასახელებული მცნებები შემდეგი განსაზღვრებებითაა წარმოდგენილი ეპისტოლეში: „მღვდარი გონება“, „სიღრმე მოგონებათა“. ამავე კატეგორიის ცნებებია: „უბსკრული სიბრძნისა“, „სიმაღლე ღმრთისმეტყუელებისა“. მეორე მხარეა ის სიტყვიერი მასალა („τὸ λέξιον“), რომლის საშუალებითაც მწერალი გადმოსცემს თავის აზრს. გვიანანტიკური ორატორული თეორიის თანახმად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ლექსიკას, თხრობის გარეგნულ მხარეს. გამოყოფილია მხატვრული თხრობის რამდენიმე ელემენტი, რომელთა სწორი შერჩევა განაპირობებს თხრობის სიმშვენიერეს და საამურობას („καλὸς καὶ ἡδύς“). ამ ელემენტთაგან ბასილი უნდოს ეპისტოლეში ვხვდებით:

„τὸ λέξιον“ („სიტყუა“) — თხრობის ელემენტარული ერთეული, რომლის შერჩევასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვიანანტიკური ლიტერატურული თეორიის მიხედვით. ბასილი ნაზიანზელის სიტყვას „ტკბილს“ უწოდებს („ἡδὺς λέξιον“).

„ἡ σαφήτης“ („შეწყობილება სიტყუათა“), ანტიკური ტერმინოლოგიის მიხედვით „ἡ σαφὴ ἔκθεσις“. ამ ცნებას დიონისე პალიკარნასელმა უძღვნა ცალკე ტრაქტატი „Περὶ σαφῆς καὶ ἡδέως λέξεως“, რომელშიც სიტყვათა შეწყობა ნაწარმოების მხატვრულობის განმსაზღვრელადაა დასახული¹¹.

„τὸ περιεχόμενον“ („მოქცევა“), პერმოგენეს თხზულებაში „Μετὰ τῆς ἰδέας“ ამ ცნების აღმნიშვნელი ტერმინია „τὸ ἀδύον“¹². ეს არის თხრობის ერთი დასრულებული პასაჟი, მონაკვეთი, რომლის სიგრძე-სიმოკლეზე დიდად არის დამოკიდებული სტილი, ამაღლებული იქნება ის, თუ მდაბალი.

¹⁰ Любарский Я. Н., Литературно-эстетические взгляды Михаила Пселла. — Античность и Византия, М., 1975, с. 115.

¹¹ История греческой литературы. Литература эллинистического и римского периодов, под ред. С. И. Соболевского, М. Е. Грабзарь-Пассек, Ф. А. Петровского. М., 1960, т. III, с. 165.

¹² Миллер, Т. А., Михаил Пселл и Дионисий Галикарнасский. — Античность и Византия, с. 144.

„τὰ ἀρχαῖα“ („სახენი“) — ფიგურალური გამოთქმები, რომლებიც დიდად ამშვენებენ თხრობას.

ეს არის ის „τέχνησι ξοῖσι“ („კელოვნებითი ვერაგობანი“), ან „მῆσιαι τέχνη“ (ხელოვნების კანონი), რომელთა ოსტატური შერჩევა განაპირობებს თხრობის მაღალმხატვრულობას, მკითხველსა თუ მსმენელზე სიტყვის ესთეტიკური ზემოქმედების უნარს, რაც ანტიკური რიტორიკის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

გვიანანტიკური რიტორიკის თეორიაში დიდი ადგილი ეთმობა რამუს-ის — რიტმის ცნებას, რომელიც მსმენელზე ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენის ერთ-ერთ ძირითად ელემენტადაა მიჩნეული. ბასილი უნდოს ეპისტოლეში ამ ტერმინს ვერ ეხვდებით, მაგრამ აშკარაა, რომ ეპისტოლის ბოლო მონაკვეთში სწორედ ნაზიანზელის პროზის რიტმულ ორგანიზაციასავე საუბარი. ბასილი ახსენებს წერტილებს („τὰ στίχια“, რომლებსაც შეცთომილნი არაფრად აგდებენ და ამის გამო ნაზიანზელის ჰომილიათა გარკვეულ პერიოდებს — „მოქცევებს“ და „სიტყუათა შესაკრავებს“ სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად კითხულობენ, რითაც სიტყვის წესს განხრწნიან — „იმას, რაც გაბმითა [წასაკითხი], ანაწევრებენ, დასანაწევრებელს კი პირიქით, გაბმით [კითხულობენ] — „τὰ ἀνεμίχνη ξαῖν ἔτε ἐνταῖς ὅτε, καὶ δὲ ἀστυχῶν ἔπαλι· τὰ τεταμῆνα“¹³ სინამდვილეში კი წერტილთა განლაგება ორატორული ხელოვნების წესია („მῆσιαι τέχνη“). წერტილები მიანიშნებენ, თუ როგორ უნდა შეეწყონ პერიოდები, როგორ უნდა გაერთიანდნენ თხრობის ნაწილები. აშკარაა, რომ აქ საუბარია თხრობის რიტმულ ორგანიზაციაზე, სიტყვათშეთანხმებათა და პერიოდთა შორის გარკვეული ინტერვალების დაცვის აუცილებლობაზე, რაც ჰომილიაში გრაფიკულად წერტილების საშუალებით იყო გამოხატული და რასაც ჰომილიის კითხვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა¹⁴.

გვიანანტიკური რიტორიკის თეორიის მიხედვით, რიტმულობა ხშირ შემთხვევაში გულისხმობდა სიტყვის მღერით წარმოთქმას. „დამღერებული“ სიტყვები ისეთ დიდ ესთეტიკურ გავლენას ახდენდნენ მკითხველზე, რომ ზოგჯერ ვნის არცოდნაც არ აფერხებდა ამ სიტყვათა მოსმენით ტკობას. მაგალითად, ცნობილ სოფისტს, ფავორინს, თურმე, დიდი სიამოვნებით უფლებდნენ ყურს ისინიც კი, ვინც ბერძნული არ იცოდა. მსმენელები იზიბლებოდნენ სო-

¹³ ამ ფრაზის ეფერმისეული თარგმანი, ვფიქრობთ, ბუნდოვანია: „თანდაქსნილობითურთ და განრლუეულობით წინაუკმორთხმულისა და შენაწევრებულისა“. „ἔπαλι· τὰ τεταμῆνα“ კალკირებულადაა თარგმნილი — „წინაუკმორთხმული“, რაც, ვფიქრობთ, იწვევს ფრაზის გაბუნდოვანებას.

¹⁴ რამდენად აისახა ქართულ ნუსხეებში ნაზიანზელის ჰომილიათა ეს გრაფიკული მხარე, რამდენადა დაცული ქართულ თარგმანში ნაზიანზელის პროზის რიტმულობა, ის სიტყვათშეთანხმებანი და პერიოდები, რომლებსაც გადაწყვეტი როლი ენიჭებოდათ ნაზიანზელის პროზის რიტმულ ორგანიზაციაში? ხომ არ ემსახურება ეფრემ მცირის სიტყვასიტყვითი, ვადამეტებულად ზედმიწევნითი თარგმანი სწორედ ამ პერიოდთა და სიტყვათშეთანხმებათა ზუსტ გადმოტანას ქართულად? რამდენადა შენარჩუნებული ამ გზით ნაზიანზელის ჰომილიათა მხატვრულობა? ეს საკითხები შემდგომ კვლევას საჭიროებენ. ამასთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებები აქვს ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს ქ. ბეზარაშვილს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბასილის ეპისტოლის ეს პასუხი საინტერესოა იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ეფერმისეული თარგმანის წინასიტყვაობის იმ ადგილის გავებისათვის, სადაც საუბარია საკითხავთა „წერტილითა განკუეთის“ შესახებ (A 24, 4r I—II).



ჟისტი რიტორის ხმის ჟღერადობით, ეესტ-მიმიკითა და მისი სიტყვის რეტორიკული ლობით¹⁵. ბასილი უნდოს კომენტარების საშუალებით ვიგებთ, რომ რიტორიკული ლობასთან ერთად გრიგოლის პომილიებს ეკლესიაში კითხვისას მუსიკალური ელემენტებიც ახლდა. ქრისტეს შობის საკითხავის კომენტარში ვკითხულობთ, რომ ნაცვლად ე. წ. „წინაშესავლისა“, რომლითაც საერთოდ იწყებოდა ხოლმე პომილია, „მოიბოვა აქა დიდმან ამან მოძღუართა შორის წინამძნობელობაჲ და წინააღმდეგელობაჲ, ვითარცა გარდამეტებულისაგან სიტკბობებისა და სიხარულისა წინამცემელ იყო ებნისა“ (Jer 13, 285v) — ე. ი. ქრისტეს შობის საკითხავის დასაწყისს გრიგოლი გარდამეტებული სიხარულისაგან ძველი რიტორების მსგავსად სიმღერით ასრულებდა ქნარის თანხლებით.

ბასილი უნდოს ცდა გააანალიზოს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები გვიანანტიკური ლიტერატურულ-ორატორული ხერხებით, წარმოაჩინოს მათში ზემოთ დასახელებული ელემენტები, სრულიად კანონზომიერი მოვლენაა არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ ამგვარი ანალიზი საერთოდ მიღებული იყო ბასილის ეპოქის ბიზანტიის განსწავლულ წრეებში, არამედ იმიტომაც, რომ თავად გრიგოლ ნაზიანზელი თავის პომილიებს სწორედ ანტიკური რიტორიკის ხერხების გამოყენებით თხზავდა. როგორც ცნობილია, იგი იყო გვიანანტიკური ეპოქის ცნობილი რიტორის, ლიბანიოსის მოწაფე და თავისი მასწავლებლისაგან კარგად ჰქონდა შეთვისებული ანტიკური მკვერმეტყველების ძირითადი კანონები¹⁶.

ამგვარად, როგორც ბასილი უნდოს ეპისტოლიდან ირკვევა, ბასილმა გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკული კრებულის კომენტარები შეადგინა, ერთის მხრივ, „განმარტებად გულისკმისყოფათა და განცხადებად სიღრმესა მოგონებათასა“ — იმ სიბრძნის, აზრის წარმოსაჩენად, რაც გრიგოლის სიტყვებშია, მეორეს მხრივ, „განმარტებისა შეწყობილებისა სიტყუთათასა, ანუ ხედვითისა ზედამდგომელობისა, ანუ კვლოვნებითა რათმე ვერაგობათა მოქცევისა და სახისა და თითოფერთა პირთა თარგმანებისა“, ე. ი. იმ მხატვრულ ხერხთა და ელემენტთა განმარტების მიზნით, რომლებსაც ნაზიანზელი მიმართავს თავის პომილიათა შეთხზვისას. ეპისტოლეში ფაქტიურად განსაზღვრულია კომენტართა ხასიათი — ფილოსოფიურ-რიტორიკული. თუ რამდენად გაართვა თავი ბასილმა ამ საქმეს, ამას კომენტართა შემდგომი კვლევა წარმოაჩენს.

აქ დგება კიდევ ერთი საკითხი: რამდენად ფლობს თავად ბასილი უნდო, ლიტერატურისა და ორატორული ხელოვნების თეორიაში საკმაოდ განსწავლული პიროვნება, იმ რიტორიკულ ხერხებს, რომელთა შესახებაც ის მსჯელობს თავის ეპისტოლეში. ბასილის ეპისტოლის ერთი წაკითხვაც ცხადყოფს, რომ მისი ავტორი საკმაოდ კარგადაა გაწაფული რიტორიკულ ხელოვნებაში. ბასილი უნდოს ეპისტოლე შესრულებულია მთელი იმ წესების დაცვით, რომელიც არსებობდა ბიზანტიურ ეპისტოლოგრაფიაში მისი ვანეთარების ე. წ. საშუალო ბიზანტიურ პერიოდში (X—XIV სს.)¹⁷, და რაც ამ ქანრში რიტორიკის ელემენტების ფართო შედწმევას გულისხმობდა. ბასილი უნდოს ეპისტოლე, ისევე როგორც საერთოდ ბიზანტიური ეპისტოლე, მიუხედავად კონკრეტული ადრესატის არსებობისა, მკითხველთა ფართო წრისთვისაა გათვალისწინებული.

¹⁵ История греческой литературы, т. III, с. 141.

¹⁶ об. M. Guignet. Saint Grégoire de Nazianze et la Rhétorique. Paris, 1911.

¹⁷ об. Попова Т. В., Византийская эпистолография, Средневизантийский период X—XIV вв. — Византийская литература. М., 1974, с. 205—224.



ლი — ფაქტიურად გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტირებულ კრებულში, ბულის შესავალს წარმოადგენს¹⁸. ამიტომაც ის რიტორიკული ხერხებისა და წესების მიხედვითაა შეთხზული ისე, როგორც ნამდვილი ლიტერატურული ნაწარმოები.

ეპისტოლის თხრობის სტილი მაღალფარდოვანია, განხორციელებულია რიტორიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — ამალელებულის შესახებ უნდა დაიწეროს ამალელებულად, მაღალფარდოვანად. მაღალფარდოვანება მიღწეულია, ერთის მხრივ, თხრობის ელემენტარული ნაწილების, სიტყვათა, კერძოდ, ზედსართავთა ხარისხის ფორმების ხშირი გამოყენებით (მაგ. „*αμαρτηρις*“ — „უპატიოსნეს“, „*λαμαρτηρις*“ — „უბრწყინვალეს“, „*ελεεινους*“ — „უსაკუთრეს“ და სხვ.), კომპოზიტების ხშირი ხმარებით (მაგ. „*πισυτελης*“ — „მრავალსასყიდელი“, „*πισυαμνης*“ — „მრავალყუავილოანი“, „*η εσπερις*“ — „კეთილპოვნეობა“ და სხვ.). მეორეს მხრივ, თხრობის უფრო დიდ ნაწილთა — წინადადებათა (რიტორიკული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პერიოდთა) გავრცობით. ეპისტოლეში გამოყენებულია თხრობის გაბუნდოვანების ხერხი, რაც ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ამ პერიოდის ეპისტოლური ქანარისთვის. ეპისტოლის კითხვის დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ იგებს მკაფხველი, კონკრეტულად რაზეა საუბარი ეპისტოლეში. თუმცაღა ცნობილია ამ პერიოდის ზრგადი ფრაზებითა და სენტენციებით იმდენად გადატვირთული ეპისტოლეებიც, რომ მკითხველისათვის ბოლომდე გაურკვეველი რჩება მათი ძირითადი შინაარსი. ამ ტიპისაა ბულგარელი არქიეპისკოპოსის, თეოფილაქტეს წერილი კონსტანტინე X დუქსადმი, აგრეთვე მიქელ ფსელოსის ეპისტოლე იმპერატორის მემკვიდრისადმი¹⁹. ბასილი უნდოს ეპისტოლეში ამ თვალსაზრისით გარკვეულად ზომიერებაა დაცული. ზომიერების ფარგლებს არ სცილდება არც ბასილი უნდოს წერილის ორატორული ეტიკეტი. ბასილი კონსტანტინე VII-ს ამკობს ეპითეტებით: „სახიერი“, „პატიოსანი“, „ყოვლადმშვიდი“, „სიტყვისმოყუარე“, რომელთაც კონსტანტინე იმპერატორი, როგორც ისტორიული პიროვნება, საესებით იმსახურებს, თუ კი გავითვალისწინებთ მის მოღვაწეობას, ლიტერატურულ ინტერესებს, განსწავლულობას, რაც, ბუნებრივია, ჯეროვნად უნდა ყოფილიყო დაფასებული ბიზანტიელ სწავლულთა მიერ. აქ ვერ გვხვდებით იმპერატორის დახასიათებისას ისეთ გადაჭარბებულ ეპითეტებს, როგორცაა „მზე“, „ღმერთი“, „მნათობი“, რომლებითაც გადატვირთულია მიქელ ფსელოსის ეპისტოლეები კეისართა და იმპერატორთა მიმართ²⁰.

ბასილის ეპისტოლეში იკვეთება აგრეთვე ბიზანტიური ეპისტოლისთვის, და არა მარტო ეპისტოლური ქანარისთვის, არამედ მთელი ქრისტიანული აზროვნებისთვის დამახასიათებელი საკუთარი თავის, საკუთარი ღვაწლისა და ნაწუშევარის დამცირების მომენტი. საერთოდ, თავმდაბლობა, როგორც ჩანს, ბასილი უნდოს პიროვნული თვისება იყო, რაზეც მეტყველებს მის მიერ ზედსა-

¹⁸ აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტირებულ კრებულში, არც ბერძნულ, არც ქართულ ნუსხებში ბასილის ეპისტოლე არ გვხვდება კრებულის დასაწყისში. ის უმეტეს შემთხვევაში კრებულის მეორე ჰომილიის, ქრისტეს შობის საკითხავის წინაა მოთავსებული.

¹⁹ Поннова Т. В., указ. соч., с. 209.

²⁰ Там же, с. 210.



ხელად არჩეული „უნდო“, მსგავსად მისივე ნაშრომის ქართულად მთარგმნელის, ეფრემ მცირისა²¹. აღსანიშნავია, რომ აქაც ავტორისეული თავმდაბლობა ზომიერია. ბასილი თავის ნამუშევარს „უტეპილოს“, „უშუერს“, „უეპაფროდიტოს“ („*Μεταφυσικὴ*“ — „მშენიერებამოკლებულს“) უწოდებს. აქაც დიდი ზღვარია ისეთ თვითდამცირებამდე, როგორც გამკლავებულია შედარებით ადრეული ავტორის, თეოდორე სტუდიელის ეპისტოლეებში, სადაც ავტორი თავის თავს „მატლს“, „მტვერსა“ და „ცოდვილს“ უწოდებს²².

ბასილი უნდოს ეპისტოლეში ხშირად ვხვდებით ისეთი მხატვრული ხერხების გამოყენებას, როგორიცაა პარალელიზმი, მეტაფორა, ანტითეზა, შედარება და სხვ. მაგალითად, თავის „უშუერს“ ნაშრომს ბასილი მიიჩნევს „ყოლადად და პატიოსნად“ („*καὶ ἡμεῖς ἰσχυροὶ*“) — ე. ი. მეტად მნიშვნელოვნად, ისევე როგორც „ციდამტკაველსაცა და ჰინდოსა დიდჰასაც ჰგონიეს თითოეულსა თავითსი და შეუენიერებასაგონებელ უჩნს თვსთა შობათა თვსი იგი უსახურებაჲ“. ამ შედარებაში ორი მხარეა გასათვალისწინებელი: ერთი მხრივ, თავისი თავის მაიმუნთან და ჰინდოსთან შედარების საშუალებით ბასილი თავს ირიცხავს. მეორე მხრივ, მაიმუნისა და ჰინდოს ერთად მოხსენებაში, მათ გათანაბრებაში აშკარად ილანდება განსწავლული ბიზანტიელის ქედმაღლობა შავკანიანთა დაბალი რასის მიმართ. („ჰინდოს“ შესატყვისი ეპისტოლის ბერძნულ ტექსტში არის „*Αἰθίοψ*“ — „ეთიოპელი“. ეს ეთნიკური სახელი, მხატვრული სახის ანალიზიდან თუ გამოვალთ, შავკანიანის მნიშვნელობითაა ნახმარი ეპისტოლეში. საერთოდ, ბიზანტიური ეპისტოლისთვის დამახასიათებელი იყო ეს ხერხი — ეპისტოლის შინაარსის გაბუნდოვანების მიზნით კონკრეტული ეთნიკური სახელწოდების დასახელება ზოგადის ნაცვლად. მაგალითად, მანუელ პალეოლოგის მე-13 ეპისტოლეში ნახსენებ სკვითებში ბარბაროსთა მთელი მოდგმა იგულისხმება²³. „*Αἰθίοψ*“ -ის „ჰინდოდ“ გადმოტანა ქართულ თარგმანში ხელს არ უშლის ამ მხატვრული სახის აღქმას, რადგან „ჰინდოს“ ქართულში ზოგადად „შავკანიანის“ მნიშვნელობაც აქვს)²⁴.

მსგავსი სტრუქტურისაა კიდევ ერთი მხატვრული სახე ეპისტოლიდან: ქრისტეს შობის დღესასწაულზე უაზროდ, უქმად ყოფნა შედარებულია ძალისა და ათენელის უგუნურობასა და მოშურნეობასთან. ათენელში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება არაქრისტიანი, წარმართი, რადგანაც ათენი, კერძოდ, ათენის აკადემია, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგაც კი, VI საუკუნემდე, ანტიკური განათლებულობის ცენტრი იყო საქრისტიანოში²⁵. აქაც, ძალისა და ათენელის გათანაბრებით, ხაზი ესმევა წარმართული სამყაროს სიმდაბლეს,

21 ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარებულ კრებულზე დართული ეფრემ მცირის ანდერძი, სადაც ეფრემი თავის თავს ბასილის ანალოგიით „უნდოს“ უწოდებს: „შემწე ჩემდა იქმენ დღესა განშჯისასა (ეფრემი მიმართავს გრიგოლს — თ. ო.), რომლისათვისცა გხადი უნდაო მცირე ეფრემ“ (Jer. 13, 278r).

22 Попова Т. В., указ. соч., с. 201.

23 Попова Т. В., указ. соч., с. 218.

24 ე. ხინთიბიძე, „ვარლამ და იოასაფის“ ეთიოპია —! თსუ შრომები, ლიტერატურათმცოდნეობა. 1986, გვ. 67—75.

25 ამ მხატვრულ სახეში კარგად ჩანს ის წინააღმდეგობა, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს მთელ ბიზანტიურ კულტურასა და მის ისტორიას. დავმობილია ანტიკურობა, ის სამყარო, რომლის ლიტერატურული გამოცდილებით საუკუნეების მანძილზე სარგებლობდა მთელი ბიზანტიური მწერლობა.



უმეცრებას. ამ უმეცრების საპირისპიროდ — „პევებითა ამით წყალსა ერგობით“²⁶ ლებით მიპყრობად“ — აღნიშნავს ბასილი უნდო. „წყალი“, ამ შემთხვევაში, გრიგოლის ჰომილიებში დაუნჯებული ქრისტიანული სიბრძნის მეტაფორაა²⁶.

ეპისტოლეში სხვა მხატვრულ სახეებსაც ვხვდებით. მაგალითად, უმეცარი ჰომილიაში წერტილებს — რიტმის აღმნიშვნელ პირობით ნიშნებს „რეცა განყინულებასა ასოთასა სწამებენ“. „განყინული ასო“ — სხეულის მოყინული ნაწილი, ამ შემთხვევაში, უსარგებლობის, გამოუსადეგრობის მხატვრული სახეა. ეპისტოლის დასაწყისში ჩამოთვლილი საჩუქრები: ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი, ძვირფასი ქვები, მოჩითული ქსოვილები — ხორციელი სიკეთენი, რომელთაც შეძლებულნი უძღვნიან კონსტანტინე იმპერატორს, ეპისტოლეში უპირისპირდებიან ბასილი უნდოს ძღვენს — სულის საზრდოს, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტირებულ კრებულს.

ეპისტოლეში ვხვდებით რიტორიკულ კითხვებს: „რ ა მ ც ა ყოველთაგან იყო შენდა უპატიოსნეს, ანუ რ ა მ დ ა სიტყუთა უბრწყინვალეს... ანუ რ ა მ ც ა სხუთა იყო სიტყუატკბილ შენდა...“. ხშირია სიტყვით თამაშის ელემენტიც. მაგალითად: „ესევითარი არს ჩუენი ძღუენი, ო, ყოვლადმშვიდო, შენ ეგვიითარისა სიტყუსმოყუარისა მოძღუენებულისა“. ან კიდევ: „ხოლო ესე არაეინათ სხუთ სიტყუსმოყუარისათუს, გარნა სიტყუსმოროთუმელობით საგონებელ იქმნა“. სიტყვით თამაში ბიზანტიური ეპისტოლოგრაფიის, და საერთოდ ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ბიზანტიელებს, როგორც ჩანს, განსაკუთრებით იტაცებდათ სატყვა „ღრჯა“-ით — „სიტყვით“ თამაში, რის საშუალებასაც მათ „ღრჯა“-ის მრავალმნიშვნელობა აძლევდათ. ამის საინტერესო მაგალითს ვხვდებით გრიგოლ ნაზიანზელის 24-ე ჰომილიაში, სადაც გრიგოლი ასე მიმართავს თავის ძმას, კვიპრიანეს: „ესე შენ, ჩემთა სიტყუათა დასაბამებ, ო, ჭამროთო და სამღვდლოთა თავო, ესე შენ, სიტყუათაცა სანიჭ და ღუაწლისაცა... სიტყუთა ყოველთა უთუსესი სიტყუსმისახუროთათუს და უკუეთუ შენთა ღუაწლთა და სიტყუათა ღირს, სიტყუსანიჭ“ (A 109,235v. ეფრემ მცირის თარგმანი). როგორც ვხედავთ, გრიგოლ ნაზიანზელი ბასილთან შედარებით აქ უფრო შორს მიდის. მისი თამაში „ღრჯა“-ით ამ სიტყვის თეოლოგიურ მნიშვნელობას სწვდება და გაცილებით უფრო ოსტატურია. მაგრამ მხატვრული ხერხი გრიგოლთანაც და ბასილთანაც ერთი და იგივეა.

ეპისტოლის ანალიზი, ვფიქრობთ, ცხადყოფს, რომ ბასილი უნდოს ლიტერატურულ-ორატორული განსწავლულობა მხოლოდ X საუკუნეში გავრცელებულ რიტორიკის სახელმძღვანელოებს არ ეფუძნება. ეს არის რიტორიკის ელემენტებისა და სიტყვიერი ხელოვნების ხერხების საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც, ალბათ, დიდადაა დავალებული გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებისა და ეპისტოლეების ღრმა, ჩაძიებული კითხვისა და შესწავლისაგან. გრიგოლ ნაზიანზელის რიტორიკული ხერხებითა და მაღალმხატვრული სახეებით მდიდარი ჰომილიები ბასილისთვის წარმოადგენდნენ არა მარტო ფილოსოფიური

26 აქ არ შეიძლება არ გავახსენდეს ეფრემ მცირის ანდერძი, სადაც იგი ექვთიმე ათონელის შესახებ აღნიშნავს: „ურწყულობასა ძლიერისა ამის ღმრთისმეტყუელისა წიგნისა ღვინისასა განჰზავებდა წყალთაგან სულიერთა“ (Jer. 43,3r), სადაც „ურწყული (განუზავებელი) ღვინო“ გრიგოლის სიბრძნის სიძლიერის სახეა, ხოლო „სულიერი წყალი“ ექვთიმეს მიერ ნაზიანზელის თხზულებათა ტექსტში ჩართული ადგილებია, რათა ლიტონი მკითხველისათვის მისაწვდომი და გასაგები გახდეს გრიგოლის სიბრძნე.

და თეოლოგიური აზროვნების წყაროს კომენტართა შედგენისას, არამედ მწვა-
ლური ოსტატობის საუკეთესო ნიმუშსაც.

ბასილი უნდოს ეპისტოლეე ქართულად ეფრემ მცირისთვის ჩვეული სი-
ზუსტითაა თარგმნილი. ამდენად თარგმანში კარგადაა შენარჩუნებული ეპის-
ტოლის თხრობის სტილი, მისი მხატვრული სახეები. თუ რა შესძინა ქართულ
ლიტერატურულ-თეორიულ აზროვნებას ბასილი უნდოს მიერ შედგენილი გრა-
გოლ ნაზიანზელის პომილიათა კომენტარების თარგმნამ, ამას ბასილის ნაშრო-
მის საგულდაგულო შესწავლა წარმოაჩენს.

ტექსტისათვის

ბასილი უნდოს ეპისტოლეს ვაქვეყნებთ XII საუკუნის ხელნაწერის, Jer.
15-ის მიხედვით (A). XIII—XIV სს. ნუსხის, Jer. 13-ის (B) ვარიანტული წა-
კითხვები მოგვაქვს სქოლიოებში. აქვე ვურთავთ შენიშვნებს, რომლებშიც
ბერძნული ტექსტის მიხედვით განვმარტავთ ქართული თარგმანის ბუნდოვან
ადგილებს.

ეპისტოლის ქართული თარგმანის ლექსიკა მეტად თავისებურია. ზოგიერ-
თი ლექსიკური ერთეული ისეთი მნიშვნელობითაა ნახმარი, რომელსაც იშვი-
ათად თუ შევხვდებით ქართულ ტექსტებში. აქაც, სიტყვათა განმარტებისას,
ეპისტოლის ბერძნული ტექსტი მოვიშველიეთ. სალექსიკონო მასალა ანბანზეა
დალაგებული. ფრჩხილებში მოცემულია ტექსტის სტრიქონის ნომერი.

ბ ა ს ი ლ ი უ ნ დ ო ა კ ე ს ა რ ი ა - კ ა ბ ა დ უ კ ი ი ს ა ა ქ რ ი ს ტ ე ს
მ ო ყ უ ა რ ე ს ა მ ე უ ფ ე ს ა , თ ვ თ მ მ ჰ ყ რ ო ბ ე ლ ს ა
[კ ო ს] ტ ა ნ ტ ი ნ ე ს

A 1
B 2

დიდთა და საეროთა დღესასწაულთა, დიდო თვთმჰყრობელო, არა ხოლო
მთავარნი და სიმძიმითა სიდიდისა და [სიმდი]დრისადათა განზრქელეზულნი და
ზეშთაყვანებულნი, არამედ აწვე კმასაყოფელისაცა ცხორებისა აღმრჩეველნი
და ზომიერისა ნაქონებისა ზუედრებულნი ძალისაებრ ძღუნისმომრთუმად თქუ-
ენდა მოვლენ. არამედ რომელნიმე ოქროსა და ვეცხლსა და მარგალიტთა, გი-
ნა ქვათა ბრწყინვალეთა, ანუ სხუათა რათმე ჭურჭელთა მრავალსასყიდლისათა,
გინა ქსელთა მრავალყუავილოანთა მომრთუმელობითა პატივისმოყუარებასა
გაჩუენებენ, ხოლო რომელნიმე სხუთა და სხუთა, რააცა რამე აქუნდეს ვულს-
მოდგინებისა, გინა კეთილ[პო]ვნეირობისა, ვითარცა რამე ცნობაჲ, განაცხა-
დებენ და ყოველნივე შეიწყნარებიან, რომელთაჲ სიყუარული რაბამ და რო-
მელთა-იგი უფროჲს შესაწირავთასა გულსმოდგინებითა განმხიარულებასა
თქუნესა მოივაჭრებენ. ვინაჲთგან უკუე, ვითარ-იგი შეჰგავს, მრავალ არიან
მომრთუმელნი და თითოფერისა და მრავალსასყიდლისა შემოსალეებელისა მყო-
ფელნი.

5
Brb

10

15

და უფროჲსდა დღესასწაულსა ამას ქრისტეს შობისასა და სამადლობელსა
მტერთა ძლევისასა სათნო-მიჩნდა, რაჲთა არა ჩუენ მხოლოდ ესრეთ ურგებად
მსხდომარე ვიყვნეთ, ანუ ცუდსა რასმე ვმომრთუმელობდეთ და ურგებად ჭი-

20

7 ძღუნისმომრთუმელობად B. 10 მრავალყუავილოანთა B.



Bva

რისგმნაზველობდეთ იქი და აქა საზოგადოება* მისებრ უგუთურებისა და
 ჰქრისგმნილველობდეთ, რეცა განსაქიქებელისა მისებრ|ერისათჳს ათევე
 25 მსა, არამედ ანუ პევშებითა ამით წყალსა ერთგულებით მიპყრობად და ყოვე-
 ლივე, რადცა რამე შესაძლებელ და პატიოსან იყოს ჩუენგან, შენ, მეფისა სა-
 ხიერისა და პატიოსნისა, მორთუმად. ხოლო ესე არავინაათ სხუთ სიტყუსმოყუ-
 არისათჳს, გარნა სიტყუსმომრთუმელობით საგონებელ იქმნა. და საგონებელო-
 ბა იგი არა თავით თჳსით ვითამე ესევეთარი ყოფად, რათამცა კეთილ უჩნდა
 და ახარა ბრძენსა გონებასა სამეუფოსა, რამეთუ ხედავ, ვითარ უტკბილო არს
 და უშუერ და, რათა სიტყუსაებრ ვიტყოდი, უეპაფროდიტო**.

30

არამედ ჩუენდა ესე არს ყოლადი და პატიოსანი, ვინაფთგან ციღამტკაველსაცა და პინდოსა
 დიდჳსაცა ჰგონიეს თითოეულსა თავი თჳსი და შუენიერებასაგონებელ უჩნს
 თჳსთა შობათა*** თჳსი იგი უსახურება. ხოლო უკუეთუ შენცა ყოვლადპატი-
 35 ოსნისა მიერ ესრეთვე განიბჳოს, არა სხუთ ვინამე, არამედ ცხად არს, ვითარ-
 მედ თვთ მიზეზისაგან საქმეთა მახარებელ გექმნეს.

რამეთუ რამცა ყოველთაგანი იყო შენდა უპატიოსნეს, ანუ რადღა სი-
 ტყუა უბრწყინვალეს, თუნიერ გრიგოლისა და გრიგოლისთა ხედვად და სმე-
 ნად? ანუ რამცა სხუა იყო სიტყუა-ტკბილ შენდა, ანუ გონებასა ვისსამე გა-
 მოკულევად, ვითარ მღუძარისა ამის გონებისა (რამეთუ ესრეთ წოდებად მისსა
 35b უსაკუთრეს აქრს)? ვისი უბსკრული სიბრძნისა, ვისი სიმალლე ღმრთისმეტყუ-
 40 ელებისა, ანუ თარგმანებისა**** თანა სიდიდე შუენიერებითურთ? ანუ რაო-
 დენი რაე ყოვლისა[ვე] კელოვნებისა და ხედვისა და მადლისა?

35b

40

ამის ყოვლადბრძნისა სიტყუათა, დაღათუ კადნიერება არს, გარნა ეგრე-
 45 თცა მონდავე მამათა მიერ თარგმანებულისა და განმარტებულისა რომელთამე
 სიტყუათა მათ მიერ სასწრაფოთა უშემოკლებულესად და უგანცხადებულესად
 ერთად შემოკრება, ამათ თანა ჩუენმიერისაცა რაღსმე შეძინება განმარტე-
 ბად გულისკმისყოფათა და განცხადებად სიღრმესა მოგონებათასა. მერმეცა,
 დაღათუ მრავალნი ადგილნი უგულებელს-ქმნილ იყვნეს ვიეთგანვე, ვითარცა
 ნუუკუე და მათგან საცნაურნი, ხოლო ვიეთდამე სამოქენიონი ანუ გულის-
 50 კმისყოფისათჳს თარგმანებათადა, ანუ განმარტებისა შეწყობილებისა სიტყუ-
 ათადა, ანუ ხედვითისა ზედამდგომელობისა, ანუ კელოვნებითა რათმე ვერა-

29 ჩუენდა — A. 25 ყოველთაგან B. 40 თანად B. 41 მადლისა B. 43 მონდავ B. 44 სასწრა-
 ფოთად AB. 45 მიერისა B. რამე AB.

* ბერძნულშია: „τῶν χυσιζ“—gen. sing. სიტყვისა „ἡ χυσιζ“—„ძალი“. ლათინურად ეს
 სიტყვა თარგმნილია, როგორც „Cynici“—„კინიკოსი“ („χυσιζ“). ქართულ თარგმანში „საზოგა-
 დოება“ უნდა მომდინარეობდეს ზედსართავი სახელიდან „χυσιζ“, რაც ნიშნავს „საერთოს“, „სა-
 ზოგადოს“. როგორც ჩანს, თავად ბერძნული ნუსხები იძლეოდნენ ამ სიტყვის სხვადასხვაგვარ ვა-
 რიანტულ წაითხვას.

** ბერძნულშია: „ὁμοπαφροδιτις“, რაც ნიშნავს „უშნოს“, „მშენიერებამოკლებულს“. ქართულში ეს სიტყვა უთარგმნელადაა გადმოტანილი. თარგმნილია მხოლოდ პირველი მარ-
 ცვლი ამ სიტყვისა, αὐ უარყოფის პრეფიქსი: უ- ეპაფროდიტო.

*** ბერძნულშია „ἡ ἄμειν“, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა, მართლაც, არის „სამ-
 შობიარო ტყივილები“, „მშობიარობა“. მაგრამ ეპისტოლეში ეს სიტყვა მეორადი მნიშვნელო-
 ბითაა ნახმარი — „ნაშიერი“. ეგრემს, როგორც ვხედავთ, „ἡ ἄμειν“ თავდაპირველი მნიშვნე-
 ლობით გადმოაქვს.

**** ბერძნულშია: „ἡ φεισιζ“— „გამოხატვის საშუალება“, „სტილი“. ქართულში „თარგმა-
 ნება“, განხად, როგორც ჩანს, „φεισιζ“ —ის არევის შედეგად ზმნაში „φεισιζ“, რაც ნიშნავს
 „განმარტებას“, ძველ ქართულად „თარგმანებას“. ეს ზმნა აორისტში კარგავს ჳ-ს. მის ნაცვლად
 ჩნდება აორისტის ნიშანი -σ-, რის შედეგადაც ეს ორი სიტყვა საკმაოდ ემსკავება ერთმან-
 ეთს.

გობათა მოქცევისა და სახისა და თითოფერთა პირთა თარგმანებისა, ამით და
ესევეითართა შინა შრომად ჩუენი სასწრაფო იქმნა.

ამათ თანა წერტილებისა რაჲსმე შეწყობისა განგებასა ვაჩუენებთ და აღ-
გილთა | შესაბამთა თითოეულისათა, ვითარმედ არა პირუტყულისა რაჲსამე
გამოცდილებისანი არიან იგინი, რაჲთამცა კნინ მხედველთა ოდენ გრძნობასა
ახარებდეს, რომელი-იგი შეურაცხსაყოფელ არს ვიეთმე შეცთომილთათჳს,
რომელნი-იგი მათვე მოქცევთა და მათვე შესაკრავთა სიტყუათა ნაწილებისათა
სხუა ეამ სხუებრ მომთხრობელობითა წესსა სიტყუსასა განხრწნიან და ყოველ-
სავე შეწყობილებასა შეამრლუევენ და რეცა განყინულობასა ასოთასა სწამე-
ბენ თანადღაცნილობითურთ და განრლუეულობით წინაუკმორთხმულისა და
შენაწევრებულისა. არამედ კელოვნებისა შენაწევრება* არს იგი და მოქცევთა
შეწყობილება და წესისაებრ ასოთა შესადგამობისა შემტკიცებულება.

ესევეითარი არს ჩუენი ძლუენი, ო ყოვლადმშუდო, შენ, ეგვევითარისა
სიტყუსმოყუარისა, მოძლუანებული. ამით გისტუმრებთ შენ ყოვლისავე ქე-
ბისა და საძლეველთა ღალადებისა უმჯობესობითა, რომლისა საქმისაებრ კე-
თილადბოვნიერ მყვნა ჩუენ ზეგარდადამოს მადლისა მონიჭებამან. რომელი რა-
ჟამს თქუენდა მორთუმევა იქმნეს, ვჰგონებ, ვითარმედ არა თქუენ მიერ უშუ[ე]-
რად შეწყყნარებულ იქმნეს, არამედ რაოდენი შეჰკავს აზნაურებასა და მეცნი-
ერებისმოყუარებასა თქუენისა გონებისასა. ხოლო მიზეზი სიტყუათა ჩემთაჲ
აქა დაიწყებოდენ.

- აზნაურება (68) — კეთილშობილება *εὐχυσίς*
- არავინათ სხუთ (25) — სხვა არაფრით *οὐκ ἄλλοις*
- ასო (59) — სხეულის ნაწილი *τὸ μέρος*

- განგება (53) — განლაგება *ἡ μέταξις*
- განზრქელებული (5) — აქ: გაამაყებული *ἐξήυχισα*
- განრლუეულობა (60) — დაშლა
- განსაქიქებელი (22) — დასაციინი *καταμαχαμέσιος*
- გულისკმისყოფა (46) — 1. აზრი, ჩანაფიქრი: „განმარტებად გულისკმის-
ყოფათა“ *τὸ νόημα*
- (48). 2. გაგება: „გულისკმისყოფისათჳს თარგმანებათაჲსა“
ἡ ἔννοια
- გულსმოდგინება (11, 14) სურვილი *ἡ περιθυμία*

დიდჰასაკ (31) — ტანმალალი აქ: დიდი, მნიშვნელოვანი *μέγιστος*

ვერაგობა (50) — აქ: ხრიკი, ხერხი *ὁ ἔθομος*

54 რაჲსმე რომელთამე B. 60 თანადღაცნილობითურთ B. 67 უშურად AB.
* ბერძნულშია: „*τῆχνης μέταξις*“ — „ეს (იგულისხმება წერტილთა განლაგება — თ. ო.)
ხელოვნების წესია“. „შენაწევრება“, ეფიქრობთ, განდა „*ῆ μέταξις*“ („წესი“) არევის შედეგად
სიტყუაში „*ῆ βηματῆς*“, რაც ნიშნავს „შეერთებას“, „შენაწევრებას“. ამ ადვილის აზრია: „წერ-
ტილთა განლაგება ხელოვნების წესებთაჲ დადგენილი და იგი მიმანიშნებელია ნაწილთა შე-
ერთებისა და მონაკვეთთა შეწყობისა“.

ზეშთაყვანებული (6) — განდიდებული *ἡπερφέρω*

თანადაცხილობა (60) — დანაწევრება *ἑξάλω*

თითოფერი (16) — სხვადასხვანაირი *ποικίλος*

კეთილადპოვნირი (65) — შემძლე *πρωσπιρῶ*

კეთილპოვნეობა (12) — შეძლება *ἢ ἐπιρῶ*

კმასაყოფელი (6) — მცირედით დაკმაყოფილებული *ἢ ἀπάρχεια*

კნინ მხედველი (55) — ცუდად, სუსტად მხედველი

მოგონება (46) — ჩანათიქრი *ἢ διάνοια*

მოქცევი (51, 57, 61) აქ: პერიოდი, მონაკვეთი *ἢ περίοδος*

მრავალსასყიდელი (9, 16) — ძვირფასი *πολυτελής*

მრავალყუავილოანი (10) — მოჩითული *πολυάμφης*

ნაქონები (7) — სიმდიდრე *ἢ ὑπαρξίς*

პატიოსანი (24, 30) — ძვირფასი *τίμιος*

პეშვი (23) — პეშვი *ἢ χείρ*

პირუტყული (54) — უაზრო *ἀλόγητος*

საერო (4) — სახალხო *δημοτελής*

სამოქნეო (48) — სახვეწარი, სათხოვნელი *δέσμενος*

საცნაური (48) — ცხადი *ἐπίδηλος*

საძლეველი ღალადება (65) — გამარჯვების ჰიმნი *τὰ ἐπινύχια*

სიტყუა (42, 44, 57, 58, 69) თხრობა, ამბავი *ἢ λόγος*

სტუმრობა (64) — მივებება, მისალმება *δέξις/ῥομια*

შესადგამობა (62) — ერთიანობა *συνῆξις*

შესაკრავი (57) — გაერთიანება, კავშირი *συνῆσις*

შესაწირავი (14) — ძღვენი *προσφερόμενος*

შეურაცხსაყოფელი (56) — არად ჩასადგები

შეწყობილება სიტყუათა (49) — სიტყვათშეთანხმება, სინტაქსი *ἢ σύνταξις*

ციდამტკაველი (30) — მაიმუნი *ἢ πίθηκος*

ძვრისხილვა (22) — მოშურნეობა

წინაუქმორთხმული (60) — აქ: გაბმული, ბერძნულშია: „ἐπαλιν τὰ τεταμένα“. ამის შესახებ იხ. გვ. 22.

ჭირისმნახელობა (20) — ტანჯვა *ἐπιμωχθία*

ხედვა (36) — ფილოს. ჭვრეტა, ფიქრი *ἢ μεσῶρις*

ხედვითი ზედამდგომელობა (50) — თეორიული დაკვირვება, განსჯა *μεσῶρις ἐπιστάσις*

სხვთ ვინამე (33) — სხვაგვარად

უპაფროდიტო (29) — მშვენიერებამოკლებული, უშნო *ἀνεπαφρόδιτος*

უსაკუთრესი (39) — ყველაზე მეტად შესაფერისი *ὀλιχότερος*

უშუერად (67) — ულამაზოდ, აქ: ცუდად

ქსელი (10) — ქსოვილი *ὁ πέπλος*

ყოლადი (30) — ყველაფერი, აქ: მნიშვნელოვანი *πάντα*

შემოსაღებელი (16) — მისანიჭებელი *ἡ ἐκφορὰ*

Т. З. ОТХМЕЗУРИ

К ИСТОРИИ КОММЕНТИРОВАНИЯ СЛОВ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА

Р е з ю м е

В работе представлена публикация послания Василия Минима к Константину VII Багрянородному, в котором отражена история комментирования сборника 16-ти литургических Слов Григория Назианзина. В исследовании рассмотрены изложенные в послании историко-литературные и литературно-теоретические вопросы, дан так же художественный анализ послания.

ლ. ახობაძე

ნოემბრის თვის მეტაფრასების ორი ათონური ნუსხა

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია ინტერესის საგანს წარმოადგენს და ბოლომდე გადაუჭრელი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი თვეების საკითხავები დაამუშავა სვიმეონ ლოლოთეტმა და რამდენ წიგნად იყო დაყოფილი მისი მეტაფრასული შრომები. კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ სვიმეონმა მთლიანი სახით დაამუშავა ხუთი თვის მეტაფრასული საკითხავები (სექტემბერ-იანვრისა), სხვა თვეებიდან კი მხოლოდ რამდენიმე დღის საკითხავი აიღო. თითოეული თვის მასალა 2-2 ნაწილად უნდა ყოფილიყო დაყოფილი: სექტემბერ-იანვრის თვის ტექსტები ათ წიგნად იქნებოდა წარმოდგენილი, გარდა ამისა, ერთ წიგნად — იანვარ-თებერვლის რამდენიმე ტექსტი, ცალკე წიგნად — მაის-აგვისტოს საკითხავები; მაშასადამე, კ. კეკელიძის ვარაუდით, სვიმეონ ლოლოთეტის შრომები სულ თორმეტ წიგნად იყო წარმოდგენილი¹.

კ. კეკელიძეს მითითებული აქვს H. Deihaye-ის შრომა „De Symeonis Logothetae Menologio“, საიდანაც იმოწმებს ნოემბერ-დეკემბრის თვეების მასალის შემცველი ბერძნული ხელნაწერების მონაცემებს, რომლებიც ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ნოემბერ-დეკემბრის საკითხავები ბერძნულში — 2—2 ნაწილად იყო დაყოფილი.

ათონ. 20 ხელნაწერს, რომელიც წარმოადგენს სექტემბრის თვის მეტაფრასული საკითხავების კრებულს, წინ უძღვის ამ კრებულის „მთარგმნელ-მნუსხველის“ თეოფილე ხუცესმონოზონის მრავალმხრივ საინტერესო შესავალი, რომელშიც თეოფილე ამბობს: „ამან სანატრელმან (სვიმეონ ლოლოთეტმა ლ. ა.) აღუწერა ქრისტეანეთა ათორმეტნი ესე წიგნნი მეტაფრასნი“, და აგრეთვე: „ათორმეტთა მათგან ერთი ესე გამოიძლიაო“. აქ ლაპარაკია „ათორმეტ“ წიგნზე და არა „ათორმეტ“ თვეზე, მაგრამ რადგანაც ამ შემთხვევაში „ათორმეტთაგან“ ერთი წიგნი სექტემბრის თვეა მთლიანად, საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ვიფიქროთ, დანარჩენი თერთმეტიც სხვა თვეების შესაბამისი იქნებოდა. ასეც ვარაუდობს ნ. გოგუაძე: „ათონ. 20 ხელნაწერზე დართულ მრავალმხრივ საყურადღებო „შესავალსა“ და „ანდერძში“ არსად ჩანს, რომ სვიმეონ მეტაფრასტს მხოლოდ ხუთი თვის მასალა აქვს გაკეთებული, პირიქით, თეოფილეს ცნობით, სვიმეონ ლოლოთეტმა „აღუწერნა ქრისტეანეთა

¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 149.

ათორმეტნი ესე წიგნნი მეტაფრასნი და მინიჭა ეკლესიათა საბერძნეთისათა უსასყიდლოდ ესე მარგალიტი“. აქ თორმეტი თვის მასალა ივარაუდება, განაც სექტემბერი ჩათვლილია ერთ მეთორმეტედად: ათორმეტთა მათგან ერთი ესე გამოიღია².

შესაძლებელია სექტემბრის თვის მასალა მართლაც არ იყო გაყოფილა ბერძნულში ისევე, როგორც არ არის გაყოფილი ის დღეს ქართულში (ათონ. 20). კ. კეკელიძეს საგანგებოდ აქვს აღნიშნული, რომ Delehaye-ს სექტემბრისა და ოქტომბრის თვეთა დანაწილება არა აქვს ნაჩვენებ³.

როგორ სურათს გვიჩვენებენ ნომბრის თვის მეტაფრასული საკითხავების ქართული კრებულები — ათონ. 36 და ათონ. 37?

საკითხავების დღეების დალაგებისა და „ზანდუკის“ მიხედვით, რომელიც წინ უძღვის ათონ. 37 და აერთიანებს ათონ. 36 და ათონ. 37 ნუსხებში წარმოდგენილ თხზულებებს, ათონ. 36 წარმოადგენს ათონ. 37-ის გაგრძელებას. ამავე „ზანდუკის“ მიხედვით, უნდა იყოს 10 თხზულება, რომელთა სათაურებიც მოცემულია R. Blake-ის ქართული ხელნაწერების ათონური კოლექციის აღწერილობაში⁴. ამ აღწერილობის დამოწმებით თხზულებათა სათაურები გამოქვეყნებული აქვს კ. კეკელიძესა⁵.

ათონ. 37 წყდება „პავლე აღმსარებლის ცხოვრების“ ტექსტზე; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნუსხა ბოლონაკლულია. ათონ. 36 კი თავნაკლული ჩანს. R. Blake ვარაუდობს, რომ ის თავნაკლული თხზულება, რომელიც ათონ. 36 ნუსხაში წინ უძღვის „თეოქისტი ლეზველის“ ცხოვრებას, არის „მატრონას ცხოვრების“ ნაწილი, რომლის დასაწყისიც დაკარგულია. დაკარგულია აგრეთვე მთლიანად „იერონის ცხოვრების“ ტექსტი, რომელიც „მატრონას ცხოვრების“ წინ უნდა ყოფილიყო. ვარაუდი ეყრდნობა „ზანდუკში“ წარმოდგენილ თხზულებათა რიგს. სინამდვილეში კი ათონ. 36-ის თავნაკლული ტექსტი არის „პავლე აღმსარებლის ცხოვრების“ ბოლო ნაწილი, რომელიც იწყება ათონ. 37-ში. მაშასადამე, გამოდის, რომ დასახელებული თხზულებები („იერონის ცხოვრება“, „მატრონას ცხოვრება“) ამ ნუსხებში არც არასოდეს ყოფილა. ათონ. 37 და ათონ. 36 ნუსხებს შორის ჩავარდნილია ერთი ფურცელი, რომელიც უნდა აკლდეს ათონ. 36-ს დასაწყისში (ათონ. 36 ნუსხის პირველ რვეულში რვის ნაცვლად შვიდი ფურცელია) „პავლე აღმსარებლის ცხოვრების“ ტექსტს.

კ. კეკელიძე წერს: დამთავრებულია ამ საკითხავით („იოანე ოქროპირის ცხოვრება“. ლ. ა.) ეს ხელნაწერი, თუ შემდეგი დღეების საკითხავები ფურცლების დაკარგვის გამო აკლია, აღწერილობიდან (იგულისხმება R. Blake-ის ქართულ ხელნაწერთა ათონური კოლექციის აღწერილობა. ლ. ა.) არ ჩანსო. თუმცა შეიძლება დამთავრებულიც იყოსო, რადგან ისეთი ბერძნული ხელნაწერებიც არსებობენ, რომლებიც 13 დღის საკითხავს შეიცავენ⁶.

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ათონ. 36 მთავრდება

² ნ. გოგუაძე, მეტაფრასული კრებულების ურთიერთმიმართებისათვის, მრავალთავი, X, თბ., 1985, გვ. 6.

³ კ. კეკელიძე, ეტ. V, გვ. 150.

⁴ R. Blake, Catalogue des manuscrits georgiens de la bibl. de laur d'Iviron au mont Athos, Paris, P. 226—228.

⁵ კ. კეკელიძე, ეტ. V, გვ. 152—153.

⁶ კ. კეკელიძე, ეტ. V, გვ. 153.



სწორედ ამ თხზულებით, რომლითაც უნდა დამთავრდეს „ზანდუკის“ მთავარი ნაწილი. მაშასადამე, ეს ნუსხა ბოლონაკლული არ არის.

ათონურ ნუსხებში (ათონ. 36, ათონ. 37) წარმოდგენილია ნოემბრის თვის პირველი ნახევრის მეტაფრასული საკითხავები: თეოფილე ხუცესმონაზონმა რომ სწორედ ასეთი ტიპის ბერძნული კრებული უნდა ჰქონოდა ხელთ, ამას მოწმობს პირველ რიგში „ზანდუკი“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ზანდუკში“ წარმოდგენილი სათაურები უმრავლეს შემთხვევაში ზუსტად არ იმეორებენ თვით ნუსხებში წარმოდგენილ თხზულებათა სათაურებს:

ათონ. 37, „ზანდუკი“

ათონ. 37

ცხორება და მოქალაქობა და განსუ-
ცნება წმიდათა და უქრთამოდ მკურ-
ნალთა კოზმან და დამიანისი. 2r.

ცხორება და მოქალაქობა და მი-
ცვალება წმიდათა და საკურველთმოქ-
მედთა უვეცხლოთა კოზმან და დამი-
ანისი. 3r.

წამება წმიდათა ქრისტეს მოწამეთა
აკინდუნუ, პილასიუ, ანემპოდისტუ, აფ-
თონიუ და ელპიდფორესი. 2r.

ღუაწლი წმიდათა და დიდებულთ
მოწამეთა ქრისტესთა აკინდუნუ, პილ-
ასიუ, ანემპოდისტო, აფთონიუ და ელ-
პიდფორესი. 6v.

ცხორება და მოქალაქობა და წამება
წმიდათა და დიდებულთა ქრისტეს მო-
წამეთა ლალაკტიონ და ეპისტიმისი. 2r.

ცხორება და მოქალაქობა და წამე-
ბა წმიდათა და დიდებულთა მოწამე-
თა ქრისტესთა ლალაკტიონ და ეპისტი-
მისი. 16v.

ცხორება და მოქალაქობა წმიდისა
მამისა ჩუენისა პავლჳ აღმსარებელ-
საჲ. 2r.

ცხორება და მოქალაქობა წმიდისა
მამისა ჩუენისა პავლჳ აღმსარებელ-
საჲ. 20v.

წამება წმიდისა და დიდებულისა დი-
დისა მოწამისა იერონოსი და წმი-
დათაჲ მათ, რომელთა იღუაწეს მის
თანა მელტენისა. 2r.

ცხორება და მოქალაქობა ღირსისა
დედისა მატრონასი. 2r.

ათონ. 36

ცხორება და მოქალაქობა წმიდისა
და მარადის კსენებულისა თეოქთისტო
ლჳშველისაჲ. 2r.

ცხორება და მოქალაქობა ღირს-
სა დედისა თეოქთისტო მეულაზნოსაჲ.
4v.

წამება წმიდისა და დიდებულისა დი-
დისა ქრისტეს მოწამისა მინა ეგვპტე-
ლისაჲ, რომელი კოტჯაიას იწამა. 2r.

წამება წმიდისა და დიდებულისა დი-
დისა ქრისტეს მოწამისა მინასი, რო-
მელი იყო ეგვპტით და იწამა კუტა-
განს. 15v.



ცხორება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე მოწყალისა ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა. 2r.

ცხორება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა. 2r.

ცხორება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე მოწყალისა ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა. 21v.

ცხორება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა. 79r.

აქედან ჩანს, რომ ჯერ „ზანდუკია“ თარგმნილი და მხოლოდ ამის შემდეგ — საკითხავები. „ზანდუკში“ კი მხოლოდ 10 თხზულებაა დასახელებული. მაშასადამე, თეოფილე ხუცესმონაზონს ხელთ აქვს ისეთი ბერძნული მეტაფრასული კრებული, რომელიც შეიცავს ნოემბრის თვის მხოლოდ პირველი ნახევრის საკითხავებს.

ათონ. 37 ნუსხაში „ზანდუკს“ წინ უძღვის ასეთი შესავალი:

„მადლითა წმიდისა და ცხოველისა სულისა სამწმიდა არს ღმრთისა ჩუენისათა წიგნი მესამე, თუე ნოემბერი. ცხორებანი და წამებანი წმიდათანი“.

ამ შემთხვევაში წიგნი მესამე მთელ ნოემბერს კი არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ მის პირველ ნახევარს. ნოემბრის თვის მეორე ნახევარი, შესაბამისად, წიგნი მეოთხე იქნებოდა. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ მეტაფრასული საკითხავების შემცველი წიგნები არ ყოფილა დაყოფილი თანაბარ ნაწილებად, თუ სექტემბერი ათორმეტთავან ერთი წიგნია, ნოემბერი ორი წიგნი გამოდის.

ისმის კითხვა: რატომ არ არის ამ ნუსხებში სრულად წარმოდგენილი „ზანდუკში“ დასახელებული ყველა თხზულება? რატომ არ არის იერონის და მატრონას ცხოვრებათა ტექსტები?

დავიწყოთ იქიდან, რომ ეს ნუსხები (ათონ. 37 და ათონ. 36) ერთი კრებულის ნაწილებს არ წარმოადგენენ, როგორც ვარაუდობს კ. კეკელიძე⁷.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ათონ. 36 აგრძელებს ათონ. 37-ის მასალას. ორივე ნუსხას აქვს რვეულებრივი აღრიცხვა, ათონ. 37 ამჟამად შეიცავს 22 ფურცელს, მაგრამ აკლია ორი ფურცელი (20, 21). მაშასადამე, ათონ. 37 სამი რვეულით არის წარმოდგენილი. ათონ. 36 იწყება მეოთხე რვეულით (დასაწყისში აკლია 1 ფ.), გამოდის, რომ ათონ. 36 უშუალოდ აგრძელებს ათონ. 37-ს; მიუხედავად ამისა, ეს ორი ნუსხა ერთი კრებულის სახით მანაც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ: ისინი სრულიად განსხვავებული ფორმატის ნუსხებია სტრიქონთა განსხვავებული რაოდენობით, სვეტების სიგანით. სხვაობენ ამ ნუსხების გრაფიკული, ორთოგრაფიული, ფონეტიკური მონაცემებიც:

ათონ. 36 ნუსხაში ბ, გ, შ ყოველთვის შეკრული მუცლითაა, ათონ. 37-ში — ღია მუცლით.

⁷ კ. კეკელიძე, იტ. V, გვ. 152.

კოსტანტინეპოლი 2r
 ნოემბერი 2r
 მაკედონისისთვისა 22r
 მღვდელთმოდლუარსა 22r

კოსტანტინეპოლისასა 2r
 ნოემბერი 13v
 მაკედონისის 2r
 მღვდელთმოდლუართა 2r

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე ტექსტში („პავლე აღმსარებლის ცხოვრება“), რომელიც იწყება ათონ. 37-ში და მთავრდება ათონ. 36-ში), ზოგიერთი სიტყვა ამ ნუსხებში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი.

კრებულები განსხვავდებიან ანდერძების გაფორმების თვალსაზრისითაც, ათონ. 36 ნუსხაში ანდერძები წინწყლებით არის გამოყოფილი, ათონ. 37-ში კაპირდაპირ მისდევს ტექსტს, ისე, რომ გამოყოფაც კი ჭირს.

თუ ათონ. 37 ნუსხა ავტოგრაფულია, რაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაშინ თეოფილეს შრომა სხვას განუგრძობს. სხვა პირის ნამუშავენი ჩანს თვით ათონ. 37 ნუსხაშიც. მაგ.: „ზანდუკში“ თხზულების სათაურის წინ მითითებულია თვე და რიცხვი. თუ ესა ნოემბერსა შესრულებულია ნუსხურით, რიცხვი — ასომთავრულით. ერთგან, ალბათ, თეოფილეს მიერ გამოტოვებული მითითება ასომთავრულით შეუვსია სხვას, რადგან აქ, განსხვავებით ნუსხურისაგან, არის არა ნოემბერსა, არამედ — ნოემბერსა. ასევე ასომთავრულითაა და ყველგან ამ ფორმითაა თვეზე მითითება (თა ნ ნ ბ რ ს ა) სათაურების ზემოთ, აშიაზე, როგორც ათონ. 36, ისე ათონ. 37 ნუსხაში. ამავე პირის მიერ უნდა იყოს შესრულებული ასომთავრულით (3r) ათონ. 37 ნუსხაში წარმოდგენილი პირველი თხზულების სათაური, ყველა დანარჩენი თხზულების სათაურები ორივე კრებულში ნუსხურითაა.

მიუვებრუნდეთ ზემოთ დასმულ საკითხს: რატომ არ ჩანს „იერონის ცხოვრებისა“ და „მატრონას ცხოვრების“ ტექსტები ამ ნუსხებში? აქ ორი რამ შეიძლება ვივარაუდოთ: ან გადამწერს გამოუტოვებია, ანდა თეოფილეს საერთოდ აწ უთარგმნია ეს თხზულებები.

„იერონის ცხოვრების“ ეფრემ მცირისეული თარგმანი წარმოდგენილია S 384 ნუსხაში, ამავე ნუსხაში არის უცნობი მთარგმნელის მიერ შესრულებული „მატრონას ცხოვრების“ ტექსტიც. ათონურ ნუსხებში ეს თხზულებები არ ჩანს. მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ილარიონ ყანჩიშვილის მიერ 1836 წ. შედგენილ კატალოგში „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მღებარეთა მთაწმიდას“⁸ დასახელებულია „მატრონას ცხოვრებაც“. არ იხსენიება „იერონის ცხოვრება“, მაგრამ, როგორც ცნობილია, ილარიონის კატალოგი სრული არ არის⁹. როგორც თვით ილარიონი საგანგებოდ აღნიშნავს, ბევრი ხელნაწერი დაზიანებული იყო, „ამისთვის წიგნის სახელები ვერ დავსწერე აქ და თითოეულად ამოვარჩინე, რომლისაც კითხვა შეიძლება, დავსწერე“.

ჩვენთვის ცნობილი არ არის, ვის ეკუთვნის ილარიონის კატალოგში მითითებული „მატრონას ცხოვრების“ ქართული თარგმანი. მაგრამ ის უეჭვე-

⁸ А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, Спб., 1886, с. 1—16.

⁹ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 237—38.

ლად თეოფილე ხუცესმონოზონის თარგმანი უნდა იყოს, რადგან თუ უკვე არ-
სებობდა სხვის მიერ შესრულებული თარგმანი, თეოფილე ამ თხზულებას
თარგმნიდა და არც „ზანდუკში“ შეიტანდა, როგორც არ შეიტანა 3 და 4 ნო-
ემბრის საკითხავები.

5 ნოემბრის მეტაფრასულ საკითხავს თეოფილე ასეთ შენიშვნას ურთავს:
„უწყებულ იყავნ ყოველთადა, რამეთუ სამსა და ოთხსა ამის თჳსასა ამისთჳს
წარვჰვედ თანა, რამეთუ სხუათა მიერ წმიდათა მამათა თარგმანებულ იყო“.

მაშასადამე, თეოფილემ არ თარგმნა 3 ნოემბრის საკითხავი „წამებაჲ აკე-
ფსიმა, იოსებ და აითალაჲსი“, რომელიც უკვე თარგმნილი იყო. არ უთარგმნია
4 ნოემბრის საკითხავიც, მაგრამ რომელი, გაურკვეველია, რადგან ქართულ
სინამდვილეში ამ დღეზე მეტაფრასული საკითხავი არ ჩანს. თუ ბერძნული მე-
ტაფრასული კრებულების ჩვენებას გავითვალისწინებთ, ეს უნდა იყოს წმ.
იოანიკეს ცხოვრება.

ჩვენ ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომ ათონ. 36 და ათონ. 37 ნუსხებში
წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ნოემბრის თვის პირველი ნახევრის ათი სა-
კითხავი. მაგრამ თუ ორი დღის საკითხავსაც დაუშმატებთ, იმ საკითხავებს,
რომლებიც თეოფილე ხუცესმონოზონს შეგნებულად გამოუტოვებია, მაშინ
ათის ნაცვლად გვექნება თორმეტი თხზულება.

მაშასადამე, თეოფილე ხუცესმონოზონს ხელთ ჰქონდა ისეთი ბერძნული
მეტაფრასული კრებული, რომელიც შეიცავდა ნოემბრის თვის პირველ ნახე-
ვრის 12 დღის საკითხავს. მას ორი დღის საკითხავი საგანგებოდ გამოუტოვებია,
რადგან არსებობდა ამ თხზულებათა სხვის მიერ შესრულებული თარგმანები.

ათონ. 37 და ათონ. 36 ნუსხები მასალით ავსებენ ერთმანეთს, მაგრამ, მი-
უხედავად ამისა, ერთ კრებულს არ წარმოადგენენ. ათონ. 37 ნუსხა ავტოგრა-
ფულია, ათონ. 36 — სხვის მიერ გადაწერილი ჩანს, მას დედნად უნდა ჰქონოდა
თეოფილესეული ნუსხა, რომელშიც ივარაუდება „იერონის ცხოვრებისა“ და
„მატრონას ცხოვრების“ ტექსტები.

Л. Т. АХОБАДЗЕ

ΑΦΗΝΣΚΙΑΣ ΣΒΟΡΝΙΚΙΑ ΜΕΤΑΦΡΑΖΟΒ ΝΟΪΒΡΙΑ ΜΕΣΑΙΑ

Резюме

Αφονские сборники — Ath. 36, Ath. 37 содержат метафрастические сочинения первой половины ноября месяца, переведенные на грузинский язык Феофилом Иеромонахом.

По календарю и оглавлению («Зандуки»), которое имеется в Ath. 37 и включает в себя материал обоих сборников, Ath. 36 является продолжением Ath. 37, содержащего начальную часть календаря. Однако нельзя с полной уверенностью утверждать, что эти сборники являются частями одного целого. Ath. 37 автографический список, Ath. 36 же переписан другим переписчиком, кем и пропущены тексты двух метафрастических чтений («Житие Иерония», «Житие Матроны»). Очевидно, он располагал первоисточником, включавшем в себя все 10 сочинений, приведенных в оглавлении.

В примечании переводчика к чтению на 5 ноября говорится, что им сознательно пропущены два сочинения, чтения на 3 и 4 ноября, грузинские переводы которых уже имелись.

Таким образом, Феофил Иеромонах располагал сборником греческих метафрастических текстов, содержащим 12 чтений на первую половину ноября.

უ. ცინელიანი

„მეფეთა წიგნების“ ქართული ფრაგმენტები
სომხეთის წიგნსაცავებიდან

სომხეთის წიგნსაცავებში (მატენადარანსა და ეჩმიაძინში) ნ. მარმა¹ და ი. აბულაძემ² სხვადასხვა დროს გამოავლინეს განსხვავებული შინაარსის ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკმაო რაოდენობის მცირე და მოზრდილი ნაწყვეტები ქართული ბიბლიური წიგნებიდან — II-III-IV „მეფეთა“, I—II „ნეშტთა“ „ივდიითი“, „ესთერი“, „ტობია“.

ნაწყვეტების უმრავლესობა სარესტავრაციოდ გამოუყენებიათ და სომხური ხელნაწერების ყდებში აღმოჩნდა ჩაკერებულ-ჩაწებებული. სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ნ. მარმისა და ი. აბულაძის შენიშვნებს მოვიყვანოთ ეჩმიაძინის ფრაგმენტთან დაკავშირებით. ფრაგმენტი ხარვეზიანიაო, აღნიშნავს ნ. მარი: „пропуски объясняются тем, что при использовании пергаментного листа переплетчиком строки отчасти срезаны, отчасти залезены. Следовательно, при добром желании часть недостающих у нас стихов можно будет восполнить. Сам пергаментный лист разрезан на половинки и по половинке заделан в переплет в начале и в конце эчм. рп. 991“³. (ხაზი ყველგან ჩვენია უ. ც.); ი. აბულაძე: „თავში ერთი ფურცელი, ბოლოშიც ერთი. წინათ ქართული წიგნისათვის ერთი მთლიანი ფურცელი ყოველი (ასეა). პერგამენტი, ორ სვეტად, XIII. ბიბლიიდანაა“.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ „მეფეთა წიგნების“ ფრაგმენტებს, რომელთა ერთ ნაწილს⁴ მატენადარანიდან ჩამოტანილი ფოტოპირებიც მოეპოვება⁵, მეორე ნაწილი კი მარტოოდენ ი. აბულაძის არქივში დატული ასლების⁶ მიხედვითაა წარმოდგენილი. ყველა ფრაგმენტი ნაწერია XII—XIII სს.

¹ Н. Я. Марр, Эчмядзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого завета, ХВ, т. II, С.-Пб., 1914, с. 378—388.

² ი. აბულაძის არქივში „მეფეთა წიგნების“ ფრაგმენტები დატულია № 354, 355, 257-ში.

³ Н. Я. Марр, იქვე, გვ. 378.

⁴ ფოტოპირებში დატულია: II მფ. 3, 14-17; 26-28; 30-31; 10, 12-11, 11; 23, 10-13; 16-18.

⁵ ი. აბულაძის არქივში, ფოტოპირებში დატული მასალის გარდა, კიდევ აღმოჩნდა: III მფ. 2, 32-35; 35a-0; 36-44; IV მფ. 9, 17-27; 10, 2-25; 14, 17-15, 16.

⁶ მატენადარანის ფრაგმენტების შესახებ იხ. მ. შანიძე, ძველი აღუქმის წიგნთა ქართული ფრაგმენტები მატენადარანიდან: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, თეზისები, 1978 წ.



ნუსხურით ორ სვეტად, სრული სვეტი 31 სტრიქონს შეიცავს, დაზიანებულ ნაწყვეტებში, რომელთაც წაჭრილი აქვთ ზემო ან ქვემო კიდე, სტრიქონთა რაოდენობა ნაკლებია — 19 ან 17.

საწერი მასალა, გარდა ორი ფრაგმენტისა, ჯერ-ჯერობით არც ფოტოპირებზე, არც ილიას არქივის სხვა ნაწყვეტებთან მითითებული არაა. რაც შეეხება აღნიშნულ ფრაგმენტებს, ამათგან ერთი, ითქვა უკვე, ეჩმიადინიდანაა. ის როგორც ნ. მარის, ისე ი. აბულაძის მიხედვით პერგამენტზეა ვადაწერილი; ორივე მკვლევარი ერთსა და იმავე სომხურ 991 ხელნაწერს უთითებს.

მეორე ფრაგმენტს კი, რომელიც წარმოადგენს 1 ნეშტ. 11_{ა-ჟ} ნაწყვეტს, ი. აბულაძის ხელით ასეთი შენიშვნა ახლავს: „თავში ორი ფურცელი. მეორე ორი სტრიქონი წაჭრილია, პერგამენტი. ნუსხური. XII—XIII (არქივა № 354).

ფაქტი, რომლის თანახმადაც ბიბლიის ერთი რედაქციის სხვადასხვა წიგნები პერგამენტზე აღმოჩნდა ვადაწერილი, იმის მაუწყებელი ჩანს, რომ ამავე რედაქციის დანარჩენი ბიბლიური ფრაგმენტებიც ტყავზე უნდა იყოს ნაწერი და თუ ეს ფაქტობრივად დადასტურდება, მაშინ ჩვენ საქმე გვექნება ქართულ ბიბლიურ ხელნაწერთან, რომელიც ტყავზე ყოფილა ნაწერი.

ქართული ბიბლიის ცნობილ ვერსიებთან შემოაღნიშნული ფრაგმენტების ზერელე შედარებაც ცხადყოფს, რომ ისინი ჯანაშვილისეული რედაქციის A 646 ნუსხას მისდევენ ზედმიწევნით, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ მათ იდენტიფიკაციაზე.

მიემართოთ ფაქტობრივ მასალას.

I. ფრაგმენტები კოლიკოლოგიურად

ამ თვალსაზრისით ფრაგმენტების შესწავლამ მრავალმხრავ საყურადღებო შედეგები მოგვცა, ისინი თითქმის ყველა ნიშნის მიხედვით იმეორებენ იმ კოლიკოლოგიურ თვისებებს, რაც ჯანაშვილისეული რედაქციის ნუსხებისათვისაა დამახასიათებელი.

1) შედგენილობა: **F17** ნუსხების შედგენილობა სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ აქ თავმოყრილია ბიბლიურ წიგნთა განსაზღვრული რაოდენობა, კერძოდ რვაწიგნეულის, ე. წ. ოქტატოხის შემდგომი წიგნები: „მეფეთა“ I-IV, „ნეშტთა“ I-II, „ტობია“, „ივდიითი“, „ეზრა“ (აპოკრიფული), „ეზრა“ (კანონიკური) და „ნეემია“.

სომხეთის წიგნსაცავებში აღმოჩენილ ფრაგმენტებს შორისაც ჯერჯერობით სწორედ ამ წრის ტექსტებია მხოლოდ დადასტურებული: II, III, IV „მეფეთა“, I-II „ნეშტთა“, „ესთერი“, „ივდიითი“, „ტობია“. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ტრადიციულად არსებობდა ბიბლიის განსაზღვრულ წიგნთა შემცველი ხელნაწერები, რომელთა შედგენილობაც ასევე უცვლელად გადაეცემოდა მომდევნო საუკუნეებს. სხვათა შორის, ამაზე უნდა მიუთითებდეს **F1** ნუსხათა რვეულებრივი (ხელნაწერის დროინდელი) აღრაცხვაც, რომელაც მხოლოდ აღნიშნულ ხელნაწერთა ტექსტს ითვალისწინებს; ეტყობა. მსგავსად ამ ნუსხებისა, მათი დედანიც „მეფეთა წიგნებით“ იწყებოდა. ეს ფაქტი კი, თავის მხრივ, დასაწყის ეტაპზე ქართული ბიბლიის ცალკეული მონაკვეთების

7 ლიტერების გახსნა: **M** — მატენადარანის ფრაგმენტები, **F**—A646, **J** — იერ. 1 13, **O** — ოშკის ბიბლია, **S**—A51, **I**—A570.

(რვაწიგნეული, ისტორიული წიგნები, წინასწარმეტყველთა წიგნები და ა. შ.) არსებობაზე მიუთითებს, ალბათ, ხოლო მათ ერთ კოდექსში გაერთიანებას, როგორც ჩანს, უფრო გვიან უზრუნიათ. დღესდღეობით პირველი ხელნაწერი, რომელმაც ბიბლიის ქართულ თარგმანებს ერთად მოუყარა თავი, (ისიც არასრულად და მნიშვნელოვნად გადამუშავებული სახით) არის ათონზე გასაგზავნა 978 წლის ნუსხა, საგანგებოდ გამზადებული ოშკს ქართული კულტურის მესვეურთა მიერ. ამ პროცესის მომდევნო ეტაპებია ე. წ. „მცხეთური“, ანუ საბას მიერ მე-18 საუკუნეში შედგენილი ბიბლიის სრული ნუსხა A 51 და ბაქარის ბიბლია, 1743 წელს მოსკოვს გამოცემული.

2) აკვილა-სვიმახოსის ვარიანტები ფრაგმენტებში: ამ ავტორთა მასალა ქართულ წყაროებში თავიდან მხოლოდ FI ნუსხების მიხედვით იყო ცნობილი⁸. შემდგომ მათ დაემატა რამდენიმე თანმხვედრი და ერთიც ახალი ვარიანტი J 113 ნუსხიდან⁹. **სომხეთის წიგნსაცავებში დაცული ფრაგმენტების სახით ჩვენს ხელთაა კიდევ ერთი ტექსტობრივი მოწმობა აკვილა-სვიმახოსის ვარიანტებით, რომელთა შორის ქართულში დღემდე უცნობი ახალი ვარიანტიც დადასტურდა.**

მფ. IV 10, 2-25, 14, 17—15, 16 ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ზუსტად ემთხვევა F ნუსხის ტექსტს. ორივე ამ ფრაგმენტის ასლი აღმოჩნდა ი. აბულაძის ხელით გადმოწერილ მასალაში¹⁰.

მფ. 14, 17—15, 16 ნაწყვეტის შესახებ ჯერ კიდევ 1914 წელს „ხრისტიანსკი ვოსტოკში“ ნ. მარმა გამოაქვეყნა მრავალმხრივ საყურადღებო ნაკვლევი¹¹. აქვე გამოქვეყნებულია ამ ფრაგმენტის ტექსტიც. შედარებამ გაარკვია, რომ ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულთან შედარებით ი. აბულაძისეული ასლი უფრო სრულია. ი. აბულაძემ შეძლო იმ მონაკვეთების წაკითხვა¹², რომლებიც, ნ. მარის თქმით, ხელნაწერ 991-ის ყდაშია ჩაკეცილ-ჩაწებებული და არ იკითხება: ა. 14, 22-24; ბ. 14, 28-29; გ. ნ. მარის მიხედვით ფრაგმენტი წყდება 15, 14-ის შუაღან. ი. აბულაძეს ამის შემდეგ კვლავ ამოუკითხავს მე-14 მუხლის დასასრული, მე-15 მთლიანად და მე-16-ს დასაწყისიც. ასე რომ, ი. აბულაძის არქივში დაცული ფრაგმენტის ასლი ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულთან შედარებით მთელი რვა მუხლით მაინცაა მეტი.

მაგრამ ილიასეული ასლი სხვა მხრივაც იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას:

ა) მას დაუცავს A 646-ში ჩვენთვის უკვე ცნობილი აკვილა-სვიმახოსის ვარიანტები 14, 29 მუხლთან. სჯმ: ზაქარია, აკვ: ოზია. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ, გარდა ქართულისა, აკვილა-სვიმახოსის ეს ვარიანტები ჯერჯერობით სხვა წყაროებში არ ჩანს¹³.

ბ) ილიასეული ასლი კიდევ ერთი დეტალითაც ამჟღავნებს თავის განსაკუთრებულ სიახლოვეს A 645-თან; ფრაგმენტის აშიებზე მონაკვეთების ანბა-

8 მ. ჯანაშვილი. ნაშრომი, III, ქართული ბიბლია, ტფ., 1910, გვ. 37-38.

9 უ. ცინდელიანი, აკვილასა და სვიმახოსის ვარიანტები ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში, „მაცნე“, ელს, № 1, 1973, გვ. 65.

10 ი. აბულაძის არქივი, № 354, 355.

11 Н. Я. Марр, Эчмядзинский фрагмент. ХВ, т. II.

12 ამის შესახებ იხ. ქ. შარაშიძე, ერევანში მივლინების ანგარიში, „მრავალთავი“, XIII, 1986, გვ. 118.

13 უ. ცინდელიანი, აკვილასა და სვიმახოსის ვარიანტები... „მაცნე“, № 1, ელს, 1973, გვ. 62.

ნური სათვალავით აღნიშვნა (ლ, ლა, ლბ, ლგ) ზუსტად ემთხვევა A 646-ის ანალოგიურ აღნიშვნას.

გ) ერთადერთი განსხვავება, რომელიც ამჟამად შეინიშნება ილიასეულ ასლსა და A 646-ს შორის, ფრაგმენტის დაზიანებით უნდა ახსნათ: 15, 5 მუხლის აშიაზე A 646-ში ფიქსირებული აკვილას ვარიანტი „ფარულად“, ილ. აბულაძისეულ ასლში არ ჩანს. ეტყობა, ამ ისედაც დაზიანებულ ფრაგმენტს ან აშია ჰქონდა ჩამოჭრილი, ანდა აკვილას ვარიანტი გალუული და გადასული იყო. სიმპტომატურია, რომ ნ. მარი ტექსტის ამ ნაწილსაც დეფექტურად მიიჩნევდა. ნ. მარის მიხედვით ამ მუხლს აკლია: „ვიდრე დღედმდე სიკუდილისა მისისა და დაჯდა სახლსა აფფოთ და იოათამ ძე მეფისა იყო ზედა...“ ი. აბულაძეს ვერ ამოუკითხავს შემდეგი სიტყვები „ვიდრე დღედმდე სიკუდილისა“... რაც შეეხება IV 10, 2-25 ნაწყვეტს, იგი არ ჩანს მატენადარანიდან ჩამოტანილ ფოტობირებში და ჯერ-ჯერობით მხოლოდ ი. აბულაძის არქივში (№ 355) დაცული ასლით ვახდა ცნობილი.

ეს ფრაგმენტიც, ერთი გამონაკლისის გარდა, ემთხვევა FI ნუსხათა ტექსტს, მაგრამ ერთი დეტალით მაინცდამაინც ზედმიწევნით F ნუსხას მისდევს: განსხვავებით I-საგან, F ნუსხასა და ფრაგმენტში არასწორადაა დანაწევრებული ძირითად ტექსტში აკვილას ვარიანტით განსამარტი სიტყვა: ძეთა მისგან (ასეა ძლიერებულისათა FM] ძეთა მისგან ძლიერებულისათა I.

სხვა მხრივ კი თითქმის ერთნაირია საკუთრივ აკვილას ვარიანტის დაქარაგმება: აკვ: დბლისათა M, დბლისათა I, დიდბლისათა F; ასევე ორივე ნუსხასა და ფრაგმენტში ზუსტად ერთსა და იმავე ადგილას დაცულია ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა აშეებზე ანბანური სათვალავის საშუალებით: „იზ“, „იზ“.

თავისებურება ფრაგმენტისა ისაა, რომ მას ყველა ქართული წყაროსაგან განსხვავებით აშიაზე, სვეტებს შორის, დაცული აქვს კიდევ ერთი ანონიმური ვარიანტი — „სამკაულის მცველთა“, რაც ძირითადი ტექსტის „სახლის მცველთა“ იკითხვისის განმარტება უნდა იყოს.

ანონიმური ვარიანტი აქ შემთხვევით რომ არ მოხვედრილა, ამას LXX-ის კემბრიჯული გამოცემა¹⁴ ცხადყოფს, რომლის მიხედვითაც ძირითადი ტექსტის *μαθηταὶ* სირო-ჰეგზაპლასა და ბარ-ჰებრაუსის ვარიანტებში შეცვლილია *vestimenti, vestimentorum* „ტანისამოსი, სამკაული“ იკითხვისებით, ხოლო ამასთან ქართული „სამკაულის მცველთა“ კავშირი უდავოა. არაა ინტერესს მოკლებული ისიც, რომ სომხურ ვულგატაში, რომელიც საერთოდ მდიდარია „უმცროს მთარგმნელთა“ ვარიანტებით, აქ აღნიშნული იკითხვისის კვალიც არ ჩანს.

საგულისხმოა ერთი დეტალიც: ფრაგმენტს ამ ადგილას ტექსტში შემოუნახავს სპეციფიკური ტექნიკური ნიშანი ✕ (და ჰრქუა იუ სახლის მცველთა მათ), რაც, არც მეტი, არც ნაკლები, აკვილა-სვიმანოსის ვარიანტების აღსანიშნავად გამოყენებული ასტერიკია, ძველი ქართულით — „მასკულა ვი“.

აღნიშნული ანონიმური იკითხვისითა და მის აღსანიშნავად გამოყენებული პირობითი ნიშნის ✕ ხმარებით მატენადარანის ფრაგმენტი საგანგებო ყურადღებას იქცევს და ახალ შუქს ჰფენს ბიბლიის ქართულ თარგმანებში „უმ-

¹⁴ The OT in Greekvol, II, pat. II, Cambridge, 1930, p. 334.

ცროს მთარგმნელთა“ ვარიანტების არსებობის საკითხს. ამასთანავე მთლიანობაში ეს ფრაგმენტები FI ნუსხებთან თანმხვედრი საერთო ნიშნებითა და ჭითებით ცხადყოფს, რომ ისინი არიან ნაშთი იმ ხელნაწერისა, რომელიც FI ნუსხების დედანს თუ არა, მათი ოჯახის უახლოეს წევრს მაინც წარმოადგენდა.

II. ფრაგმენტების ტექსტობრივი მიმართებისათვის ხელნაწერებთან

ფრაგმენტების კოდიკოლოგიური მახასიათებლები, რომლის ფონზეც გამოჩნდა მათი უცილობელი ერთიანობა FI ხელნაწერებთან, ქმნის საკმაოდ მყარ წინაპირობას იმისას, რომ ანალოგიური სურათი ტექსტობრივ მიმართებათა სფეროშიც უნდა გამოვლინდეს. მართლაც, ამ საკითხის შესწავლამაც მკაფიო, არაორაზროვნანი პასუხი გაგვცა. ტექსტობრივი მიმართების რომელ უბანსაც უნდა მივადგეთ, იქნება ეს ნონსენსებისა და მსგავსი შეცდომების სფერო, საკუთარ სახელთა, სპეციფიკური იკითხვისებისა და სინონიმების გადმოცემის წრე თუ წმინდა რედაქციული ხასიათის ცვლილებანი, ფრაგმენტებისა და F(I) ნუსხათა ტექსტები ისეთი სიზუსტით მიჰყვება ერთმანეთს, რომ მათ შორის კიდევ ერთი საფეხურის დაშვებისათვის არავითარი საფუძველი არ ვგრძნობთ. საამისოდ მოპოვებული მდიდარი მასალიდან ქვემოთ შერჩევით წარმოვადგენთ ტიპურ ნიმუშებს.

1. მატენადარანის ერთი ფრაგმენტი ავსებს F ნუსხის ხარვეზს

F ნუსხის ერთი საკმაოდ მოზრდილი ლაკუნა — II მფ. 9, 12—11, 10 — მატენადარანის ფრაგმენტების აღმოჩენის შემდეგ შეგვიძლია ნაწილობრივ აღვადგინოთ. ნაწილობრივო, ვამბობთ, რადგანაც ფრაგმენტებს შორის აღმოჩნდა სწორედ დაკარგული მონაკვეთის ერთი ნაწილი — II მფ. 10, 12—11, 11.

ლაკუნის აღდგენა ფრაგმენტის ტექსტზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ტექსტობრივი ურთიერთმიმართების ანალიზის საფუძველზე. ფრაგმენტის ტექსტის დამოკიდებულება სხვა სრულ ხელნაწერებთან (IOS) ორი ნიშნით ხასიათდება: ა) ფრაგმენტის ჩვენება ყველა აღნიშნულ წყაროსაგან სხვაობს სწორედ F ნუსხის დეფექტურ ნაწილში:

10, 13: ქალაქად შეეყარნა (იგინი) M] ქალაქად შეესთხინა (შესთხინეს JS) JOS; 10, 18; შუდასი კაცი M] შუდასი მკედარი ერი JOS; 11; 4: განბანილ ოდენ იყო იგი წიდოვნებისაგან თვისისა M) ოდენ განბანილ იყო არაწმიდებისაგან მისისა O, იგი ოდენ განბანილ (დაბანილ S) იყო წესისაგან თვისისა JS და სხვ.

ბ) მაგრამ საერთო ნაწილში (II მფ. 11, 11) ფრაგმენტი მაინცდამაინც კვლავ F ნუსხას გაჰყვება ზედმიწევნით:

უკუეთუ... ყოველი ერი ისრაელი და იუდაისი დგანან გარე კარვითა (!) და იოაბ, უფალი იგი ჩემი, დგას წინაშე განწყობილსა, მე ვითარ შევიდე სახიდ ჩემდა ქა-

ისრაელისაჲ JO.

დგანან] დამკვდრებულ არიან JO. კარვებითა O. ~ უფალი ჩემი იოაბ+და ყოველი (იგი—J) ერი (მისი ველსა გარე—J) JO. დგას... განწყობილსა] წინაშე



მად და სუმად და განცხრომად
 ცოლისა ჩემისა თანა? (FMS*)

ლუაწლსა მას დგანან
 წყობილნი J. ვითარით რაა O.
 და განცხრომად — O.
 ~თანა ჩემისა J.

რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს? ვფიქრობთ, ფრაგმენტისა და F ნუსხის ტექსტობრივი დამოკიდებულება მონაკვეთის დანარჩენ ნაწილშიც ბოლო ნიმუშში გამოვლენილი სურათის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ამდენად, გამართლებული გვეჩვენება ხელნაწერის ლაკუნის შევსება ფრაგმენტის ტექსტით.

2. დაშვებულია ერთნაირი შეცდომები

ა) II 3, 31 მუხლში დადასტურებულია აღქუმა ზმნიდან ნაწარმოები არქაული სიტყვა საქუმელი 'კუბო', 'საკაცე'; და თავადიცა დავით წინა უძლოდა საქუმელთა მათ აბინერისთა O.

მატენადარანის ფრაგმენტში აქ FS ნუსხებთან ერთად საქუმელი-ს ნაცვლად სათქუმელი იკითხება, რაც აშკარა ლაფსუსია. კონტექსტში საუბარია მზაკვრულად მოკლული აბენერის ცხედრის გასვენებაზე: *αἰ... Δαυείδ ἐπιρᾶσθε ἔπαρθαμεν τῆς χλίσυς.*

ბ) II, 3, 16: გეოგრ. სახელი Βαρὰξια: *βαρὰξια* ქართულ ნუსხათა უმრავლესობას სწორად გადმოაქვს, მაგრამ მიანცდამიანც მატენადარანის ფრაგმენტი F ნუსხასთან ერთად აქაც ლაფსუსს უშვებს, თანაც რედაქციულად სხვაობენ სხვებისაგან:

FMS

JO

მოსდევდა ქმარი იგი ცოლსა თუსსა და ტიროდა იგი, ვიდრე მოჰყვანდა მელქოლ ბანაკადმდე (ბარაკადმდე S)

მოსდევდა ქმარი იგი ცოლსა თუსსა და ტიროდა და (აღ)მოჰყვა (+იგი O) ვიდრე ბარაკიდმდე.

გ) ბერძნ. *ἔαδ τῆς θαιδάσαρς*, სომხ. *մինչև ցծագն* IV 14₂₃-ში OS წყაროებს მართებულად გადმოუღიათ ზღუადმდე იკითხვისით, მაგრამ ეჩმიადინის ფრაგმენტსა და FI ნუსხებში მას მცდარი „საზღვრამდე“ იკითხვისი ცვლის¹⁵.

დ) III მფ. 2, 35i. ამ მუხლში LXX ძირითადი ტექსტის Βα:θαρᾶν ἐπάσῃ (შლრ. *გრხტირინ ქერჩინ*) ლუკიანეს რეცენზიაში (ბოც₂) გადმოცემულია Βε:θαρᾶν *αἰ: τῆς Ἀΰα*-ს სახით. ქართული წყაროების უმრავლესობა აქ ლუკიანურ ტრადიციას ემხრობა, მაგრამ F ნუსხა Ἀΰს ანოა JOS გეოგრაფიული სახელის გადმოცემაში ლაფსუსს უშვებს¹⁶, რაც ზუსტად მეორდება მატენადარანის ფრაგმენტშიც¹⁷:

* საგულისხმოა, რომ აქამდე S ნუსხა ხარვეზს J113-ის ტიპის ტექსტზე დაყრდნობით აღადგენს.

¹⁵ უ. ცინდელიანი, ... ეჩმიადინის ფრაგმენტის იდენტიფიკაციისათვის გვ. 76.

¹⁶ 35a-ი ჩანართის შესახებ ვრცლად იხ. უ. ცინდელიანი, III—IV „მეფეთა წიგნების“ შედგენილობა, II. ჩანართების საკითხი, „მრავალთავი“, VII, 1980, გვ. 79—80.

¹⁷ ამ ფრაგმენტისათვის ვსარგებლობთ ი. აბულაძის გადმონაწერით, რომელიც ინახება ხელნაწ. ინსტიტუტში, № 355.



და აღაშენა ასუდი და... ბეთორონი
და ანოჲ და ბეღლადი

და აღაშენა ასუდი და... ბეთორონი
ანოი (ანწი FM) და ბაღლადი.

ე) III მგ. 2, 37: LXX-ის რს $\chi\epsilon\iota\mu\acute{\rho}\rho\iota\varsigma$ $\text{Κεθρ}\acute{\alpha}\nu$ სონხ. **რეჲ ქხეჲყაქხნ**
ყხეჲინხ JO-ში სწორადაა გადმოცემული, მაგრამ F ნუსხასა და მატენადარანის
ფრაგმენტში კვლავ შეცდომაა დაშვებული:

JO

FM

წილ-ჰვდჲ ნალუარევსა (+ მას O)

წილ-ჰვდჲ ნალუარევსა მას

კედრონისასა (კედროვნ — O)

კიდობნისასა

ყურადღებას იქცევს ისეთი ნიმუშებიც, რომელთა მიხედვითაც მცდარ
იკითხვის ოშკური ვერსია წარმოგვიდგენს, ხოლო ფრაგმენტებსა და დანარ-
ჩენ ქართულ წყაროებში ისინი სწორადაა წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, ამ
ტიპის მასალაც გარკვეული ჯგუფის წყაროების სიახლოვის მანიშნებელია:

ა) გეოგრაფიული სახელი $\text{Βα:θ}\acute{\alpha}\chi\alpha\beta$: **მხმასოჲ** ოშკურ ვერსიას მცდარი
ფორმით გადმოუცია: ბჰეთაკადს (IV, 10, 12) ან ბეთასადს (10, 14)
იკითხვისის სახით. მატენადარანის ფრაგმენტი კი F რედაქციის მიმყოფ ნუს-
ხებთან ერთად სწორად გადმოსცემს მას ორსავე შემთხვევაში:

10, 12. ვიდრე იგი მივიდოდა ბეთაკადს (ბჰეთაკადს O) ოდენ.

10, 14: მოსრნეს იგინი ბეთაკადს (ბეთასადს O).

ბ) III. 2. 35c ფრაზაში „ზღუდჲ იგი... გარემო შუდ წილ ქმნა“ ოშკურ-
რი ვერსია კვლავ შეცდომას უშვებს, როცა ბერძნ. $\acute{\epsilon}\pi\alpha\acute{\alpha}$ $\acute{\xi}\tau\epsilon\sigma\iota\nu$, სომხ.
գև.ქնամ გადმოაქვს როგორც შუდ წილ. ფრაგმენტსა და FJ წყარო-
ებში ამჯერადაც მართებული შუდ წელ იკითხვისია ფიქსირებული.

3. სპეციფიკური იკითხვისები

მატენადარანის ფრაგმენტებში გვაქვს ზოგიერთი სპეციფიკური იკითხვისი,
რომლებიც მხარდაჭერას მხოლოდ F ნუსხაში ანდა მის მიმყოფ ხელნაწერებში
პოულობს:

ა) და მოაქციეს იგი გუამისა მისგან სეირისა (მესერაჲსა
J) JO, მოაქციეს იგი გარე ჯურღმულითგან სეირისა S. ამის ნაც-
ვლად F ნუსხასა და ფრაგმენტში დადასტურებული იკითხვისი — მოაქციეს
იგი გარე ქებრონდვე — არცერთმა წყარომ არ იცის.

ბ) და მოკუდა აბინერ ვატად სისხლისა ძმისა მისისა ასაელისა O,
II. 3, 27.

ეს ფალაური წარმოშობის სიტყვა¹⁸ F ჯგუფის ხელნაწერებსა და ფრაგ-
მენტში შეცვლილია ქართულით: და მოკუდა აბენეზერ ნაცვალად ასა-
ელის სისხლისათჳს FJMS. ასევეა II. 3, 30 მუხლოშიც.

გ) II 10, 13-ში ოშკურ ვერსიას კიდევ ერთი უცხო და ამასთანავე უც-
ნობი წარმომავლობის სიტყვა მოეპოვება, ფრაგმენტსა და F ჯგუფში ესეც
იშვითად ხმარებული ქართული შესატყვისითაა წარმოდგენილი:

¹⁸ მზ. შანიძე, ძველი ქართული ენის ლექსიკიდან, ხელნაწერა ინსტ. მოამბე, II, თბ., 1960, გვ. 58—59.

ვითარცა ესე სიტყუაჲ თქუა იოაზ, შე-
ჳკრიბა ზუ ფ და დ ყოველი იგი ერი.

ვითარცა ესე სიტყუაჲ თქუა იოზ, შე-
ჳკრიბა ერი იგი მ ტ კ უ ე ფ რ ა დ.

შდრ. შე ა მ ტ კ უ ე ფ რ ა (შ ე ა მ ტ კ უ ე ბ ა რ ა S) ყოველი იგი ერი JS.

4. სინონიმები

განსაკუთრებული სიახლოვე მატენადარანის ფრაგმენტებისა F ნუსხასთან სინონიმების გამოყენებაშიც იჩენს თავს. არც თუ იშვიათად შეგვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს ორი წყარო ყველა დანარჩენს განსხვავებული სინონიმით უპირისპირდება. მოგვყავს ერთი ნიმუში:

ა) IV 10, 7 მუხლში ობიექტის მრავლობითობის გამო, გამოკლებით FM წყაროებისა, ქართული თარგმანი მართებულად იყენებს „შთასხმა“, „შთათხევა“, „შთაყრა“ ზმნებს: შთასხეს თავები მათი გოდრებსა O, თავნი მათნი შთასთხინეს გ-სა I, შთასთხიეს თავი (!) მათი გ-სა J, შთაყარნეს თავები მათი გ-სა S. მხოლოდ FM-შია აქ მხოლობითის გამომხატველი ზმნური ფორმა: შთადვეს თავები მათი... საფიქრებელია, FM — წყაროებში ფიქსირებულია შემთხვევა, როცა ებ-იანი მრავლობითი ზმნაზე გავლენას ვერ ახდენდა.

საერთოდ კი დაპირისპირება ოშკური ვერსიისა F ჯგუფსა და ფრაგმენტებთან ამ სფეროშიც გარკვევითაა გატარებული:

FMS

JO

II, 3, 14 მოვიგე	მოვიპოვე
— 25 ცნობად	გულისხმის-ყოფად
— 26 იცოდა	უწყოდა
— 31 სამოსელი	სამკაული
— 31 სტიროდეთ	ეტყებდით
— 30 ბრძოლასა	ღუაწლსა
— 27 ფერდსა	გუერდსა
III 2, 34 აღცდა (S)	აღდგა (მივიდა J)
— 35b უმეტეს	უფროჲს
— 35c სამყარონი (ქმნა...ს. და სუ- ეტნი)	სამყარნი
10, 2 საჭურველი	ჯაჭუ-ჭური
— 5 ვებრძანო	გურქუა
— 6 ბრძანებასა ჩემსა ისმენთ	კმისა ჩემისაჲ ისმინეთ და სხვ.

5. საკუთარი სახელები

განსაკუთრებული სიახლოვე ფრაგმენტებისა F ნუსხასთან თავს იჩენს საკუთარ სახელთა გადმოცემაშიც.

„მეფეთა წიგნებში“ დადასტურებულია ადამიანის საკუთარი სახელი ა ბ ე ნ ე რ და გეოგრაფიული სახელი ა ბ ე ნ ე ზ ე რ. ალბათ, ამ უკანასკნელის გავლენით F ნუსხა ვრცელ მონაკვეთში ა ბ ე ნ ე რ ი ს ნაცვლად ა ბ ე ნ ე ზ ე რ ს ხმარობს სისტემატურად, ასევეა მატენადარანის ფრაგმენტებშიც. S



ნუსხაში აბენეზერ ფორმა მხოლოდ ერთხელ (II 3, 16) გვხვდება. სხვაგან რედაქტორს შეუმჩნევია ეს შეუსაბამობა და ტრადიციული შესაბამისად შეუსწორებია იგი (3, 17. 19. 20. 21 და ა. შ.). რაც შეეხება JO ნუსხებს, იქ ამ საკუთარი სახელის დამახინჯების შემთხვევა არ შეინიშნება.

სხვა მაგალითები:

- | | | |
|------------------------------------|------------------------|--------------------|
| II 11, 11 ჰურია FM . | ურია JOS . | |
| II, 3, 14 ფალტია FJMS . | ფალწია O . | |
| — 15 მემფიბოსთე FMS . | მემფილბოსთე O . | |
| — 15 სელმეაქსა FJM . | სელმიქსა O , | სელლასა S . |
| 10, 18 საბეე JM . | საბეთ O , | სობაკ S . |
| 23, 11 სამაა FMS . | სამეა O . | |
| — 13 ოდოლომ FJMS . | ოდოლომ O . | |
| III 2, 36, 38, 41 სემეი FJM | სემეი O და სხვ. | |

6. ტექსტის შეგნებული გადამუშავების განსაკუთრებული შემთხვევები

ფრაგმენტებსა და ხშირად მათ მიმყოფ ნუსხებშიც ნათლად შეინიშნება ერთხელ უკვე ნათქვამი აზრისა თუ პასუხის მომდევნო მუხლში გამოტოვების ტენდენცია:

სათანადო მასალის ამ თვალსაზრისით შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მატენადარანის ფრაგმენტებისა და A 646-ის სახით, ხელთ უნდა გვქონდეს ჭერ კიდევ კონტროლს დაუქვემდებარებელი¹⁹ არქაული თარგმანი „მეფეთა წიგნებისა“. ეს მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენ რედაქციას, უფრო მეტიც, ყველა ნუსხას „მეფეთა წიგნებისა“, მოკიდებული 978 წლის ათონური ბიბლიიდან, დამთავრებული XVIII ს-ის მცხეთური ნუსხით, ატყვია სხვადასხვა ტრადიციის წყაროებით კონტროლის უდავო ნიშნები²⁰.

განვიხილოთ რამდენიმე თვალსაჩინო ნიმუში:

II 23, 16 ხოლო დავით არა სუა წყალი **FMS**] და დავითს არა ენება სუმაღ წყალი **O**.

ამ წინადადებას ათონური ვერსია მომდევნო მუხლშიც იმეორებს: და არა უნდა (დავითს) წყლის ამის სუმაღ, მაგრამ ფრაგმენტსა და **FJS** ნუსხებში იგი გამოტოვებულია.

II 3, 19 და მივიდა აბენეზერ (აბინერ **O**, აბენერ **J**) თბრობად დავითისა ქებრონდ (-რონს **S**) **FJMOS**. ეს წინადადება მეორდება მომდევნო მუხლის დასაწყისშიც, მაგრამ ფრაგმენტსა და **F** ნუსხაში ესეც გამოტოვებულია.

II 11, 4 და მიავლინა დავით მოციქულნი და მოიყვანა დედაკაცი იგა **JOS**] არა აქვს ფრაგმენტს, ხოლო **F** აქ ნაკლებია.

ჩანს, აქაც წინა მუხლმა ითამაშა გადამწყვეტი როლი, რადგან ანალოგიური შინაარსის ფრაზა იქაც გვაქვს: და მოყვანებად სცა დავით დედაკაცი იგი **MJS**: და მიავლინა დავით და მოძიებად სცა დედაკაცი იგი **O**.

¹⁹ ამ საკითხზე იხ. A. A. Алексеев-ის ნაშრომი: Проект текстологического исследования Кирило-Методиевского перевода Евангелия, Советское Славяноведение, № 1, 1983, с. 82—94.

²⁰ ათონურ ნუსხაში მაკონტროლებელი წყაროების როლში ბერძნული ლუკიანეს რეცენზია და სომხური ვულგატამდელი თარგმანი გამოდის, მცხეთური ვერსიაში — სომხური ვულგატა და ქართული წყაროები.



ზოგჯერ, ფრაგმენტებსა და **F** რედაქციაში, პირიქით, შეინიშნება მატერიალური შემთხვევები იქ, სადაც უცხოური თუ ქართული წყაროების მიხედვით საფუძველი არ ჩანს:

II 3, 26 და დავით არა უწყოდა (იკოდა **FMS**) + უკუ მოქცევა იგი აბეწეების **FM**.

3, 20 და ყო დავით... (+სიხარული და) შუება დიდ (დიდი **FMS**) **FMJOS**.

3, 32 და მოიდეს და დაპფლეს იგი **FMJOS**.

III 2, 40 ანქუშისა (+მეფისა გეთელთაჲსა **FM**) **FOM**.

IV 9, 23 ზაკუჲა არს (+რამე **FJM**) **FIJOSM**.

მატენადარანის ფრაგმენტები „მეფეთა წიგნების“ ტექსტის განვითარების თვალსაზრისითაც მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის. კერძოდ: თუ აქამდე **A 646** ნუსხის გვიანდლობის გამო (**XVI ს.**) მხოლოდ ვარაუდის სახით შეგვეძლო **J 113-სა** (**XIII—XIV სს.**) და **A 570** (**XV ს.**) მომხდარ ტექსტოლოგიურ ცვლილებებზე მსჯელობა, ფრაგმენტების შესწავლამ უდავო გახადა, რომ ტექსტობრივი ცვლილებები, კერძოდ ინტენსიური შემოკლება ტექსტისა, ლექსიკური თუ სინტაქსური ინოვაციები ამ ნუსხებში **XII ს-ის** შემდგომი ფაქტია.

ენახოთ ეს რამდენიმე მაგალითის მიხედვით:

ა) **IV 9, 19-ში** **I** ნუსხა მუხლს ამოკლებს, ყუელა დანარჩენი, მათ შორის **M** ფრაგმენტიც სრულია. აშკარაა, შემოკლება მატენადარანის ფრაგმენტის შემდეგდროინდელი ფაქტია:

FM

I

და წარავლინა მეორედ ¹ მკედარი და მიიწია მათა² და ჰრქუა: ესრე იტყუს მეფე³: „მშუდობით არსა მისლვაჲ ეგე თქუენი“⁴ „და თქუა⁵ იუ“; რაჲ ძეს შენი და (**-M**) მშუდობისაჲ, უკუმოდეგ⁶ აქა⁷.

და წარავლინა მეორე მკედარი და ეგრეთვე მან ყო.

ბ) ანალოგიური სურათია **9, 20-შიც**, ოლონდ აქ **I-სთან** ერთად **J-ც** ამოკლებს ტექსტს:

FMS

I

და თქუა ებგურმან მან⁸: მიიწია მოციქული იგი მათა⁹ და არავე უკუ მოიქცა¹⁰ და რომელსა-იგი მიჰყვანდა იუ, მიიწია¹¹, რამეთუ მრისხანედ მიიწია¹².

და თქუა ებგურმან, ვ⁷დ არცაღა იგი მოიწია და მიწია იუ მრისხანედ.

J

და თქუა ებგურმან: მიიწია მოციქული იგი მათდა და არღარა მოიქცა და მივიდა იუ მრისხანედ.

1 +სხუა **O**. 2 მათდა **J**. 3 მეფე ესრეთ იტყუს **J**. 4 მშუდობით... თქუენი მშუდობა არსა **JOS**. 5 თქუა ჰრქუა **JO**. 6 უკომოდეგ **JS**. 7 + და დაღვა იგიცა მათ თანა **O**. 8 და... მან და უთხრობდა ებგური იგი და თქუა აჰა **O**. 9 მათ თა **O**. 10 არა მოიქცა **O**. 11 + ხოლო **O**. 12 მიიწია მიჰყვანდა **O**.

II 11, 11

და დავით შევიდა დე-
დაკაციისა მის თანა,
დაწვა და განისუენა.
და მუნთქუესვე მი-
ხ-უდგა დედაკაცი იგი
მისგან, რამეთუ განბა-
ნილ ოდენ იყო წი-
დო ვ ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ .
და წარვიდა იგი სა-
ხიდ თჳსა.

და მიავლინნა დავით
მოციქულნი და მო-
იყვანა დედაკაცი იგი

JS

და შევიდა მის თანა
და დაისუენა და იგი
ოდენ განბანილ იყო
წესისაგან თჳსისა.
და წარვიდა მისგან მი-
დგომილი სახიდ თჳსა.

შევიდა მისა, დაისუ-
ენა მის თანა და მუნ-
თქუეს ოდენ განბანილ
იყო არაწმიდე-
ბისაგან მისისა. და
წარვიდა სახიდ თჳსა
მიდგომილი მისგან.

ამ ბოლო ნიმუშში ნათლად გამოიკვეთება სამი რედაქცია — ტექსტის გან-
ვითარების სამი საფეხური. ამასთანავე უძველესი საფეხური ტექსტის გადმო-
ცემის თავისუფალი მანერისა (JOS ნუსხებში იგი საკმაო სიზუსტით მისდევს
ბერძნულ-სომხურ მოდელებს) და არქაულობის გამო მატენადარანის ფრაგ-
მენტს უნდა ჰქონდეს დაცული:

ა) და მიავლინნა... დედაკაცი იგი — JOS ნუსხებში დადასტურებული
ეს წინადადება ფრაგმენტში სრულიად უგულვებელყოფილია.

ბ) ფრაგმენტში მომდევნო მუხლიდან გადმოტანილია მუცლადღების მო-
მენტი (მუნთქუესვე მი-ხ-უდგა დედაკაცი იგი მისგან). ამ გადასმით მუცლად-
ღების მიზეზი უფრო ლოგიკურადაა დასაბუთებული: მუნთქუესვე მი-ხ-უდგა
დედაკაცი იგი მისგან, რამეთუ განბანილ ოდენ იყო წიდოვნებისაგან M, შდრ.
„მუნთქუეს ოდენ განბანილ იყო წესისაგან თჳსისა და წარვიდა მისგან მიდგო-
მილი სახიდ თჳსა“.

ბ) ბერძნ. ἀχαιφαια (შდრ. აგრეთვე ἀφαιφαια b+), სომხ. *ყაჟჟან* სამსა-
ვე ვერსიაში სხვადასხვა ლექსიკური ერთეულითაა გადმოცემული: წიდოვნება
M, წესი JS, არაწმიდება O.

არ გვეჩვენება სადავოდ, რომ ფრაგმენტში წარმოდგენილი სინონიმი ამ
კონტექსტში ქართული ენის ტრადიციულ გეზს ყველაზე უკეთ იცავს და ბუ-
ნებრივადაც ზის კონტექსტში. დანარჩენ ორ სინონიმთან მაკონტროლებელი
ბერძნული წყაროს გავლენა განსაკუთრებით ცხადად ატყვია ოშკურ არა-
წმიდებას, რომელიც ბერძნული ἀχαιφαιა-ს ზუსტი ეკვივალენტია.

გ) დაბოლოს, ფრაგმენტში დადასტურებულ ტმესს, რომელიც ხანმეტობის
გადმონაშთი უფრო ჩანს, JOS-მა მიმდევობური ფორმა დაუბირისპირა: მი-
ხ-უდგა — მიდგომილი

სხვა ნიმუშები:

ა) 9, 22 ჰრქუა (+მას O) იუ: რაჲ (+მცა FM) (მშუდლობა) FJMO. IS
ნუსხებმა, ეტყობა, აქ უზმნო წინადადება უარყვეს და ამიტომაც: ...რაჲ მშუდო-
ბა არს S, ... მშუდობა არაჲმცა (ასეა) იყო I. შდრ. IV 9, 17 ჰკითხოს: თუ
მშუდობა FM] თუ მშუდობა არს S, ... თუ რაჲ არს I, თქუნ; მშუდობაჲ არსა
O.

ბ) IV 9, 17: წარავლინეთ წინა მათსა FIMOS] მიაგებეთ წინა J.



გ) IV 10, 4 მეფენი ვერ დამდგომ იქმნნეს წინაშე მისა **FMOSJ** მეფენი ვერ დაუდგეს წინაშე მისა **J**,... ვერ წინააღუდგეს **I**.

დ) III 2, 37: უწყებულ იყავნ უწყებით **O**: უწყებით უწყოდე **FMJ** უწყოდე **J**.

ე) III 2, 35e: აღასრულა სიმალმ იგი შეზრძენით **FMOJ**... შეზრძენით **J**.

ვ) IV 9, 18: ესრე იტყვს მეფმ (+ ისრაელისაჲ **O**) **FMOJ** ესრეთ იტყვს მეფე **I**, მეფე ესრეთ იტყვს **J**.

ზ) IV 9, 25 მესამესა **FJMOJ** შემდგომსა **J**, სპარაზენსა **S**.

თ) IV 10, 23 მონანი ხოლო ბაალისნი ვართ **O**, მონანი ბაალისნი ხოლო ვართ აჟა **FIMSJ** ჩუენ მონანი ბაალისნი **I**.

დამოწმებული მასალის ანალიზიდან, ვგონებ, ნათლად გამოიკვეთა ტექსტის განვითარების გეზი ქართულში: მანერულობისა და ზედმიწევნილობისაგან თავისუფალი გამკვირვალე, ნათელი ტექსტი შემდეგ და შემდეგ სულ უფრო მკაცრი კონტროლის სფეროში ექცევა: ივსება, მუშავდება როგორც ტექსტობრივი, ისე სტილისტიკური თვალსაზრისით, იცვლება ლექსიკური და გრამატიკული ფორმები, ცდილობენ ქართული თარგმანის სულ უფრო მიახლოებას საკონტროლო მოდელთან, რის გამოც იგი თანდათანობით კარგავს პირვანდელ სურნელებას და საკონტროლო წყაროთა გავლენების ქვეშ ექცევა.

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა, მაგრამ არ იქნება მიზანშეწონილი მოკლედ მაინც არ შეეჩერდეთ მატენადარანისა და ეჩმიადინის ფრაგმენტების ურთიერთმიმართებისა და იდენტიფიკაციის საკითხებზე. ამ ფრაგმენტებს გააჩნიათ რამდენიმე მეტად საყურადღებო საერთო ნიშანი:

ა) როგორც მატენადარანის, ისე ეჩმიადინის ფრაგმენტები წარმოადგენს ნაწილებს ქართული ბიბლიური ხელნაწერისა, რომელიც დაუშლიათ და სომხური ხელნაწერების ყდების სარესტავრაციოდ გამოუყენებიათ.

ბ) ორივე სახის ფრაგმენტები ამჟამად დაზიანებულია, წაჭრილი აქვს ზემო ან ქვემო არშია.

გ) ორივე სახის ფრაგმენტები ნაწერია ორ სვეტად XII—XIII სს-ის ნუსხა ხუცურით.

დ) ორივე სახის ფრაგმენტები ზედმიწევნით მისდევს მაინცდამაინც ჯანაშვილისეული ვერსიის მხედრულით გაბმულად ნაწერ XVI ს-ის A 646 ნუსხას.

ე) ორივე სახის ფრაგმენტები ამჟამინდელი ადგილსამყოფელის მიხედვით ერთნაირი წარმომავლობისაა — ეჩმიადინისა და მატენადარანის წიგნსაცავებშია დაცული.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ განალიზებული ფრაგმენტების სახით ჩვენს წინაშეა ნაშთი XII—XIII სს. (პერგამენტზე გადაწერილი) ქართული ბიბლიური ხელნაწერისა, რომელიც თითქმის ყველა ნიშნის მიხედვით (კოდიკოლოგიურით, ტექსტოლოგიურით) უნდა წარმოადგენდეს დედანს თუ არა, უახლოეს ცალს მაინც იმ რედაქციისა, რომელიც შენახულია F ნუსხასა და მის მიმყოლ ხელნაწერებში. ამით კი საშუალება გვეძლევა ამ უძველესი ქართული თარგმანის ნიშნების მქონე ტექსტის ქრონოლოგია მთელი ოთხი საუკუნით წინ გადავწიოთ და მისი მეტ-ნაკლებად ცოცხალი სურათი აღვადგინოთ. თავის მხრივ, ფრაგმენტებში დაცული ეს ტექსტი უნდა წარმოადგენდეს უფრო ძველი თარგმანის უმნიშვნელოდ გადამუშავებულ საფეხურს.



ფრაგმენტების მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ ისინი საშუალებას გვაძლევს
 ლევენ თვალი გავადევნოთ და მიახლოებითი ქრონოლოგიური საზღვარი და-
 ვუდოთ ჯანაშვილისეულ ვერსიაში მომხდარ რედაქციულ ცვლილებებს, გან-
 საკუთრებით ეს ეხება ტექსტის შემოკლების ტენდენციას, რომელიც ასე ძა-
 ლუმად შეეხო J 113-სა (XIII—XIV სს.) და A 570 (XVI ს.) ნუსხებში და-
 ცულ ტექსტებს. ეს პროცესი უდავოდ ფრაგმენტების შემდგომდროინდელი, ე. ი.
 XII ს-ის შემდგომი ფაქტი ჩანს, თუმცაღა ამ ტენდენციის ჩანასახი, როგორც
 ვნახეთ, საკუთრივ ფრაგმენტებშიც დადასტურდა.

У. Е. ЦИНДЕЛИАНИ

ГРУЗИНСКИЕ ФРАГМЕНТЫ «КНИГ ЦАРСТВ» ИЗ АРМЯНСКИХ КНИГОХРАНИЛИЩ

Резюме

Датированные по почерку XII-ым веком отрывки «Книг Царств» из армянских Книгохранилищ, по-видимому, представляют собой остатки грузинской библейской рукописи.

Текстологическое изучение грузинских фрагментов выявило, что текст отрывков совпадает с древнейшей грузинской версией «Книг Царств», сохранившейся в рукописи XVI-го века А 646.

Близость фрагментов к соответствующим отрезкам библейского текста дает возможность по-новому поставить вопрос о времени возникновения древнейшего грузинского перевода «Книг Царств», отличающейся многими редакционными особенностями текста, представленного в поздних списках А 646 и др.

6. შალამბერიძე

„ლონგინოზის მარტვილობის“ მებაფრასული
ვერსიის შესახებ

თქმულება ლონგინოზის შესახებ გავრცელებული სიუჟეტია. თვით ლონგინოზის ვინაობა ბოლომდე დაზუსტებული არ არის. ლონგინოზის ხსენებისათვის რამდენიმე დღე არის დაწესებული: ბერძნული სვინაქსარით 16 ოქტომბერი და 24 აპრილი, ლატალისა და პარიზის ლექციონარით და აგრეთვე არაბული, ეთიოპური, სირიული კალენდრებით 17 ივლისი, სინური ქართული თვე-ნის მიხედვით ლონგინოზის ხსენება გატანილია 10 სექტემბერს¹.

ხსენების დღის ასეთი სიმრავლის, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, შეიქმნა აზრი, თითქოს ლონგინოზის სახელით ორი წმინდანია ცნობილი. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს: „თვით ლონგინოზის ვინაობა გამორკვეული არაა. ბოლანდისტები უჩვენებენ ორ ლონგინოზს: ერთი იყო უბრალო ჯარისკაცი, ისაერიელი, რომელმაც ჯვარზე უგმირა მაცხოვარს და კესარია კაბადოკიაში ეწამა, მეორე — ასისტავი, რომელმაც მაცხოვარი ძედ ღვთისად აღიარა ჯვარზე და კაბადოკიაში ეწამა. ჩვენი ტექსტით, თანახმად ბარონიოსისა, იყო ერთი ლონგინოზი, ისაერიელი ასისტავი, რომელმაც უგმირა მაცხოვარს ჯვარზე და მერე ძედ ღვთისა აღიარა ის“².

მართლაც, საეკვოა, რომ ჯვარცმასთან ორი ლონგინოზი ყოფილიყო და ეს არ ასახულიყო ლონგინოზთან დაკავშირებულ რომელიმე ტექსტში. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ლონგინოზი რაიმე ზედსახელით იქნებოდა განსხვავებული.

თვითონ სახელი ლონგინოზი ზედსახელია. იგი შუბოსანს ნიშნავს. (ვერახულობთ, რომ *λεγγυνοζ<γδρ<χ<μιοζ*). და ეს აღჭურვილობა იმდენად მნიშვნელოვანი მომენტი იყო მისთვის, რომ სახელიც მისი მიხედვით ეწოდა.

ლონგინოზის პიროვნებით ბევრი დაინტერესდა. იგი მოხსენებულია ნიკოდიმოსის სახელით ცნობილ სახარებაში³ — პილატეს აქტებში, პატერიკებში და საერთოდ ყველგან, სადაც კი ჯვარცმა აღწერილი, რამდენადაც იგი ჯვარცმის მცველი ჯარისკაცია⁴. ვარჯის მონასტრის საბერეების ეკლესია — გამოქვაბულ სამლოცველოთა მოხატულობებს შორის, სადაც ჯვარცმის მოტივებია ასახუ-

¹ Le Calendrier palestinogéorgien du Sinaiticus 34 (X^e siècle) Édité, traduit et commenté par G. Garitte. Bruxelles, 1958, pp. 158, 206, 281, 326, 357.

² კიმიენი, ტ. I, ტფილისი, 1918, გვ. XV.

³ ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ცილა ქურციკიძემ, თბ., 1985.

⁴ Lexikon für Theologie und Kirche. Sechster Band, Freiburg, 1961.

ლი, ლონგინოზის გამოსახულებასაც ვხვდებით⁵. ლონგინოზი წმინდანად მელსაც საგალობლებს უმღეროდნენ. ანა ღამბაშიძემ განიხილა ლონგინოზის სადმი მიძღვნილი ჰიმნების ბერძნულ-ქართული რედაქციები. „ქართველთა მიერ ლონგინოზის განსაკუთრებულ პატივისცემას, შესაძლოა ის გარემოებად უწყობდა ხელს, რომ ეს წმინდანი, ისევე, როგორც საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინო კაბადოკიელი იყო წარმოშობით და ამ ქვეყნის შოკიქულიც“⁶.

ა. ღამბაშიძის გამოკვლევა მოწმობს, რომ ლონგინოზისადმი მიძღვნილი ბერძნული ჰიმნი არაერთგზის უთარგმნიათ ქართულად და რამდენიმე რედაქციაც არის ჩვენამდე მოღწეული⁷.

გარდა ამისა, ცნობილია ლონგინოზის ცხოვრების, რამდენიმე ბერძნული რედაქცია⁸, რომელთაგან ყველაზე ვრცელი ეკუთვნის ევსუქი იერუსალიმელის კალამს, რასაც მოწმობს „მარტილოზის“ ბოლოს დართული მინაწერი 'Εἰς Ἡσαΐα; πρεσβύτερος⁹ ხოლო სვიმეონ მეტაფრასის მოკლე რედაქცია ამ ვრცელი რედაქციიდან მომდინარეობს და მის გადამეტაფრასებას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს მათი დიდი შინაარსობრივი და ტექსტობრივი მსგავსება. (ზოგი ადგილი ვრცელიდან უცვლელად არის გადატანილი მოკლეში).

ქართულ ენაზე არსებობს „ლონგინოზის მარტილოზის“ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული რედაქცია. პირველი, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერებში ათონ. 57 და H 341 (ბოლო ნაკლულია), გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ¹⁰. როგორც გამოცემელი აღნიშნავს, ამ რედაქციის ბერძნული დედანი მიკვლეული არ არის. თუ გავითვალისწინებთ „ლონგინოზის ცხოვრების“ არსებული სომხური რედაქციის შინაარსს, ქართული გამოცემული ტექსტი ახლოს დგას ლონგინოზის მარტილოზის სომხურ რედაქციასთან¹¹.

მეორე ქართული რედაქცია ევსუქი იერუსალიმელისეული ტექსტის მეტაფრასის თარგმანს წარმოადგენს. მთარგმნელობილი არ არის. ჩვენ ხელთ არის ამ თარგმანის შემცველი შემდეგი ნუსხები: S 382, K 4, A 1053, S 1276, იერუს. 37, რომელთა მიხედვით ქართული ტექსტი დავადგინეთ, შემდეგ კი შევაჯერეთ ბერძნულ დედანთან.

5 ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985.

6 ა. ღამბაშიძე, იოსებ ჰიმნოგრაფის ერთი კანონის ქართული რედაქციები, „მრავალთავი“ XI, თბ., 1985, გვ. 79.

7 იქვე.

8 Bibliotheca hagiographica graeca, Troisième édition par F. Halkin, T. II, Bruxelles, 1957, pp. 56—57.

9 PG+93. p. 1560.

10 კ. კეკელიძე, კიმენი, ტ. I, გვ. 188—192.

11 სომხური რედაქციით „ასისტავმა ლინკიანოსმა (იგივე ლონგინოზმა), რომელიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდა, ქრისტეს გვერდი ლახვრით გაგმირა, და როდესაც ჯვარცმის სასწაულები იხილა, წამოიძახა: „ქეშმარიტად, კაცი ესე ძე ღვთისა არს!“ შემდეგ ლინკიანამ მოციქულთაგან შეისწავლა სახარება და გაემგზავრა კაბადლუკიაში, სადაც ეწამა და გვირგვინი წამებულისა დაიდგა თავზე. (Н. М а р р, „Хитон господин в книжных легендах армян, грузин и сирийцев“, СПб. 1897, с. 78—79).

ბ. მარი მიუთითებს კიდევ ერთ სირიულ გადმოცემაზე: „ჯარისკაცმა, რომელსაც ლონგინო ეწოდებოდა, მახვილით განგმირა ჩვენი უფალი, შეაფურთხა სახეზე და სილა გააწნა. ეს ლონგინოზი ოცდათვრამეტი წელი იწვა ლოგინში, შემდეგ იესომ განკურნა და უთხრა მას: „პაპ, გამოყანმრთელი უკვე, აღარ შესცოდო, რომ პირვანდელზე უარესი აღარ შეგემთხვესო“ (იქვე).

მისი სიუჟეტი ასეთია: ლონგინოზი იყო ჯვარცმის მცველი ასისტავი. მან აშკარად აღიარა ქრისტე, განიძარცვა საპატიო სამოსელი და განმარტოვდა ორ ქრისტიანთან ერთად იერუსალიმში. შემდეგ კაპადოკიაში ქადაგებდა ქრისტიანობას. კეისრის მოთხოვნით პილატემ გაგზავნა ლონგინოზთან დამსჯელები, რომელთაც უნდა მოეკლათ იგი. ლონგინოზი შეხვდა თავის მაძიებლებს, გულუხვად გაუმასპინძლდა და შემდეგ გამოუტყდა, რომ თვით იყო ის, ვისი მოკვლაც სურდათ მათ. სტუმრებმა მასპინძლობისათვის მადლიერების გამო გაპარვა შესთავაზეს ლონგინოზს, მაგრამ მან იუარა და ქრისტესთვის სიკვდილი პატივად ჩათვალა. მას ორ ამხანაგთან ერთად მოჰკვეთეს თავი. მისი გვამი დაგარბეს დაბა სანდალში.

ქართული ტექსტის განხილვისას ყურადღება მიიპყრო მისმა მხატვრულმა ლირებულებამ. თხზულებისათვის დამახასიათებელია ექსპრესიული მეტყველების პოეტური ტონი. ეს ექსპრესიულობა შემდეგი მხატვრული ხერხებითაა მიღწეული:

სინონიმური გამოთქმის სიხშირე ე. წ. ამპლიფაცია: „სიმკნით მიუგებდა მათ მკნე იგი და უშიში: რაჲსა მეშურებით მე დიდთა კეთილთათჳს, რომელთა იგი უნებლებით მოგება ჩემი თანა-ვაც, რაჲსა მრავალსაღმობიერად ჰგოდებთ სიკუდილსა ჩემსა, რად მწუხარე ხართ შემთხუვეად ჩემდა ესევეთარისა?“

გარდა სინონიმური გამოთქმებისა, ეს ნაწყვეტი საინტერესოა, როგორც პათეტიკური, რიტორიკული მიმართვა, რომელიც თავისთავად გამოსახვის გამაძლიერებელი საშუალებაა და ემოციურად ტვირთავს აზრს.

ასეთი პოეტური მიმართვები ტექსტში სხვაგანაც გვხვდება: „გიხაროდენ, მ, თანამებრძოლნო ქრისტესნო და ზიარნო სუფევისა მისისანო, გიხაროდენ, რამეთუ, აჰა ბჳენი ცათანი განთხუმულ არიან და ანგელოზთა ჰნებავს მიქჳმა სულთა ჩუენთა, რაჲთა მიიყვანენ იგინი მხოლოდ შობილის მის ძისა ღმრთისა. აჰა ესერა, ვხედავ ლამპართაცა და გვრგვნთა, რომლითა წარდგომილ ვართ წინაშე საყდართა ლუაწლის დამდებელისათა“ გვ. 10--11.

ამ პოეტურ მიმართვებში, როგორც ვხედავთ, არის ერთგვარი გამოთქმების სიხშირე, რაიმე სიტყვის განმეორება, რაც დინამიკას აძლიერებს, მეტყველებას სისხარტეს აძლევს.

მეტყველების სისხარტის განსაკუთრებული ფორმა — გრამატიკული კავშირის უქონლობა — ასიდენტონი კი განსაკუთრებით აძლიერებს ემოციურ შთაბეჭდილებას. „მ სერობა ძნელბედი, მ, სტუმრობა ფიცხელი, რაიმე კადნიერება ჰყავ შენ, მ, საყვარელო ლონგინოზ, ვითარ სიკუდიდ შენდა მოსრულნი სახიდ შენდა შეიწყნარენ, მ, საწყალობელი ესე მასპინძლობა, მ, მწარე პურისმტეობა, სიკუდილსა იკუმევე სასტუმროდ შენდა, თავსა თჳსსა დაჰკლავ ტაბლასა ზედა“. გვ. 8.

ეს უკანასკნელი მაგალითი ბერძნული მეტაფრასის ზუსტი თარგმანია, მაგრამ ასიდენტონი ქართულში უფრო მკვეთრადაა გამოკვეთილი.

რიტორიკული მიმართვა უბედური დედისა ღმრთისადმი პოეზიის დონემდეა აყვანილი: „მ, უფალო, იტყოდა, რაჲსა დაამძიმე ჩემ ზედა ქელი შენი ესრეთ და საღმობასა წყლულთა ჩემთასა დასძინე. აჰა, ნათელი თუალთა ჩემთანა და იგიცა არღარა არს ჩემთანა. ნუ ძალ ქვისა არსა ძალი ჩემი, რაჲთა ვიტყოდი მეცა სიტყუათა იობისთა? ანუ დამდებ-მეა მეუფეო იგავად და დასახრელად თავისა ყოველთა შორის? ნუ მე მხოლომან ვცოდეა და მხოლოვე დავისაჯები? რამეთუ ნათელისაგან და ნათლისავე სწორად მისახედველისა მხოლოდშობილისაგან ერთბამად განჳუებულ მყავ მე, რაჲლა დაშთომილ არს



ჩემდა სასობაჲ ცხოვრებისაჲ, რაჲღა მეპოვოს მე გზაჲ ნუგეშინისცემისაჲ, მე შვილო საყუარლო, ოდესღა ნუგეშინისცემე მე ვნებულებისათვის, ოდესღა აღმისუბუქო სიმძიმე თუალთაჲ“ გვ. 13—14.

მოტანილი ადგილები ბერძნული დედნის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს. ასე რომ, ეს მხატვრობა ბერძნული მეტაფრასული რედაქციიდან მომდინარეობს. ზოგიერთი მხატვრული ადგილი, რომელიც ქართულში ბერძნული მეტაფრასიდან მოდის, თვითონ ბერძნულ მეტაფრასულ რედაქციაში კიმენურ დედნიდანაა მომდინარე. ასე მაგ.: „წ განმძარცუების მე სამოსელი თიკისა და აღმეკადების მრავალსაღმობიერი იგი საყრველი ვორცთა შეუღლებსაჲ, რამეთუ დავსდებ ხრწნილებასა და სიხარულით შევიმოს უხრწნელებასა“ გვ. 6. ეს ადგილი კიმენურ და მეტაფრასულ რედაქციებში ერთნაირია და ამგვარად იკითხება: *Νὺν αποδοῖμαι τὸν πῆλινον χιτῶνα, καὶ τὴν πολυστενήχτους δεσμοὺς τῆς παρχῆς ἀποτίθῃμι, καὶ ἀποκλάττωμαι φθορᾶς* (P.G. ტ. გვ. 1549C₉).

აქ სხვათაშორის ისმის საკითხი მხატვრული თვალსაზრისით ბერძნული მოკლე რედაქციის ვრცელთან დამოკიდებულებისა. მოკლე რედაქციაში შინაარსის გარდა მეორდება აგრეთვე ვრცელის მხატვრული ხერხები, რომელიც ზემოთ გვქონდა აღნიშნული. ვრცელი ბერძნული ტექსტისათვის დამახასიათებელი დინამიურობის მიმნიჭებელი ამაღლებული ტონი მეტაფრასულ რედაქციაშიცაა გადატანილი, მაგრამ იქ კიდევ გაძლიერებულია დინამიურობა ტექსტის შემოკლებით. ამის ნათელსაყოფად შეგვიძლია შევადაროთ ვრცელი ბერძნული რედაქციის ნაწყვეტი და ქართული მეტაფრასული ტექსტის სათანადო ადგილი, რომელიც ბერძნული მეტაფრასის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს: *πρὸς τὸλ Θεὸν ἐλθῶν. Ὡς ποτε, Κυριε, ἐπέληθη μοι, εἰς τέλος, ἕως ποτε ἀποστρέψεις τὸ πρόσωπόν σου ἀπ' ἐμοῦ, ὡς τινος θήρησαι βουλὰς ψύχῃ, μοι, ὁδύνας ἐν καρδίᾳ μοι, ἡμίρας, καὶ συκτος ἐπιβλεῖσθαι εἰσάκοισθαι ἐλθέην με Κύριε μοι Θεός καὶ φάσιςαι τὸς σφιδάλμους μουσ μεποτε ὑπο τῆς περιστερᾶς λαπῆς*¹².

„ჰ, უფალო, იტყოდა, ჰ, უფალო, რაჲსა დაამძიმე ჩემ ზედა უელი შენი ქართ და საღმობასა წყლულთა ჩემთასა დასძინე. აჰა ნათელი თუალთა ჩემთაჲ და იგიცა არღარა არს ჩემთა...“

მოკლე რედაქცია ვრცელი რედაქციისაგან საგრძნობლად განირჩევა დინამიურობით. ტექსტის ამგვარი დამუშავება მისი ლიტურგიული საჭიროებით იყო განპირობებული. იგი უნდა წაკითხულიყო საეკლესიო მსახურების დროს. მოკლე რედაქციის რიტმული წყობა სხვადასხვა მხატვრული ხერხით არის მიღწეული. საკითხავის ამგვარად გადამეტაფრასება მეტაფრასული რედაქციის შემნის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს.

ქართველი მთარგმნელი, როგორც ჩანს, სათარგმნ მასალას მხატვრული თვალსაზრისით სულ მონურად არ მისდევს. თარგმანში გვხვდება აგრეთვე საკუთრივ ქართული ტექსტის მხატვრული ადგილებიც.

ალიტერაციის საუკეთესო მაგალითია: „წ ა დ ი ე რ მ ა წ ა დ ი ე რ ნ ი ვ ე წ ა რ ა ე ლ ი ნ ნ ა ს ი კ უ დ ი ლ ა დ ნ ე ტ ა რ ი ს ა“, გვ. 4.

გვხვდება აგრეთვე პლეონასტური მაგალითებიც, რომლებიც ამავე დროს ალიტერაციასაც ქმნიან: „მ ო წ ა მ ე ს ა ქ რ ი ს ტ ე ს ა ქ რ ი ს ტ ე ს ა თ ვ ს შ ე მ თ ხ ი ა“. გვ. 14.

¹² P. S. XCIII. p. 1556 A₁₅—B₁₆.

„...ესრეთ საწყალობელად მისთანა მყოფისაჲ და უსაწყალობელესად მისგან განჯუებულისაჲ“ ვვ. 14.

ეს ასონანსური წინადადებები თავისუფალ თარგმანს წარმოადგენენ. ბერძულში სხვაგვარად არიან აგებულნი, მაგრამ სტილის თვალსაზრისით, მთარგმნელი დედნისათვის დამახასიათებელ მეთოდს — მხატვრულობას არ ღალატობს, რითაც განსაკუთრებული ელფერი ეძლევა მთელ თხზულებას — სხარტი, ადვილად წასაკითხი და მოსასმენად სასიამოვნოა.

Н. М. ШАЛАМБЕРИДЗЕ

О МЕТАФРАСТИЧЕСКОЙ ВЕРСИИ «МУЧЕНИЧЕСТВА ЛОНГИНОЗА»

Резюме

Сказание о Лонгинозе является распространенным сюжетом в восточно-христианской культуре. О Лонгинозе существуют жития на греческом, сирийском, армянском и грузинском языках. Изучение грузинской метафрастической редакции показало, что, по сравнению с иностранной редакцией, она характеризуется художественностью и динамичностью, что и является особенностью метафраса.

М.А.Момина, Б.Л.Фонкич

Греческая Триодь X-XI вв.
Государственной Публичной библиотеки
им. М.Е.Салтыкова-Щедрина

В Государственной Публичной библиотеке им. М.Е.Салтыкова-Щедрина в Ленинграде под шифром греч.712 хранится Триодь X-XI вв. ¹ Рукопись поступила в Публичную библиотеку в 1911 г. в составе собрания греческих рукописей А.И.Пападопуло-Керамевса ².

Кодекс состоит из 220 лл. (I + 218 + I; лл. 1-218 - пергамен; лл. I (нач.) и I (конечн.) - бумажные) и находится в переплете начала XX в., изготовленном в Публичной библиотеке. Как показал анализ содержания, основная рукопись имеет утраты, для восполнения которых были добавлены части двух других пергаменных рукописей. Приведем описание каждой из трех частей манускрипта.

I (основная) - лл. 1-19 об., 22-35 об., 40-80 об., 89-104 об., 114-191 об., 193-194 об., 196-218 об. Многие листы обрезаны, некоторые очень сильно: максимальный размер 233x165. Пергамен толстый, грубый, с дефектами, плохой обработки; многие листы коро-

¹ Ее описание см.: Е.Э.Гранстрем. Каталог греческих рукописей ленинградских хранилищ. - Византийский временник, 1961, т.18, с.269.

² Отчет Императорской Публичной библиотеки за 1911 г. Пг., 1917, с.47-48. Здесь указывается, что многие песнопения рукописи не изданы, а также отмечается, что кодекс тщательно изучался А.И. Пападопуло-Керамевсом, карандашные пометы которого сохранились на полях. В ППБ хранится изданная в Риме в 1879 г. греческая Триодь (шифр: I7.II5.4.8), которой пользовался Пападопуло-Керамевс при исследовании этой рукописи и в которой имеются его пометки (во многих песнопениях отмечены варианты чтений греч.712).



бятся. Система разлиновки - 5³, тип -V IOCIm⁴; инструмент, которым линуется рукопись, довольно острый. Характер тетрадей (квартетрионы) определяется лишь благодаря наблюдениям за системой разлиновки: сигнатуры отсутствуют; при перемене переплета в начале Х в. многие листы были подклеены на сгибе бумагой, поэтому соединение пергаменных листов друг с другом прослеживается нередко с трудом. 28-30 строк на странице; площадь текста - 168x110/120. Линии разлиновки для каждой строки текста отсутствуют (см. тип разлиновки), первая и последняя строки текста расположены на двух имеющихся горизонталях.

Чернила коричневые; заставки и инициалы рисованы чернилами.

Судя по особенностям письма, эта часть рукописи может быть отнесена ко второй половине X в. Палеографические данные, а также некоторые кодикологические характеристики (качество пергамента и уровень его обработки, система разлиновки) позволяют, по нашему мнению, сделать вывод о южно-итальянском происхождении основной части ППБ, греч.712.

3 0 системах разлиновки греческих рукописей см.: J.Leroy. La description codicologique des manuscrits grecs de parchemin. - La paléographie grecque et byzantine. Paris, 1977 (Colloques internationaux du Centre National de la Recherche Scientifique, N 559), p. 27-44 (о системе 5 - p. 33); Idem. Quelques systèmes de réglure des manuscrits grecs. - Studia codicologica. Berlin, 1977, p. 291-312 (см. особенно p. 300-301); Idem. Les manuscrits grecs d'Italie. - Codicologica, 2. Leiden, 1978, p.59-63.

4 Типы разлиновки определяются по справочнику: J.Leroy. Les Types de Réglure des manuscrits grecs. Paris, 1976.

П - лл. 20-21 об., 36-39 об.; 210x147. Пергамен тонкий, шероховатой обработки; листы сильно пострадали от времени - загнившие, порваны. Система разлиновки - I, тип - IOAIn; инструмент для разлиновки тонкий, острый. 27 строк на странице; площадь текста - 130x75. Строки текста находятся на горизонтальных разлиновки.

Чернила коричневые; надписания, маргиналии - киноварью; красочные инициалы (краски густая красная, желтая, голубая); заставки на л. 36 об. - чернилами с красочными завершениями.

Палеографические особенности свидетельствуют о том, что эта часть рукописи писана в Константинополе в начале X в.⁵, а уникальная форма лямбды и сокращение $\mu\alpha\iota$ в виде ξ делают возможным сближение данного фрагмента с группой рукописей "философской коллекции" (Константинополь, ок. 850-880 гг.) и столичными манускриптами конца IX - начала X в., примыкающими к ней по почеркам⁶. Данные кодикологии (качество пергамента и характер его обработки, расположение строк текста на горизонтальных разлиновки, орнамент) не противоречат нашему заключению о датировке и локализации этих шести листов кодекса.

III - лл. 81-88 об., 105-113 об., 192-192 об., 195-195 об. Размер листов совпадает с размером первой части. То же можно сказать и о качестве и выделке пергамента. Система разлиновки - 9, тип -

5 Ср., например: N.Wilson. *Mediaeval Greek Bookhands*. Cambridge, Mass., 1972, p.14; E.Pollieri. *La minuscola libraria dei secoli IXe X.* - *La paléographie grecque et byzantine*. Paris, 1977, Tav. 5-6, 8b; B.L.Fonkič. *Scriptoria bizantini. Risultati e prospettive della ricerca.* - *Rivista di Studi Bizantini e Neellenici*, n.s.17-19 (XXVII-XXIX), 1980-1982, Tav. 8-19.

6 B.L.Fonkič. *Op.cit.*, p. 93-99, Tav. 8-19.



30С1. Две полных тетради являются кватернионами. Сигнатуры отсутствуют. 30-32 строки на странице; площадь текста - 165 × 105.

Строки текста находятся подгоризонтальными линиями разлиновки или пронизаны ими.

Чернила коричневые; примитивные заставки точечного типа, а также инициалы рисованы чернилами.

Этот фрагмент - на основе анализа его палеографии и кодикологии - может быть датирован XI столетием и, как и основная часть манускрипта, локализована Южной Италией⁷. Рукопись пострадала от сырости, особенно первым 9 листов. На некоторых листах текст не читается, на некоторых отпечатался текст противоположного листа, так что может создаться впечатление, будто эти листы кодекса являются палimpseстом.

Текст читается только с л. 1 об., на котором написаны две самогласные стихиры сьрного вторника, гл.3 " 'Ασπύνας Λαός " и гл.4 " Περὶ χαρῆς ἐκείνης ". На лицевой стороне листа должны быть написаны часть 8-й песни и 9 песнь трипеснца сьрного понедельника.

На лл. 2 об., 3, 4 об., 5, 6 об., 7, 8 об., 9 текст читается очень плохо. Могут быть восстановлены лишь отдельные фрагменты, по которым можно судить о содержании служб с сьрного вторника по сьрную субботу.

Кончается рукопись на середине 1-го тропаря 4-й песни канона Кассии на Великую субботу.

Таким образом, неизвестно, была ли Триодь первоначально полной, т.е. содержала постную и цветную часть, или имела только

⁷ О распространенности разлиновки 9 в рукописях Южной Италии XI в. см. указанные в примечании 3 работы Ж.Леруа.



постную часть, которая кончалась службой Великой субботы. Мы считаем более вероятным последнее, так как рукопись, сравнительно небольшая по формату, имеет 218 лл., некоторая часть которых утрачена. Если бы она содержала еще примерно 100 лл. цветной Триоди, то пользоваться ею было бы неудобно из-за большого объема.

Опишем лакуны кодекса.

1. Между лл. I3 и I4 отсутствует один лист, так как л. I3 об- кончается стихирами на "Господи воззвах" в воскресенье сыропустное, а л. I4 начинается с конца предпоследнего тропаря I-й песни канона 6 гл. Христофора " Λεβρο ψυχῆ μου δέλα ". Таким образом, на утраченном листе содержались часть стихир "На Господи воззвах", самогласные стихиры и начало первой песни упомянутого канона.

2. Между лл. 48 и 49 утрачен один лист, на котором была написана часть I-й песни, 3, 4 и часть 5-й песни канона 4 гл. Феофана на I-е воскресенье поста " Ζηρτβντες μετ' εβφορβνης ".

3. Между лл. II7 и II8 утрачено 3 л., на которых были написаны 2 седальна вторника 5 недели, 3 подобна, 2 самогласна, 2 трипеснца на этот день и 2 седальна, I подобен на среду 5-й недели.

4. Между лл. I96 и I97 утрачен один лист, на котором были написаны последние тропари 9-й песни трипеснца 2-й гл. Андрея Критского на Великую среду " Ἰτερωθεντα μου τδν νοβν ", седальны, стихиры Великого четверга.

5. Между лл. 215 и 216 не хватает двух листов, на которых были написаны 8-я и 9-я песни трипеснца Космы Майкомского 6 гл. " * ρυφθεντες κβας " и 5-я, 8-я песнь трипеснца 8 гл. " Ηβτρελκιοτα τδ δεβκνον " - от этого последнего сохранилась только 3-я песнь с несколько иным составом тропарей, чем в печатном римском издании Триоди I738 г., в котором он помещен в приложении по списку грот-



ПБ, греч. 712

Триодъ 1738 г.

л. 216 1 тр. τῆ καθ' ἡμᾶς --	+
2 тр. ὁ ἐπιστάς --	+
3 тр. πάλιν ὁμῆς --	+
4 тр. ὁ δασκαμὸς --	+
5 тр. πρὸς Καὶάφα -- (л. 216 об.)	-
6 тр. τὸ τοῦ Πηλᾶτου --	+
7 тр. ὁ εὐσπλαγχνίας --	+
8 тр. τὴ γὰρ κακὸν --	Ἄρον ἄρον --
9 тр. χαῖρον κηρὸν ὄχημα --	τὴ θορυβοῦντες --
10 тр. —	Μιστιγῶθεῖς --
11 тр. —	Ἐν τῇ σταυρῷ -- (σχп°)

6. Между лл. 216 и 217 отсутствует несколько листов, на которых содержались конец службы 12 евангелий и служба часов Великой пятницы почти полностью, за исключением нескольких стихир, которые написаны на л. 217.

7. Между лл. 217 и 218 утрачены один-два листа, на которых, по-видимому, был кондак Великой субботы, стихиры и 6, 7 песнь четверопеснца 6 гл. Космы Майюмского.

Как уже сказано выше, листы из двух других кодексов были вставлены вместо утраченных листов основной рукописи. При этом иногда получается дублирование текста. Укажем лакуны, которые полностью или частично восполняются отрывками из двух других кодексов.

⁸ Τριφύδιον, Romaе, 1738, σ. χοη°- χαα°.

1. На лл. 20-21 об. другой рукописи помещена служба вторника 1-й недели, которая повторяет ту же службу основной рукописи (лл. 22-24), но в основной рукописи отсутствует лист, где были написаны седалны и подобны вторника 1-й недели.

2. Между лл. 80-89 утрачена почти полностью служба пятницы 3-й недели, полностью - служба субботы 3-й недели и частично - служба 3-го воскресенья. Все это содержится на тех листах, которые вставлены из другой Триоди - лл. 81-88 об. Вставной л. 88 обрывается последним тропарем 7-й песни воскресного канона, а основная рукопись начинается с предпоследнего тропаря 6-й песни этого же канона. Таким образом, получается маленький повтор.

3. Между лл. 104-114 основной рукописи - утрата. Л. 104 об. начинается подобным 6 гл. Федора в четверг 4-й недели, а л. 114 - предпоследним тропарем 6-й песни канона 6 гл. о впадшем в разбойники "Зубѣбѣн хрѣстѣ" на 4-е воскресенье. На вставных лл. 105-113 об. содержится утраченная часть службы.

4. Между лл. 191-193 пропущен один лист основной рукописи и вставлен лист из третьей рукописи, на котором написан двушеснец 8 гл. Космы Майюмского на вторник страстной недели "Гвѣрѣав ѡубѣвѣн" и часть тришеснца на тот же день Андрея Критского 8 гл. "Зубѣбѣнѣн тѣ хрѣстѣ".

5. Между лл. 194 и 196 - пропуск одного листа: л. 194 об. кончается на середине 2-го тропаря 3-й песни тришеснца Космы Майюмского 6 гл. "Еу хевѣѣс тѣ сувѣбрѣѣѣн", а л. 196 начинается со 2-го тропаря (от конца) 3-й песни тришеснца Андрея Критского 2 гл. "Угвѣрѣбѣнѣта мѣѣ". На вставном листе содержатся песни 3, 8, 9 тришеснца Андрея Критского. Поэтому получается не столько восполнение текста, сколько повтор. При этом наблюдаются серьезные рас-

ходнения в составе тропарей 8-й и 9-й песен.

Нам встретился и такой интересный случай. На вставных лл. 36-39 об. повторяется служба Федору Тирону, которая есть и на лл. 34-42 основной рукописи. Но эти службы отличаются составом песнопений. На вставных листах помещен более древний канон Феофана 2 гл. " *Ἐστράβητα μάρτυς τοῦ χριστοῦ* ", который отсутствует в печатных Триодях, но есть в рукописи Sin. 734-735 (X в.), а канон Федору Тирону 3 гл. " *Ἐσοῦ σα θεοβάρη ἑραστῆν* " помещен в основной рукописи и имеется также в синайском списке Триоди. Седалны, стихиры, блаженны тоже отличаются в обеих службах.

В рукописи имеются маргинальные приписки, которые сделаны несколькими поздними почерками, вероятно, в XVII в.: лл. 1 об., 4 об., 6, 12 об., 13, 22, 25 об., 29, 44 об., 45, 50, 53, 54, 56 об., 64, 66, 81 об., 82, 89 об., 90, 99, 102, 114 об., 117, 134, 146 об., 149, 152, 165, 170, 175, 180 об. Исключение составляет приписка на л. 64, где на полях восполнен пропуск в тропаре. Эта запись сделана другим почерком, чем сама рукопись, но приблизительно в то же время. По содержанию эти приписки являются дополнениями к тексту Триоди. Так, на л. 102 написан известный эксапостиларий " *Ἐσοῦ εὐχρηστῶς* " к канону кресту на 4-ю среду. В справочнике Э.Фольери он отсутствует. Приписки находятся не только на листах основной рукописи, но и на дополнениях. Если маргиналии по почерку относятся к XVII в., значит соединение трех рукописей в одну произошло до этого времени. На многих листах имеются пробы пера.

Очень интересны карандашные пометки А.И.Пападопуло-Керамевса, сверявшего рукопись с печатной Триодью римского издания 1879 г.⁹

⁹ См. выше, прим. 2.

по которому он проставлял в рукописи номера страниц, а песнопения, отсутствующие в книге, подчеркивал. В экземпляре римского издания, которым пользовался Пападопуло-Керамевс, в некоторых случаях подчеркнуты и исправлены те слова и словосочетания, которые являются вариантами к тексту рукописи. Так, на с. 620 в седальне 8 гл. на Великий понедельник подчеркнута $\phi\lambda\beta\omicron\rho\tau\omicron\iota$ и исправлено на $\phi\lambda\beta\text{-}\chi\rho\iota\sigma\tau\omicron\iota$ (греч. 712, л. 187.), $\tau\acute{\alpha} \kappa\acute{\alpha}\nu\tau\alpha \kappa\rho\omicron\upsilon\sigma\epsilon\tau\alpha\iota$ на $\tau\acute{\alpha} \kappa\acute{\alpha}\nu\tau\alpha \delta\acute{\alpha}\kappa\rho\upsilon\sigma\epsilon\iota\tau\epsilon\upsilon$ (там же).

Особого внимания специалистов заслуживает и содержание рукописи.

Триоди, как и другие греческие литургические книги, изучены очень мало. Совсем не ясна их история, а главная трудность заключается в том, что Триоди очень разнообразны по своему составу. Как и когда получилось такое разнообразие? Как проявляются местные особенности в составе Триодей, чем они были обусловлены? Возможно ли в будущем определить место написания Триоди по ее составу? Можно ли все Триоди разделить на типы и какой для этого критерий нужно выбрать? Каппаунс предложил классификацию Триодей, но она насчитывает всего три типа, расплывчата и не совсем ясна по своему принципу¹⁰. Чтобы ответить на поставленные выше и многие другие вопросы, которые возникают при изучении рукописных Триодей, следует подробно описывать состав каждой Триоди. При этом, конечно, нельзя ограничиваться перечнем служб, а следует подробно описывать песнопения, составляющие эти службы.

¹⁰ Dom Norbert Cappuyns. Le Triodion. Étude historique sur sa constitution et sa formation. Thèse. PIOS, 1935.



Триодъ ПБ, греч. 712 принадлежит к числу старших Триодей уже по одному критерию — по отсутствию паримий. Она составлялась в то время, когда еще существовали Паримийники; только приблизительно с XII в. в Триоди включаются паримии, и Паримийники исчезают. Триоди без паримий архаичны и разнообразны, а Триоди с паримиями — более новые и гораздо менее разнообразные. Триодъ ПБ, греч. 712 имеет небольшое число песнопений на будние дни, как все архаичные Триоди без паримий. Будничная служба состоит из двух седальнов Иосифа и Федора, трех подобных (двух Иосифа, один Федора), двух самогласных — утреннего и вечернего — и двух трипеснцев Иосифа и Федора. Нет богородичных стихир и мученичнов, которые должны идти за седальными и самогласными.

Интересно расположение песнопений, которые здесь, как и в других старших Триодях, поставлены не в том порядке, как они идут в службе: вечерние и утренние песнопения перемешаны. Их порядок в ПБ, греч. 712 следующий: 2 седальных, 3 подобных, 2 самогласных, 2 трипеснца. Аналогичный порядок песнопений обнаружен нами в списке II20 г. Vat. Barb. 484 ^{II} и в списке X в. Sin. 734-735. В славянской Триоди XII в. ЦГАДА, ф. 381, № 137 трипеснца тоже стоят на конце, но перед ними расположены подобны, а не самогласны, как в списке ПБ, греч. 712.

Мы не делаем из этого никаких выводов о типологическом сходстве этих четырех Триодей, так как считаем, что на данном этапе исследования невозможно объяснить такое разнообразие порядка следования песнопений — прихоть ли это писцов, или здесь имеют мес-

II. Греческие Триоди зарубежных собраний известны нам по микрофильмам, хранящимся в ПБ.

то какие-либо другие причины. Например, в Триодях XI-XII вв. из Гроттаферратского монастыря, многие из которых, несомненно, были там и написаны, обнаруживается поразительная разница в расположении песнопений. Единственный вывод, который можно сделать, — это архаичность такого порядка, при котором трипеснцы ставятся на последнем месте. Список Vat. Barb. 484, несмотря на то, что он написан в 1120 г., обнаруживает большую древность не только в расположении песнопений, но и в их составе.

ირკვევა, რომ ათონურ ხელნაწერში ტექსტი თითქმის არ განსხვავდება გვიანდელ ნუსხებში შეტანილისაგან. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ გვიანდელ ხელნაწერებში გიორგისეულ ტექსტს გადაწერთა ხელში დიდი ცვლილება არ განუცდია. ამასთან, სავანებში ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: ეფრემ მცირის ცნობით, გიორგის „არა ხოლო ერთგვის, არამედ ორგვისცა ეთარგმნა იგი ბერძულისაგან“ (4, გვ. 77), სხვაგან კი ეფრემი ამის მიზეზსაც ასახელებს: „რამეთუ პირველნი დავითნიცა რომელ ახლად ეთარგმნეს, მრავალი სიტყუაჲ ძუელისა ჩუეულებისადა მიეყვანა, ვიდრემდის უკუანაჲსკნელ დიდისა მის მოღუაჲისა გიორგი დაყუდებულისა იძულებით ბრძანებითა კუალად უსრულესად და უჴმიდესად ეთარგმნეს“ (I, გვ. 57). როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირე სრულიად გარკვევით ლაპარაკობს ორ თარგმანზე, მაგრამ პირველი მათგანი დღესდღეობით უცნობია. რედაქციულად განსხვავებულ იკითხვისები ხელნაწერებში თითქმის არ ჩანს; ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი საგრძნობი სხვაობისა ხელნაწერებში არის ფს. 103, 17: „მუნ მფრინველთა მართუე-ისხან, და ბუდე ყარყატთაჲ შერაცხილ მათდა||მუნ სირთა ბუდე-იდგან, და ჰეროდიაჲს სამკვდრებელი შერაცხილ მათდა“ (შდრ. 3, გვ. 163). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ ადრეულ ხელნაწერში ორივე იკითხვისა მოცემული შენიშვნით: „ორივე გიორგის თარგმნილია, ერთი რომელიცა გინდა, თქუთ“ (3, გვ. 164). ეს ადგილი ათონურ ნუსხას აკლია; მაგრამ არის კიდევ ერთი ადგილი, რომელიც გიორგისეული ტექსტის ისტორიისათვის საინტერესო ჩანს. ეს არის ფს. 37, 21, რომელიც ხელნაწერში ასე იკითხება:

და რომელთა მომაგეს მე ბოროტი კეთილისა წილ,

მასმენდეს მე, რამეთუ ვსდევდ სიმართლესა,

და განავდეს საყუარელი იგი, ვითარცა მკუდარი მოძაგებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ათონურ ხელნაწერში ტექსტი მუხლ-მუხლად არის ნაწერი, ყოველი მუხლი ახალ სტრიქონზე იწყება დიდი მთავრული ასოთი. ზემოთ მოყვანილი მონაკვეთი სამ მუხლს შეადგენს ახალი, „კონსტანტინოპოლური“ დაყოფით, რომელიც საზოგადოდ არის გიორგისეული ტექსტისათვის დამახასიათებელი ძველი ნუსხების „ქართული“ დაყოფის საპირისპიროდ (3, გვ. 40 და შემდ.). ამ სამი მუხლიდან მესამეს აშიაზე ნიშანი უზის — ჯგრის სახით განლაგებული ოთხი წერტილი. (ასევეა დანიშნული ფსალმუნთა დასაწყისები — ადვილად მოსანახავად).

ამგვარად სავანებოდ აღნიშნული მუხლი შეიცავს ტექსტს, რომელიც ებრაულ დედანში სულ არ არის; იგი მოიპოვება ბერძნულში, ოღონდ არა უკველეს ნუსხებში, (ვატიკანურში, სინურში, ალექსანდრიულში), არამედ მომდევნო დროისაში: $\alpha\zeta\iota\ \acute{\alpha}\pi\acute{\alpha}\rho\epsilon\iota\ \mu\epsilon\ \tau\epsilon\upsilon\ \acute{\alpha}\chi\alpha\pi\tau\epsilon\upsilon\ \acute{\omega}\tau\epsilon\iota\ \nu\epsilon\alpha\rho\epsilon\upsilon\ \xi\acute{\iota}\mu\epsilon\lambda\alpha\mu\upsilon\sigma\iota\upsilon\upsilon$ (შდრ. ეს. 14, 19). ბერძნული ჩანართი მუხლის შესაბამისი ტექსტი არ არის არც ძველი, წინათონური რედაქციის ჩვენთვის ცნობილ არცერთ ქართულ ხელნაწერში; მაშასადამე, სავარაუდებელია, რომ გიორგის გადმოულია იგი მის მიერ გამოყენებულ „მრავალთა ბერძულთა დედათაგან“.

გიორგი მთაწმიდელს თავის სამუშაო დედნებად, როგორც ირკვევა, ხელთ ჰქონია გარკვეული ჯგუფის გვიანდელი ბერძნული ხელნაწერები (3, გვ. 177). მაგრამ ამ მუხლის ქართულ ტექსტში ჩართვის აუცილებლობა, როგორც ჩანს, იმთავითვე საექვო იყო. ეს მუხლი არ არის ეფრემ მცირის თარგმანებაში (Q 37, 161v); გიორგისეული რედაქციის სამ ხელნაწერთაგან, რომლებაც ჩვენს გამოცემაშია გამოყენებული, იგი აქვს მხოლოდ ლენინგრადის ხელნაწერს (L).

არ არის იგი ფსალმუნის ტექსტში საბასეულ ბიბლიაში (A—51), და არც ტანგ VI-ის 1709 წელს დაბეჭდილ ფსალმუნში. ამის მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ გიორგიმ თავისი მუშაობის საბოლოო სტადიაზე თავდაპირველად ნათარგმნი მუხლის ჩართვა თავის ფსალმუნში ზედმეტად მიიჩნია. თუ ასეა, მაშინ ათონურ ხელნაწერში მისი შეტანა და საგანგებო ნიშნით გამოყოფა გიორგი მთაწმიდელის რედაქტორული მუშაობის ადრეული ეტაპის ნაკვალევად უნდა მივიჩნიოთ.

ათონურ ხელნაწერში კიდევ ერთი რამ შეიძლება მივიჩნიოთ ძველ ტრადიციებთან კავშირის ნიშნად. ეს არის ტექსტში დიაფსალმათა აღნიშვნა. *ἡ ἀψαλμα*, როგორც ცნობილია, ებრაული *selah* ტერმინის ფარდია (3, გვ. 97). ვეელი, წინათონური რედაქციის ნუსხათაგან იგი სისტემურად შეტანილია „მცხეთის დავითში“. სადაც მას „განსუენება“ ეწოდება. ეს გარემოება საგანგებოდაც არის აღნიშნული. ფს. 2,2 შემდეგ: „დიაფსალმაჲ, რომელ არს განსუენებაჲ“. დიაფსალმის ანუ განსუენების მნიშვნელობაზე ლაპარაკია „მცხეთის დავითის“ „ღანართებში“ (2, გვ. 470). ვრცელი განმარტება დიაფსალმის მნიშვნელობისა მოცემული აქვს ეფრემ მცირეს თავის ფსალმუნთა თარგმანებაში; მას მოჰყავს სხვადასხვა ავტორის აზრი ამ გაუგებარი ტერმინის შესახებ და ბოლოს საკუთარ დასკვნას აკეთებს: „გულისკმა-ვყოფთ დიაფსალმასა შეცვალებად კილოჲსა მგალობელთაჲსა“ (3, გვ. 100).

გიორგისეული რედაქციის ტექსტებში დიაფსალმათა ჩვენებას ჩვეულებრივ არ ვხვდებით (იგი არ არის GH1 ნუსხებში). XI ს. ათონურ ხელნაწერში კი მისი მითითება შესაძლოა ძველი ქართული ტრადიციის ზეგავლენით იყოს გამოწვეული. მეორე მხრივ, ისიც უეჭველია, რომ ამ მითითებაში ბერძნული ზეგავლენაც უნდა ჩანდეს: ამას ამტკიცებს თვით ტერმინი დიაფსალმა ძველი ქართული ვერსიების განსუენების ნაცვლად; გარდა ამისა, ზოგჯერ დიაფსალმა მითითებულია იქ, სადაც იგი წინარეათონური რედაქციის ნუსხებში არ არის ნაჩვენები: ფს. 84,3; 88,5; 88,46. ერთ შემთხვევაში (79,12) დიაფსალმა ხელნაწერში აღნიშნულია ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ და ქართულ წყაროთაგან განსხვავებით.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კანონების აღნიშვნასაც ხელნაწერში. როგორც ცნობილია, ტექსტი გიორგისეული რედაქციის ფსალმუნში ოც კანონად არის გაყოფილი. ამდენივე კანონია ძველ ვერსიებშიც, მაგრამ ძველი, ე. წ. „ქართული“ დაყოფა კანონებად განსხვავდება გვიანდელი, „იერუსალიმური“ დაყოფისაგან, რომელიც გიორგის დროისათვის უკვე საყოველთაოდ მიღებული ხდება (3, გვ. 67). ათონური ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეულ ნაწილში სამი კანონია ნაჩვენები. ესენია: მეათე (ფს. 70—76, ძველი დაყოფით ფს. 68—73), მეთერთმეტე (ფს. 77—84, ძვ. დაყოფით ფს. 74—80), მეთორმეტე (ფს. 85—90; ძვ. დაყოფით ფს. 81—88); ხელნაწერში კანონებად დაყოფა ტექსტისა კი არის სწორად გატარებული, მაგრამ კანონების ნუმერაცია მცდარია — ერთით ნაკლები: იქ, სადაც უნდა იყოს კანონი ი, ნაჩვენებია თ; შესაბამისად ია და იბ კანონთა ნაცვლად ნაჩვენებია ი და ია. რჩება შთაბეჭდილება, რომ გადამწერს ახალი სისტემა კანონებად დაყოფისა ჯერ კიდევ მტკიცედ არ სცოდნია.

XI ს. ათონური № 82 ხელნაწერში და ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებაში მოცემული ფსალმუნის ტექსტის სიახლოვე გვიანდელი ნუსხების ტექსტთან კიდევ ერთი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ გიორგისეული რედაქციის საბოლოო ვარიანტი ადრევე იყო მიჩნეული კანონიკურად. ამავე

დროს ათონურ ხელნაწერში ზოგი რამ, რაც ძველ ტრადიციებთან თანდათანობით კავშირს ამყლავნებს, გიორგი მთაწმიდლის რედაქტორული მუშაობის გარკვეულ ეტაპებზე მიგვანიშნებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955.
2. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ, I, ტექსტი. ძველი ქართული ენის ძეგლები, 11. თბ., 1960.
3. მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979.
4. მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები), საიუბილეო, თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, აბ., 1968.
5. А. Цагарели, Каталог грузинских рукописей и старопечатных книг Иверского монастыря на Афоне. Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, СПб., 1886.
6. R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos, Paris 1932.

М. А. ШАНИДЗЕ

АФОНСКИЙ СПИСОК ПСАЛТЫРИ

Резюме

Псалтырь с Афона, известная до 1981 г. лишь по кратким описаниям А. Цагарели (№ 2) и Р. Блэйка (№ 82), считалась рукописью X века, содержащей текст преафонской, древней редакции. Исследование показало, что список датируется XI веком и содержит текст, отредактированный Георгием Святогорцем. Таким образом, в рукописи представлен самый древний существующий список этой редакции, известной до сих пор по спискам XIII в. и частично (первая половина текста) по толкованию Ефрема Мцире (рк. Q37, 1091 г.). Список дает интересные сведения для истории текста, а также показывает, что в XI веке новое (заменившее бывшее до того в употреблении древнее, «грузинское») деление на кафизмы еще не было полностью утверждено в литургической практике.

დ. კლდიაშვილი

სინის მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის
პორტრეტული გამოსახულებით

სინის მთაზე თავმოყრილ მრავალრიცხოვან ქართულ სიძველეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ფერწერულ ხატს წმ. გიორგისა და ქართველი მეფის გამოსახულებით. სამეცნიერო წრეებისათვის ამ ხატის არსებობა ცნობილი გახდა XIX ს. 50-ან წლებში, როცა არქიმანდრიტმა პორტ-რი უს-პენსკიმ გამოაქვეყნა სინაზე 1845 წლის მოგზაურობის შედეგები. პ. უსპენსკის წმ. ეკატერინეს მონასტერში, წმ. სტეფანეს სახელობის ერთ-ერთი ადრეული ეკლესიის კედელზე უნახავს ძველი ხატი წმ. გიორგისა და ქართველი ბაგრატიონი მეფის გამოსახულებით¹. 1883 წელს ა. ცაგარელს ეს ხატი ადგილზე აღარ დახვდა. მოგვიანებით მან გამოაქვეყნა წმ. გიორგის ხატიდან გადაღებული მეფის გამოსახულების ასლი და ხატის აღწერილობა, რომელიც მისთვის პ. უსპენსკის გადაუცია².

1908 წელს სინის მთაზე იმოგზაურა ვ. ბენეშევიჩმა, რომელმაც სინაელთა მიერ გადაყრილ ძველმანებში სხვა ძვირფას ხატებთან ერთად წმ. გიორგის ხატიც იპოვნა. იგი ძლიერ იყო დაზიანებული. ვ. ბენეშევიჩის დიდი მონღომების მიუხედავად, ხატისათვის ფოტოს გადაღება არ მოხერხდა. 1912 წელს ვ. ბენეშევიჩმა სპეციალური წერილი უძღვნა წმ. გიორგის ხატს ქართველი მეფის გამოსახულებით, სადაც გამოაქვეყნა ხატის აღწერილობა და გამოსახულებების თანმხლები ბერძნული და ქართული წარწერები. ქართულ ტექსტში, რომელიც დაზიანების გამო საკმაოდ ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, მან აღადგინა მეფის ტიტულატურა. ვ. ბენეშევიჩის აზრით, პორტრეტი ეკუთვნოდა დავით აღმაშენებელს (1089—1125). მისი ვარაუდით, იგი შესრულებული უნდა ყოფილიყო დავითის სიცოცხლეში, რაზეც მიუთითებდა ხატის სიძველე და ის გარემოება, რომ მეფის გამოსახულებას შარავანდი არ ჰქონდა³.

XX ს. დამდეგიდან მოყოლებული, ქართველი მკვლევარებისათვის სინაზე დაცული ქართული კულტურის ძეგლების შესახებ (ხატები, ეპიგრაფიკული ძეგლები) ინფორმაციის ერთადერთ წყაროს უტხოველი სპეციალისტების ნაწრომებში დაბეჭდილი ქართული სიძველეების აღწერილობები, ტექსტები და ფოტოები წარმოადგენს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ წმ. გიორგის ხატი,

¹ Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 году архимандрита Порфирия Успенского, СПб., 1856, с. 167.

² А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае: Православный-палестинский сборник. т. IV, вып. I, СПб., 1888, с. 136, 139—140.

³ В. Бенешевич, Изображение грузинского царя Давида Строителя на иконе Синайского монастыря: Христианский восток, т. I, вып. I, СПб. 1912, с. 62—64.

ჩვენი კულტურის ეს შესანიშნავი ძეგლი, სათანადოდ არ არის შესწავლილი და ბოლო ხანებამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

XX ს. 50-ან წლებში გამოქვეყნდა გ. და მ. სოტირიუების ნაშრომი, სადაც სინაზე დაცულ ქართულ ფერწერულ ხატებსაც დაეთმო სათანადო ადგილი. ეს პუბლიკაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რამდენადაც მასში შევიდა ქართული ხატების აღწერილობები და ფოტოები. გ. და მ. სოტიურებმა წმ. გიორგის ხატზე მეფის სახელის აღმნიშვნელ ბერძნულ წარწერაში, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს. I ნახევარში დაზიანების გამო აღარ იკითხებოდა, გააჩიეს ასო **ω** (ომეგა), რომლის საფუძველზეც აღადგინეს ქართველი მეფის სახელი — გიორგი. აღდგენილი სახელის მიხედვით, მათ დაასკვნეს, რომ წარწერაში იხსენიება მეფე გიორგი III (1156—1184)⁴.

კ. ვაიცმანმა, რომელიც 1958—1965 წლებში ალექსანდრიის, მიჩიგანისა და პრინსტონის უნივერსიტეტების მიერ სინის მთაზე მოწყობილ ექსპედიციებში ლეზულობდა მონაწილეობას, 1976 წელს დაიწყო წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიზანტიური ხატების კოლექციის გამოცემა. I ნაკვეთში შევიდა VI—X სს. ხატები⁵. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გამოსულა ამ ნაშრომის II ნაკვეთი, სადაც ქრონოლოგიურად უნდა შევიდეს წმ. გიორგის ხატი ბაგრატიონი მეფის გამოსახულებით.

1972 წელს შ. მესხიამ, დიდგორის ბრძოლის 860 წლისთავისადმი მიძღვნილ ნაშრომში „ძლევამ საკვირველი“, პ. უსპენსკის არქივიდან გამოაქვეყნა სინის მთის წმ. გიორგის ხატიდან გადმოღებული ქართველი მეფის პორტრეტული გამოსახულების ასლი⁶. შ. მესხიამ გაიზიარა ვ. ბენეშევიჩის თვალსაზრისი და ხატზე გამოსახული მეფე დავით აღმაშენებლად მიიჩნია. მანვე ყურადღება მიაქცია დავით IV გამოსახულებების მსგავსებას დავითის სახელით მოჭრილ სპილენძის ფულზე, გელათის ფრესკაზე და სინის მთის წმ. გიორგის ხატზე⁷.

ბოლო ხანებში, როგორც ჩვენთან, ასევე უცხოელ ქართველოლოგებს შორის ინტერესი სინის მთის ფერწერული ხატებისადმი გაიზარდა. ვ. სილოგავამ წერილში „სინის მთის ქართული წარწერები“ აღნიშნა წმ. გიორგის ხატის დიდი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის და მიუთითა მისი შესწავლის აუცილებლობაზე. მისი შენიშვნით, ცხადია, რომ „ხატზე გამოსახული ქართველი მეფის სახელის გარკვევა შესაძლებელია ხატის ადგილზე გულდასმით შესწავლის შემდეგ სპეციალისტების მიერ“⁸. ა. მიქაბერიძემ, რომელსაც საშუალება პქონდა ადგილზე ენახა წმ. გიორგის ხატი და მასზე მოთავსებული ბერძნული და ქართული წარწერები, თბილისის სახ. უნივერსიტეტში წაიკითხა მოხსენება, სადაც, ვარაუდის სახით, მეფის პორტრეტული გამოსახულება გიორგი III (1156—1184) მიაკუთვნა.

⁴ Γ. και Μ. Σωτηρίου, *Εισοδος της Μονης Συνα, Τ. Ι, Αθήναι*, 1958, გვ. 131—132.

⁵ K. Weitzmann, *The Monastery of Saint Catharine at Mount Sinai. The Icons. Volume One: From the Sixth to the Tenth Century*, Princeton, 1976.

⁶ ვ. ბენეშევიჩის აღნიშვნით, პ. უსპენსკის მიერ გადმოღებული ასლი არც თუ ისე ზუსტია, ხოლო ამ ასლის მეორე ცალი, რომელიც ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა, საერთოდ უვარგისია (В. Бенешевич, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 63).

⁷ შ. მესხია, *ძლევამ საკვირველი*, თბ., 1972, გვ. 162 (სურათების აღწერილობა).

⁸ ვ. სილოგავა, სინის მთის ქართული წარწერები, *ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“*, 1984. X. 9, გვ. 11.

1986 წელს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ V საერთაშორისო სიმპოზიუმზე (პავია, იტალია) დულა მურიკიმ (ათენი) წარმოადგინა მოხსენება „სინის მთის მონასტრის ხატი ქართველი მეფის პორტრეტით“. მან, გ. და მ. სოტირიუების მიერ აღდგენილი მეფის სახელის, კოსტუმებისა და სხვადასხვა დეტალების შესწავლის საფუძველზე, ხატი XIII ს. დასაწყისით დაათარაღა, საერო პირის გამოსახულება კი ლაშა-გიორგის (1213—1223) პორტრეტად მიიჩნია⁹. 1987 წლის გაზაფხულზე ქალბატონმა მურიკიმ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში გამოგზავნა წმ. გიორგის ხატის ქართული წარწერის სლაიდი და ფოტო, თხოვნით, რათა დაგვედგინა წარწერის შინაარსი. ფოტო საკმაოდ კარგი ხარისხის გამოდგა, რაც წარწერის ამოკითხვის საწინდარი გახდა. ქართული წარწერის ამოკითხვას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სინის მთის ხატზე გამოსახული ქართველი მეფის პორტრეტის დასადგენად.

წმ. გიორგის ხატი ქართველი მეფის პორტრეტით ძველი ქართული დაზგური ფერწერის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია (სურ. 1). იგი შესრულებულია ტილოზე, რომელიც, ვ. ბენეშევიჩის გადმოცემით, 30 მმ-ის სისქის დაფაზე ყოფილა დაკრული. ხატი საღებავის ფენის აცვენის გამო ჯერ კიდევ XIX ს. დამდგეს ძლიერ ყოფილა დაზიანებული. ვ. ბენეშევიჩი ამის შესახებ სინანულით აღნიშნავდა: „Можно быть уверенным, что братия монастыря (იგულისხმება წმ. ეკატერინეს მონასტერი—დ. კ.) приумножит число найденных икон и приведет их в надлежащий вид, так как имеется в виду устроить настоящий иконографический музей в одной из приделов главного храма; но одна из самых замечательных икон, изображающая грузинского царя Давида Строителя, начала разрушаться на моих глазах, и, вероятно, теперь уже от нее осталось немного“¹⁰. ხატის ზომა—65×50 სმ. მასზე მარცხენა მხარეს სრული ტანით წმ. გიორგია გამოსახული, რომელსაც ვედრების ნიშნად ხელები აქვს აპყრობილი ხატის ზედა ნაწილში გამოსახული მაცხოვრისაკენ¹¹. წმ. გიორგის ფიგურის მარცხნივ, მის თავთან, არის ასომთავრულთ შესრულებული ბერძნული წარწერა: Ἡ ΕΥΧΑΡΙΣΤΙΑ ΤΩ ΓΕΩΡΓΙΩΣ (წმინდა გიორგი). მარჯვნივ წარმოდგენილია ძვირფას ბიზანტიურ ტანსაცმელში გამოწყობილი გვირგვინოსანი მეფე, რომელსაც მარჯვენა ხელში ლაბარუმი უჭირავს, მარცხენაში—გრაგნილი. გამოსახულებას ახლავს ბერძნული ასომთავრული წარწერა. მეფის ფიგურის მარჯვენა მხარეთან, სადაც, ვარაუდით, მეფის სახელი უნდა ყოფილიყო აღნიშნული, საღებავის ფენის აცვენის გამო წარწერა აღარ იკითხება, ხოლო გაგრძელებაზე, მარცხენა მხარეთან ვკითხულობთ: ΠΙΣΤΟ[?] ΒΑΣΙΛ[?] ΠΑΣ[?] ΑΝΑΤΟΛ[?] Ο ΠΑΓΚΡΑΤΟΝΙΑΝΟΣ(მორწმუნე მეფე ყოვლისა აღმოსავლეთისა ბაგრატიუნისანი)¹². ხატის შუაში, წმ. გიორგისა და მეფის გამოსახულებებს შორის, მხრებისა და წელის დონეზე, მოთავსებულია ბერძნული წარწერა. ოქროსფერი მელნით, XI—XII სს. ნუს-

⁹ კ. მაჩაბელი, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი V საერთაშორისო სიმპოზიუმი (პავია-მონასტერი „ტორბა“), საბჭოთა ხელოვნება, 1987, I, გვ. 108.

¹⁰ Памятники Синая. археологические и палеографические, вып. I, под ред. В. Н. Бенешевича, Л., 1925, с. IV.

¹¹ ვ. ბენეშევიჩის აღწერით, ქრისტე გვირგვინს გადასცემს მეფეს (В. Бенешевич, Изображение грузинского царя Давида Строителя..., გვ. 64); ხატის დაზიანების გამო ეს სცენა სოტირიუების მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე აღარ შეიმჩნევა, მასზე არც ხატის აღწერილობაშია რაიმე ნათქვამი (Г. και Μ. Σατηγιο, დასახ. ნაშრომი, I, 1956, № 152; II, 1958, გვ. 131).

¹² В. Бенешевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

სურით შესრულებული აოსტრიქონიანი ბერძნული წარწერა, რომელსაც მენტებილაა მოღწეული, თარგმანისა და კომენტარების გარეშე გამოსცა ვ. ბენეშევიჩმა¹³. მოღწეული ფრაგმენტების მიხედვით ბერძნული და აქვე, ქვემოთ




სურ. 1. სინის მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტით

მოთავსებული ქართული წარწერის ტექსტი არ არის ერთგვაროვანი. ვ. და მ. სოტირიუების აზრით, იგი უნდა წარმოადგენდეს მაცხოვრისადმი ვედრებას¹⁴.

¹³ В. Бенешевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

¹⁴ Г. xაი М. Сау qყ: იუ, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.


მე-2 სტრიქონი იწყება საზედაო Σ -ანით, რომლის მომდევნო გრაფემები ან ცუდად მოსჩანს, ან საერთოდ აღარ გაირჩევა. რამდენადმე უცნაურია სტრიქონის დასასრული, სადაც [-| π ~ η ~ ρ |-] ასოების შემდეგ, რომლებსაც თავზე ქარაგმის ნიშანი უზით, შეინიშნება ρ გრაფემები. ვ. ბენეშევიჩი ρ ასოების ადგილას კითხულობდა μ და π გრაფემებს, რომლებიც ნუსხურში ზედა ორ ხაზს შორის თავსდება, ამდენად, ისინი თავისი გრაფიკული მონახულო-



სურ. 2. ქართული წარწერა სინის მთის წმ. გიორგის ხატზე (ფოტო)

ბის მიხედვით არ შეიძლება აირიოს ქვედა ორ ხაზს შორის მოთავსებულ ρ და π გრაფემებთან. დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ ეს ასოები მე-2 სტრიქონის ქვევით არის მოთავსებული და ადგილზე არ ჯდება. ჩნდება ეჭვი, რომ ρ ასოები ეკუთვნის პირველი სტრიქონის ამჟამად დაზიანებულ მონაკვეთს,

სადაც ვ. ბენეშევიჩი კითხულობდა სიტყვას მარტვლო¹⁸. მიუხედავად იმისა, რომ წაკითხვის ეს ვარიანტი უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, შეიძლება სხვა რაოდენი დაშვებაც. თუ ბოლოდან მეორე ასოს წავიკითხავთ უ-ხანად და არა უ-ტარად, მაშინ ფრაგმენტი უ[-|უჟ[...]] ქარაგმების გახსნისა და აღდგენის შემდეგ შეიძლება წავიკითხოთ, როგორც მახული მესიისა||მესიის მახული. ქრისტიანობის მცველის ეს ეპითეტი პირველად დავით აღმაშენებლის დროს მკვიდრდება ქართველ მეფეთა ტიტულატურაში¹⁹. ტექსტის აღდგენის ეს ვარიანტი იმდენადაცაა დასაშვები, რამდენადაც წარწერა სწორედ დავით აღმაშენებელს ეკუთვნის. მიუხედავად ზემოთქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფო-



სურ. 3. ქართული წარწერა სინის მთის წმ. გიორგის ხატზე (მონახაზი).

ტო ამგვარი დაკვირვებისათვის არ გამოდგება და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მხოლოდ თვით ხატის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამგვარად, მეორე სტრიქონის აღდგენა არ ხერხდება, იგი შემდეგნაირად უნდა წავიკითხოთ: უ[-|უჟ[---]] ყა[---]რუ უ[-|უჟ(sic)---]შ[-|---]ბ[---]ლ[---]ე მ[-]ტ[---]ც(sic).

წარწერაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-3 და მე-4 სტრიქონები, სადაც მოცემულია ხატზე გამოსახული მეფის ტიტულატურა და, სავარაუდოა, სახელიც. მოღწეული ფრაგმენტების მიხედვით ტექსტი შემდეგი სახისაა: უ[-|---]რ[---]ქრ[---]სტი[---]ანობის[---]მცველის[---]ეს[---]ეპითეტი[---]პირველად[---]დავით[---]აღმაშენებლის[---]დროს[---]მკვიდრდება[---]ქართველ[---]მეფეთა[---]ტიტულატურაში[---]. ამ სტრიქონებს ვ. ბენეშევიჩი შემდეგნაირად აღადგენდა: დ[-|---]ქარ[---]თ[---]ლოთ[---]ა და[---]ს[---]ომესთა და[---]რანთა[---]ამე[---]ლს[---]. როგორც ვხედავთ, ვ. ბენეშევიჩის მე-3 სტრიქონის დასაწყისში უ-დონის შემდგომ გამოტოვებული აქვს 4 ასო,

¹⁸ ეს შეიძლება გამოიწვიოს ხატის ფერწერული ფენის გასამაგრებლად ჩატარებულმა სამუშაოებმა. სინის მთაზე, ვ. ბენეშევიჩის შენიშვნით: „Фотографирование икон часто очень было затруднено, благодаря тому, что они были покрыты лаком для предохранения их от разрушения, а некоторые сильно покорибились“—Памятники Синая, археологические и палеографические,“ გვ. IV.

¹⁹ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 70—73; მისივე, Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия: Эпиграфика Востока, XII, 1958, с. 39—47.



შემდეგ კი აღადგენს ტექსტს: ქართლ[ა და] ს[ომეხთა და]. თუ გავითვალისწინებთ, რომ Ծ-დონის შემდეგ გამოტოვებულია 7 ასო და არა 4, მაშინ მის მიერ აღდგენილი მე-2 სტრიქონი ტექსტის სხვა სტრიქონებთან შედარებით შეუფერებლად გრძელი გამოდის. საეჭვოდ გამოიყურება ვ. ბენეშევიჩის მიერ შემოთავაზებული მეფის ტიტულატურის აღდგენაც, რამდენადაც მასში ჩამოთვლილი სამფლობელოების თანმიმდევრობა: „ქართველთა, და სომეხთა, და რანთა, ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება და არც ისტორიულ წყაროებშია დადასტურებული.

მე-3 და მე-4 სტრიქონებიდან სრულად შემორჩენილია მხოლოდ მეფის ტიტულატურის ფრაგმენტები ქართველთა მე-3 სტრიქონის ბოლოს და რანთა მე-4 სტრიქონის დასაწყისში. ქართველ მეფეთა ტიტულატურის ფორმულაში სამფლობელოები ჩვეულებრივ გარკვეული თანმიმდევრობით არის ჩამოთვლილი, რამდენადაც იგი ასახავს საქართველოს სახელმწიფოებრივი ზრდა-გაერთიანების ისტორიულ პროცესს. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეები აფხაზთა და ქართველთა მეფეებად იწოდებოდნენ და ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდნენ. ქართველ მეფეთა ტიტულატურამ დასრულებული სახე დავით აღმაშენებლის დროიდან მიიღო. დავითის დროს აფხაზთა და ქართველთა მეფეს დამატა რანთაჰქერთა, კახთა და სომეხთა მეფის წოდება. სავარაუდოა, რომ მის მეფობაშივე შევიდა ტიტულატურაში შარვანშასა და შაპანშას ტიტული²⁰. მე-3 სტრიქონის დასაწყისში დაწერილ სახედაო Ծ-დონსა და ქართველთა-ს შორის დაზიანების გამო არ იკითხება დაახლოებით 7 ასო. ბუნებრივია, რომ ქართველთა-ს წინ უნდა აღვადგინოთ აფხაზთა, მითუმეტეს, რომ ქართველთა-ს წინ -ანის კვალი შეიმჩნევა.

მე-3 სტრიქონი, როგორც აღვნიშნეთ, სახედაო Ծ-დონით იწყება. ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ხატების წარწერებში და ხელნაწერების მინაწერებში საკუთარი სახელები ხშირ შემთხვევაში დაქარაგმებული იყო და სახედაო ასოებით იწერებოდა. ვფიქრობთ, რომ გამონაკლისს არც ჩვენი ხატის წარწერა წარმოადგენს. ასევე ნიშანდობლივია, რომ მეფის სახელი ჩვეულებრივ იწერებოდა ტიტულატურის თავში ან ბოლოში. სახედაო Ծ-დონი, რომელიც წარწერაში ტიტულატურის თავშია მოთავსებული, საკუთარი სახელის აღმნიშვნელი პირველი ასო უნდა იყოს, რომელსაც ჩვენ დავითად აღვადგენთ. ტექსტში სახელი დავით დაქარაგმებულად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი — Ծ[თ].

ამრიგად, მე-3 სტრიქონი ამგვარად გაიმართება: Ծ[თ *აფხუხთ*]ქ *ჩ* *ჩ* *ჩ* [თ] [ჟჟ] [თთ] [უ] — დ[(ავით) აფხაზთა, ქართ[ველ]ლთ[ა]]. მე-4 სტრიქონი იწყება სიტყვით რანთა, შემდგომ დაზიანების გამო არ იკითხება დაახლოებით 3—4 ასო, გაირჩევა თ-თანის მუცელი, -ანი და ასოების კომპლექსი *შ* *ლ* *ა* *კ* [---] *ლ* *ქ* *ლ*, რომელსაც ცალკე სიტყვად მივიჩნევთ. სტრიქონში ტექსტის დაზიანებულ ადგილებს აღვადგენთ აზრობრივად, მეფის ტიტულატურისა და გამოტოვებული ასოების გათვალისწინებით: *ძ* *ჩ* *ჩ* *ლ* *ა* *კ* [---] *ლ* *ქ* *ლ* — რანთა [კახ]თა მპყ[რ(ო)ბ(ე)]ლსა.

²⁰ [მ. ლორთქიფანიძე, თურქ-სელჯუკების განდევნა. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 254—258; ს. კაკაბაძე, არსენი ჭყონდიდელის ახლად მოპოვებული სიგელი 1240 წლის ახლო დროისა: საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 128—129.



და კახთა მეფის წოდება ქართველ მეფეთა ტიტულატურაში სწორედ აღმაშენებლის დროიდან შემოდის და უკავშირდება 1104 წელს კახეთის სამეფოს გაუქმებას. ამ ტიტულით იხსენიება დავითი 1104—1118 წწ-ით დათარიღებულ ნიანია ნიანისაძისათვის მიცემულ შეუვალობის სიგელში (აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფე)²³, 1105 წლის რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის სათაურსა და შესხმაში (აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თვითმპყრობელი||მეფე)²⁴, გელათის ჯვრის წარწერაში (დავით აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე, მზე ქრისტეანობისაჲ)²⁵ და არსენი მონაზონის ანდერძში ანდრეა კრიტელის გალობანის მესამედ თარგმნის შესახებ (დავით აფხაზთა და ქართველთა და რანთა და კახთა მეფე)²⁶. 1118 წელს ლორეს დაპყრობის შემდეგ, დავითმა სომეხთა მეფის წოდება მიიღო. რაც, რასაკვირველია, აისახა მის ტიტულატურაში. აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფედ იწოდება დავითი მისი სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტის ზედწერილსა²⁷ და ხობის საწინამძღვრო ჯვრის წარწერაში²⁸. რაც შეეხება დავითის შემდგომი მეფეების (მათ შორის გიორგი III და ლაშა-გიორგის) ტიტულატურას, იგი უფრო ვრცელია (აფხაზთა, ქართველთა, რანთა||ჰერთა, კახთა და სომეხთა მეფე, შარვაწა და შაჰანწა და აღმოსავლისა და ჩრდილისა მფლობელი||ფლობით მპყრობელი).

ამრიგად, ქართულ წარწერაში წარმოდგენილი ტიტულატურის მიხედვით წმ. გიორგის ხატზე დავითის პორტრეტული გამოსახულება შესრულებული უნდა იყოს 1104—1118 წლებში. ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ ხატზე გამოსახულია საკმაოდ ახალგაზრდა გვირგვინოსანი მეფე, ხოლო დავითმა რანთა და კახთა მეფის ტიტული მიიღო 1104 წელს, მივიჩნევთ, რომ ხატი შესრულებულია 1104 წლის ახლო ხანებში, როცა დავითი დაახლოებით 30 წლისა იქნებოდა²⁹.

წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის გამოსახულებით ერთ-ერთი დადასტურებაა იმ დიდი მზრუნველობისა და ღვაწლისა, რომელიც მას საქართველოს გარეთ არსებული ქართული კერების მიმართ გამოუჩენია. დავითის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა „...ლაგრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თუსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კუპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი,

²³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IX—XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 50.

²⁴ ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1973, გვ. 17—18.

²⁵ ე. თაყაიშვილი, დავით აღმაშენებლის ერთი წარწერის წყითხვისათვის; საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 10, № 8, 1949, გვ. 635—642.

²⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია, II, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ც. ჭანკიევმა და ლ. ჯღამაიამ, თბ., 1979, გვ. 46; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საილუმო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 38—39.


²⁷ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 65—66; მისივე, ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 64.

²⁸ თ. საყვარელიძე, XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 13—14.

²⁹ დავითის ისტორიკოსის ცნობით, 1089 წელს ტახტზე ასვლის მომენტში დავითი 16 წლისა ყოფილა (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 324).

აღვსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესაჲსა და მყოფნი იერუსალემისანი თუთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა კუალად უშორესცა ამათსა. რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა³⁰. დავითს სხვა მრავალ შეწირულობათა შორის სინას მთაზე გაუგზავნია „წიგნები საეკლესიო“. შესაძლებელია ერთ-ერთი ამ წიგნთაგანია სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული მარხვანი (Sin 70). საყურადღებოა, რომ ხელნაწერის ანდერძის მიხედვით, ხელნაწერში შესული ანდრეა კრიტელის ვალობანი არსენი რონაზონს უთარგმნია დავით აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფის ბრძანებით³¹. დავითის ტიტულატურის მიხედვით, ვფიქრობთ, რომ თარგმანი განეკუთვნება იმავე პერიოდს, რა დროსაც წმ. გიორგის ხატია შესრულებული. სინის ქართული ხელნაწერების კოლექციას შემოუნახავს დავითის მიერ სინაზე გაგზავნილი კიდევ ერთი ხელნაწერი (Sin 10). იგი წარმოადგენს გიორგი მთაწმინდლის რედაქციის საწელიწადო სამოციქულოს და თარიღდება XI საუკუნით. ხელნაწერი განსაკუთრებით ძვირფასია ქართული კულტურისათვის, რამდენადაც ბოლოში დართული მხედრული შესრულებული მინაწერი დავით აღმაშენებელს უნდა ეკუთვნოდეს:

„ქ. მე, დავით უნარჩევსმან მონამან ყოელთა მონათა ქრისტესთამან, განვგზავნე წიგნი ესე მთას წმინდას სინას, ვინც იხმარებდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთ[უ]ინა³². მინაწერის შინაარსობრივი და პალეოგრაფიული მხარე გვაძიქრებინებს, რომ იგი დავით აღმაშენებლის ავტოგრაფიაა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დავითის ისტორიკოსის ცნობას დავითის მიერ სინაზე საეკლესიო წიგნების გაგზავნის შესახებ.




სურ. 4. დავით აღმაშენებლის დამტკიცება 1123/1124 წწ. მღვიმისადმი მიცემულ ანდერძზე.

³⁰ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352—353.
³¹ იოსელიანისა და მ. ჯანაშვილის მიხედვით, დავითის მიერ სინის მთაზე აგებული ეკლესია წმ. ეკატერინეს სახელობისა ყოფილა (П. Иоселиани: Краткая история грузинской церкви, СПб, 1843, с. 76; Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866, с. 66; მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, ტფ., 1886, გვ. 79). ლ. მენაბდის სამართლიანი შენიშვნით, ეს მოსაზრება მიუღებელია და არც ისტორიული წყაროებით დასტურდება (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 316).
³² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვ. III, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს რ. გვარამია, ელ. მეტრეველმა, ც. ქანკიევმა, ლ. ხევსურიაძემ, თბ., 1987, გვ. 32—Sin. 10, 265v.

„აღწერილობაში“ მინაწერი XIII—XIV სს-ით არის დათარიღებული. ჩვენი აზრით, იგი





სინის ქართული კერისადმი დავითის დიდ დამსახურებაზე მეტყველებს აგრეთვე სინის მთის სულთა მატთანე, რომლის სრული სახელწოდებაა: „მო-საქსენებელი და მატთანე პატიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარე-ბულისა სინისაჲ“. მატთანე ეკუთვნოდა სინის წმ. ეკატერინეს მონასტერს, რო-



სურ. 5. დავით აღმაშენებლის ავტოგრაფი სინური კოლექციის ხელნაწერზე.

მელიც სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების მინაწერებში იწოდებოდა მაყლოვანის ღმრთისმშობლად ან სინის მონასტრად³³. სამწუხაროდ ეს ძეგლი ჯერჯერობით არ არის სათანადოდ შესწავლილი. ა. ცაგარელი მას XIV—XV სს.

პალეოგრაფიულად XII საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს. მინაწერი, რომ სწორედ დავით აღმაშენებლის ავტოგრაფს წარმოადგენს, ამაზე მეტყველებს ხელის მსგავსება დავითის დამ-ტაციების ხელთან 1123/1124 წწ. მღვიმისადმი მიცემულ ანდერძზე. აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის ხელწერისათვის ნიშანდობლივი მანი  და დონი  ასო-

ების მოხაზულობა დამახასიათებელია ორივე მინაწერისათვის (სურ.: 4, 5).

³³ მატთანის XVI ს. მხედრულით შესრულებული ერთ-ერთი მოსახსენებელი სწორედ მაყლოვანის ღმრთისმშობლის სახელზეა დადებული (ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 244, Sin. 77, 198r).

მაყლოვანის ღმრთისმშობელში იგულისხმება ელენე დედოფლის მიერ ბიბლიური შე-უწყველი მაყვის ადგილზე აგებული ღმრთისმშობლის სახელობის პატარა ეკლესია, რომე-ლიც 548—565 წლებში იუსტინიანეს მიერ აგებულ ბაზილიკაში მოქცა. X საუკუნეში, არა-უგვიანეს XI საუკუნისა, ღმრთისმშობლის სახელზე აგებულ ამ მონასტერში წმ. ეკატერინეს მთიდან წმ. ეკატერინეს ნაწილები გადმოიტანეს, რომელიც მონასტრის მფარველი წმინდანი



ათარიღებდა³⁴, მათიანის სრული ტექსტის გამოცემა ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილი
 შვილს³⁵. მათიანის ძირითადი ფენა, დაწერილი წვრილი მწიგნობრული ხუს-
 ხური ხელით, მასში შესული ერთ-ერთი მოსახსენებლის მიხედვით, ელია-ყო-
 ფილი ელისე ჩიდანისძის მიერ უნდა იყოს დაწერილი³⁶. ტექსტის ეს ნაწილი,
 რომელიც ძირითადად XIII—XV სს. ისტორიულ პირთა მოსახსენებლებს შე-
 იცავს, მასში მოხსენიებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამების იოსების
 (XIV ს. მიწ. — XV ს. დამდ.), პიმენ მაწყვერელის (XV ს. 10-იანი წწ.)³⁷, ივანე
 (1391—1444) და აღბულა II (1444—1451) სამცხის ათაბაგების³⁸ და ზედგო-
 ნისძეთა სახლის³⁹ მოსახსენებლების მიხედვით, XV ს. II მეოთხედში უნდა მი-
 ვიჩნოთ შედგენილად. რაც შეეხება მათიანის შემდგომდროინდელ შემავსე-
 ბელთა სხვადასხვა ხელით შესრულებულ ჩანამატებს, მათი ზედა ქრონოლო-
 გიური ზღვარი, ყვარყვარე III ათაბაგისა (1516—1535) და მისი ძეების — მხე-
 ჭაბუკის (†1535) და ქაიხოსრო II ათაბაგის (1545—1573) მიხედვით, XVI ს.
 შუახანებით უნდა განისაზღვროს⁴⁰. მათიანის ძირითად ფენაში სხვადასხვა

გახდა და მონასტრმაც წმ. ეკატერინეს სახელწოდება მიიღო (J. Galey, Sinai und das
 Katharinenkloster (Einführung Georg H. Forsyth, Kurt Weizmann), Stuttgart, 1983,
 S.14). მიუხედავად ამისა, მონასტერი ისტორიულ წყაროებში XIV ს-მდე მხოლოდ წმ. მა-
 რიამის ან ღმრთისმშობლის სახელით იწოდებოდა. კ. კოენელის გამოკვლევით, ამ მხრაც
 საინტერესო სურათს გვიჩვენებს სინის გამოსახულებების განვითარება შუა საუკუნეების რუ-
 კებზე და პილიგრიმულ ხელნაწერებში. ადრეული მაგალითების მიხედვით, ამ ძეგლებში სინა
 გამოისახებოდა მხოლოდ სინის მთის სქემატური გამოსახულების სახით; XIV ს. დასაწყისიდან
 წმინდა ადგილი უკვე მთის გამოსახულებისა და წმ. ეკატერინეს ბაზილიკის სახითაა წარ-
 მოდგენილი, ხოლო XVI ს. დასაწყისისათვის წმ. ეკატერინეს მონასტერი პირველად გვხვდება
 წმინდა ადგილის სიმბოლოდ, რომელმაც XVI—XVIII სს-ში ცენტრალური ადგილი დაიკავა
 სატებისა და პილიგრიმული ილუსტრაციების იკონოგრაფიაში (G. Kühnel, Die „Ikone des
 Sinai—Klosters“ und verwandte Pilgerillustrationen, Oriens Christianus, Bd. 65, 1981,
 S. 201—218).

ვფიქრობთ, რომ ზემოთქმული გარემოებები კარგად ხსნიან სინური კოლექციის ქართული
 ხელნაწერების X—XVI სს. ანდერძ-მინაწერებსა და მათიანეში სინის მონასტრის წმ. ეკატე-
 რინეს სახელით მოუხსენებლობის ფაქტს.

XVII—XVIII სს. ისტორიულ წყაროებში სინის მონასტერი უკვე წმ. ეკატერინეს სახე-
 ლით არის დადასტურებული. ასევე ცნობილია, რომ თბილისში არსებობდა სინის მთის მონ-
 ასტრის მეტოქე წმ. ეკატერინეს სახელობის ეკლესია, რომლის დაარსებასაც პ. იოსელიანი ვა-
 რაულობდა XI ს-ში დავით აღმაშენებლის მიერ (П. Иоселиани, Описание древностей
 города Тифлиса, с. 66—67). სამწუხაროდ, პ. იოსელიანის მიერ დასახელებული ადრეული
 წყაროების შემოწმება ამ ეკლესიის შესახებ არ ხერხდება.

³⁴ А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 218; Памятники Синая, археологические и
 палеографические, გვ. LY.

³⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 241—251.

³⁶ ელია ჩიდანისძე იხსენიება სინური კოლექციის სხვა ხელნაწერების მინაწერებშიც
 (Sin. 6, 223v; Sin. 96, 166v, 301v). იგი გვევლინება ხელნაწერის Sin. 76-ის ერთი ნაწილის
 გადამწერად (Sin. 76, 130v) — იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია,
 ნაკ. III, გვ. 131, 147, 169.

³⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, Sin. 77, 196r, გვ. 248; ე. მეტრეველი,
 მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII). თბ., 1962, გვ.
 33—37.

³⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, Sin. 77, 196r, გვ. 243.

³⁹ იქვე, Sin. 77, 195v; ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს-ში,
 მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. I, 1937, გვ. 5.

⁴⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 241 — Sin. 77, 192r.



დროს შესული მოსახსენებლები უმეტეს შემთხვევაში გაერთიანებული ქრისტიანული პრიციპის მიხედვით ნაკვეთებად, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია სათაურით — „მოჯსენებისათვის და განსვენებისათვის“. ტექსტში პირველი ორი ნაკვეთი მეფეთა მოსახსენებლებს ეთმობა⁴¹. პირველ ნაკვეთში, მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასალის მოსახსენებლების შემდგომ, ძირითადი ტექსტის ხელით, მაგრამ ხაზგასმით გამორჩეული მსხვილი ნუსხური ასოებით შეტანილია დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი: „ს(უ)ლსა მეფისა დავით აღმაშენებელი სსსა შე(უ)ნდოს ღ(მერთმან)⁴². დავითის მოსახსენებელი, ამავე ნაკვეთში შესული პროვინციის მეფეების (მელქიზედეცი, ანდრონიკე) მოსახსენებლების მიხედვით, XIV ს. I ნახევარში უნდა იყოს შესული მათიანიში. ამაზე მიუთითებს აგრეთვე დავითის აღმაშენებლად მოხსენიება, ვინაიდან იგი სწორედ XIV—XV საუკუნეებიდან იწოდება ამგვარად. ის ფაქტი, რომ სინის მთის სულთა მათიანიში შეტანილია დავითის მოსახსენებელი, რომელიც მათიანის ძირითადი ტექსტის სხვა მოსახსენებლებსაგან განსხვავებით გამორჩეული სიდიდის ასოებითაა შესრულებული, უდაოდ უნდა მიუთითებდეს სინის მთის ქართული კოლონიისადმი მის დიდ დამსახურებაზე და ადასტურებდეს დავითის ისტორიკოსის ცნობას დავითის მიერ სინაზე მონასტრის აშენების შესახებ⁴³.

სამწუხაროდ, ცნობების უქონლობის გამო არ ვიცით თუ რომელი მონასტერი ააშენა სინას მთაზე დავითმა. საკითხის გარკვევა იმითაც ძნელდება, რომ გაურკვეველია სინაზე არსებული ქართული ეკლესიების რაოდენობა, ასევე არ ვიცით თუ რომელი წმინდანის სახელზე იყო აშენებული ესა თუ ის ეკლესია. სინის მთის ქართული სავანეების შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ცნობებია დაცული პ. უსპენსკის ჩანაწერებში. ა. ცაგარელი, რომელსაც პირადი ურთიერთობა ჰქონდა პ. უსპენსკისთან, აღნიშნავს, რომ სინის მთის ქართული

ლ. ხეცსურთანის დაკვირვებით, მათიანის ყველაზე გვიანდელი მხედრულით შესრულებული მოსახსენებლების ავტორია მარკოზი, რომელიც XVI ს. I ნახევრის მოღვაწე ჩანს — იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია. III, გვ. 169.

41 ე. გეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—11.

42 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, Sin. 77, 193v, გვ. 242.

43 სინის ქართული პილიგრიმული გრაფიტებიდან ყურადღებას იპყრობს ვაიძ პავლეში აღმოჩენილი ასომთავრულით შესრულებული წარწერა, რომელშიც დავით მეფე იხსენიება:

ქს**ი**გ**ქ** **2**გ**2**ნ**ი**გ**ი** — **ქ**(რისტე), **შ**(ეიწყალ) **მ** **მ**(ე)ფ(ე) **და**ვ(ი)თ. მ. ვან ესბროკის მიხედვით, წარწერის ტექსტის წაკითხვა რამდენადმე საეჭვოა, პალეოგრაფიულად იგი XIV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს (Stone M., The Armenian Inscriptions from the Sinai. With Appendixes on the Georgian and Latin Inscriptions by M. van Esbroeck and W. Adler, 1982, pp. 175—176). რასაკვირველია წარწერაში მოხსენიებულ დავით მეფეს დავით აღმაშენებლად ვერ მივიჩნევთ. გამორიცხული არაა, რომ გრაფიტი ეკუთვნის დავით VIII (1290—1311) ან დავით IX (1346—1360), მიუთმეტეს, რომ ეს მეფეები იხსენიებიან სინის სულთა მათიანის მეფეთა მოსახსენებლებში (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, Sin. 77, 193v, გვ. 242). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ XIV ს-ის დამდეგიდან საქართველოს მეფეებს აქტიური ურთიერთობა აქვთ ეგვიპტის მამლუქ სულთანებთან, დავით VIII და დავით IX დამსახურება იერუსალიმის ქართული კოლონიის წინაშე კი კარგად არის ცნობილი (ე. გეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, 97, 105, 106; ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის; ქართული წყაროთმცოდნეობა, თბ., 1968, გვ. 92—103; გ. ჯაფარიძე, ქართველები იერუსალიმში, ახლად მიკვლეული არაბული დოკუმენტების შექმნე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1985, II, 15., № 7, გვ. 14—15; XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავალი შენიშვნები და საძიებლებე დაუთმო დ. გოჩალეიშვილმა, თბ., 1938, გვ. 33—50).

ეკლესიების შესახებ საუბრისას „Пресвященный (პ. უსპენსკი — დ. კ.) для этого описания черпает свой сведения большею частью из Синайского Патерика и из Синайских летописей Иоанна Мосха и Нила Египетского“⁴⁴. პ. უსპენსკის ცნობით, სინაზე ქართველებს ჰქონდათ ოთხი ეკლესია: ელიას ეკლესია — ქორების მთაზე, ღმრთისმშობლისა და ვიქტორიანისა და ვიქტორიანისა — ქორებისა და ეკატერინეს მთებს შუა და სებასტიელ მოწამეთა — ლეჯის ველზე აქ ჩამოთვლილი ეკლესიებიდან პ. უსპენსკი დავით აღმაშენებელს უკავშირებს ელია წინასწარმეტყველის, ღმრთისმშობლისა და სებასტიელ მოწამეთა ეკლესიების აშენებას. მისი აზრით. დავითის დროს უნდა იყოს გადაკეთებული პეტრე-პავლეს ეკლესია⁴⁵. ა. ცაგარელმა, რომელმაც 1883 წელს იწახულა აქ დასახელებული ზოგიერთი ეკლესია, გაიზიარა პ. უსპენსკის აზრი სინის ქართული ეკლესიების შესახებ და მიიჩნია, რომ ქართველებს აგრეთვე ეკუთვნოდათ წმ. ეკატერინეს მონასტერში იოანე ღვთისმეტყველისა და გიორგი მთავარმოწამის ეკლესიები⁴⁶.

XIX ს. მოგზაურთა ცნობების უტყუარობას სინის მთის ქართული ეკლესიების შესახებ ნაწილობრივ ადასტურებს სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების ქართულ-არაბული მინაწერები, სადაც იხსენიება სინის ქართულ კოლონიასთან დაკავშირებული შემდეგი ადგილები: 937 წ. — მაყლოვანის მონასტერი (ა. ცაგარელი, № 55), XV—XVI სს. — მაყლოვანის ღმრთისმშობელი (Sin.: 70, 72, 76, 77); 984 წ. — სინაწმინდა (Sin. 6), XIII—XIV სს. — ქართველთა ეკლესია (Sin.: 17, 77, 96), 978 წ. — საყოფელი წმიდისა მოსტისი (Sin. 15), 1076 წ. — ეკლესიაჲ მოსესი (Sin. 19), X ს. — სინას წმ. იოვანეს ქართველთა ეკლესია (ა. ცაგარელი, № 84), XII—XIII სს. — სინას მონასტერს გიორგი მთავარმოწამის ეკლესია (Sin.: 69; 74, არაბ. მინაწერი), XII—XIII სს. — სინის მთაზე, ქორებში, ღვთისმშობლისა და წმ. ილიას ეკლესიები (Sin. 81, არაბ. მინაწერი)⁴⁷. ამრიგად, პ. უსპენსკისა და ა. ცაგარელის მიერ ჩამოთვლილი ქართველთა ექვსი ეკლესიიდან სინური კოლექციის ხელნაწერების ქართულ და არაბულ მინაწერებში დასტურდება ოთხი, რაც თავისთავად მათი ცნობების სანდოობაზე მიუთითებს, ესენია: წმ. იოვანეს სახ. ქართველთა ეკლესია (X ს.), სინას მონასტერს წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესია (XII—XIV სს.), ღმრთისმშობლისა და წმ. ილიას ეკლესიები სინის მთაზე, ქორებში (XII—XIII სს.).

როგორც ზემოთ აღინიშნა, პ. უსპენსკიმ სინაზე დასახელებული ოთხივე ეკლესია დავით აღმაშენებელს დაუკავშირა. ეს ფაქტი თავისთავად დავითის

⁴⁴ Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, გვ. 132. ამას გარდა, პ. უსპენსკის უნდა გამოეყენებინა წმ. ეკატერინეს მონასტრის დოკუმენტების არქივი. ვ. ბენშევიჩის ცნობით, იგი დოკუმენტებს ამ არქივიდან ნაწილობრივ იყენებს კიდევ (Памятники Синая..., გვ. II).

⁴⁵ П. Успенский, დასახ. ნაშრომი, გვ. 188—196.

⁴⁶ А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 19—20.

⁴⁷ იქვე; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაქ. II—III; რ. გვარამია, ქართული სინური ხელნაწერების არაბული მინაწერები: მრავალთავი, IX, თბ., 1981.

მიერ სინის ქართული კერისადმი გაწეული ღვაწლის მიმანიშნებელია და მისი უჭერს დავითის ისტორიკოსისა და სინის სულთა მატეანის ცნობების მონაცემებს. პ. უსპენსკისა და ა. ცაგარელის მიერ დასახელებული სინის ქართული ეკლესიებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესია, რომელიც დასტურდება XII—XIII სს. ქართულ-არაბულ მინაწერებში. XII—XIII სს-ით დათარიღებული სტიქარონ-იადგარის (Sin. 69) ანდერძიდან ვიგებთ, რომ ხელნაწერი გადაწერილია სინას მონასტერს წმ. გიორგი მთავარმოწამის ქართველთა [ეკლესიისათვის] („სინას მონასტერსა წმიდისა გიორგის მთავარმოწამისა ჩუენ ქართველთასა“)⁴⁸. წმ. გიორგის ეკლესია იხსენიება სინური კოლექციის კიდევ ერთი ხელნაწერის (Sin. 74) არაბულ მინაწერში, რომლის თანახმადაც: „გამობო მე, გერმანე ეპისკოპოსი, რომ ეს სენაკები (მდებარე) წმ. გიორგის ეკლესიის მეზობლად ცნობილია ქართველთა (სენაკებად). არავის არა აქვს ღვთისაგან (მოჩივებული) უფლება იცხოვროს მათში, თვინიერ ქართველი ბერებისა. როდესაც მათგან არავინ იქნება (იქ), დაკეტილი იყოს, ვიდრე არ მოვლენ (ქართველები). რაც შეეხება თეოდორეს სენაკს, თუ იგი მოკვდება, განწესებული იყოს ქართველთათვის...“⁴⁹. რ. გვარამიას აზრით, არაბული მინაწერის თევდორე და იმავე ხელნაწერის ერთ-ერთ მოსახსენებელში მოხსენიებული თევდორე შარიდანის ძე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს⁵⁰. აღსანიშნავია, რომ Sin. 69 ხელნაწერის ერთ-ერთ მოსახსენებელში იხსენიება ვინმე თევდორე მღვდელი, ხოლო მოსახსენებლის ზემოთ შესრულებულია არაბული მინაწერი⁵¹. ვინაიდან, ორივე ხელნაწერი (Sin.: 69,74) წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა, გამორიცხული არაა, რომ მინაწერებში მოხსენიებული თევდორე, თევდორე შარიდანის ძე და მღვდელი თევდორე ერთი და იგივე პირი იყო.


ცნობების უქონლობის გამო არ ვიცით თუ სად მდებარეობდა წმ. გიორგის ეკლესია და მისი მიმდებარე სენაკები. ა. ცაგარელი მას წმ. ეკატერინეს მონასტერში მდებარე წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესიასთან აიგივებდა. იზადება კითხვა, ხომ არ არის წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესია დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული. ამას გვაფიქრებინებს ხატზე წმ. გიორგისა და დავით აღმაშენებლის გამოსახვა და მასზე მოთავსებული ქართული და ბერძნული წარწერები. ასევე ნიშანდობლივია ბერძნულ წარწერაში წმინდა ადგილების (ἄγιοι τόποι) მოხსენიება, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხატი იმავეითვე სინისათვის იქნა შესრულებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდი, რომ დავით აღმაშენებელმა სწორედ წმ. გიორგის სახელზე აავი ეკლესია, რომელიც, ა. ცაგარელის მიხედვით, წმ. ეკატერინეს მონასტერში მდებარეობდა. ამ ვარაუდს რამდენადმე ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ 1845 წელს პ. უსპენსკიმ წმ. გიორგის ხატი წმ. ეკატერინეს მონასტერში წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესიაში კი არ იხილა, არამედ წმ. სტეფანეს სახ. ეკლესიაში. ამ მხრივ საინტერესო ცნობაა დაცული ა. ცაგარელთან, რომელიც სინას მთაზე იმყოფებოდა 1888 წელს. მასი ცნობით, წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართველების კუთვნილი წმ. იოვანე ღვთისმეტყველისა

48 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, გვ. 253.
 49 რ. გვარამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.
 50 იქვე.
 51 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, გვ. 254.

და წმ. გიორგი მთავარმოწამის ორი პატარა ეკლესია მისი სინაზე ღროს მართალია არსებობდა, მაგრამ თავდაპირველ ადგილზე აღარ ერთ მათგანში 60 წლის წინათ არაბს ბერი მოუქლავს და გაუქმებით, ხოლო მეორე, სიძველის გამო ორმოცდაათი წლის წინათ დანგრეულა და სხვა შენობაში გადაუტანიათ⁵². ჩვენი ვარაუდით, წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესიის დანგრევასთან დაკავშირებით აქედან უნდა გაეტანათ წმ. გიორგას ხატი, რომელიც პ. უსპენსკიმ 1845 წელს უკვე წმ. სტეფანეს ეკლესიაში იხილა კედელზე დაკიდული.

ამრიგად, ხატის ქართული წარწერის მონაცემებისა და საისტორიო წყაროების შეჯერების შედეგად გაირკვა, რომ წმ. გიორგის ხატზე მეფის პორტრეტული გამოსახულება ეკუთვნის დავით აღმაშენებელს, თვით ხატი კი შესრულებულია 1104 წლის ახლო ხანებში. სავარაუდოა, რომ ამავე ხანებში ააშენა დავითმა სინის მთაზე წმ. გიორგი მთავარმოწამის სახ. ეკლესია, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენდა წმ. გიორგის ხატი მისი გამოსახულებით.

კვლევის ცალკე მხარეა წმ. გიორგის ხატზე დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულების შედარება სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის ცნობილ მის გამოსახულებებთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შ. მესხიამ, მიუხედავად მის ხელთ არსებული დავითის გამოსახულების საკმაოდ უვარგისი ასლისა, ყურადღება მიაქცია დავითის გამოსახულებების მსგავსებას წმ. გიორგის ხატზე, მისი სახელით მოჭრილ სპილენძის მონეტაზე და გელათის ფრესკაზე. ამ ძეგლებზე დავითის გამოსახულებების მსგავსება საყურადღებო არგუმენტია, წმ. გიორგის ხატზე გამოსახული გვირგვინოსანი მეფის იდენტიფიკაციის შესახებ მსჯელობისას. ჩვენ საკითხის კვლევას არ დავიწყებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ხატზე გამოსახული წარმოსადგეი გარეგნობის მქონე ახალგაზრდა გვირგვინოსანი მეფის ფიგურა, მისი მცენარეული ორნამენტით მოხატული, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ბიზანტიური ტიპის სამოსი, მრგვალი ფორმის დაბალი გვირგვინი, თავზე ჯვრითა და ორივე მხარეს ჩამოშვებული ჯერებით დაბოლოებული მარგალიტის მძივებით, მართლაც საოცარ მსგავსებას ამყდვენებს დავითის გამოსახულებებთან 1104—1118 წლებში მოჭრილ სპილენძის ფულზე (სურ. 6) და გელათის ფრესკაზე (სურ. 7).




სურ. 6. დავით აღმაშენებლის მონეტა, დაცული ბრიტანეთის მუზეუმში

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენამდე მოღწეული დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებებიდან გელათის ფრესკა XVI ს.

⁵² А. Цагарели, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 186—196.

II ნახევარს მიეკუთვნება (იგი შესრულებული უნდა იყოს დავითის თავდაპირველი გამოსახულების ნაცვლად)⁵³, ნათლისმცემლის მონასტერში მხოლოდ ფიგურის ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი⁵⁴, ხოლო ატენის სიონში მეფეთა რიგში



სურ. 7. დავით აღმაშენებლის გამოსახულება გელათში.

⁵³ რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე, გელათი. არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები, თბ., 1982, გვ. 14.

⁵⁴ ზ. სხირტლაძე, სამეფო კთავთრული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში: საბჭოთა ხელოვნება, 1983, № 11, გვ. 104.



გამოსახული ჯაბუკის პორტრეტის ფრაგმენტები ვარაუდითაა იდენტიფიცირებული და ვითან⁵⁵, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დავით აღმაშენებლის თანადროულ გამოსახულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ დანაკლისს ავსებს სინის მთის ხატი დავით აღმაშენებლის გამოსახულებით, რომელიც დავითის თანადროულ შედარებით სრულად მოღწეულ და ზუსტად იდენტიფიცირებულ გამოსახულებას წარმოადგენს.

Д. К. КЛДИАШВИЛИ

ИКОНА СВ. ГЕОРГИЯ СИНАЙСКОГО МОНАСТЫРЯ С ПОРТРЕТНЫМ ИЗОБРАЖЕНИЕМ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ

Резюме

Из многочисленных грузинских древностей Синайского монастыря особый интерес вызывает икона св. Георгия, на которой изображен грузинский царь, о личности которого в научной литературе существуют различные мнения; портретное изображение отождествляют с царями: Давид IV Строитель (1089—1125), Георгий III (1156—1184) и Георгий IV Лаша (1213—1223).

Изучение грузинских и греческих надписей на вышеуказанной иконе, проведенных нами, подтверждает предположение В. Бенешевича, что портрет принадлежит Давиду IV Строителю. Расшифровка сильно поврежденной грузинской надписи дало основание предположить, что царская титулатура относится к царю Давиду IV и, исходя из этого, икона должна была быть выполнена около 1104 г. Следует полагать, что в то же время Давидом была построена церковь св. великомученика Георгия в Синайском монастыре, которой и принадлежала икона св. Георгия с изображением царя.

Портрет Давида Строителя на иконе св. Георгия выполнен при жизни царя и к настоящему времени является наиболее достоверным и ценным дошедшим до нас его изображением.

⁵⁵ გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის მონასტულობის ქტიტორთა იდენტიფიკაცია: საბჭოთა ხელოვნება, 1982, № 5, გვ. 93—95; თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მონასტულობა, თბ., 1984, გვ. 6; მისივე, ატენის სიონის მხატვრობის დათარიღებისა და ქტიტორთა პორტრეტების იდენტიფიკაციის საკითხისათვის: საბჭოთა ხელოვნება, 1983, № 4, გვ. 137—139.

ლ. რაბინი

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ბრძოლა
ზინაფიოდალურ ოპოზიციასთან

„ოსმალთა-ყიზილბაშობამ“ მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა ქართლის ტანტზე ქრისტიანული წესით ასულ კახეთის მეფე თეიმურაზ II-ს და მის შვილს ერეკლე II-ს, რომელიც კახეთში გამეფდა. კახელი ბაგრატიონების მიერ ქართლის ტახტის დაუფლებას მტკივნეულად განიცდიდნენ ქართლის თავადები, რომლებიც ცდილობდნენ, რათა მათთვის სასურველი კანდიდატურა, მუხრანელი ბაგრატიონების წარმომადგენელი აეყვანათ ქართლის სამეფო ტახტზე.

ჩვენამდე მოაღწია 1746 წელს გამოცემულმა თავდებობის ოთხმა წიგნმა, რომლებშიაც მისი გამცემნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ „უამთა ვითარებისაგან ავი ბატონყმობა და ორგულობა და ღალატი შეიქნა ჩვენს ქვეყანაში“¹.

როგორც საისტორიო დოკუმენტებიდან ჩანს, თეიმურაზ-ერეკლეს მიერ არაგვის საერისთავოს დაკავების შემდეგ, მიუხედავად არაგველების მიმხრობისა, ოპოზიციონერები მაინც დარჩენილან საერისთავოში. 1746 წ. 22 ოქტომბერს ერეკლე ბრძანების წიგნს აძლევს სულხან ეშიკადასს: „...საერისთოს (არაგვის — ლ. რ.) კაცებს რომ თვალები დავთხარეთ, ისინი თავიანთ ქმებით, ცოლშვილით ოთხივ კომლი ჩვენს დისწულს მაიას მიართვი, თავისთვის დაისახლოს“²... იმავე წლის 6 ივლისს ერეკლე წყალობის წიგნს აძლევს ბაბანა ჭილასშვილს „...არაგვისპირს პავლეურმა პაპუნამ და იმისმა შვილებმა ჩვენზედ ტყუევს და ბევრი ავი საქმე ქნეს და დააშავეს. ჩვენ იმას თავიანთ სიავკაცის თანხაც უყავით და არც იმ ქვეყანას დავაყენეთ, ავყარეთ და კახეთს დავასახლეთ“³.

ამ პერიოდში ძალიან აქტიურობენ არაგვისა და ქსნის საერისთავოების ოსები. 1745 წლის ამბებთან დაკავშირებით პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „ამ ხანთა შინა დაუწყეს ცემა ოსთა ზემო ქაროლს... მომდევნო წელს... უკუდგნენ ოსნი ერისთვისანი და დაუწყეს ცემა ზემოქართლსა. გაგზავნა მეფეჲ ერეკლემ კაცი და დაიბარა ანწუხელნი, თებელნი და ყირახელნი ლეკნი, რომელნი მონებდეს კახ ბატონსა, აღასრულეს ბრძანება და მოვიდა ჯარი ლეკისა... გაატანეს ბელადათ მაჩაბელი და იასე ამილახორის შვილი და გაუსივეს უკუმდგართ ოსთა, ააოჯრეს ოსეთი“⁴...

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad 1915, 1916, 1917, 1918. 2 ხი; Qd 542.

³ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1450. დოქტორი 12, საბუთი 72.

⁴ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსაკონი და სიძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1981, გვ. 100, 110; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII—XIX სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 81.



1746 წელს ერეკლე კახეთის ჯარით ანანურს მივიდა: „ორისავე საერო და სასულიერო თაოსნი დიად აკვაცობდენ, არც ბეგარას აძლევდენ და არც მოხელე შეტყუებულს ამათი წახდენა ინებეს“⁵... ერეკლემ შეუთვალა მამას თეიმურაზ II და ისიც მოვიდა ქართლის ჯარით, ვანათს. ერეკლე ანანურიდან აიყარა და ოსებზე გაილაშრა „მოეგებნენ ოსნი და შეიქნა ომი... დაერავენენ კმალდაკმალ, გააქციეს ოსნი და მიჰყვნენ, შეჰყარეს კოშკებში და შემოადგნენ კარს... რასაც კოშკს იერიში უყვეს, მაშინვე გატეხეს. ორმოცი კოშკი აიღეს, დაწვეს, თრუსი დაატყვევეს და ყოვლის გზით ყათლანი უყვეს... ჩამობრძანდა გამარჯვებული ანანურს, (ერეკლე — ლ. რ.) დაიჭირა ვინცა-ვინ ბეჟან ერისთვის სისხლში რეულიყო. ზოგი გამოუგზავნა მამას და იქ ბატონმა დასთხარა თვალები და ცოლ-შვილით აჰყარა და კახეთში გაისტუმრა. რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ქსნის ერისთვის ოსთა, მივიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს... მოსთხოვეს დანაშაულის ფარვანი და მოსცეს სრული ბეგარა“⁶.

ერეკლე მეფის მიერ ოსეთში ორმოცი ციხის აღება დასტურდება 1747 წ. 22 ოქტომბერს გაცემული წყალობის წიგნითაც — მალრანის ნაცვლის შვილ გივისადმი: „...კიდევ თრუსოს მრავალს ციხების აღებაში კარგათ იყავ“⁷.

თეიმურაზ-ერეკლეს თანამეფობის ხანაში გვაქვს ცნობა 1755 წელს, მთიელთა განდგომაზე. „ამა ხანთა შინა ხევსურის ქვეყანა აღარ დამორჩილდა კახს ბატონს და პირველისაებრ აღარ მონებდენ“⁸. ერეკლე ჩამოვიდა თბილისში და ნებართვა ითხოვა თეიმურაზ II-სგან, რათა ხევსურეთი დაეღაშქრა. ქართლ-კახეთის ჯარებით ერეკლე მივიდა ფშავს და იქედან უნდოდა გადასვლა ხევსურეთში. „რა შეიტყვეს ხევსურთ, შემოეხვეწნენ ხევსურნი და ითხოვეს დანაშაულისა მიტევება. შეუნდო ცთომა მათი და შემოირიგა, იახლნენ უფროსნი კაცნი და მოართვეს ჯორი, ძროხანი და ცხვარნი ფეშქაშად და დაიდევს თავს სამსახური, რაცა ძველთაგან კახ ბატონებისაგან სდებოდათ. გამოართო... მძევლები და განუტევა ხევსურნი მშვიდობით, აგრეთვე მოართვეს ფშაველთა ფეშქაშნი და ბეგარა“⁹...

შინა ფეოდალური ოპოზიციის ძირითადი კერა ქართლი იყო. განსაკუთრებული ურჩობით გამოირჩეოდნენ ქსნის ერისთავები.

შანშე ქსნის ერისთავის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქსნის საერისთავო თეიმურაზ II-მ იგდო ხელთ. „შევიდა კახი ბატონი თეიმურაზ, დაიმონა კმლით ქსნის ხევი, დადგა შიგ“¹⁰.

თეიმურაზ მეფის ირანში ყოფნის დროს ქართლში მოწინააღმდეგე დასის შესუსტების მიზნით ერეკლემ ქსნის საერისთავო დაუბრუნა მოხუცებულ შანშე ერისთავს. 1747 წ. 26 ოქტომბერს ერეკლე ბრძანების წიგნში წერს: „ჩვენი ბრძანება არის ერთობით ქსნის საერისთავოს აზნაურშვილნი და გლეხნი, ოსო და ქართველნი, მთისა და ბარის კაცნი! თქვენ ისევ ბატონის შანშე ერისთავისათვის წყალობა გვიქნინხართ და გვიბოძებინხართ. ყველანი ამას მოუღდექათ. რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს ისე ემსახურენით. ჩვენი ერთგულობით

5 პაპუნა ორბელიანი, გვ. 113.
 6 იქვე, გვ. 113—114.
 7 სცსა, ფ. 1448, ს. 1507.
 8 პ. ორბელიანი, გვ. 222.
 9 იქვე, გვ. 223.
 10 პ. ორბელიანი, გვ. 72.



ამისი სიტყვისა და სამსახურის მორჩილნი იყავით¹¹, ხოლო 1748 წ. 22 მაისს უბრძანებს იასაულს: „...რადგან თიღვა ძველადამც ქსნის ერისთვის შანშეს ყმა ყოფილიყო, ისევე ქსნის ერისთვისათვის წყალობა გვიქნია. ხელი აუმართე და ერისთავს დაანებე“¹².

1749 წ. 12 მაისს ირანიდან დაბრუნებული თეიმურაზიც უბრძანებს პაატა ციციშვილს „...რაც გორს ქსნის ერისთვის შანშეს ყმა არის გორელი, ხელი ამართე და ერისთავს მიიბარე. როგორც ძველადამ ერისთვისათვის ემსახურებინოსთ, ისევე ამას მსახურონ“¹³.

მიუხედავად ქართლ-კახეთის მეფეთა ამ წყალობისა, შანშე ქსნის ერისთავი თავადთა შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა. „შანშე ერისთავი არა და-ქსცრებოდა ამასაცა დროსა ორგულებისაგან მეფეთასა მექონი მიწერ-მოწერისა მეზობელთა ერთათანა“¹⁴. ხოლო მისმა შვილმა ზურაბმა და სიძემ, ბამანხან ნახჭევანელმა უღალატეს ქართლ-კახეთის მეფეებს და აჯი-ჩალაბთან გაიქცნენ (1753 წელი).

„მეფეებმა (თეიმურაზმა და ერეკლემ — ლ. რ.) დაიბარეს ჯარი საერისთოებისა, დაიჭირეს ერისთავი შანშე, მისცეს ქსნის ერისთობა მის ძმისწულს დავითს“¹⁵. შანშე ქსნის ერისთავი თბილისში გარდაიცვალა პატიმრობაში.

1779 წ. 23 ივნისს ერეკლე წყალობის წიგნს აძლევს ერთობით ქსნისხეველთ — აზნაურებს, მოხელეებს, მსახურებს, გლეხებს და ოსებს. „...ნადირშა რომე საქართველოს ფლობდა, მაშინ შამშე ერისთავმან შესცოდა სხვადასხვა მიზეზებით. შეიპყრეს ერისთავი და თვალთაგან ცალიერ ჰყო... მეფემან თეიმურაზ, ირაკლის ძემან, მამა ჩვენმან ნადირშას ეაჯა, გამოართო შამშე ერისთავი და თავისთან მოიყვანა; ნადირშამან ქსანიცა და ერისთავიცა კურთხე(ულს) მამაჩვენს და ჩვენ გვიბოძა ყმად, მაგრამ შვეიწყალეთ და უბოძეთ ერისთობაცა და ქსანიცა, მაგრამ სიკეთების მაგიერ დიად მრავალრიგად გვიმუხანათა და სასიკვდილოთაც კურთხეულს მეფეს მამაჩვენსაც კაცნი შეუყენნა, მაგრამ თუმცა გამოცხადდა და ეს შეცოდება მიუტევა და სხვანიცა სხვადასხვა სახენი ჩვენნი მტერობანი მანცა და დავით ერისთავმან გვაჩვენა, მაგრამ მასაცა წარვხედით; უკანასკნელ გიორგის უბოძეთ ერისთობა გარდაცვალებისა მათისა შემდგომად და კიდევ დავმოყვრდით, მაგრამ მან ლეკნი მოიხმო, ციხეები გაამაგრა ლეკის ჯარით და ჩვენი მუხანათობა და წინააღმდეგობა დაიწყო. ჩვენც ჯარები გაუსიეთ, დავამარცხეთ, ციხეებიც ავართვით, ისიც დავიჭირეთ და ეს მამულები ჩვენთვის ჩვენს სისხლში სახასოდ დაგვიდვია და ამისი მოწყალება უყავით და კიდევ შევიწყალეთ. რაც ქსნის საერისთო იყო გვერდის ძირის სოფლები ბარისა იყო, ამათვე უბოძეთ როსტომს და ამის სახლისკაცებს, უწინაც გივს ამილახვარს ეჭირა ქსანის საერისთო და ჩვენის კლმით გამოვართვით და ერისთვისშვილებს უბოძეთ, მაგრამ ამ წყალობის მაგიერ ჩვენს ორგულობასა და ღალატში შევიდნენ გიორგი ერისთავი და იმისი ძმა ზურაბ და აგრეთვე ერისთავნი შამშე და დავით არათუ ერთხელ, არამედ მრავალჯერ გვიმუხანათეს და შემდგომად თქვენც დიდს რბევაში, აკლებაში და შეწუხებაში ყვანდით და ვინც ჩვენნი ქართველნი და კახნი ყმანნი

11 სცსსა, ფ. 1450, დ. 23, ს. 138.

12 იბ.; Hd 6601.

13 იბ.; Hd 4236.

14 იბ.; H 138; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 327.

15 პ. ორბელიანი, გვ. 210.



არიან ერდგულნი, მათის გამოისობით თავიანთ საქმისაგან ბევრჯელ მომცლარა და ნიადაგ საქართველოს ამრევი და შფოთის მიზეზნი ეს ქსნის ერისთავისა და მათი შთამომავლობანი ყოფილან და ამეების მიზეზით ჩვენ სახასოდ დაგდევით და ეს წიგნი გიბოძეთ... ჩვენგან თქვენი ქსნის ერისთავის შვილებისა ერთის კომლის კაცის მიცემა აღარ იქნება“¹⁶... როგორც ამ საბუთიდან ირკვევა, შანშე ქსნის ერისთავს თეიმურაზ მეფის მოკვლა სდომებია და „კაციც შეუყენებია“.

შანშე ქსნის ერისთავის გარდაცვალების შემდეგ შანშეს წილა ყმა და მამული მეფეებმა სამეფო ქონებად აქციეს. 1768 წ. 22 მაისს კი ერეკლემ შანშეს წილი ყმა-მამული დავით ერისთავსა და მის ძმას იესეს უბოძა. „...და შანშე რადგანც ჩვენ ორგულობაში მოკუდა, მისი წილი მამული, რომელიც იქნება მესამედი საერთოსა, ჩვენთვის უნდა დაიდვას, ამისთვის, რომ მისი ორგულობა და ორგულობაში სიკვილილი საანჯმნოდ გამოცხადებულია, სამართლის ძალით მისი წილი მესამედი მამული სამეფოდ არის დასადები. ამგვარი მეფესა და ქვეყანაზე დანაშაული ცოცხალს რომ ველარ მოეკითხოს, წესია სიკუდილს უკან მამულის მიხუმით მოეკითხება და რადგანაც ჩვენის მუხანათის წილი ჩვენთვის აგვილია წყალობით, ჩვენ მათთვისვე ამგვარად წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია ნათესაობისა და ერდგულად დარჩომისათვის დავით ერისთავისა და მისის ძმის იესესათვის გვიბოძებია შანშეს წილის მამულისა ყმა და მამული სამი წილი ყოვლისფერისაგან, აგრევე ყულარადასის ვიორგისათვის წყალობად გვიბოძებია შანშეს წილის მამულისა ყმა-მამული მეოთხედი ყოვლის ფერისაგან... რომ სანატრელმა მამაჩვენმა, ცხებულმა მეფემ (თეიმურაზ II — ლ. რ.) და ჩვენ და ჩვენის ქვეყნის კაცმან ქსნის და არაგვის საერისთოზედ რა სასჯელი ვნახეთ და რა ჭირდებულება გარდაგვქდა და რამდენი კაცი მოგვიკუდა და რამდენი დაგვეხარჯა... ქსნის ერისთავის ოჯახი ერანის კელმწიფისაგან დატყვევებული იყო და მიტაცებული. ერანის კელმწიფის ორგულისა და ოსმალის მიმდგვის კაცის მამული ქსანი ჩვენ ჯ ლ მ ი თ დ ა ვ ი ჭ ი რ ე თ... მაგრამ ჩვენ არცა ვიყავით მაშინ ქსნის საერისთოს ბატონი და არც ქსნის მებატონის ბატონი, არც ქსნის მებატონენი ქსანზედ იყვენ, კელმწიფის (ნადირ-შაჰი — ლ. რ.) რისხვით გარდაფანტულნი იყვენ. ჩვენ... ჩვენის გარჯით და კელმწიფის წყალობით ვიშოვეთ და ჩვენის დისწულის შვილებისათვის გამოვიმეტეთ და როდესაც მოვიდნენ მათი სახლისკაცებიც, თავეთს მამულზედ ვაგვეით“¹⁷...

როგორც საისტორიო საბუთებიდან ირკვევა, ქართლ-კახეთის მეფეები არც დავით ერისთავს ენდობოდნენ. 1756 წ. 12 თებერვალს ერეკლე სწერს ანტონ კათალიკოსს „...გუშინ იოანე მოვიდა აქ შიოსუბანს, თქვენი ამბავი მოგვიტანა. დღეს, ამ თვის იბ, მანდ ხლებას ვაპირობდი, შენმა მზემ, ზაგრამ დავით ერისთავმა დიად დიდის ბეჯითობით ბატონიცა (თეიმურაზ — ლ. რ.) და ჩვენც დაგვაბატოცა შინ და ამიტომ ველარ ვიახელით და... მგონია ამ ორს დღეს ვიახლოთ“¹⁸...

¹⁶ ხი; Hd 14. 759 ა. ანალოგიური ხასიათის წყალობის წიგნი ერეკლე II-ს 1779 წ. 29 ივნისს გაუცია ბატარა ლიახვის ხეობის აზნაურიშვილების, მოხელეების, მსახურების, გლეხებისა და ოსებისათვის, იხ., ხი; Ad 870; Sd 2183.

¹⁷ სცსხა, ფ. 1448, ს. 312.

¹⁸ სცსხა, ფ. 1448, ს. 198. იხ. მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1975, გვ. 189.

ამ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი მოწმეთა ჩვენებანი და ვითაც თვის შესახებ: „...ივანე ჯაბნისაშვილმა ასე თქვა: ფერისცვალების დღეს შევეთეიმურაზ რომ მალლა დისავანში ბრძანდებოდა და ჩვენც იქ ვიყავით, და მასუკან, როდესაც ბატონი (თეიმურაზი — ლ. რ.) გამობძანდა და სულ ყველანი გამოვედით, მე შიო რუსიტიასშვილმა შინ გამგზავნა, რომ ერთ რამ მოხდესო, შენი ბიძაშვილი ჩამოვიდესო, რომ შენ ბიჭი ხარ და ისინი უფრო გაირჯებანო, ჩემა ბიძასშვილებმა ისევ მე გამამაგზავნეს და ალევს მთაზე მიუსწარ ერისთავს და ჩავიდა მეფესთან და ხმალი დაიკიდა და ისე მივიდა, ასე იყო... მე, ავთანდილ მრულისშვილს ასე მინახავს და ასე ვიცი: მეფე თეიმურაზ რომ ბძანდებოდა, რომ დავით ერისთავს დავდედით თოფითა და იარაღითა, მხად ვიყავით და ასე გვქონდა ბძანება ერისთავისაგან: თუ ვინ იცის ჩემი დაჭერა მოინდომოს ვინმეო, უსიკვდილოთ ნურავის დავრჩებით და ასეც იყო. თუ დავით ერისთავისათვის ხელი მოეკიდა ვისმე, ან ისინი უნდა ამოგვეწყვიტა და ან ჩვენ უნდა ამოვსწყვეტილიყავით, უყათლანობა ჩვენი და იმათი არ იქნებოდა... კოშაქემ ასე თქვა, ასე ვიციო, რომ მეფე თეიმურაზ რომ აქა ბძანდებოდა, სრულად ვინც ვიყავით, ასე გვქონდა ბძანება დავით ერისთავისაგან, რომ თუ მე დაჭერა გამიბედოს ვინმე, უყათლანოთ ჩვენი დარჩომა არ იქნებოდა და თუ დავით ერისთავისათვის დაჭერა ვისმე გაებედა, ან ჩვენ მოვსწყვდებოდით და ან იმათ მოვსწყვეტდით“¹⁹.

როგორც ჩანს, დავით ერისთავს ქსნის საერისთავოზე ეცილებოდა მისი ბიძაშვილი გიორგი. 1780 წ. 3 აპრილს ერეკლე წერს: „დავით ერისთავიც, თავისი ბიძაშვილის — გიორგი ყულარადასისაგან* მამის ჩვენის მოლაღატეობაზე შესმენილი იყო. ამაზე კიდევ დაიფიცა, მაგრამ მართლა დაიფიცა თუ ტყუილადა ის ღმერთმა იცის“²⁰.

ამავე საბუთში ერეკლეს მოთხრობილი აქვს გიორგი ერისთავის განდგომაზე, დავით ერისთავის შვილებზე და ქსნის საერისთავოს გაუქმებაზე. „გიორგი ნაერისთვალმა ჩვენ გვიმუხანათა, უკუგვიდგა, ლეკი მოიყვანა და ციხეები გაამაგრა. ჩვენც ჩვენი შვილები ჯარებით გაუსივეთ... ციხეებიც აართევს და კიდევ დაიჭირებს და ციხიდანც გამოიყვანეს და ჩვენთან მოიყვანეს. და რადგანაც ჩვენი მუხანათი იყო, იმისი წილი მამული სრულად ჩვენთვის სახასოდ დავდევით და რადგანაც ისინიც შესმენილნი იყვნენ ჩვენს ურჩებაზე და ორგულობაზე და ნათესაობისათვის ჩვენ ხათრს უნახევდით, მაგრამ იმათ არც ხათრი შეგვინახეს, ყოველს საქმეში ურჩებაში იყვნენ, როგორადაც იმათ ჩამომავლობის ჩვეულო(ბა) ქონდათ, რომ არა საქართველოს მეფე არ მოუსვენებიათ თავისის ურჩებით და შფოთით... და თურამ ერისთავისშვილს როსტომს და შანშეს მთაში მამული ქონდათ და ყმა ჰყვანდათ, იმათაც ჩამოვართვით და მაგიერი ყმა და მამული ბარში მივეციო; ქსნის სეერისთო, ოსმალს და ლეკს და ამილახვარს გივს ეჭირა და მამაჩემმა და მე... ჩვენის კლმით წავართვით და ქსნის ერისთავისშვილებს მივეციოთ და ისინი ამ წყალობის მაგიერ ჩვენს ორგულობასა და მუხანათობაში შევიდნენ ყოველთვის. ერთხელ არა ჰქმნა და ორჯელ გიორგი ნაერისთვალმა ჩვენი მუხანათობა და ორგულობა და კიდევ იმისმა მამ ზურაბმა და კიდევ შანშე ერისთავი უფრო დიდი მუხანათი და ორგული იყო ჩვენი და უფრო დიდი

¹⁹ ბი; Hd 2232.

²⁰ ბი; Sd 1697.

* გიორგი ქსნის ერისთავი. ერისთავი 1774—177 წლებში. ყულარადასი.



ღამნაშავე იყო ჩვენზე. გიორგი ნაერისთვალისაგანაცა და უნამუსადაცა ვესად ახლა კიდევ ესე დავით ერისთვისშვილებს და აღაბაბისშვილებს ჩვენ ნათესაობის მიზეზით არა უსაყვედურეთ რა და რომელიც რჩეული მამულები იყო, ის მივეციო. და ამათ კიდევ უფრო არ დავგინდევს და ახალციხის ფაშა აგვეშალა და დალისტანი გაირიგა და ქართლს დაცემა დაუწყეს და ამ ერისთვიშვილებმა რომ ეს ყამი ნახეს, მაშინვე ესენიც საქმეში შევიდნენ და თავისი ბოროტმოქმედება გამოაცხადეს. მიხაილ, მირვანოს და ელისბარ გაიქცნენ მსახურითა და აზნაურშვილებითა და ახალციხეს ავიდნენ და იქილამ ოსმალისა და ლეკის ჯარი წამოიყვანეს და საქართველოს ცემა და ოხრება დაუწყეს“²¹.

როდესაც ერეკლემ ეს ამბავი გაიგო უბრძანა როსტომ და შანშე ერისთავებს, რათა მათ „განლტოლვილნი ძმანი თვისნი დაერწმუნებინათ უვნებლობაზედა და უკმოეწოდებინათ, გარნა მათ ნაცვლად აღსრულებისა ბრძანებისა განამტკიცეს ციხე წოდებული იკორთად, განუყენეს მეფეს ოსნი ღვიდისის ხეობისანი. იწყეს საუბარი ახალციხის ფაშასთანა, აცნობებდნენ რა მას თვისსა მდგომარებასა და ჰსთხოვდნენ მხედრობათა“²².

მივყვით ერეკლეს მიერ გაცემულ საბუთს: „და აქ ამათი უფროსი ძმები როსტომ და შანშე უკუდგნენ, მთა და ბარი, ოსი და ქართველი შემოიფიცეს. იკორთას ციხეში შევიდნენ და გაამაგრეს და ოსმალისა და ლეკის ჯარები დააბარეს. იმ ყამზე ჩვენი შვილი იულონ ბელოთს იყო. ეს ამბავი რომ შეიტყო, შემოიყარა ჯარი, მოუხდა იკორთას და როსტომც და შანშეც ორივე გამოიყვანა, ჩვენ გამოგვიგზავნა და ესენი რომ ქალაქს ჩვენ ჩამოგვეგვარეს, მეორე-მესამე დღეს ამათი დაბარებული ჯარი ქართლში ჩამოვიდა, ესენი რომ გამოყვანილნი დახვდნენ და ციხეებში ჩვენის შვილის მეციხოვნეები იდგნენ. მიხაილმა და იმისმა ჩამოყვანილმა ჯარებმა ხელთუბანი* წაახდინეს, ქართლი მოარბივეს და აწვიდნენ. და მასუკანაც კიდევ ბევრჯელ ჩამოიყვანეს ქართლში ლეკისა და ოსმალის ჯარი და ქვეყანას აოხრებდნენ, მაგრამ ჩვენ კიდევ არ მავხედეთ ამას და კიდევ მოწყალება მივიღვეით, და ეს თავიანთ წილი მამული კიდევ მივეციო და კიდევ უნამეტნავესად არ დასცხრნენ თავიანთ ბოროტებისაგანა და იქ ახალციხეს თავის ძმებთან კაცის გზავნა არ დააკლეს და მუდამ ცდილობდნენ ჩვენს მუხანათობასა და ქვეყანას აოხრებდნენ. და ამ მიზეზისათვის ჩვენი შვილი იულონ და ჩვენი შვილიშვილი იოანე ქართლში გავისტუმრეთ. ჩამოუძღვნენ კიდევ ერისთვისშვილი მიხაილ ლეკისა და ოსმალის ჯარსა და ყარაჯალს შემოადგნენ და ჩვენი შვილი იულონ და ჩვენი შვილიშვილი იოანე მიეშველნენ. ოსმალთა და ლეკის ჯართ რომ ესენი ენახათ, ისინიც წინ მიჰგებებოდნენ, შებმულიყვენ ზედა ველაზე და სამს საათამდინ ომი ჰქონოდათ. მოემართა... კელი ჩვენის შვილისა და შვილიშვილისათვის და გაემარჯვნათ და ამ ომში თითონ მიხაილ და იმის კაცებს დაიდ ბევრი თოფი დაეცდინათ ჩვენის შვილისა და შვილიშვილისათვის და ამათი ძმები, რომელნიც ქართლში ერისთვიშვილები იყვნენ, ისინიც ჩვენს შვილს იულონსა და ჩვენს შვილიშვილის იოანეს აღარ მოსულიყვენ და რადგანაც აღარა სნდობოდნენ, კაცნი შეეყვებინათ, დაეჭირათ და დაჭერილები ჩვენთან გამოეგზავნათ და არაოდეს არ

21 ხი; Sd 1697.

22 ხი; H 138, დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 329—330.

* (ხელთუბნიდან ორასი კაცი წაუყვანიათ, მათვე წაუხდენიათ აგრეთვე სოფელი გრაკალი, მოუშლავთ გივი ამილახვარი, ყარაღატან ერისთვისშვილებს ორი ათასი კაცი ჰყოლიათ ხოლო ბატონიშვილებს ოთხასი კაცი — ხი; H 138).



დასწყნარდნენ ჩვენის მუხანათობისაგანა და ამათის ამგვარის მუხანათობისაგანა მრავალჯერ თქვენც მრავალი ზიანი, დარბევა და აკლება მოგსვლიათ და ვანც ჩვენნი ერთგულნი ყმანი ქართველნი და კახნი არიან, იმათაც ზიანი მოსვლიათ და თავიანთ საქმეებს მოცდომილან. და ნიადაგ საქართველოში შფოთის მიზეზნი ეს ქსნის ერისთვის შვილები ყოფილან და ამეების მიზეზით თქვენ იმათ ჩამოგართვით და ჩვენთვის სახასოდ დაგდევით. და ახლა თქვენ ეს წიგნები გიბოძეთ... რომ ჩვენ თქვენ ქსნის ერისთვის იმდენი მიგცემთ არც ერთს კომლს კაცსა და არც მამულსა“²³...

ეს დოკუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა, ერეკლე II 1780 წლის 5 აპრილს გაუცია ქსნის საერისთავოში შემავალ ერთობით გვერდისძირის აზნაურიშვილების, მოხელეების, მსახურების, მოყალნეებისა და გლეხებისათვის.

ასევე საინტერესო ცნობები აქვს დაცული იესე იესეს ძეს, რომელიც ამ ამბების თვითმხილველია.

„ერისთავს გიორგის უკუდგომა გაეცხადებინა, ახალგორი, წირქვალი მონასტერი, ფოხალა, სიათა და ბეხჩო გაემაგრებინა; ეფთვიმი წინამძღვარი და თარხანი მოციქულად უვლინა; მერმე ქსნის ხევზე ბატონისშვილი გიორგი და ლევან შეუსია, ლიხავზე ამილახორი, ყოველი ციხე აიღეს; თვითონ სიათაში გამაგრდა, მისი შვილი ელისბარ ფოხალაში. ელისბარ ციხიდან გავიდა, თავის სიმამრს, იმერეთის მეფეს, სოლომონს მიატანა, ისიც აიღეს. სიათას შემოახვია ჯარი და ბატონისშვილები; იქიდანაც გამოიყვანეს ცოლშვილით.

ქალაქს (თბილისი — ლ. რ.) ჩამოიყვანეს გიორგი ერისთავი კელხუნდით და რევაზ და ზურაბ ხელშეკრული ჩამოიყვანეს, ქრისტეშობის I, ქორანიონს 465 (1777 წ.), დღესა პარასკევს“²⁴.

როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს „იესე იესეს ძის ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო. განდგომის თარიღსაც ზუსტად ადგენს და ერისთავთა ამ აჯანყების დამარცხების თარიღად 1777 წლის დეკემბერს (პარასკევს) ასახელებს“²⁵.

დავით ბატონიშვილს ამ ამბებთან დაკავშირებით 1778 წელი აქვს მოცემული²⁶.

ერეკლე მეფის მიერ 1778 წ. 21 აგვისტოს ბეჟან რატიშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნში აღნიშნულია: „ჟამური შენი სამკვიდრო ყოფილიყო და შანშე ერისთავს მძლავრობით წაერთმია. ახლა გიორგი ნაერისთავმა ჩვენ გვიმუხანათა და ქსანი ჩვენთვის სახასოთ დაგდევით“²⁷.

ქსნის ერისთავთა გაუთავებელმა განდგომამ ერეკლე II აიძულა უკანასკნელი ზომები მიეღო და 1780 წელს ქსნის ერისთავები საბოლოოდ გამოდევნილი იქნენ ქსნის საერისთავოდან, ხოლო მათი ქონება განაწილდა ბატონიშვილებზე.

²³ ხი; Sd 1697.

²⁴ იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1950, გვ. 81; შეად. დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 328.

²⁵ დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 328.

²⁶ დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 15.

²⁷ ხი; Hd 3973.

თეიმურაზ-ერეკლეს ქართლ-კახეთში გამეფება ქსნისა და არაგვის საერო-სამხარეთო თავადების დაპყრობით და თავადებთან ბრძოლით დაიწყო. ქვეყნის გაერთიანება მეფეებს აძლიერებდა და თავადებს არ სურდათ ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, რადგან თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკა თავადების თვითნებობის წინააღმდეგ იყო მიმართული. რეაქციონერი თავადების მიერ უცხო ძალის მოწვევა „საკუთარი სისუსტის ღონედ“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

„ქართლ-კახეთის მეფეებით უკმაყოფილო თავადები სწორედ ამ საამ-შაჰის, იბრაჰიმ-შაჰის, ახატ-ხანისა თუ ქერიმ-ხანის საშუალებით ცდილობდნენ გაერთიანებული ქართლ-კახეთის დაშლას და თავიანთი უსახლვრო ბატონობისათვის საშიში მეფეების ქართლიდან განდევნას“²⁸. ისინი ადვილად უკავშირდებოდნენ საქართველოს ყველა მტერს, იქნებოდა ეს ოსმალები, ყიზილბაშები თუ ლეკები.

ქართლ-კახეთის მეფეების წინააღმდეგ ბრძოლის საბუთად რეაქციონერი თავადები ტახტის მემკვიდრეობის საკითხს იყენებდნენ. როდესაც თავადებს ბაქარ ვახტანგის ძის მოწვევის ცდამ უშედეგოდ ჩაუარა, მათ ტახტის უკანონო მამიებლებსაც დაუჭირეს მხარი. თეიმურაზის ირანში წასვლის შემდეგ (1747. V. 10) ქართლში დინასტიური ომი დაიწყო. მისი მოთავე აბდულა-ბეგ (არჩილ ბატონიშვილი — ლ. რ.) იესეს ძე იყო, რომელიც ერეკლეს მოადგილედ დაეტოვებინა თეიმურაზს. „რადგან მეფე ერეკლე მუდამ ქართლისათვის ვერ მოიცილსო, ქართლს მოუარეო და ერთმანეთის ნებით და შეკითხვით ორივე ქვეყნები მტრისაგან კარგა გაამაგრეთო და ჩემდა მოსლვამდის მშვიდობიანად იყვნეთო“²⁹.

აბდულა-ბეგი შეეცადა ირანში შექმნილი არეულობა და თეიმურაზის ქართლში არ ყოფნა გამოეყენებინა და ქართლში გამეფებულყო. მან შემოირიგა რაც ქართლში ლეკი იდგა და დააყენა სამშვილდის ციხეში. ააშენა სამშვილდის ციხის ორი ბურჯი, დიდი წყლის აუზი, დაიჭირა ორ წლის თადარიგი. მასთან მოვიდა აგრეთვე ბორჩალოს სულთანი ასიოდე კაციო, რომელიც ნადირ-შაჰს გამოქცეოდა. ისიც დააყენა ციხეში. აბდულა-ბეგმა გადმოიბირა საბარათიანო. „უკუდგნენ ერეკლესაგან ქართველი, სომხით რაოდენნიმე და ბარათიანნი“³⁰. „შენს მეტი ბატონი არ გვინდოდესო, შეუდევ სამშვილდისა და ბირთვისის ციხეების კეთებასა“³¹.

აბდულა-ბეგს გადმოუბირებია აგრეთვე გორის ციხის მინბაშები და ციხისთავეები. ერეკლე 1748 წ. 2 ივლისს წერილს სწერს გოგია მირზაშვილს: „როგორც ამას წინათ გიბრძანეთ, შენის სახელო ჯარისკაცებით რომ გორას ციხეში იდექი, ეხლაც იმ ჯარით ისევ მანდ უნდა იდგე და ჩვენის ერთგულების შესაფერად სიფთხილით შეინახო მანდაურობა. ვისაც არ ენდობა, იმას ციხეში ნულარ დააყენებ, რომ უბრალო ჭორები და მითქმა-მოთქმა არავინ დაიჭეროს რა... რადგან ციხის მიმბაშებმა და ციხისთავეებმა ჩვენ გვილაპატეს აბდულაბეგის ჩაგონებით და რაღაც ჭორები მოუგონიათ... ყველაფერს მაგათ საქმეს მერე შეიტყობთ, რაც დაემართებათ“³².

აბდულა-ბეგი საგარეო მტრულ ძალებსაც დაუკავშირდა, კერძოდ დაღესტნელ ფეოდალებს და მომთაბარე ელებს. ჭარის ომების ქრონიკის ცნობით:

28 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 395.
 29 პ. ორბელიანი, გვ. 127.
 30 ომან მდივანბეგ ხერხულიძე, ქორონიკონები, ხი; H 631, 35v.
 31 პ. ორბელიანი, გვ. 127.
 23 სცსა, ფ. 1449, ს. 289.



„აბდულა-ბეგი მივიდა განჯას და მოითხოვა მისი მცხოვრებლებისაგან მან მოუწოდა წახურებებს, ჭარებებს, თალაელებს და ჭინკელებს გამოსულიყვნენ საქართველოს დასაპყრობად“³³.

ერეკლემ ენერგიული ზომები მიიღო. მან დაიბარა კახეთის, ქართლის საერისთავოების, თუშეთის, ხევსურეთის და მოხევეების ჯარები, მიიმხრო სომხეთის მელიქი, ლორის ქეთხუდები. „გაუსივა მეფე ერეკლემ ჯარი დიდი ბორჩაღუსი და ყაზახის ელები სულ წაახდინეს“³⁴. ერეკლესა და აბდულა-ბეგის მეტოქეობის დროს ორბელიანები (ქაიხოსრო სარდალი, ეშიადასბაში დიმიტრი, რევაზ სარდლის შვილი და მდივანბეგი იოანე) ერეკლეს მხარეზე იყვნენ. აბდულა-ბეგი ამას ძალიან „წყინობდა“, მან „გაუსივა ლეკის ჯარი და ბარათიანნი, აიღო იფნობის ქვაბები, იავარჰყვნეს საქონელი და ტყვე ლეკთა, მისცა და შეაყენა კაცნი თვისი მისანდო ქვაბებში... აგრევე წავიდეს სამშვილდით მარბიელი და მოაოხრის ორბელიანთ მამული“³⁵...

ერეკლე დიდი ჯარით სამშვილდის ციხეს შემოადგა. ორივე მხრიდან ისროდნენ ზარბაზნებს. რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგეები დაზავდნენ.

1748 წლის დასაწყისში ყიზილბაშთა ჯარების ძველმა სპასალარმა აბდულა-ბეგს „მოსცა ქართლისა და კახეთის ბატონობა და ჯარად რვა ათასი მეომარი კაცი თან გამოატანა“³⁶.

გადამწყვეტი ბრძოლა ერეკლესა და აბდულაბეგს შორის თბილისის ახლოს წავკისთან მოხდა. აბდულა-ბეგის ჯარში ამირ-ასლან-ხანის მიერ გამოტანებულ ჯართან ერთად იყო საბარათაშვილოს, აგრეთვე ჭარისა და ბულკადარელების (Булкадарцев) ჯარები³⁷.

„ქორონიკონს 436 (1748 წ.) აპრილს, აბდულა-ბეგს დაუმარცხდა. ამირასლან ხანის ჯარი მოიყვანა, ზოგი ქართველი საბარათაშვილოს კაცნი. მეფემ ერეკლემ დიად ცოტას ჯარით დაუმარცხა, გააქცია და დიდი ალაფი იშოეს“³⁸. „1700 კაცი ცოცხლად იქნა შეპყრობილი“³⁹.

აბდულა-ბეგს მხარს უჭერდა თბილისის ციხეების ყიზილბაშთა გარნიზონი. 1748 წ. 22 ივლისს „დიდის ცდით ტფილისის ციხე აიღო მეფე ერეკლემ“⁴⁰. „შემოიკრიბნა... მეფემან მკედრობანი კახთანი სრულად და გორიდანც შთამოატანინა ზარბაზანი იგი დიდი, ბოჭორმისად წოდებული, და აღიღეს მეტეხი, ხოლო უკანასკნელ თაბორი და თაბორით იწყეს რა ცემა ზარბაზანთა მათ შეჭირვებულთა მათ ერთა მოსცეს ციხე მეფეს“⁴¹, „ციხის დაჭერა სულ მოქალაქეებით იქნა“⁴².

33 Хроника воин Джара в XVIII столетии, Баку, 1931, с. 46.
 34 პ. ორბელიანი, გვ. 129.
 35 იქვე.
 36 იქვე, გვ. 136.
 37 Хроника воин Джара, с. 47.
 38 იესე ბარათაშვილის ცხოვრება — ანდერძი, გვ. 11; დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 3.
 39 პ. ორბელიანი, გვ. 138; თ. უორდანი, ქრონიკები, III, 1967, გვ. 193.
 40 იესე ბარათაშვილის ცხოვრება—ანდერძი, გვ. 11; ქრონიკები, III, გვ. 195.
 41 დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 3; თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლბა დაუთმო ლელა მჭიაშვილმა, თბილისი, 1963, გვ. 47.
 42 ქრონიკები, III, გვ. 134.



განთავისუფლებულ თბილისის* ციხეებში ერეკლემ კახელთა რაზმები ჩააყენა. ამის შემდეგ აბდულა-ბეგს კიდევ ერთი მოკავშირე გამოაქვდა, სარდალი ამირ ასლან-ხანი, რომელიც იბრეიმ-ხანმა გზიდან ჩამოიცილა და თავი შაჰად გამოაცხადა⁴³.

მოკავშირის გარეშე დარჩენილმა აბდულა-ბეგმა ფარ-ხმალი დაყარა. ერეკლე სამშვილდესაც* დაეუფლა.

ერეკლე 1748 წ. 1 მაისს მამულის წყალობის წიგნებს აძლევს ავთანდილ ჯავახიშვილს: „შენის განაყოფის ვახტანგის მამული შენთვის გვიბოძებია. პატონს მამაჩვენს ეს მამული ქვემო ციციშვილის ფარსადანისათვის ებოძებინა თავისის მამულის თელეთის სამაგიეროთ და თელეთი აბდულა-ბეგისათვის მიეცა. რადგან აბდულა-ბეგმა ხაინოზა ქნა და ჩვენზე ბევრი სტყუა, ფარსადანს ისევ თავის მამულს თელეთს უბოძებთ და შენის განაყოფის მამული ისევ შენთვის წყალობა გვიქნა“⁴⁴...

ამრიგად, ერეკლეს ბრწყინვალე ნიჭის წყალობით საქართველოში დაბრუნებულ თეიმურაზ II-ს (1749. IV. 20) ქართლ-კახეთი განთავისუფლებული და გაერთიანებული დაუხვდა. ამიტომაც „მარად ცდილობდენ მეფენი ქვეყნის შემატებასა და აშენებასა“⁴⁵.

აბდულა-ბეგის** დამარცხების შემდეგ მისი შვილების ნაწილი საქართველოში დარჩა, ხოლო ნაწილი ყიზილბაშთა ქვეყნებში გადაიკარგა. მამის მსგავსად, ისინიც ამბოხის თავები ყოფილან და ხშირად ჰქონიათ შეხლა-შემოხლა ქართლ-კახეთის მეფეებთან.

1755 წლის ამბებთან დაკავშირებით პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „როსტომ მირზამ, ძემან აბდულა-ბეგ არჩილისამან, იშოვა მრავლის დაპირებით ზოგნი ვინმე საბარათაშვილოდამ, თავადთა ძენი ბარათიანნი, ზოგი მცხეთელ აზნაურშვილი და მოქალაქეთა შვილი და დააპირა გაპარვით წასვლა ერანის ქვეყანასა. შეუტყვეს მეფეთა, დაიჭირეს როსტომ მირზა და ამჟამინა მისნი და ყოველნივე პატიმარ-ჰყვნეს და მცირედთა ხანთა შინა აუშვეს ისევ პატიმრობისაგან და ქალაქიდან წაივია ყიზილბაშისა ქვეყანათა, სადა ჰყევანდენ ძმები თვისნი და რომელნი ბარათიანთა ძენი აჰყოლოდენ, ისინიც აუშვეს პატიმრობისაგან და დაადგინეს ისევ სახლთა შინა“⁴⁶. აბდულა-ბეგის მეორე

* „1748 წ. ერეკლე მეფე შემოაღდა თბილისის ციხეებს და სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიღო ორივე. ნარიყალის ციხეში კახის ჯარისკაცი ჩააყენა, მეტეხში ცალკე რაზმი“, საქართველოს ისტორიის ქრონიკები... გვ. 88.

⁴³ П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. I, СПб., 1869, стр. 236.

⁴⁴ სესა, ფ. 1448, ს. 478.

⁴⁵ პ. ორბელიანი, გვ. 158.

* ომან მდივანბეგ ხერხეულიძეს მოკლედ აქვს აღწერილი ერეკლეს მიერ თბილისის და სამშვილდის ციხეების აღება. როდესაც დედოფლის წყაროსთან ერეკლემ დაამარცხა ლეკები, იქედან დაბრუნებულმა: „აილო ტფილისის ციხე და თვისი მეციხოვნეები შეაყენა, წაბრძანდა და სამშვილდის ციხე აიღო და შემოიქცა გამარჯვებული ტფილისადე“ (იხ. ომან მდივანბეგ ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა, წიგნში: საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 251).

** „1749 წ. ერეკლემ სრულიად შემუსრა აბდულაბეგი და უნდოდა დაეტუსადებინა, ვარნა ანტონ კათალიკოზის თხოვნით და რჩევით ვანთავისუფლა. აბდულაბეგი გაერიდა თავრიზისაკენ“, საქართველოს ისტორიის ქრონიკები... გვ. 92—93.

⁴⁶ პ. ორბელიანი, გვ. 236; შეად. მ. ქავთარია ბაგრატიონთა კართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII—XVIII სს.), მრავალთავი, V, 1976, გვ. 219.

შვილს დავითს მონაწილეობა მიუღია 1765 წელს პაატა ბატონიშვილის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში. იგი პაატას მსგავსად დაუსჯიათ სიკვდილით ბატონიშვილს თავი დააგდებინა გიორგი ყულარაღასმა, ერისთავმა, აბდულა-ბეგის შვილს დავითს თავი გააგდებინა ხმლით ბარამ ნაზირმა გურგენიძემ⁴⁷...

როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. პაიჭაძე, „ქართლ-კახეთის ფაქტურის გაერთიანების პირობებში, როდესაც თეიმურაზ II და ერეკლე II საერთო ეროვნულ პოლიტიკას წარმატებით ატარებდნენ, ქართლის ბაგრატიონების რესტავრაციის ყველა ცდა უკვე რეაქციულ ხასიათს ატარებდა“⁴⁸.

აღ. გარსევანიშვილის მიხედვით, გივი ამილახვარმა მაშინ ყაბარდოში მყოფ ბაქარს მოუხმო (1744 წ.) თეიმურაზის წინააღმდეგ, მაგრამ ბაქარი დარწმუნდა, რომ „საქმეს წააგებდა“, მისი აქ მოსვლა სამშობლოს უფრო მეტ ზიანს მოუტანდა, „ვიდრე კეთილს“⁴⁹.

როგორც პ. ბუტკოვი წერს, ბატონიშვილი ბაქარი ამ დროს ყიზლარში იმყოფებოდა, მაგრამ „უცნობი მიზეზების გამო არ წავიდა საქართველოში. მაგრამ რუსეთში თავადი ამილახორი (გივი — ლ. რ.) ითვლებოდა ბაქარის მოვალეობის შემსრულებლად ქართლში“⁵⁰.

ი. ცინცაძის აზრით, „XVIII საუკუნის ორმოციანი წლების შემდეგ ქართლში დინასტიური ხასიათის ბრძოლა გამწვავებული ყოფილა. ქართლელი თავადაზნაურების გარკვეული წრე კახეთის ბაგრატიონის თეიმურაზ II გამეფებას ქართლში მტრულად შეხვდა. ეს წრე თეიმურაზისა და ერეკლეს ოპოზიციაში აღმოჩნდა და რუსეთში გადასახლებულ ვახტანგ VI შთამომავლობისაკენ ეჭირა თვალი. თეიმურაზი და ერეკლე სიფრთხილეს იჩენდნენ და ერთგულ კახელ თავადიშვილებს აწინაურებდნენ ქართლშიაც. განსაკუთრებით გაუფრთხილდნენ კახელი მეფეები არაგვის გზას. იგი საქართველოს რუსეთთან აკავშირებდა და ჩრდილოეთში გადახვეწილ ქართლის ბაგრატიონებს რომ მარტავად სამშობლოში დაბრუნება და გაბატონება არ შეძლებოდათ, არაგვის საერისთავოს ციხე-სიმაგრეში კახელი თავადიშვილი ჭიმშერ ჩოლოყაშვილი დასვეს“⁵¹.

ქართლში შინაფეოდალური ოპოზიციის არსებობის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის რუსეთის სამსახურში მყოფი კაპიტანი ოთარ თუმანოვი, რომელიც საიდუმლო დავალებით, ცნობების შესაკრებად იყო მოვლენილი საქართველოში 1754—1756 წლებში⁵². რუსეთში დაბრუნებისთანავე ოთარ თუმანოვს წარუდგენია მოხსენება, რომელშიაც სწერს: „აააა შვიდას ორმოცდათექვსმეტს მარტის ოცდასამის დაწერილს წიგნში მოვიწერე, საქართველოს მეფებმან მიბძანეს რუსეთის ერთგულობაზედ თავის დაღება, მაგრამ სხვარიგადაც შინჯვენ მეთქი. მანდ მოვალ და ჯათებით მოვახსენებ

47 ქრონიკები, III, გვ. 293—294; მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 219.

48 გ. პაიჭაძე, ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს-ის 50—60-იან წლებში, ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, 1973, გვ. 66.

49 (ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან, „კვლევი“, 1835, № 17) ციტირებულია წიგნიდან, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973, გვ. 608.

50 П. Бутков, Материалы... с. 229.

51 ი. ცინცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში, საქსრ შსს საარქივო სამმართველოს „სისტორიო მოამბე“, 1952, ტ. 6, გვ. 117—118.

52 კაპიტან ოთარ თუმანოვის შესახებ იხ. ი. ცინცაძე, კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებთი ბარათები საქართველოდან (1754—1756) სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1946, ტ. XXVII — B, გვ. 11—30.



მეთქი: ა) ეს ჯათი არის, რომელიც ეხლა კახ მეფე თეიმურაზ ზის, იმას სამკვიდროდ ჩამამავლობით კახეთის სამეფო. ქართლის, თბილისის სამეფო, აქ რომ ვახტანგ მეფე მოვიდა იმასა და იმის ნათესავთ ეჭირათ ხვალმე სამკვიდროდ. თბილისის სამეფო, ეს მეფე ქართლის ვახტანგ რომე აქ რუსეთში მოვიდა თამასხანის დროს, ორივე ამ მეფეს თეიმურაზს და იმის შვილს ერეკლეს დარჩა, ახლაც უჭირავს. თუმცა კახეთი უფრო მდებალი იყო, ახლა, რადგან ორივე ერთათ არის, კახეთს უფრო სამკვიდროდ ეჭიდებიან, ქართლი უფრო იჩავრება. ამის გულისათვის ქართველი (ქართლელი — ლ. რ.) წყინობენ დაჩავერასა დაფარვით, მაგრამ არა შეუძლიათ რა, რომ გამოაცხადონ და არც ასრეთი სიმაგრე უჭირავთ, რომ შეძლონ რამე კახელებზედ. რომელიც ქართლში პირველი სიმაგრეა არაგვის საერისთო, იმ სიმაგრეში კახი კაცი ჩოლყასშვილი კნიაზ ჯიმშერ უზის... ბ) ყოველთვის იქ ჭორები გაიშლება რომე მეფე ვახტანგის ძენი ანუ იმისი ჩამამავლობა მოდიანო. ამაში ის კახ ბატონებს ეფიქრებათ, თუმც რუსეთიან დაიჭიროსო იმათ მიცემენო თავათ სამკვიდროსაო, ამიტომ ბეჯითათ არ ეჭიდებიან, კახეთს უფრო ხელს უწყობენ. ამიტომ დაფარული პარტიები არის... ე) აგრევე იმავე მეფის ვახტანგის ნათესავი ფერსიასი დაფატული არის, აქედამ ცალკე ეფიქრება და იქილამ ცალკე“⁵³.

სწორედ იმ „დაფარული პარტიებთან“ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ის შეთქმულება, რომელიც 1765 წელს გამოძედა და რომელსაც პაატა ბატონიშვილი ედგა სათავეში⁵⁴.

საინტერესოა ოთარ თუმანოვის მიერ ქართლ-კახეთის მეფეების დახასიათება: „ქართლის მეფე თეიმურაზ უფრო მშვიდი და მოწყალე არის საქმე სლაბად უჭირავს, მისი შვილი ერეკლესი უფრო ეშინიანთ უფრო საქმის წამყვანია, უიმისოთ არა იქნება რა“⁵⁵.

ამრიგად, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის თანამეფობის ხანაში (1744—1761 წლები) და შემდეგ, როდესაც ერეკლე ქართლ-კახეთის მეფე გახდა, ქართველმა მეფეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში, ბოლო მოუდეს თავადური ოპოზიციის არა ერთ გამოვლინებას (არაგვისა და ქსნის საერისთავოების გაუქმება), აბდულა-ბეგ იესეს ძის სეპარატისტულ მისწრაფებებს (ლეგიტიმიზმის საბაბით ქართლის ტახტის დაუფლება), ქართველი თავადების „ლეგიტიმისტურ მოძრაობას“, რომელთა მიზანი იყო თეიმურაზ-ერეკლეს განდევნა და რუსეთში გახიზნული „მუხრანელი“ მეფეების აღდგენა.

⁵³ ი. ცინცაძე, კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები... გვ. 26; იხ. მისივე — ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში... გვ. 118; ი. ცინცაძე, რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1942, ნაკვ. IV, გვ. 13.

⁵⁴ პაატა ბატონიშვილის შესახებ იხ. ლოვარდ ტუხაშვილი, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1983.

⁵⁵ ი. ცინცაძე, კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები... გვ. 26.

Л. В. РАТИАНИ

БОРЬБА ТЕЙМУРАЗА II-го ИРАКЛИЯ II-го ПРОТИВ ФЕОДАЛЬНОЙ ОППОЗИЦИИ

Резюме

В статье на основании данных нарративных и документальных источников показана борьба Теймураза II и Ираклия II против внутренней феодальной оппозиции, в результате которой были упразднены Арагвское и Ксанское эриставства, а также устранена попытка Абдулы-бега (царевича Арчила, сына Иессе), завладеть картлийским престолом.

მ. ხოზარია-პროსა

სიტყვა „მუშაკის“ მნიშვნელოვანობის ძველ ქართულ
წერილობით ძეგლებში

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ სიტყვები „მუშაკი“, „მუშა“ განმარტებულია, როგორც მიწის მოქმედი, („მორეწე“), მუშა, დაქორავებული, („მოქმედი“), ხოლო სიტყვები „მუშაკობა“, „მუშაკება“, როგორც შრომა, („ქმნა“).

ლექსიკონში მოტანილი მაგალითებიდან ირკვევა, რომ მუშაკი გულისხმობდა მიწის მოქმედსაც („მუშაკმან კეთილმან განმარგლის ყანაა თუხი ღუარაძლისაგან“, მ. სწ. 273,14) და მშენებელსაც („ყო თავი თუხი მუშაკ და იქმონდა იგი დლითი-დღედ მაშენებელთა გალატოზთა თანა“, ლიმ. 15,15).

სიტყვა „მუშაკზე“, როგორც მიწის მოქმედის აღმნიშვნელ ტერმინზე, ჩვენ იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე საბოლოოდ არ არის გარკვეული თუ რომელი სიტყვა მიესადაგებოდა ადრეულ ხანაში პირადად არათავისუფალ დაბეგრულ მიწის მშრომელს, ტერმინი „გლეხის“ ასეთი მნიშვნელობით ხმარებაში შემოსვლამდე.

„გლეხზე“, როგორც „გლახადან“ ნაწარმოებ ტერმინზე ლიტერატურაში ბევრია დაწერილი, და ამიტომ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ¹, მაგრამ ჩვენის მხრივ იმას აღვნიშნავთ, რომ სავსებით შესაძლებელია ამ ტერმინის დაბეგრული მიწის მოქმედის მნიშვნელობით შემოსვლამდე ხმარებაში გქონდა ძველ ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში ხშირად დადასტურებული სიტყვა „მუშაკი“². ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება ადრევე მიიქცია³ ამ სიტყვის მნიშვნელობამ ეფრემ ასურის თხზულების „პირველი სწავლაა მონაზონთა მიმართ“ ადრეულ (X ს.) ქართულ თარგმანსა (Sin 97) და იგივე თხზულების ეფრემ მცირისეულ თარგმანში (A 673).

ქვემოთ მოგვყავს შესაბამისი ადგილები ორივე თარგმანიდან. „...უკეთუ მდიდართაგანი არნ, მუნქუესევე პატივსა იძიებნ და თუ გლახაკთაგანი არნ,

1 იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკონიდან, 3, გლეხი, საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 167—175. ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII სს. 1979, გვ. 219—230, მ. ბერძენიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970; რ. მეტრეველი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში V—XII სს. გლახაკები, თბ., 1976.

2 ამ მნიშვნელობით ტერმინი „მუშაკის“ გამოყენების შესაძლებლობაზე ლიტერატურაში აქამდეც იყო გაკვრით აღნიშნული (სათანადო საბუთთანობის გარეშე). საგანგებო წერილი მუშაკთა საზოგადოებრივ ფენას ფეოდალურ საქართველოში უძღვნა გ. მაისურაძემ (იხ. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1988 წ., № 2).

3 ე. ხოზარია-პროსა, ფეოდალური ხანის საქართველოს მთიან და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984, გვ. 36—37.



გწსუენებაჲ უნებნ და თუ მუშაკ არნ, მუნქუესვე კელთა ფუფუნეულად მუშაკობაჲ უნებნ... მუშაკთა შეურაცხვეს ქყნდ...“ (Sin 97, ფ. 3).

„...ხოლო უკუეთუ მდიდარ არნ, მყის პატეისა ეძიებნ, ხოლო უკუეთუ გლახაკ — განსუწნებისათჳს იკითხავ. და რომელი სოფელსა შინა მუშაკ ყოფილ არნ, აქა მსუქანეთა თითთა იმკობნ... მიწის მშრომელთა მიწანი დაუტეობიან...“ (A 673, ფ. 189).

როგორც ვხედავთ, ორივე თარგმანში თავდაპირველად მიწის მოქმედის მნიშვნელობით (ბერძნული ტექსტის — *ἐργατης*) ნახმარია ტერმინი მუშაკი, ხოლო ქვემოთ ანალოგიური მნიშვნელობით (ბერძნული ტექსტის — *γυρσος*) ერთგან სახეზეა ისევ „მუშაკი“, მეორეგან კი — „მიწის მშრომელი“. საკულისხმოა, რომ აქ ლაპარაკია იმათზე, ვინც „სოფელსა შინა მუშაკ ყოფილ არნ“ და გარდა ამისა ტექსტიდან ისიც ირკვევა, რომ „მიწის მშრომელის“ საქმიანობა გამოირიცხავს „ხელთა ფუფუნებით ჰყრობას“ ან „მსუქანეთა თითთა შემკობას“ და სრულიად მიუღებლად არის მიჩნეული, რომ „მუშაკთა შეურაცხვის ქყნდ“, ან „მიწის მშრომელთა მიწანი დაუტეობიან“, რადგან ამათი საქმიანობა სწორედ მიწათმოქმედებაა (სხვა ძეგლების თანახმად — „ქუეყნის მოქმედება“, „ქუეყნის საქმე“, აქედანვე: „ქუეყნის მოქმედი“, „ქუეყნის მშრომელი“).

ზემოთმოტანილ ტექსტში ისიც იქცევა ჩვენს ყურადღებას, რომ სიტყვა „მუშაკი“ ნახმარია „გლახაკის“ (ბერძნ. *παυγος*) პარალელურად, რომელიც საერთოდ „მდიდართან“ დაპირისპირებულ ტერმინად გვევლინება. ეს არის მეტად ხელსაყრელი შემთხვევა ამ ორი ტერმინის მნიშვნელობის გასარკვევად, მათი ერთმანეთთან შეპირისპირების გზით.

როგორც ეს ი. აბულაძეს აქვს დადასტურებული, „გლახაკი“//„გლეხი“ ადრეულ ძეგლებში (VIII—IX სს.) ზოგადად დაბალი სოციალური ფენის აღმნიშვნელი იყო და ამავე დროს „ამ ზოგად მნიშვნელობასთან ერთად ძველად, X ს-ის გასულისათვის ეს ტერმინი („გლეხი“) კერძობითაც არ იყო მოკლებული, სახელდობრ სოფელს, მიწის მოქმედს, ანუ გლეხს ნიშნავდა ჩვეულებრივი (ანუ გვიანდელი, ე. ხ.) გაგებით“. უფრო ქვემოთ მეცნიერი ასკვნის: „გლეხი“ ძველად ჩვენში ხმარებულა ფართო შინაარსით, მოსახლეობის სოციალურად დაბალი ფენის აღმნიშვნელად, და ვიწროთი — ამ დაბალ ფენაში შემავალი ქალაქელი (რიფსიმიანთა წამების მიხედვით) თუ სოფლელი უბრალო ხალხის ანუ „გლეხის“ ამსახველად (გრიგოლ ოშკელის თარგმანის მიხედვით)“... „ქართულ კონტექსტებში „გლეხი“ თითქმის ყველგან „მდიდარს“ უპირისპირდება, რითაც აგრეთვე მისი „გლახაკად“ მიჩნევა არავისათვის არ უნდა იყოს საეჭვო“⁴.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ „მუშაკის“ და „გლახაკის“ პარალელურად ხმარება ნიშნავს მათ შორის შინაარსობრივი სხვაობის არსებობას, კერძოდ პირველის უფრო ვიწრო მნიშვნელობით გამოყენებას მეორესთან შედარებით. „მუშაკი“, საფიქრებელია, „გლახაკთა“//„გლეხთა“ ფენის (ზოგადი მნიშვნელობით დაბალი საზოგადოების) მხოლოდ ერთ კატეგორიად — მოცემულ შემთხვევაში მიწის მუშაკებად — გაიაზრებოდა.

„მუშაკის“ მნიშვნელობის გაგებისათვის, ზემოთ აღნიშნულის გარდა, განსაკუთრებულად საინტერესო მონაცემებს გვაწვდის I ეზრას მე-4 თავის მე-6

⁴ ი. აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 73—74.



მუხლი, სადაც დაპირისპირებულნი არიან, ერთის მხრივ, მეომარნი, რომელნიცა მეფის ბრძანებით ვალდებულნი არიან ილაშქრონ და მიწის მუშაკნი, რომელნიცა მეფეს აწვდიან თავის შრომის ნაყოფს:

„...და არა ხოლო ერისაგანნი მოლუაწენი, არამედ მუშაკნიცა, რომელნიცა ქუეყანასა იქმედ, რაჟამს დასთესიან და მკიან, ნაყოფი იგი თვისი მოართვიან მეფესა“ (I ეზრა, 4,6 — იერუსალიმური ბიბლია, III ეზრა, 4,6 — საბასეული ბიბლია).

უფრო ქვემოთ კი გვაქვს: „...მუშაკნი, რომელთა დაასხეს ვენაჭი, ვინაჲ იყოფვის ღვინო“ (I ეზრა, 4, 16).

ყურადღებას იქცევს ის, რომ მეომართა აღსანიშნავად (ბერძნული — στραῦται;) მთარგმნელი ხმარობს ტერმინს „ერისაგანი“, ხოლო მიწისმოქმედთა (ბერძნული — γεωργῖ) აღსანიშნავად „მუშაკს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა ბადებდეს ის, რომ სასულიერო ტექსტების ადრინდელი ხანის ქართულ თარგმანებში მიწის მშრომელის ბერძნული სამი შესატყვისის (ἐργῶν, γῆσι და γεωργῖ) მხოლოდ „მუშაკად“ თარგმნა მოწმობს სხვა შესაბამისი ტერმინის უქონლობას. მიწის მშრომელის აღმნიშვნელი სხვა ტერმინი რომ ყოფილიყო, თარგმანებში იგი უთუოდ იჩენდა თავს რაიმე ნიუანსით.

ის, რომ აქ გვაქვს შესატყვისი ისეთი მიწათმოქმედი საზოგადოებისა, რომელიც მოზღადა — „ერისაგანი“ და მეორეს მხრივ ცალკე მიწის მუშაკის აღმნიშვნელი სიტყვა — „მუშაკი“, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელი სწორედ დაბეგრული, არათავისუფალი მიწის მოქმედის შესატყვისი იყო. დროთა ვითარებაში (X—XI სს-დან) ამ მნიშვნელობით უკვე „გლეხი“ იხმარება. ჩანს, ფართო მნიშვნელობის ტერმინმა „მუშაკმა“, რომელიც საერთოდ მშრომელის გაგებით განაგრძობდა ფუნქციონირებას, ვერ გასწია კერძოდ დაბეგრული მიწის მოქმედის შესატყვისობა და საკუთრივ ამ მნიშვნელობით შემოსულ სიტყვა „გლეხს“ დაუთმო ასპარეზი, თუმცა შემდგომშიც „მუშაკი“, „მუშა“ ხშირად კვლავ მიწათმოქმედებასთან კავშირში იხსენიება („მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“ — ვეფხისტყაოსანი; „მუშაკნი გლეხნი“ — ვახუშტი ბატონიშვილი).

ის გარემოება, რომ არათავისუფალ, დაბეგრული მიწის მოქმედს ადრინდნვე არ ქონდა საკუთრივ თავისი შესატყვისი ტერმინი უთუოდ მაჩვენებელია თავდაპირველად ამ საზოგადოებრივი ფენის არამყარი მდგომარეობისა, ხოლო როდესაც ეს ფენა საბოლოოდ ჩამოყალიბდა და საზოგადოების ცხოვრებაშიც თავისი ადგილი დაიმკვიდრა, მას უკვე საგანგებო ტერმინიც — „გლეხი“ — მიესადაგა.

გ. მაისურაძემ ეჭვის ქვეშ დააყენა „მუშაკის“ პირადად არათავისუფალი დაბეგრული მიწისმოქმედის გაგებით ხმარების შესაძლებლობა და უპირატესობა მიანიჭა ამ ტერმინის თავისუფალი დაქირავებული მუშის (როგორც მიწათმოქმედის ასევე ხელოსნის) გაგებით გამოყენებას ადრეც და ვკიან პე-

5 ამასთან კავშირში საინტერესოა გიორგი მკირის განმარტება: „ბერძნულითა ენითა გიორგი მუშაკად // მუშად გაღმითარგმანების“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტერ. ძეგლები, II, 1967, გვ. 112).

ფერემ ასურისეული ტექსტისა, მის ქართული თარგმანებისა და ჩვენთვის საინტერესო ტერმინებთან დაკავშირებით საყურადღებო განმარტებისათვის მაღლობას მოუახსენებ ლია ახობაძეს, ხოლო ეზრას ტექსტთან დაკავშირებული ცნობებისათვის — ცილა ქურციკიძეს.



რიოდშიც⁶. ვფიქრობთ, რადგანაც ტერმინი „მუშაკი“ არაერთმნიშვნელოვანია იყო, მისი რომელიმე კონკრეტული მნიშვნელობით — ვთქვათ დაქირავებული ხელოსნის გაგებით ხმარება — არ გამორიცხავს მისი სხვა შინაარსით — კერძოდ დაბეგრულ მიწის მოქმედად გაგებას, რადგან ამ მნიშვნელობით წერილობით ძეგლებში ეს ტერმინი ძალზე ხშირადაა დადასტურებული. ვეჭვობთ, რომ წყაროებში ყველა ამ შემთხვევაში დაქირავებული მიწის მოქმედი იგულისხმება. ეს ადრე უფრო გამონაკლისი თუ იქნებოდა. ამასთან ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საამისოდ მოტანილი მაგალითები თარგმნილი ლიტერატურიდან გულისხმობს არაქართულ სამყაროს, სადაც სხვა სოციალური სპეციფიკაციაა სავარაუდებელი. თუ კი დავუშვებთ, რომ „მუშაკნი“ თავდაპირველად სტრაბონისეული „ლაოების“ სოციალური მემკვიდრენი იყვნენ, უნდა დავუშვათ მათ შორის პირადად არათავისუფალ, დაბეგრულ მიწისმოქმედთა უპირატესი ხვედრითი წონაც. ამ მხრივ შემთხვევითი არ უნდა იყოს „მუშაკთა“ და „ერისგანთა“ ანუ სწორედ პირადად თავისუფალ მიწისმოქმედ-მეომართა („ერის“) დაპირისპირება ზემოთ მოტანილ წყაროში. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ „მუშაკი“ ქირით მშრომელსაც აღნიშნავდა (როგორც ეს ი. აბულაძის ლექსიკონში არის წარმოდგენილი) და ამ კატეგორიაში დაბალი საზოგადოების თავისუფალი წევრებიც იგულისხმებოდნენ, მაგრამ საქართველოს სინამდვილეში ადრეული ხანისათვის, ვფიქრობთ, „მუშაკი“ მაინც უპირატესად დაბეგრულ მიწის მოქმედს აღნიშნავდა, ვიმეორებთ, სანამ ტერმინს „გლეს“ ეს მნიშვნელობა არ მიენიჭა.

Э. В. ХОШТАРИЯ-БРОССЕ

О ЗНАЧЕНИИ СЛОВА «МУШАКИ» В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ПАМЯТНИКАХ

Резюме

В статье выдвинуто положение, что в древнегрузинских письменных памятниках термин «мушаки», помимо общего значения — труженик, работник, обозначал и лично зависимого земледельца, до начала использования (X—XI вв.) в этом значении термина «гlexи» (крестьянин).

⁶ გ. მაისურაძე, „მუშაკთა“ სოციალური ფენა ლეოდალურ საქართველოში, „მაცნე“... ისტორიის სერია, 1988, № 2, გვ. 82, 86—87.

XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილი
 თორელ-ყოფილი და მისი ანდერძი

ხელნაწერებში დაცული ანდერძ-მინაწერების მიხედვით ქართული ოთხთავის ბოლო რედაქციების ჩამოყალიბების ისტორიის შესწავლისათვის მწყობრი და უხვი ცნობებით გამოირჩევა ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერ K 76, რომელიც XI ს-ის ქართველი მწიგნობრის ბასილი თორელ-ყოფილის მიერ არის გადაწერილი. პირველი ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ წარმოადგინა თ. ჟორდანიანი¹. მან გამოაქვეყნა სამი ნაწყვეტი ხელნაწერის ვრცელი და მრავალი ძვირფასი ცნობის შემცველი ანდერძიდან. მანვე განსაზღვრა პირველად სწორად ხელნაწერის გადაწერის თარიღი — 1060 წელი. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში ხელნაწერის გადაწერის თარიღი 1592 წლითაა განსაზღვრული: „ქრონიკონი სპ“ (280), XIII-ის ნაცვლად XIV მოქცევაშია ჩასმული². მიუხედავად ამისა, ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის გამოქვეყნების შემდეგაც, სპეციალურ ლიტერატურაში ბასილი თორელ-ყოფილი XI ს-ის მოღვაწედ, ხოლო ხელნაწერი K 76 1060 წელს გადაწერილად არის მიჩნეული³.

უკანასკნელი გამოქვეყნებული ცნობა ამ ხელნაწერის შესახებ ეკუთვნის ვ. ჯობაძეს; მან, არსებული პუბლიკაციების მიხედვით შეადგინა სირია-პალესტინის ქართულ სავანეებში გადაწერილი ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების კრებული, რომელშიც ჩართო K 76-ის ანდერძის ერთი ვრცელი ნაწყვეტი — თ. ჟორდანიას პუბლიკაციასა და ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში წარმოდგენილი ტექსტი⁴; ოღონდ, განსხვავებით ამ უკანასკნელისაგან, ხელნაწერის გადაწერის თარიღად მან ადრევე მიღებული 1060 წ. მიუთითა.

ხელნაწერი K 76, როგორც აღინიშნა, ოთხთავს წარმოადგენს; გადაწერილია კალიბოსში, შავ მთაზე ქართველთა ერთ-ერთ კულტურულ-სავანმანათლებლო კერაში⁵. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელნაწერი მრავალმხრივ საყუთრადღებოა, მისი დაწვრილებითი აღწერილობის წარმოდგენის ადგილი აქ არ

¹ თ. ჟორდანიანი, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წ. I, ტფ., 1892, გვ. 207—209.

² ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I. შედგენილია და დასაბუთდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1953, გვ. 215—216. ამავე აღწერილობაში ოთხთავის 1073 წლის ხელნაწერი K 363, დათარიღებულია 1545 წლით; ასევე, ხელნაწერები K 650 და K 653 — მეტაფრასული კრებულების ფრაგმენტები, რომლებიც პალეოგრაფიული ნიშნებით XII ს-ეს განეკუთვნებიან, აღწერილობაში დათარიღებულია XVI ს-ით.

³ მაგ., იხ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 158—159.

⁴ W. Djobadze, Materials for the study of Georgian monasteries in the Western environs of Antioch on the Orontes, CSCO, vol. 372, Subsidia t. 48. Louvain, 1976, pp. 21—22.

⁵ კალიბოსის მონასტრის, იქ მოღვაწე ქართველი მწიგნობრების საქმიანობის, კალიბოსში გადაწერილი ქართული ხელნაწერების, აგრეთვე, K 76 ხელნაწერის თაბორის (ლენჩხუში) ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენის და მასზე არსებული ლიტერატურის შესახებ იხ. ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158—159, 364.



არის; მაგრამ, ძირითადად ცნობებს მისი შედგენილობის, განსაკუთრებით მესწავლის საკითხისათვის საინტერესო ნაწილის შესახებ წარმოვადგენთ.

ოთხთავის ტექსტს მისდევს გიორგი მთაწმიდლის ცნობილი ანდერძი „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა“; რადგან ამ ხელნაწერში მას ახლავს რიგი თავისებურებებისა, მასზე შედარებით დაწვრილებით შევჩერდებით.

ცნობილია, რომ გიორგი მთაწმიდლის ამ ანდერძის ტექსტი, უფრო ზუსტად მისი დასაწყისი ნაწილი, ხოლო ზოგიერთ ხელნაწერში მისი ბოლო წინადადებაც, ორი, პრინციპულად განსხვავებული ვარიანტითაა შემონახული: პირველი ვარიანტით გიორგი მთაწმიდელმა ოთხთავი ახლად თარგმანა ბერძნულიდან „ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთათათა“, ხოლო მეორე ვარიანტით — სახარების ქართული ტექსტი „ბერძულთა სახარებათა შეაწამა ფრიადითა გამოწულილვითა“.

ანდერძის ტექსტის ორივე ვარიანტი, „ძირითადი ხელნაწერების“ სხვაობების აღნიშვნით, გამოსცა აკად. ა. შანიძემ⁶. მისი დასკვნით, ანდერძის პირველი ვარიანტი უნდა იყოს გიორგისეული, ხოლო მეორე ვარიანტი გადაკეთებულს უნდა ეკუთვნოდეთ⁷. თუმცა, იგი იმასაც აღნიშნავს, „რომ თუ ლიტერატურულ ფაქტებს გავითვალისწინებთ, უფრო დასაჯერებელია გიორგის რედაქტორობა, ვიდრე მისი მთარგმნელობა“⁸.

ამ საკითხს ხელახლა დაუბრუნდა ი. იმნაიშვილი ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული და გიორგისეული რედაქციების გამოცემისას; მისი დასკვნით, გიორგისეულია ანდერძის მეორე ვარიანტის ტექსტი, ხოლო პირველი ვარიანტი, რომელშიც გიორგის შრომა გაზვიადებულად არის წარმოდგენილი, ეკუთვნით გადაკეთებულს⁹.

ქართული ოთხთავების ამჟამად ცნობილ იმ მრავალრიცხოვან ხელნაწერებში, რომელთაც დაუკავთ გიორგისეული ანდერძის, როგორც ერთი, ისე მეორე ვარიანტი, K 76 ხელნაწერი ერთადერთია, რომელსაც ტექსტის გადაკეთებათა კვალი შემოუნახავს. ანდერძის ტექსტი ამ ხელნაწერში თავდაპირველად წარმოდგენილი ყოფილა მეორე ვარიანტით, ხოლო შემდეგ, მოგვიანებით, მაგრამ XI საუკუნეშივე ე. წ. პირველ ვარიანტად გადაუკეთებიათ. მართალია, ამ ხელნაწერის ანდერძის ტექსტი ცნობილი იყო ა. შანიძისათვის, როდესაც იგი ანდერძის ტექსტის ორივე ვარიანტის გამოცემას ამზადებდა (იგი ამ ნუსხას C ლიტერით აღნიშნავს და „ლეჩხუმურს“ უწოდებს), მაგრამ თ. ჟორდანიასეული გამოცემის მიხედვით¹⁰, ხოლო ამ გამოცემაში არაფერია აღნიშნული ნუსხაში არსებულ გადაკეთებათა შესახებ.

6 ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, ტ. II, 1922—1923, გვ. 402; იგივე იხ. მისი, „ქართული ენის ისტორიისა და სტრუქტურის საკითხები“, I, თბ., 1957, გვ. 285.

7 იქვე, გვ. 288.

8 იქვე, გვ. 286.

9 ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 54—56.

10 ეს იქიდან ჩანს, რომ კითხვასხვაობების აღნიშვნისას მას გამოტოვებული აქვს ერთი ისეთი კითხვასხვაობა („ჯერ-გინდის“ ნბ., „ჯერ-გინდის“ — ა. შანიძე), რომელიც თ. ჟორდანიას მიერ შემოკლებით დაბეჭდილი ანდერძის ტექსტში არ ასახულა. ასევე, თ. ჟორდანიას „საბაწმინდურნიცა“ აქვს დაბეჭდილი (მართალია, ა. შანიძესთან იგი გასწორებულია „საბაწმინდურნიცა“-თი, მაგრამ როგორც „გამოცემის ცხადი შეცდომები“), მაშინ, როდესაც ნუსხაშია „საბაწმინდურნიცა“.



გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება: ხელნაწერი K 76 1060 საა გადაწერილი, მაშასადამე, გიორგი მთაწმიდლის სიცოცხლეშივე (მალევე) ღია, რომ გიორგი გარდაიცვალა 1065 წელს¹¹); იგი უძველესია და ერთადერთი თარიღიანი ყველა იმ ხელნაწერს შორის, რომელსაც ოთხთავის გიორგისეული რედაქცია¹² და გიორგის ანდერძის პირველი ვარიანტი შემოუნახავს (გელათის, ვანის, ლაბსყალდის ოთხთავები XII ს-ის დასასრულისა და XIII ს-ისა); გადაწერილია კალაბოსში, ე. ი. იმ მონასტერში სადაც თვითონ გიორგი მთაწმიდელი მოღვაწეობდა. ამიტომ, უფრო სავარაუდებელია, რომ თავდაპირველი ანდერძის ტექსტის ის ვარიანტი, რომელშიც გიორგის მიერ სახარების ტექსტის მხოლოდ „შეწამებაზე“ და არა ხელახლად თარგმანზეა აღნიშნული. ხელახლად მთარგმნელად, როგორც ამას ვარაუდობს ი. იმნაიშვილი, იგი გადამკეთებლებმა წარმოადგინეს და როგორც K 76-დან ჩანს, XI საუკუნეშივე.

ბასილი თორელ-ყოფილს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ვარდა იმისა, რომ მცირე ზომის ორიგინალური თხზულება შეუქმნია, სახარების გიორგი-სეულ ტექსტში ჩაუწერია „საძიებელი წელიწადისა სახარებათა სუნაქსრი-თურთ“, რომელიც, სავარაუდებელია, თვითონვე გაუმართავს ბერძნული სახარების მიხედვით. ამ ვარაუდს ის უჭერს მხარს, რომ გიორგის ცნობილი ანდერძისათვის მას დაურთავს მცირე ცნობა თავისი ღვაწლის შესახებ (ასეთი ცნობა ოთხთავის არც ერთ ცნობილ ხელნაწერს არ ახლავს), რომელშიც სხვა-თა შორის წერს, რომ „ესე ოთხთავი მა მისა გიორგის თარგმნილი-სა სახარებისაგან გარდმოვწერე“¹³, „თვნიერ საძიებელთა“-ო, ხოლო თავის ანდერძში წერს, ეს საძიებელი მე ჩამიწერიაო.

რადგან ხელნაწერი K 76-ის მონაცემები გიორგი მთაწმიდლისეული ანდერძის შესწავლისათვის ასე მნიშვნელოვანი ჩანს, და თანაც, რომ უფრო ცხადი იყოს შემოწარმოდგენილი მსჯელობა, აქვე წარმოვადგენთ ანდერძის ტექსტს ამ ხელნაწერის მიხედვით, ტექსტის ჩასწორებათა აღნიშვნით:

[K-76, 310r] „ესე¹⁴ საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმი-
დაჲ|ოთხთავი ჩუენ¹⁵ ახლად გუთარგ|მნია¹⁶ ფრიადითა იძულებათა
ძმათა|ვიეთმე სულიერთაჲთა და¹⁷ ბერძულთა|სახარებათა შეგუწა-
მებია ფრიადითა გა|მოწულილვითა. და ვინცა ვინ სწე|რდეთ, ვი-

11 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 3, თბ., 1978, გვ. 164.
 12 დასანანია, რომ ოთხთავის გიორგისეული რედაქციის ტექსტის გამოცემაში ეს ხელნაწერი გათვალისწინებული არ არის.
 13 სხვათა შორის, როგორც ცნობილია, ვანის ოთხთავის (A-1335) ანდერძშიც აღნიშნულია, რომ იგი გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი სახარებიდან, თვით მისი ავტოგრაფიდანაა გადაწერილი (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 286; ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გვ. 58). ამავე დროს, ამ ხელნაწერში, მსგავსად K 76-ისა გიორგი მთაწმიდლისეული ანდერძის პირველი ვარიანტია წარმოდგენილი. 1074 წელს გადაწერილი ოთხთავის — Sin 19-ია, რომელიც გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციისაა (ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1949, გვ. 42). ანდერძშიც აღნიშნულია, რომ „ახლადთარგმნილისაგან დაგვიწერია და დედად დიად მართალი არს. ამათ ძუელთა სახარებათა ზოგ-ზოგი სიტყუაჲ არ ეწამების“-ო (G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï, Louvain, 1956, p. 57).
 14 „ესე“ — ასომთავრულით და სინგურით.
 15 ჩაწერილია გადაფხვილ ადგილას, ტექსტისაგან განსხვავებული შავი მელნით, თანადროული ხელთ.
 16 ამის შემდეგ დაფხვილია ერთი სიტყვის ადგილი.
 17 „და“ ჩაწერილია სტრიქონის ზემოდან შავი მელნით.

თა¹⁸ აქა ჰპოით, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გინდის დაწერაა, ღმრთისათვის, სიტყუათა ნუ სცვალე|ბთ, არამედ ვ(თ)აწერეთ¹⁹ სწერია, ეგრე დაწერეთ²⁰;|და თუ არა რამე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი|სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნი|ლ-არს და კეთილად — ხანმეტნიცა და საბაწმი|დულნიცა(!) — მუნით დაწერეთ, და ღმრთისათვის,|ერთმანერთსა ნუ განჰრევთ, და გლ|ახაკისა ვიორ-გიოთვის ლოცვა-ყავთ.|

ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, უღირსი|სა ბასილი-თვისცა, რომელმან წმიდად ესე ოთხთავი მამისა²¹ გიორგოთს თარგმნილისა²² სახარებისაგან²³ გარდმო|ვწერე, და შეწამებად ღიად მიხარკება,| ღმრთისათვის სიტყუასა ნუ შესცვალე|ბთ,|თვნიერ საძაბელთა²⁴.

მაშასადამე, ბასილი თორელ-ყოფილისეული ხელნაწერისათვის დართული ანდერძის მიხედვით:

1. თავდაპირველად ყოფილა გიორგი მთაწმიდლისეული ანდერძის ასტექსტი, რომლის მიხედვით გიორგი მთაწმიდელი ოთხთავის მხოლოდ „შემწამებელი“, ე. ი. რედაქტორ-შემსწორებელია.

2. ასეთი შინაარსის ანდერძის ტექსტი გადაუყვებიათ, გადაუფხეკიათ სთანადო ადგილები, და მისთვის ისეთი შინაარსი მიუციათ, რომ გიორგი მთაწმიდელი წარმოგვიდგება, როგორც ოთხთავის ტექსტის ხელახლად მთარგმნელი.

3. ეს ტექსტი ანდერძისა სხვა ანალოგიური შინაარსის ტექსტებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას ბოლო წინადადებაში სიტყვების „და ვლახაკისა გიორგისთვის“ შემდეგ აკლია სიტყვები „(რომელმან) ესე, ვთარგმნე“. გარდა ამისა, მას უშუალოდ მისდევს იმავე ხელით შესრულებული მინაწერი ბასილი თორელ-ყოფილისა, რომლის მიხედვით მას ოთხთავის ტექსტი გადმოუწერია „მამისა გიორგისა თარგმნილისა სახარებისაგან“; მაშასადამე გიორგისეული ტექსტის ანდერძში, როგორც აღინიშნა, ნათქვამი იყო, რომ გიორგი მთაწმიდელი სახარების ტექსტის მხოლოდ შემდარებელ-შემსწორებელია და არა ხელახლად მთარგმნელი.

4. გადაკეთებები, რომლებიც K 76-ში დაცული გიორგისეული ანდერძის ტექსტშია ჩატარებული, შესრულებულია XI ს-ის ნუსხურით, თავდაპირველი ტექსტისაგან განსხვავებული მეღნით. არ არის გამორიცხული, რომ ეს შესწორებები თვითონ ბასილი თორელ-ყოფილს შეეტანოს მის მიერვე გადაწერილ ტექსტში.

K 76-ის მომდევნო ნაწილი უჭირავს „საძიებელთა განგების“ სრულ ტექსტს: „განგებად სახარებათა საძიებელისაჲ წელიწდისა დღესასწაულოჲაჲ, ვითა მივაღს სუნაქსარი, წესსა ზედა ბერძულსა სრულებით“ (310v—350r). ეს,

¹⁸ აქედან თ. ქორდანიისეულ გამოცემაში აკლია.

¹⁹ „აქა“ ჩაწერილია სტრიქონს ზემოდან, ტექსტის მეღნით და ხელით, მაგრამ უფრო წვრილი ასოებით.

²⁰ „ვითა“-დან აქამდე ქორდანიისეულ გამოცემაში აკლია.

²¹ „მშისა“ მიწერილია სტრიქონის ბოლოს შავი მეღნით, ტექსტის თანადროული ხელით.

²² „თარგმნილისა“ ჩაწერილია გადაფხეკილ ადგილას, ტექსტის ხელით და შავი მეღნით.

²³ „გან“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოდან შავი მეღნით.

²⁴ „თვნიერ საძიებელთა“ მიწერილია სინგურით, წვრილი ასოებით, ტექსტის თანადროული ხელით.



ამ „განგების“ ერთ-ერთი ადრინდელი და ქართული ოთხთავის გიორგი მწიგნობრის წმიდელისეული რედაქციისათვის შედგენილი ერთ-ერთი პირველი ტექსტია „განგების“ ამ რედაქციის შესწავლისათვის ხელნაწერ K 76-ის ტექსტი, უთუოდ, ერთ-ერთ ძირითად ხელნაწერად უნდა იქნეს მიჩნეული²⁵.

„განგებას“ მიჰყვება ვრცელი ანდერძი ხელნაწერის გადამწერის ბასილი თორელ-ყოფილისა (350v—353v), რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. ხელნაწერში ეს ნაწილები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორი განივი დეკორატიული ზოლით. პირველი ნაწილი უჭირავს თხზულებას, რომელიც უსათაუროა და რომელსაც პირობითად შეიძლება „შესხმა ოთხთავისა“ ეწოდოს. იგი, როგორც ჩანს, ეკუთვნის თვითონ ბასილი თორელ-ყოფილს²⁶. მას, როგორც XI ს-ის ქართული მწერლობის ორიგინალურ და ამდენად საინტერესო ნაწარმოებს, აქვე წარმოვადგენთ:

[K-76, 350v] „მაღლი და დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ²⁷ ყოვლად წმიდასა სამებასა — მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელმან აურაცხელითა კაცთმოყუარებითა თვისითა აურაცხელნი მადლნი კეთილნი და ნიჭნი სრულნი მოჰმადლნა კაცთა და განგუეცხადა მორწმუნეთა სახიერებით, რომლისა მიმართ გურწმენა და აღვაარებთ, და გუეუწყა ჭეშმარიტებაჲ მისი მართლმადიდებლობათ ხარებისაებრ და უწყებისა წმიდათა მოციქულთა და მახარებელთაჲსა და სულითა წმიდითა მათ მიერ აღწერილისა წიგნისა ამის მიერ ყოვლად წმიდისა, რომელიცა ესე მოგუეთსრა ოთხთა მიერ მახარებელთა, სულითა წმიდითა აღვსებულთა — მათეჲს, მარკოზიჲს, ლუკაჲს და იოვანეჲს, რომელი მეტყუელებს საკურველებათა და ყოველთავე ღმრთეებისა და კაცებისა განგებულებათა მკსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა.

რომელი ყოველთავე ბრძანებათა შინა თუსთა დაამტკიცებს მამისა თანა დაუსაბამოჲსა და ყოვლად წმიდისა სულისა თანა სწორებასა, თანა დაუსაბამოებასა და სუფევასა თუსსა, რომელსა აღვიარებთ

²⁵ „განგების“ ეს რედაქცია, როგორც გიორგი მთაწმიდლისეული ოთხთავისათვის შედგენილი, ბუნებრივია, კონსტანტინოპოლური პრაქტიკისა; იერუსალიმური პრაქტიკისათვის მიღებული „განგების“ ტექსტი ორი სინური ხელნაწერი ოთხთავის — № 30 და № 38-ის მიხედვით, შესავალი გამოკვლევით გამოსცა ე. გარიტმა: Garitte G., Un index géorgien des lectures évangéliques selon l'ancien rite de Jérusalem, Le Muséon, 1972, 85, fasc. 3—4, pp. 337—398.

²⁶ ხელნაწერთა ანდერძებში გადამწერთა, ან მომგებელთა მიერ მცირე ზომის ორიგინალური მხატვრული, ან სხვა სახის ტექსტების ჩართვა, როგორც ცნობილია, უცხო არ არის. იხ. მაგ., ლიპარიტ ლიპარიტისძის თხზულებად მიჩნეული ერთი ასეთი ტექსტი, დართული მისი სურვილით გადაწერილი ხელნაწერის K 21-ისათვის, რომელიც იოვანეს თავის სახარების იოვანე ოქროსპირისეული თარგმანების ეფთუმე მთაწმიდლის მიერ შესრულებული თარგმანის ტექსტს შეიცავს (დაწვრილებით იხ.: მ. კახაძე, ლიპარიტ ლიპარიტის ძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება, „ენიმკის მოამბე“, XIV, თბ., 1944, გვ. 73—79). როგორც ჩანს, ასეთ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება იოვანე-უოსიმეს ცნობილი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“-ც. ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ასეთი სახის ტექსტების — მცირე ბელეტრისტიკის ნიმუშების, გამოყოფა და სავანებო შესწავლა უთუოდ საინტერესო შედეგებს მოგვემდება — გამოავლენდა ძველი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის რიგით მუშაკებს.

²⁷ პირველი სტრიქონი ასომთავრულით, შემდეგ ბოლო სამ სტრიქონამდე — ნუსხურით; პირველი მ — სინგურით; ხაზგასმული ასოები — აზხაცების დასაწყისები (და „ესე“-ებში ს-ანიც), ასომთავრულით; აზხაცების პირველი ასომთავრული ასოები — სანგურით.



და ვადიდებთ თანა მამით და სულით წმიდითურთ, სამეუამოთუბით და ერთღმრთეებით, რომელი სუფევს საუკუნითგან და უკუნითი უკუნისამდე, ამინ(!).

ამისთვისცა დიდითა სურვილითა და მკურვალითა სარწმუნოებითა თანამდებ ვართ ყოველნი მორწმუნენი და გვღირს, რათა მოსწრაფებით პატივ ვსცემდეთ ტკბილთა მათ ბრძანებათა უფლისა²⁸ ღმრთისა მკსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ²⁹ ქრისტესათა მახარებელთა ჩუენისა გამოკსნისათა.

და რათა აღვიწერდეთ გულსმოღვინედ, ვიკითხვიდეთ ღმობიერად, ვისმენდეთ წადიერად და გულისკმა-ვჰყოფდეთ გონიერად|| [357r] [...] ³⁰ საქმით შუენიერად ყოველთავე მცნებათა დამბადებელისა და ღმრთისა ჩუენისათა.

ესე არს წიგნი იგი აღთქუმისაჲ, დაუსრულებელთა მათ კეთილთაჲ, არათუ მთით სინათათა მათ მცნებათაჲ მოსეს მიერ მოღებული³¹, არამედ ზესკნელს ცისა ცათაჲთ თუთ თავადისა დაუსაბამოჲსა ღმრთეებისა სახიერებით ჩუენთუს განკაცებულისა პირითა ბრძანებული, და დაუკლებელად მახარებელი და მაუწყებელი კეთილთა მათ და სუფევათა საუკუნეთაჲ.

ესე არს ამას შინა წერილი იგი მარგალიტი უსასყიდლო³², რომლისათუს ჯერ-არს საფასეთა ყოველთა განსყიდად და მის მხოლოდსა მოსყიდად, უხუად განმამდიდრებელისაჲ სიმდიდრითა უოხჭნოთა.

ესე არს ტაბლაჲ იგი ცხორებისაჲ და საზრდელი უკუდავებისაჲ³³, განმამტკიცებელი გულთა ცოდვისა მიერ მოწყმართაჲ და გამომზრდელი უხუებით ყოველთავე შიმშილითა ვნებათაჲთა შეიწრებულთაჲ.

ესე არს დუნოჲ იგი გულისკმის ყოფისაჲ³⁴ და სასუმელი სიხარულისაჲ, მახარებელი გულთაჲ და განმარბმნობელი უგულისხმოთა.

ესე არს ხცე იგი ბორობანი³⁵, რომლისა რტოთა მისთა დაიგრილონ და განისუენონ ყოველთავე მაშურალთა და ტურთმძიმეთა ცოდვითა.

ესე არს სამოთხცე იგი შუენიერებისაჲ, სავესც მრავალფერითა ყუავილითა და ნაყოფითა სურნელებისაჲთა, რომელი განასულენელებს ყოველთავე ცოდვისა მიერ დაყროლებულთა.

ესე არს საუნჯცე იგი მოუკლებელი, რომელი არცა მღიღმან და არცა მჭამელმან განრყუნის და არცა მბა|| [351v] რაკთა დათხარიან და განიპარიან³⁶, და ახარებს მომგებელთა სიხარულითა საუკუნოთა.

ესე არს ჭეშმარიტად კიბცე ცად აღმყვანებელი³⁷, და კარი სასუფეველისაჲ მიმაახლებელი ღმრთისაჲ³⁸ და თანამოდასე-ყოფელი ანგელოზთა.

28 ორსა — ნს.
 29 ივ — ნს.
 30 არ იკითხება ორი სიტყვა: „და აღვასრულებდეთ“ (?).
 1* შდრ. გამოსლ. 20, 1—17; 2* შდრ. მთ. 13, 46. 3* შდრ. ლკ. 22, 30. 4* შდრ. ი. 2, 9—10. 5* შდრ. ლევიტ. 23, 40.
 6* შდრ. მთ. 6, 19; 6, 20; ლკ. 12, 33. 7* შდრ. დაბ. 28, 12. 8* შდრ. ი. 10, 7; 10, 9.

მოვედით, აწ შ ნაკლულევანო, შ დაგლახაკებულნო, შ მშიერნო და მომყმარნო ცოდვათა მიერ და ბრალთა, ესერა მზა არს სერობო ტკბილისა მის და სახიერისა მეუფისაჲ; მოვედით და უხუებით განვიძიეთ, მოვედით და განვისუენოთ, მოვედით და აღვივსნეთ კეთილთაგან მისთა მოუკლებელთა.

რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმაღლოთათ(უ)სცა და უკეთურთა, რომელმან უხუებით მიანიჭნის კეთილნი მისნი და არავის აყუედრის, არამედ ღაღადებს და იტყვს ჳმითა მით ტკბილითა და სახიერითა:

„მე ვარ პური ცხოვრებისაჲ(!), რომელი ჳამდეს ჩემგან არა სადა ჳშიოდის, რომელთა სწყუროდის – მოვედინ ყოველნი და სუემდინ“^{9*}; და კუალად იტყვს:

„მე ვარ ნათელი სოფლისაჲ, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს მას ნათელი ცხოვრებისაჲ(!)“^{10*}; და კუალად იტყვს:

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და რომელთა ტურთი მძიმც გეტურთა, და მე განვისუენო თქუენ“^{11*}. და შემდგომითი-შემდგომად ყოველნივე სახიერებით და სიტკბოებით ბრძანებანი მისნი, რომელთაჲ არა არს რიცხუ, და ვინმცა უძლო დაბადებულთაგანმან მიწდომად, გინა აღრაცხვად სახიერებათა მისთა უფსკრულსა.

არამედ ჳერ-არს ჩუენდა შიშით და ძრწოლით, დიდითა სარწმუნოებითა მადლობად აურაცხელთა ქველისმოქმედებათა და კაცთმოყუარებასა მისსა მიუთხრობელსა და||[352r] [...]³¹ და მარადის ვედრებით მისთა და დიდებისმეტყუელებად სახელსა მისსა ყოვლად წმიდასა დიდად შუენიერსა.

ამას შუევრდეთ ძურუჯსენებელსა და სახიერსა, მას ვევედრებოდით და მას ვადიდებდეთ, ვაქებდეთ და ვაკურთხევდეთ, რამეთუ მისი არს სუფეჲჲ, ძალი და დიდებაჲ და მისა შუენის პატივი და თაყუანისცემაჲ თანადაუსაბამოჲთ მამით და ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აწ და მარადას და უკუნათი უკუნისამდც, ამინ.

ამისთჳს ჳერ არს, საყუარელნო ღმრთისანო, მამანო და ძმანო, რადთა რომელსა ღირს იქმნეთ მოგებად, გინა აღწერად წმიდასა ამას წმიდათასა, ცათა და ქუეყანისა უზეშთაესსა წიგნსა, რომელსა წ ი ვ ნ ეწოდების, არამედ არა არს ესე, ვითა სხუანი წიგნნი, ლიტონად წიგნად სახელდებული, არამედ[დ] ეწოდების ამას სა ხ ა რ ე ბ ა, რადთა ართუ სხუაჲ რამე არს სახარებაჲ, არამედ პირი არს ღმრთისაჲ, რომელი მეტყუელებს ვითარცა ჳეშმარიტად პირი ღმრთისაჲ და მოგუთხრობს და გუახარებს პირისაგან ღმრთისა გამოსრულთა ბრძანებათა და ჳეშმარიტთა და უტყუელთა აღთქუმათა მისთა ჳსნისა და

^{9*} ი. 6, 35; შდრ. ი. 4, 14; 6, 41; 7, 37; ^{10*} ი. 8, 12; შდრ. ი. 9, 5; 12, 46.
^{11*} მთ. 11, 28. საინტერესოა, რომ ბასილი თორელ-ყოფილთან ეს ციტატი დასტურდება ოთხთაეის ეფთვიმესეული და არა გიორგისეული რედაქციიდან. გიორგისეული რედაქციით იგი ასეთია: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტურთმძიმენი, და მე განვისუენო თქუენ“.

³¹ არ იკითხება სტრიქონნახევარი: „გამუკლუველსა და დაუცადებულად“ (A 357).

ცხოვრებისა(!) ჩუენისათა, რომელმან თქუა ცათა და ქუეყანისა წარ-
სლვამ, ხოლო სიტყუათა თუსთა არა წარსლვამ, არამედ გებად^{12*}.

რამათა დიდითა კრძალვითა და გულსმოდგინებითა და სარწმუნო-
ებითა და შიშითა ღმრთისათა მოვაგებდეთ და დაღად პატივსცემ-
დეთ, რამეთუ ვითარცა ღმერთი უზეშთაეს არს ყოველთა დაბადებულ-
თა, ეგრეთვე ესეცა წიგნი უზეშთაეს არს ყოველთა [წიგნთა]. || [352v]
და ვითარცა უჯერო არს ღმრთისად დაბადებულთა თანა შერაცხვად,
ეგრეთცა წმიდასა სახარებასა სხუათა წიგნთა სწორად შერაცხვად
რამეთუ საღმრთონი წიგნი და ღმრთივსულიერნი ყოველნავე სახა-
რებისა მიერ ცხოველ არიან, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მარ-
თალნი სარწმუნოებითა ცხოვნდეს“^{13*} და რამათა სარწმუნოებით პა-
ტივ-ვსცემდეთ ბრძანებათა უფლისათა³², რომელმან თქუა: „სარ-
წმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშუღობით“^{14*}. და ყო-
ველთა მორწმუნეთა, მოშიშთა მისთა, მოვანიჭენ მან სახიერმან
და კაცთმოყვარემან ღმერთმან, სარწმუნოებისაებრ თქუენისა მო-
უგონებელნი ნიჭნი და კეთილნი მისნი საუკუნოდ და უკუნითი უკუ-
ნისამდე, ამინ“³³.

სიმბოლური ეპითეტების სახარების აქ წარმოდგენილი დახასიათების ფი-
ლოლოგიურ-ისტორიული და ღვთისმეტყველური საკითხების განხილვა ამ წი-
რილისა და პუბლიკაციის ამოცანებს სცილდება, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ არ
შეიძლება ერთი გარემოების — ძველ ქართულ მწერლობაში დადასტურებული
ანალოგიური ლიტერატურული ხერხის შესახებ მოკლედ მაინც არ
აღინიშნოს. კერძოდ, VIII ს-ის დასასრულის (790 წ-მდე) ქართული მწერლო-
ბის ძეგლში — იოვანე საბანის-ძის „წამებაჲ ჰაბოდასი“ პირველ თავში გად-
მოცემულია სიმბოლური ეპითეტებით ღვთის სახელების ჩამოთვლა და შემდეგ
ცალ-ცალკე მათი განმარტება. იმდენად მსგავსია ამ ორ ნაწარმოებში გამოყე-
ნებული ეს ლიტერატურული ხერხი, რომ შესაძლებლად გვეჩვენება დისკუსი-
კითხვა — XI ს-ის მწიგნობარი ბასილი თორელ-ყოფილი ხომ არ იცნობდა
იოვანე საბანისძის თხზულებას? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის საფუძველი
ჩანს ის ფაქტიც, რომ იოვანე საბანის-ძის ნაწარმოებმა ჩვენამდე, როგორც
ცნობილია, მრავალი ხელნაწერით მოაღწია და მათ შორის X ს-ის ისეთი ცნო-
ბილი ხელნაწერებით, როგორებიცაა „უდაბნოს მრავალთავი“ (A 1109), „სეა-
ნური მრავალთავი“ (A 19) და „ათონის მრავალთავი“ (Ath. 57).

განსხვავება ამ ორ ნაწარმოებს შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხზე
არის, რომ პირველ შემთხვევაში (იოვანე საბანის-ძესთან) ღვთის სახელებია
სიმბოლური ეპითეტებით გადმოცემული („კარ, გზა, ტარიგ, მწყემს, ლოდ, მარ-
გალიტ, ყუავილ, ანგელოზ, კაც, ღმერთ, ნათელ, ქუეყანა, მარილ, მატლ, მარ-
ცუალ მდოგვს, მზე სიმართლის“ — ძე. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I,
გვ. 52), ხოლო მეორე შემთხვევაში (ბასილი თორელ-ყოფილთან) სახარების
დახასიათებაა („წიგნი ლთქუმისაჲ“, „მარგალიტი უსასყიდლოჲ“, „ტაბლად
ცხოვრებისაჲ“, „საზრდელი უკუდავებისაჲ“, „ღვთოჲ გულისკმისყოფისაჲ“ და
ა. შ.) წარმოდგენილი. ამდენად, ეს ორი ნაწარმოები, თითქოს, ავსებებს კიდევ
რამდენადმე ერთმანეთს — ერთში ღვთაების, ხოლო მეორეში სახარების სიმ-
ბოლური დახასიათება-განმარტებებია გადმოცემული.

აკად. კ. კეკელიძემ იოვანე საბანის-ძის მიერ „გამოყენებული შრომების“
დასახელებისას მისი ნაწარმოების ჩვენთვის საინტერესო ადგილის წყაროდ
მიიჩნია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერიელის) ნაშრომში „სა-

12* შდრ. მთ. 24, 35; მრ. 24, 35; ლკ. 21, 33 („ცანი და ქუეყანაჲ წარკდენ, ხოლო სი-
ტყუანი ჩემნი არა წარკდენ“) 13* შდრ. მრ. 16, 16. 14* ლკ. 8, 48, შდრ. მთ. 9, 22; მრ. 5,
34; 10, 52; ლკ. 7, 50; 17, 19; 18, 42.

32 ოწისათა — ნსხ.

33 ამის შემდეგ გავლებულია ორი განივი დეკორატიული ზოლი.

ღმრთოთა სახელთათჳს“ წარმოდგენილი „სიმბოლური ღმრთისმეტყველების ელემენტები“ (ადრინდელი ფეოდ. ქართ. ლიტერატურა, ტფ., 1935, გვ. 115-116) იხ. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამოსცა ს. ენუქაშვილმა. თბ., 1981, გვ. 5—98). თუ რა წარმოადგენდა წყაროს ბასილი თორელ-ყოფილისათვის, ეს ჩანს თვით მისსავე ნაწარმოებში, რომელიც, როგორც ვხედავთ, მთლიანად სახარების ტექსტზეა დამყარებული.

ანდერძის ტექსტის მეორე ნაწილი კონკრეტული ისტორიულ-ფილოლოგიური ცნობების შემცველია. იგი, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა; პირველ ნაწილში ბასილი თორელ-ყოფილი გადმოგვცემს ცნობებს თავის თავზე და აღნიშნავს, რომ გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ ოთხთავში „ჩამიწერია საძიებელი წელიწადისა სახარებათაჲ სუნაქსრითურთ, დღმ-დაუკლებელად, წესსა ზედა ბერძულსა“-ო. შემდეგ გვაწვდის მოკლე განმარტებას საძიებლის გამოყენების წესის შესახებ, აღნიშნავს საძიებელში მიღებულ პირობით ნიშნებს. მეორე ნაწილში ის უკვე გვაწვდის იმ ტრადიციულ ცნობებს, რომლებსაც შეიცავს ჩვეულებრივ ხელნაწერთა ანდერძები: ვისი ხელით გადაიწერა, სად გადაიწერა, ვისი სულის მოსახსენებლად გადაიწერა და როდის გადაიწერა ხელნაწერი. მიუხედავად იმისა, რომ ანდერძის ეს ნაწილი ერთხელ უკვე გამოქვეყნდა თ. ჟორდანიას მიერ (თუმცა, არეულად — ჯერ გამოცემულია მეორე ნაწილი, შემდეგ პირველი ნაწილი, ხოლო მათ შუაში — არასრული შინაარსით გადმოცემული ტექსტი პირობითი ნიშნების შესახებ), ხოლო მისი ბოლო ორჯერ — ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში და ვ. ჯობაძის მიერ, მისი სრული ტექსტის აქ წარმოდგენა საჭიროდ მიგვაჩნია.

ეს ტექსტი, გამოყოფილი ზემოთმოყვანილი ტექსტისაგან ორი განივი დეკორატიული ზოლით, ასეთია:

„ხოლო³⁴ მე, სულიერთა და საღმრთოთა მადლთაგან კლახაკა, მრავალთა ცოდვათაგან დღევა-გუემული და უდებებით და დაჯსნილობით ფრიადსა არებული, არამედ უფსკრულთა ღმრთისა მოწყალებისათა მინდობილი და არასასოწარკუეთილი, სახელით ოდენ, და არა საქმით, მონაზონი ბასილი თორელ-ყოფილი, ღირს ვიქმენ აღწერად და განსრულებად წმიდასა ამას ოთხთავსა სახარებასა, განწმედილსა ახლად და მართალსა, და უფროჲს მზისა ბრწყინვალესა, წმიდისა მამისა ჩუენისა მიერ გიორგი მთაწმიდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა ასოჲ მრუდი და ნაკლული და არცა მეტი, და-დაცა-თუ ნაშრომი უნდოდ აჩუენებს მწერლობისაკან უმეტრებისა ჩემისა მიერ.

ხოლო ჩამიწერია საძიებელი წელიწადისა სახარებათაჲ სუნაქსრითურთ, დღმ დაუკლებელად, წესსა ზედა ბერძულსა. და აწ უკუე საცნაურ იყავნ თქუენდა რომელნი|[353r] ეძიებდეთ და იკითხვიდეთ წმიდათა სახარებათა, რამეთუ, ესრეთ არს ბერძულად განწესებულ მოძღუართა მიერ, ვითარცა შეუგვანდეს თითოეულსა სახარებასა, თავი ეგრეთ აიღებვის³⁵; და აწ ყოველი განგებულებით მიჩენია; თავები სახარებისაჲ ვითა აიღებვის, საძიებელსა შინა კპოთ, და ვითა აქა და საძიებელსა ეწეროს, ზეპირით თავ[სა] ეგრეთ აიღებლით თი-

³⁴ აქედან გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას (გვ. 208, ოღონდ მომდევნო ნაწილის — „დაიწერა...“, შემდეგ).

³⁵ აქამდე გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას (ოღონდ მომდევნო ნაწილის — „დაიწერას“-ს შემდეგ).



თოეულისა სახარებისასა [და] მერმე სახარებასა შეუ[დ]გენდებოდა მელ მოგეძიოს.

და ესრეთ აიღებვის თავები, გინათუ — მას ჟამსა [შინა], გინათუ თქუა უფალმან³⁶, გი[ნა]თუ — ჰრქუა უფალმან³⁶ თუსთა მო[წა]ფეთა, გინათუ — თქუა უფალმან³⁶ [ი]გავი ესე, გინათუ — ჰრქუა უფალმან³⁶ მოსრულთა მათ მისა ჰურიათა, — ესრეთ აიღებვის თავები და რომელიმე სახარებათაგანი ვითა ეწეროს ეგრე ითქუმის ლიტონად*.

და დაენიშნე თავ-ბოლოები სახარებათაჲ ოთხთაჲსა შინა სინგურიითა: თავებსა სახარებათასა ესე არს ნიშანი [ი თავმოსკუნილი ჯ(უარ)ი სინგურიით]³⁷.

და ბოლოსა დასასრულთა ესე არს ორნი ჯ(უა)რნი მიდამოქსრე სახედქ[მიდამო დასასრულსა ორნი ჯუარნი წურილნი სადაუნი სინგურიით].

დაიწერა³⁸ კელითა ცოდვილისა ბ ა ს ი ლ ი ს თ ო რ ე ლ - ყ ო ფ ი - ლ ი ს ა მ თ ა ს ა ნ ა ხ ე ბ ს ა ა ს უ რ ე თ ი ს ა ს ა³⁹, დიდებულისა⁴⁰ ქალაქისა დიდისა ა ნ ტ ი ო ქ ი ს ა ს ა, მონასტერსა წარჩინებულსა დიდისა კ ა ლ ი პ ო ლ ი ს ა ს ა, სადიდებელსა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისასა, სამკვდრებელსა და ნავთსაყუდელსა ქართველთასა, სოხასტერსა შინა მონასტრისა აღმოსავალით სადიდებელსა წმიდათა მთავარანგელოზთასა. || [353v] და⁴¹ აწ გვევდრები ყოველთა ღმრთის-მოყუარეთა, რომელნიცა განათლებულ ხართ წმიდისა ამის სახარებისა ბრწყინვალეებითა, მორწმუნეთა და წმიდათა მამათა და ქრისტეს მიერ ძმათა, რომელნი მოელით მიმთხუევად საუკუნოთა მათ კეთილთა, ჯსენებულ გუყვენით წმიდათა შინა ლოცვათა თქუენტა მე, გლახაქი ბ ა ს ი ლ ი, ამის წმიდისა სახარებისა დამწერი, და მშობელსა [...]⁴² ჩემნი [...] ჩუენნი სულიერნი და ჯორციელნი [...] კეთილად [...] მიცვალებულთა და მიცვალებადთა [...] ლოთა მცნებითა და მარხვითა სიყუარულით და ნუგეშინისცემით [...] ივინი-მცა [...] მო[...] თუს საუკუნოს-მცა არს კურთხეულ და საჯსენებელი მათი; თანადაიწერების სახელები მათი, რომელთა ჩუენ მოვკსენენ, წიგნსა მას ცხოველთასა; და მი-მცა-ეცემეან(!) ნეტარება სულთა მათთა დაუსრულებელნი იგი კეთილნი, რომელი თუალმან არა იხილა და ყურთა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუტდა, რომელი განუმხადა ღმერთმან მოყვარემან(!) სახელისა მისისათა; ივინი-მცა დგომილარიან მარჯვენით(!) წინაშე ღმრთის დაულამებელსა მას დღესა მო-

36 ო-ნ — ნს.

37 []-ში ჩასმული სიტყვები აქ და ქვემოთაც მიწერილია გვერდის მარჯვენა აშიაზე, ტექსტის გასწვრივ, სინგურიით.

*A 357-ში, რომლის შესახებ ქვემოთ იქნება აღნიშნული, ანდერძის ტექსტი აქ მთავრდება.

38 აქედან ბოლომდე ტექსტი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას, ე. ნიკოლაძეს, და ვ. ჯობაძეს.

39 „სა“ მიწერილია სტრიქონს ზემოდან.

40 დიდებულისა — ნს.

41 აქედან ტექსტი გაცხოველებულია.

42 აქ და ქვემოთ [] ჩასმულ ადგილებში თავდაპირველი ტექსტი გაცხოველების დროს ამოფხეკილი ყოფილა და ტექსტი ნაკლულია.

სლვისა მისისათა; დადგინებულ-მცა არიან ყოველთა წმიდათა მოძველებულნი ჩემნი.



ხოლო⁴³ ოდეს აღიწერა წმიდა სახარება ქრონიკონი იყო მაშინ სკ-“.

როგორც ვხედავთ, ანდერძის ბოლო ნაწილი ძვირფას ცნობებს შეიცავს, აგრეთვე, ქართული პალეოგრაფიული ტერმინების, კერძოდ, ტექნიკური ნიშნების შესახებ; K 76-ის ეს ცნობები სპეციალურ ლიტერატურაში გათვალისწინებული არ ყოფილა და სხვა ხელნაწერების მონაცემებთან ერთად ცალკე შესწავლას მოითხოვს⁴⁴.

ბასილი თორელ-ყოფილის ანდერძის ერთი ნაწილი — „შესხმაჲ ოთხთავისაჲ“, დართული აქვს ოთხთავის კიდევ ერთ ხელნაწერს — A-357¹⁵. ეს პატარა ზომის (8×5,7 სმ.), ეტრატზე ნაწერი ხელნაწერი ქვათახევის მონასტრის კუთვნილება ყოფილა და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ქვათახევის ოთხთავის“ სახელწოდებით; „აღწერილობაში“ იგი დათარიღებულია XIV—XV სს-ით; ოთხთავის ტექსტი გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციისაა. შედგენილობით (სახარებათა თავების საძიებლების და „საძიებელი წელიწადისა სახარებათა“ დართვა) იგი მისდევს K 76-ს, მაგრამ მისი ანდერძი დაცლილია ყველა იმ კონკრეტული ისტორიულ-ფილოლოგიური ცნობებისაგან, რომლებითაც ასე მდიდარია K 76. კერძოდ, A 357-ში არსად არაა ნახსენები ბასილი თორელ-ყოფილი, მას არ ერთვის გიორგი მთაწმიდლისეული ანდერძი „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა“, არ ერთვის საკუთრივ ბასილი თორელ-ყოფილის ანდერძი მისი ღვაწლის შესახებ კონკრეტულად ამ ხელნაწერის შექმნაში — რაც ბუნებრივია, არ ერთვის პალეოგრაფიული ტერმინების შემცველი ცნობა სახარებათა საძიებელში მიღებული ტექნიკური ნიშნების შესახებ, რაც ასევე სავსებით გასაგებია და ბუნებრივია, რადგან A 357-ის საძიებლები სხვანაირადაა დანიშნული. ასევე, თვით „შესხმის“ ტექსტიც A 357-ში წარმოდგენილია ცალკეული ორთოგრაფიული განსხვავებებით, რომელთა აქ აღნიშვნა საჭიროდ არ მიგვაჩნია — ორივე ტექსტი გამოცემულია და მათი შედარება დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ A 357-ის გადამწერმა ისარგებლა K 76-ხელნაწერით, ან ამ უკანასკნელზე დამოკიდებული სხვა ნუსხით (ჯერჯერობით მხოლოდ ამ ორი ხელნაწერითაა ცნობილი ორიგინალური ტექსტი „შესხმისა“). მისგან ამოიღო მხოლოდ ის ცნობები, რომელიც მას სჭირდებოდა და ამით ერთგვარად მიიჩქმალა ბასილი თორელ-ყოფილის, მის დროს უკვე სრულებით უცნობი და მივიწყებული მწიგნობრის ღვაწლი — შესხმის ავტორობა, სახარებათა საძიებლების თარგმნა და გამართვა.

კალიპოსის, ანუ იგივე კალიპოლისის ქართველთა მონასტრის მოღვაწის ბასილი თორელ-ყოფილის, როგორც მწიგნობრის შესახებ მსჯელობისას, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში იგი გაიგივებულია ამ მონასტერში მოღვაწე ბასილის სახელით ცნობილ სხვა პირებთან. კერძოდ,

43 აქედან ბოლომდე ასომთავრულით; ხ — სინგურით.
44 ძველ ქართულ ხელნაწერებში მიღებული პირობითი და ტექნიკური ნიშნების შესახებ იხ.: ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 146—148; ლ. ქაჯაია, ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში, „პალეოგრაფიული ძიებანი“, II, თბ., 1969, გვ. 103—107.
45 იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარია, ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1985, გვ. 77—79 (A 357 აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ).

მიჩნეულია, რომ იგი არის ხელნაწერ S 384-ის ეფრემ მცირისეულ ანდერძში მოხსენიებული ბასილი კალიპოსელი, რომელიც მონასტრის წინამძღვარი ყოფილა და რომელსაც ეფრემისთვის უბრძანებია ამ ხელნაწერში შესული ერთ-ერთი თხზულების — „წამებაჲ წმიდისა... მინა მეგვპტელისაჲ“ — ს თარგმნა ქართულად. გარდა ამისა მიჩნეულია, რომ მასვე გადაუწერია ხელნაწერი სინა-71, რომელიც წმინდანთა ცხოვრებების კრებულს წარმოადგენს და ხელნაწერი K 76 — ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი⁴⁶. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მოსაზრებით ასეთი გაიგივება ლიტერატურაში გაზიარებული არ არის⁴⁷, და, მართლაც, მის უეჭველობას ხელს უშლის რამდენიმე გარემოება:

1. კრებული სინა 71, რომელსაც ე. გაბიძაშვილი — კალიპოსის მონასტერთან დაკავშირებული რამდენიმე ბასილის გაიგივების ავტორი, ბასილი თორელ-ყოფილის — XI ს-ის მოღვაწის გადაწერილად მიიჩნევს, XIII ს-ის ხელნაწერია⁴⁸. ამდენად, ამ ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში მოხსენიებული ბასილი კალიპოსელის („წმიდაო იოვანე, მეოხ ეყავ ბასილსა კალიპოსელსა წინაშე წმიდისა სამებისა, ამენ“⁴⁹) გაიგივება ბასილი თორელ-ყოფილთან გამოირიცხებულია. აქ ნიშანდობლივია კიდევ ერთი გარემოება — ნ. მარის შენიშვნით, ხელნაწერ სინა 71-ზე იმავე ხელით, რომლითაც ბასილი კალიპოსელის მინაწერია შესრულებული, ყოფილა კიდევ ერთი მინაწერი შემდეგი ტექსტით „წმიდაო ეკატერინე, მეოხ იყავ წინაშე ღმრთისა ბერისა გაბრიელისთვის და შვილთა და მეგობართა მისთათს“⁵⁰. ასეთი შინაარსის მინაწერი — მიმართვით წმ. ეკატერინესადმი, ხელნაწერზე შეიძლება გადაკეთებულიყო მისი სინის მთაზე მოხვედრის შემდეგ. ხოლო თუ იგი გაკეთებულია ე. გაბიძაშვილის მიერ ტექსტის გადამწერად მიჩნეული ბასილი კალიპოსელის ხელით, მაშინ გამოდის, რომ ხელნაწერი საერთოდ სინას მთაზე ყოფილა გადაწერილი და არა კალიპოსის მონასტერში. ამდენად, ამის მიხედვითაც, უეჭველად კალიპოსელ მოღვაწე ბასილი თორელ-ყოფილთან, მას კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს.

2. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეფრემ მცირე S 384-ის ანდერძში, მისთვის თარგმანის დამკვეთს — მონასტრის წინამძღვარს მოიხსენიებს „კალიპოსელთა წინამძღუარი ბასილის“ სახელით, როგორც ჩანს, მისივე თანამედროვე და თანამოღვაწე სხვა ბასილისგან — ბასილი თორელ-ყოფილისაგან განსხვავების მიზნით. როგორც ჩანს, ამავე მიზეზითაა, რომ K 76-ის გადამწერი ხელნაწერის ანდერძში თავისთავს მაინცდამაინც ბასილი თორელ-ყოფილს უწოდებს.

თუმცა, ამ შემთხვევაში მიმართვა წმ. ეკატერინესადმი შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ ეს მინაწერი მოთავსებულია ხელნაწერში შესული თხზულების — „წამებაჲ წმ. ეკატერინესი“ ბოლოს. ამავე დროს, ხელნაწერის ბოლო ფურცელზე მოთავსებული XIII ს-ის მინაწერის მიხედვით, ეს ხელნაწერი სინის მთაზე გაუფზავნია და ქართველთა ეკლესიისათვის შეუწირავს

⁴⁶ ე. გაბიძაშვილი, რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978, გვ. 68—69.

⁴⁷ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, გვ. 158—159.

⁴⁸ А. Сагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае (Правосл. Палест. Сборник, IV, 1), СПб., 1888, с. 230—231 (აქ ხელნაწერი დათარგმნებულია XIII—XIV სს.). G. Garitte, Catalogue de manuscrits géorgiennes littéraires du Mont Sinaï, p. 216. შტრ. ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 364.

⁴⁹ G. Garitte, Catalogue, p. 224.

⁵⁰ Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940, с. 214.

ვინმე პეტრეს და მამასადამე, იგი იქ გადაწერილი არ არის. ამიტომ, ყოველივე აღნიშნულის შედეგად, ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში მოხსენიებული სხვა სილი კალიბოსელის და ბასილი თორელ-ყოფილის სხვადასხვა პირებად მიჩნევისათვის მაინც გადამწყვეტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხელნაწერი სინა 71 XIII ს-ისაა.

3. აღნიშნული გაიგივების შემთხვევაში მივიღებდით, რომ ერთი და იგივე პირი სხვადასხვა ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში დასახელებულია სამი სახელით: ბასილი, ბასილი თორელ-ყოფილი და ბასილი კალიბოსელი, რაც საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს. სხვა ასეთი შემთხვევა როდესაც არსენი მონაზონი, არსენი კალიბოსელი და არსენი ვაჩეს-ძე, ერთი და იგივე პირად — არსენ იყალთოელად არის მიჩნეული⁵¹, ასევე არ არის გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში⁵² და ამდენად, როგორც საეჭვო ფაქტი, ჩვენი შემთხვევისათვის ანალოგიურ მაგალითად არ გამოდგება.

ამდენად, XI ს-ის ქართველი მოღვაწის ბასილი თორელ-ყოფილის სახელს, ამჟამად არსებული მასალების მიხედვით, უეჭველად უკავშირდება მხოლოდ ერთი ხელნაწერი — K 76 და ამ ხელნაწერის ანდერძში ჩართული მისივე მცირე ფორმის თხზულება, რომელსაც პირობითად „შესხმა ოთხთავისა“ შეიძლება ეწოდოს. ამ ხელნაწერისა და მისი ანდერძის მიხედვით, ბასილი თორელ-ყოფილი წარმოგვიდგება, როგორც დახლოვებული კალიგრაფი, თავისი დროის განათლებული პირი, ხოლო გიორგი მთაწმიდლის ზემოთგანხილულ ანდერძთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით, როგორც დაკვირვებული და ოთხთავის ქართულად თარგმნის საკითხებში ჩახედული მწიგნობარი.

В. И. СИЛОГАВА

ГРУЗИНСКИЙ КНИЖНИК XI в. БАСИЛИ ТОРЕЛИ И ЕГО СОЧИНЕНИЕ

Резюме

Пергаменная рукопись грузинского четвероглава K 76 (Собрание Кутаисского историко-этнографического музея им. Н. А. Бердзенишвили), датированная 1060 годом, содержит обширный колофон с ценнейшими сведениями историко-филологического порядка. В текст колофона включено оригинальное сочинение небольшого размера, видимо принадлежащее переписчику рукописи Василию Торел-копили (т. е. Василию бышему Торели). Это сочинение условно можно именовать «Восхвалением Четвероглава». Аналогичное сочинение содержится, так же, колофон рукописи XIV—XV вв. А 357 из фондов Института рукописей им. К. С. Кекелидзе АН ГССР. Но в этой рукописи оно представлено без атрибуции, а весь колофон в урезанном виде.

В статье впервые публикуется полный текст колофона рукописи K 76 и вместе с ним «Восхваление Четвероглава» Василия Торел-копили. Ранее были опубликованы лишь отдельные фрагменты этого сочинения, принадлежащего одному из рядовых тружеников древнегрузинской книжности XI века.

⁵¹ ე. გაბიძაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70—72.

⁵² ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 159, 364, შეფ. 57.

ნიკოლოზ (ლავა) ჯანაშია

„დაწერილი ფაშნელისა მღვინისადმი“*

(არქეოგრაფიული შენიშვნები)

საბუთი აქამდე გამოცემულია სამჯერ:

1. თ. ჟორდანიას, „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა“, I, 1892.

2. მისივე, „ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა...“, 1896.

3. ი. დოლიძე, „ქართული სამართლის ძეგლები“, II, 1965.

„კორპუსში“ საბუთი, უეჭველია, უკეთაა წარმოდგენილი. წინა გამოცემებთან შედარებით „კორპუსის“ გამოცემას შემდეგი უპირატესობანი აქვს:

1. უფრო სრულია და ზუსტი საბუთის აღწერილობა (მოცემულია ტექსტისა და კეფების ზომები, მოცემულია ცნობები წინა გამოცემებზე).

2. უკეთაა მომზადებული საბუთის ტექსტი. გამოცემის ტექნიკური მხარე თანამედროვე დონეზეა: ტექსტში ნაჩვენებია დედნისეული სტრიქონები. რამდენიმე შემთხვევაში მოცემულია ტექსტის უკეთესი წაკითხვა. მათგან უმთავრესია „მკუდარი მამულის“ „მკუდრ მამულად“ წაკითხვა, რაც, ცხადია, მნიშვნელოვანა შენაძენია ტექსტის წაკითხვისათვის. შემოტანილია მრავალი პირობითი ნიშანი, რომელიც საშუალებას იძლევა აისახოს გამოცემლის მიერ ტექსტზე ჩატარებული ყოველგვარი მანიპულაცია. მოცემულია ხელრთვებას გამოყოფისა და კუთვნილების გარკვევის საინტერესო და საყურადღებო ცდა.

3. ტექსტს ახლავს სხვა გამოცემათა განსხვავებული წაკითხვები, რაც საერთოდ არა ჰქონდა წინანდელ გამოცემებს.

4. წიგნს ერთვის ბევრად უფრო სრული და ზუსტი საძიებლები, ვიდრე ეს ჰქონდა ი. დოლიძის გამოცემას (თ. ჟორდანიას გამოცემებს საერთოდ არა ჰქონიათ საძიებლები). ამდენად, ცხადია, განსახილველ საბუთსაც უკეთესი აპარატი აქვს.

* ნარკვევში წარმოდგენილია ავტორის ის შენიშვნები და მოსაზრებანი ე. წ. „ფაშნელის საბუთთან“ დაკავშირებით, რომელნიც ავტორს გაუჩნდა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ I ტომის ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადებისა და რედაქტირების პროცესში. ავტორმა ეს შენიშვნები ოფიციალურად გააცნო ტომის შემდგენელსა და რედაქტორს ნ. შოშიაშვილს 1978 წ. მაისში. შენიშვნების ნაწილი გათვალისწინებული იქნა კორპუსის გამოცემაში („ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, ტ. I, IX—XIII სს. საბუთები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 16—19, საბ. № 1).

წინამდებარე წერილში გამოტოვებულია ავტორის კონკრეტული, უფრო ტექნიკური ხასიათის შენიშვნები. წერილის დაბეჭდვა ამ სახით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რადგან მასში მოცემულია ავტორის დაკვირვებანი, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ „ფაშნელის საბუთის“ შემდგომ შესწავლისათვის (რედ.).

ამასთან ერთად, საბუთის გაცნობისას ჩვენ გავვიჩინდა ზოგიერთი კითხვა ვფიქრობთ, ზოგი რამ კიდევაა დასაზუსტებელი, ან, შეიძლება, შესასწავლებელიც კი.

სათაური.

„კორპუსში“ საბუთის სათაურია „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი“. სათაური ზუსტი არაა. თვით გამომცემლის აზრით, აქ გაერთიანებულია ორი საბუთი: ერთია „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი“, ხოლო მეორე — „მიქაელ მემღვიმის დაწერილი“. ამდენად უფრო ზუსტი იქნებოდა საბუთისათვის ასეთი სათაურის მიცემა (თუ საბუთი გაუყოფლად გამოიცემა): „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი და დაწერილი მიქაელ მემღვიმისა“. ი. დოლიძე ამ შემთხვევაში თანამიმდევრულად მოიქცა. საბუთი მან ორად გაყო და თვითეულს თავისი სათაური მისცა.

არსებული სათაური პირობითია. იგი შეესატყვისება მხოლოდ საბუთის პირველ ნაწილს. ამავე დროს ის არც ტრადიციულია. ამ საბუთს ასე არ ჰქვია არც თ. ჟორდანიას გამოცემებში და არც ი. დოლიძის გამოცემაში, რომელშიც, როგორც ითქვას, იგი ორადაა გაყოფილი და სათაურიც ორია.

აღწერილობა.

საბუთის აღწერილობის არსებით ხარვეზად მიგვაჩნია ის, რომ მასში არაა საბუთის სრული აღწერილობა. ვგულისხმობთ შემდეგს: Ad 1-ის recto-ზე, როგორც ცნობილია, არის გრიგოლ სურამელის დაწერილი 1247—1250 წწ. მის verso-ზე, III, II და, როგორც ითქვა, ნაწილობრივ I კეფზე მოთავსებულია „ფავნელის საბუთი“. ეს აღნიშნულია აღწერილობაში, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ კეფის verso-ზე „ფავნელის საბუთის“ შემდეგ მიწერილია დემეტრე ალექსანდრეს ძის სიგელი (XV ს.), რომელიც იმავე შიო მღვიმისადმია გაცემული. ვფიქრობთ, ეს აუცილებლად უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რადგან აქედან კიდევ უფრო კარგად ჩანს, რომ Ad—1-ზე თავმოყრილია მღვიმისადმი მიძღვნილი საბუთები. აკი თვით „კორპუსის“ გამომცემელიც აღნიშნავს: „ნიშანდობლივია, რომ პირი (ე. ი. „ფავნელის საბუთი“ — ნ. ჯ.) მიწერილია გრიგოლ სურამელის დაწერილის ზურგზე... ამკარაა, რომ გადაამწერი მიზნად ისახავდა მღვიმის სოფელ გავაზელზე არსებული საბუთების ერთად თავმოყრას“.

უნდა აღნიშნულიყო ისიც, რომ Ad—1-ს აკლია დასაწყისი, რომლის ნაწილი ჰქონდა ჯერ კიდევ თ. ჟორდანიას. საბუთის ისტორიისათვის ეს, უმჯობესია, საინტერესოა.

ამავე საკითხს რამდენადმე უკავშირდება შემდეგიც: ი. დოლიძეს აღნიშნული აქვს, რომ „ფავნელის საბუთის“ ორი უკანასკნელი სტრიქონი დაწერილია სხვა ხელით („კორპუსში“ იგივეა გამეორებული). ვფიქრობთ, შეიძლება მეტიც თქმულიყო. კერძოდ ის, რომ ჩვენი აზრით, „ფავნელის საბუთის“ ბოლო ორი სტრიქონი დაწერილია იმავე ხელით, რომელითაც დემეტრე ალექსანდრეს ძის საბუთი.



აღწერილობაში ნათქვამია: „პირის გადამწერს, როგორც ჩანს, შეუძლებელით, ზოგჯერ დამახინჯებით, შეურწყყავს ერთმანეთში: ა) ფავნელის საბუთის ტექსტი, ბ) მისი ხელრთვები; გ) გვიანდელი მინაწერი საბუთი (მიქაელ მემღვიმისა)“. რადგან შემოკლება, დამახინჯება და შერწყმა ეკუთვნის პირის გადამწერს უნდა ვიფიქროთ, რომ მას ხელთ ჰქონდა შეუმოკლებელი, დაუმახინჯებელი და განცალკევებული საბუთები. შემდგომშიც ვითარდება იგივე აზრი. გამომცემლის თანახმად, შესაძლებელია, პირის გადამწერმა ფავნელის საბუთის ხელრთვები გადაიტანა გაერთიანებული საბუთის ბოლოს, ანუ მიქაელის დაწერილის შემდეგ (აქედან გამომდინარეობს, რომ გადამწერის ხელთ არსებულ ფავნელის საბუთს ხელრთვები თავის ადგილას ჰქონია). პირის გადამწერის ასეთი მოქმედება, გამომცემლის აზრით, „უნდა აიხსნას ან დედნის ძლიერი დაზიანებით, ან, რაც უფრო მართებელი ჩანს, გადამწერის საგანგებო მიზანდასახულობა ასეა გახსნილი: „შეერწყვა საბუთის ყველა ნაწილი მისი ძირითადი არსის მოკლედ გადმოცემის მიზნით“. ამასთანავე ნათქვამია, „ამჟამად, რომ გადამწერი მიზნად ისახავდა მღვიმის ამ სოფელზე არსებული საბუთების ერთად თავმოყრას“.

ყველაფერი ეს ჩვენში იწვევს ზოგიერთ შენიშვნას:

ა) გაუგებარია, რა მიზანი უნდა ჰქონოდა საბუთის ყველა ნაწილის გაერთიანებას.

ბ) გაუგებარია, როგორ ემსახურებოდა საბუთის ყველა ნაწილის გაერთიანებას და მისი ძირითადი არსის მოკლედ გადმოცემას ერთი საბუთის ხელრთვების მეორე საბუთის ბოლოს გადატანა.

გ) საბუთის წარმოდგენილ ტექსტში გამომცემელი საკუთრივ ფავნელის დაწერილის შემდეგ გამოყოფს მიმღების (თევდორე მთავარ-მემღვიმის), გამცემის (ფავნელის) და მოწმეების (ფეოდალების — ნიჩბელის, კორინთელის და ვახტანგ ბივრიტელის) ხელრთვებს. მიქაელ მემღვიმის დაწერილს შემდეგ ასევე გამოყოფილია მეფის, კათალიკოსისა და სხვისი(?) ხელრთვა. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი ხელრთვებია გადმოტანილი საკუთრივ ფავნელის საბუთიდან. ამ შემთხვევაში ასახსნელია: პირველი — რატომ დატოვა გადამწერმა გამცემის, მიმღებისა და მოწმერთა ხელრთვები თავის ადგილას და რატომ გადაიტანა მეფის, კათალიკოსისა და ვილაციის ხელრთვები მიქაელის საბუთის ბოლოს? მეორე — რატომ გამოტოვა საერთოდ მიქაელ მემღვიმის დაწერილის ხელრთვები?

დ) ფავნელის დაწერილიდან არა ჩანს, ჰქონდა თუ არა მას მეფის ხელრთვა. მიქაელ მემღვიმის დაწერილში კი ნათქვამია: „გარდავე ლიხთიმერეთით და მოვიღე თავის უფლობისა ბრძანება კონსტანტინესი და ბაგრატიისი, კახთა მეფეთა: ფალღესი და კუ[ი]რიკესი“. ამას უშუალოდ მოსდევს ტექსტი, რომელსაც გამომცემელი, ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანად გამოყოფს როგორც მეფის ხელრთვას: „მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაჲს და დიდოფალთა და დიდებულთაგან, აზნაურთა და მქათთა ცოლთაგან“ და სხვ. განა უფრო ბუნებრივი არაა, ეს მეფის ხელრთვა, რომელიც ათავისუფლებს, სწორედ ის „თავისუფლობის ბრძანება“ იყოს, რომელზედაც ლაპარაკობს მიქაელი? ვიმეორებთ, მიქაელის საბუთს რომ მეფეთა ხელრთვები უნდა ჰქონ-

ნოდა, ეს უეჭველია, ხოლო ჰქონდა თუ არა მეფის ხელრთვა ფავნელის საკუთრებაში, ეს არ ვიცით.

ე) ფავნელის საბუთი ძალზე დამახინჯებულია, ტექსტი ხშირად სრულიად გაუგებარია: მაგ. „ამ ნიჩბელი, კორინთელი და ვახტანგ ბივრიტელი“, „თუ რამე ცბირელსა ველოსანსა გუერდსა შესაპოვარი გედვას, აჭმევდე რასა, ბეგრობისათუის ღამესა ნუ გაავლებინებ. სიარული არა შეეძლოს, აიკიდე ზურგსა, მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე“ და სხვ. ძნელი დასაჯერებელია, გადამწერს ისე დაემახინჯებინოს გამართული ტექსტი, რომ მისგან აზრის გამოტანა არ შეიძლებოდეს, გამოეტოვებინოს თვით მეფეთა ხელრთვებიც კი (მიქაელის საბუთში). ასეთ პირს ხომ არავითარი ფასი არ ექნებოდა. გამოდის, რომ გადამწერი მღვდმის ინტერესების საწინააღმდეგოს აკეთებდა! განა უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა ვიფიქროთ, რომ მას მეტად დაზიანებული საბუთებია ჰქონდა ხელთ და ვერც შეძლო მათი გამართვა. გადაწერა ის, რაც იყო. იქნებ თვით გადაწერაც იმისათვის კეთდებოდა, რომ ის მაინც გადაჩენილიყო რაც იყო.

ვ) მაგრამ დავუშვათ, რომ პირის გადამწერს, მართლაც, ხელთ ჰქონდა ორი შენახული საბუთი. ამ შემთხვევაში რატომღა მიიჩნევს გამომცემელი მიქაელის დაწერილს „გვიანდელ მინაწერ საბუთად“? რაზე იყო იგი გვიან მიწერილი? ორივე საბუთი ხომ ცალცალკე იყო?

თარიღისათვის.

„კორპუსში“ ფავნელის დაწერილი დათარიღებულია IX ს-ით, მიქაელ მემღვდმისა კი IX ს. მიწურულით, დათარიღება ვაკეთებულია შემდეგნაირად: ჯერ დათარიღებულია მიქაელ მემღვდმის დაწერილი. მასში ლიხთ-იმერეთში იხსენიებიან კონსტანტინე და ბაგრატე, როგორც ჩანს, აფხაზეთის მეფეებად, კახეთის მეფეებად კი ფადლა და კვირიკე. „კორპუსში“ ნათქვამია, რომ ეს ის დროა, როდესაც აფხაზეთში მეფობენ („თანამეფობენ“, კონსტანტინეს თანამოსაყდრეა ბაგრატე) კონსტანტინე და ბაგრატე, ხოლო კახეთში ფადლას თანამოსაყდრეა კვირიკე. ვახუშტის თანახმად, ფადლა მეფობდა 881—893, ხოლო კვირიკე 893—918 წლებში. ეგვევ თარიღები მიღებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც“ (II, გვ. 387). კონსტანტინეს მეფობა ვახუშტისთან დადებულია 906—921, ხოლო „ნარკვევებში“ 893—922 წლებით (II, 429) „ნარკვევების“ თარიღი კარგად უდგება საბუთის მონაცემებს. თუ მივიღებთ ამ თარიღებს, მიქაელის დაწერილი საკმაოდ ზუსტად დათარიღდება 893, ან მისი ახლობელი წლით. „კორპუსში“ ნათქვამია: „აფხაზეთა და კახთა მეფეებს ზუსტი ქრონოლოგია უცნობია, მაგრამ კონსტანტინე III-ის და ფადლა I-ის მეფობა ერთმანეთს ემთხვევა IX ს-ის ბოლოს“. ამიტომ საბუთიც დათარიღებულია IX ს-ის ბოლოთი. ვფიქრობთ, „კორპუსში“ გამოჩენილი სიფრთხილე მეფეთა ზეობის დათარიღებაში უსაფუძვლო არაა. ჩვენ გვინდა ვთქვათ მხოლოდ ის, რომ, ალბათ, მეტი სიფრთხილე იყო გამოსაჩენი მაშინ, როდესაც ბაგრატე კონსტანტინეს თანამეფედ მივიჩნევთ. ამის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც შეიძლება იყოს მოყვანილი: ბაგრატე კონსტანტინეს უმცროსი ვაჟი იყო. იგი კონსტანტინეს თანამოსაყდრედ გამოდის ამ უკანასკნელის გამეფების დღიდან, რაც ნაკლებად სავარაუდოა. ვფიქრობთ, სწორია ი. დოლიძე, რომელიც საბუთის დათარიღებისას ბაგრატის მეფობას არც ახსენებს. ცხადია, ზემოთქმული გარკვეულ ეჭვებს აღძრავს საბუთის მიმართ.

ახლა ვნახოთ ფავენელის საბუთის დათარიღება. „კორპუსში“ ნათქვამია „ფავენელის საბუთი, ცხადია, დაწერილია მიქაელ მემღვიმის საბუთზე ადრე, მაგრამ, არა უადრეს IX ს-სა (მეფის მოხსენიება ქართლის ფეოდალის სიუზერენად, „ბარდავს ლაშქრობა)“. ვფიქრობთ, რიგითი მკითხველისათვის ეს საკითხი ცხადი არაა.

მეფის მოხსენიება უეჭველობით არ ათარიღებს საბუთს IX ს-ით.

ა) მეფედ შეიძლება მოხსენიებული იყოს არამეფეც. მაგ. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში მეფედ იწოდებოდა ყველა მმართველი. იმავე მიქაელის დაწერილში მეფეებად მოხსენიებულნი არიან ფაღლა და კვირიკე, რომლებიც კახეთის ქორეპისკოპოსები იყვნენ და არა მეფენი.

ბ) გასარკვევია, ვინ შეეძლო ეგულისხმა „მეფედ“ ფავენელს. თუ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მატარებელი, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს ტიტული აღდგენილ იქნა 888 წ. და „კორპუსში“ გამომცემელს ფავენელის საბუთიც რამდენიმე წლის სიუზუსტით უნდა დაედგინა: გამოდის, რომ ფავენელის საბუთი დაიწერა 888 წ. — IX ს. მიწურულს შორის, და არა ზოგადად IX ს-ში. თუ იგულისხმება აფხაზთა მეფე, მაშინ საბუთი, შესაძლებელია VIII ს-ის ბოლოსაც იყოს დაწერილი. მაგრამ აფხაზთა მეფის სიუზერენობა ქართლის ფეოდალისთვის IX ს-ში მოსალოდნელი არაა.

გ) გამომცემელს გარკვევით უნდა მიეთითებინა, ბარდავის რომელი ლაშქრობა შეიძლება იგულისხმებოდეს ფავენელთა საბუთში. ჩვენთვის ასეთი ლაშქრობა ცნობილი არაა.

ამგვარად, გამომცემლის ზოგადი მითითება მეფის მოხსენიებაზე და ბარდავს ლაშქრობაზე, თუ ეს არ იქნება შემავარებული კონკრეტული ცნობებით, მკითხველს არაფერს ეუბნება.

ერთადერთი მინიშნება, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ ფავენელის საბუთი მიქაელისაზე უფრო ადრინდელია, შემდეგია: ფავენელმა მთავარ მემღვიმე თევდორეს სხვა სამ სოფელთან ერთად მიჰყიდა სოფელი ცხევერეთი. მიქაელ მემღვიმე კი ლაპარაკობს: „ჩემნი ლავრანი ცხევრელნიო“. მას მშენებლობა დაუწყია და სახიზარს უკეთებს ცხევრელებს და მათვე ადებს ბეგარას. ჩვენი მოსაზრება სწორია იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ, რომ როდესაც მიქაელ მემღვიმე ამბობს „ჩემი მამულიო“, გულისხმობს მღვიმის ქონებას.

ხელრთვიანად

ი. დოლიძეს „ფავენელის დაწერილში“ ერთი ნაწილი რომელიღაც სხვა ნასყიდობის ფრაგმენტად მიაჩნია. „კორპუსში“ ეს ნაწილი დაშლილია სამად და მიჩნეულია თევდორე მთავარ-მემღვიმის, ფავენელისა და ფეოდალთა ხელრთვებად. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი:

თევდორე მთავარ-მემღვიმის ხელრთვად მიჩნეულ ტექსტში ნათქვამია: „უკანისა საფასე ემცირებოდა და კიდევ მოგუეშალნის. მივეციოთ ერთი ჯორი პალარ-კურტამითა, ერთი ცხენი სამასად, ერთი უნაგირი ზუთასად ყუელასა მჯობი, ერთი ლავამი მარგალიტისა ძირითა“. როგორც ვხედავთ, გამყიდველს ეცოტავა, რასაც მყიდველი აძლევდა და „კიდევ მოეშალა“. მყიდველი იძულებული ყოფილა დაემატებინა მისთვის.

ფავენელის საბუთში ნათქვამია, თევდორემ „მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი წმიდისა შიოს კუბოსა შემონაყარი, ათათასი პელბელი, ათი ათასი სტავრა, შუიდი ჯორი ვარდა, შუიდი ქორი კაპო-



ეტი, შუიდი მეძებარი, შუიდი მწევარი წაუვალიო“. ფავნელს არა აქვს არაფერი
 ნული ის დამატებითი ფასი, რაზედაც ლაპარაკი იყო ხელრთვაში. ვამოდის,
 რომ მას შემდეგ, რაც ფავნელმა მიიღო თავისი სოფლების საფასური და საბუ-
 თიც დაიწერა, მას უარი უთქვამს გარიგებაზე და მთავარ-მემღვიმე იძულებუ-
 ლი გამხდარა კიდევ რალაც გადაეხადა. ასეთი პირის გატეხვა ფავნელისაგან,
 თითქოს, მოულოდნელია. რომ დამატებითი საფასურის აღება საბუთის დაწე-
 რის შემდეგ მომხდარა, ჩანს იქიდან, რომ ამ დამატებაზე არაფერია ნათქვამი
 თვით საბუთის ტექსტში. ცხადია, მყიდველი ეცდებოდა ეს შეეტანა საბუთის
 ტექსტშიც და არა მხოლოდ თავის ხელრთვაში.

Н. С. ДЖАНАШИЯ

«ПИСАНЬЕ ПАВНЕЛИ ШИОМГВИМСКОМУ МОНАСТЫРЮ»

(археографические замечания)

Резюме

В статье представлены археографические замечания и некоторые предположения автора о датировке «Писанья Павнели Шиомгвимскому монастырю», опубликованному в I томе «Корпуса грузинских исторических документов» (Тб., 1984 г.).

რ. ზვარაზია, ც. ჭურცილიძე

ელენე მეტრეველი

ელ. მეტრეველის დაბადების 70 წლისთავის გამო

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ელენე მეტრეველი უკვე მე-20 წელია, რაც კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. როდესაც ამ ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი პროფ. ილია აბულაძე გარდაიცვალა (1968 წ.), ელენე მეტრეველმა მისი მოვალეობა გაუბედავად გადაიბარა. ადვილ საქმედ არ მოჩანდა გაძლოა ინსტიტუტისა, რომელსაც მანამდე ილია აბულაძე დირექტორობდა, ცნობილი თავისი ფანატიკური სიყვარულით ძველი ქართული ხელნაწერებისა და თვითონ ხელნაწერთა ინსტიტუტის მიმართ. ეს გარემოება ახალი დირექტორის პასუხისმგებლობას ერთიორად ზრდიდა და შესაბამისად მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ე. მეტრეველმა გამოცდას გაუძლო: იგი თავისი წინამორბედის ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა. ი. აბულაძის მსგავსად მთელი ამ ხნის მანძილზე ე. მეტრეველიც ინსტიტუტის ცხოვრებით ცხოვრობს და მისი წარმატებების სურვილებით სულდგმულობს. თანამშრომელთათვის მაგალითისა და სტიმულის მიმცემია მათ მეცნიერულ საქმიანობაში.

ე. მეტრეველი თბილისში დაიბადა პედაგოგების ოჯახში. 1936 წ. შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1940 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1940—43 წლებში მან გაიარა ასპირანტურის კურსი ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე პროფ. ა. ბარამიძის ხელმძღვანელობით. 1944 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ხოლო 1958 წ. — სადოქტორო დისერტაცია. 1946 წლიდან იგი ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომელია. 1958 წლიდან, დღიდან ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებისა, ხელმძღვანელობს ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილებას, 1968 წლიდან კი ინსტიტუტის დირექტორია. 1974 წ. ე. მეტრეველი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1983 წელს — ნამდვილ წევრად.

ელენე მეტრეველი ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და ფილოლოგია, ფილოლოგი ამ სიტყვის პირველადი და ნამდვილი მნიშვნელობით. იგი ავტორია 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან 11 მონოგრაფიაა. მრავალფეროვანია მისი შრომების თემატიკა, რომელიც მოიცავს როგორც ძველი ქართული სასულიერო, ასევე საერო მწერლობას მრავალ სფეროს. მისი ძირითადი შრომების ძალზე ზოგადი მიმოხილვაც კი წარმოაჩენს მას, როგორც ფართო დიაპაზონის მქონე მკვლევარს.

მისი საკანდიდატო დისერტაცია „რამდენიმე საკითხი ნიზამისა და რუსთაველის ლიტერატურული ურთიერთობიდან“ და წერილები „მხატვრული მემკვიდრეობის ზოგიერთი თავისებურება“ ეძღვნება კლასიკური ხანის საერო ძეგლების მხატვრული სახეებისა და პოეტური ლექსიკის კვლევას „ვეფხისტყაოსანთან“ შეპირისპირებით. აღნიშნულის საფუძველზე გარკვეულია, თუ როგორ დაასრულა რუსთაველმა ახალი მხატვრული ფორმებისა და საშუალებების ძიებისას კლასიკური ხანის საერო ძეგლების მხატვრულ-სტილისტური ევოლუცია.

მისი რამდენიმე შრომა ეხება ს.-ს. ორბელიანის მეცნიერულ-შემოქმედებითსა და მთარგმნელობითი მუშაობის შესწავლას: „ს.-ს. ორბელიანის ქართული ლექსიკონის უძველესი ავტორგრაფი“, „ს.-ს. ორბელიანის მთარგმნელობითი მუშაობის შესწავლისათვის ქილილა და დამანას მაგალითზე“ (აღ. გვანარაძისთან თანაავტორობით), „ს.-ს. ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი 1723 წლის რუკა“, „მცხეთური ბიბლიის „იგავთა წიგნის“ წყაროების შესწავლისათვის“. მის მიერ (აღ. ბარამიძესთან ერთად) მომზადებულია და გამოქვეყნებული „ქილილა და დამანას“ აკადემიური ტექსტი.

ელ. მეტრეველის საგანგებო შესწავლის საგანი გახდა ქართული სამოგზაურო ლიტერატურა. მან გამოაქვეყნა აღნიშნული ჟანრის მნიშვნელოვანი ძეგლები ვრცელი გამოკვლევებითურთ: XVIII საუკუნის ცნობილი მოღვაწისა და მწერლის ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“ (1956 წ., სადოქტორო დისერტაცია) და ასევე ცნობილი მოღვაწის, დიპლომატისა და მწერლის გიორგი ავალიშვილის „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“, რომელიც 1819—1920 წლებში შედგა (1967 წ.).

ე. მეტრეველის სამეცნიერო საქმიანობაში მუდმივ სამუშაო თემას წარმოადგენს არქეოგრაფიული, კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული საკითხები, ქართულ ხელნაწერთა შესწავლა და აღწერილობა. იგი თანაავტორია ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის 9 ტომისა. მისი რედაქტორობით გამოვიდა 17 ტომი. მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოქვეყნდა სინის მთისა (3 ტომად) და ათონის (1 ტ.) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობები, რომლებშიც თითოეული ხელნაწერის აღწერა დამოუკიდებელ სამეცნიერო სტატიას წარმოადგენს.

მისი მუდმივი საკვლევი პრობლემებია აგრეთვე საზღვარგარეთის ქართული კოლონიების ისტორია და ქართული ჰიმნოგრაფია. იერუსალიმის ქართული კოლონიის შესწავლასთან დაკავშირებით მან გამოაქვეყნა შრომები: „იერუსალიმის ერთი XII ს. ხელნაწერი“, „ძველი ერისთავთა“ ერთი ადგილის განმარტებისათვის“, „შენიშვნები შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთაველის შესახებ“, „იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღებისათვის“. მიღებული შედეგები დაჯამებულია მის წიგნში „იერუსალიმის ქართული კოლონიის მასალები XI—XVII სს.“ (ტექსტები და გამოკვლევა), რომელიც შეიცავს დიდძალ მასალას ნაკლებად შესწავლილი საზღვარგარეთის ძველი ქართული სამწერლობო კერების შესახებ. ნაშრომმა საზოგადოებისა და სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. მნიშვნელოვანია იგი რუსთველოლოგიური საკითხების კვლევისთვისაც: პირველმა ე. მეტრეველმა დაადგინა შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებლის თარიღი და წარმოადგინა დასაბუთებული მოსაზრება შოთა რუსთაველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტიფიკაციის შესახებ.



არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომა, რომელიც მიეძღვნა სირიაში საქართველოს ქართული სამწერლობო კერის შესწავლას: „შავი მთის სამწერლობო კერის ისტორიისათვის XI ს. პირველ ნახევარში“. მასში წერილობითი წყაროების მიხედვით გამოვლენილია აღნიშნულ ხანაში შავ მთაზე მანამდე უცნობი ქართული სამწიგნობრო კერისა და მონასტრის არსებობა. გარკვეულია ამ კერის კულტურული ორიენტაცია და დადგენილია მაშინებელთა და მოღვაწეთა ვინაობა. კვლევის შედეგები შავ მთაზე ამერიკელ მეცნიერთა მიერ წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა.

ე. მეტრეველის მიერ არის მიკვლეული პალესტინაში — შეჰანის უდაბნოში მანამდე სრულიად უცნობი ქართული სკრიპტორიუმი, სადაც ქართველი მოღვაწეები ეწეოდნენ ხელნაწერთა გადაწერასა და თავმოყრას იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოღვაწეებთან *მკიდრო კავშირში. ამ საკითხის შესწავლას მან უძღვნა ვრცელი გამოკვლევა: „შეჰანის უდაბნო — XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი“.

ამავე პრობლემის კვლევასთან არის დაკავშირებული ე. მეტრეველის შრომები: „ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით“, „პალესტინის მონასტრების დერტუფას და დერტავის ხელნაწერების შესახებ“, „1902 წლის ექსპედიცია სინის მთაზე და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიის განვითარებისათვის“.

1976 წელს იგი ჩაერთო ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის საფრანგეთის ცენტრის მეცნიერთანამშრომლებთან ერთად ათონის ქართველთა მონასტრის ბერძნული აქტების შესწავლაში, რომელიც 3 წიგნად უნდა გამოიცეს პარიზში „ათონის არქივის“ ცნობილ სერიაში. პირველი წიგნი უკვე დაისტამბა 1985 წელს.

ათონის ქართველთა სკრიპტორიუმს მიეძღვნა მისი კიდევ რამდენიმე შრომა: „ათონის ერთი აღაპის გაგებისათვის“, „ქართული კულტურის დიდი კერა“ (ივირონის დაარსებიდან 1000 წლისთავის გამო), „იოანე პატრიკ-ყოფილის ვინაობისათვის“, „საზღვარგარეთის ქართული სკრიპტორიუმების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტის შესახებ“, „ნავყვარუკვარეს უცნობი დოკუმენტი ივირონის მონასტრიდან“. ამჟამად მის მიერ მომზადებული და დასაბეჭდად გადაცემულია მონოგრაფია X—XI სს. ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრის — ივირონის შესახებ. ივარაუდება მისი გამოცემა ფრანგულ ენაზეც პარიზში.

მდიდარი ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლას ე. მეტრეველის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ საკითხზე მუშაობა მან მოღვაწეობის პირველსავე წლებში დაიწყო და გამოაქვეყნა მთელი რიგი სტატიები. მისი ადრეული შრომებიდან საგანგებოდ შეიძლება აღინიშნოს 1951 წ. გამოცემული სტატია: „XI ს. ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია“, რითაც ჩვენში საფუძველი დაედო ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის შესწავლას. ამ მიმართულებით კვლევას იგი დღემდე აგრძელებს. აღსანიშნავია 1987 წ. საზღვარგარეთ გამოქვეყნებული სტატია: *Du nouveau sur l'Hymne de Ioasaph (Le Muséon)*. თავისი ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ბელგი ნაშრომი საერთოდ ქართულ ჰიმნოგრაფიაში ე. მეტრეველმა გამოსცა 1971 წელს „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ (ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით). მასში ქართული „ძლისპირნის“ და ბერძნულ-



ლი ირმოლოგიონის შესწავლის ძირითადი საკითხებია განხილული. ყოველი მხრივ გამოკვლეულია ტექსტები, წარმოჩენილია საბაწმიდის ჰიმნოგრაფიული სკოლის მნიშვნელობა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში, დასმულია და კონკრეტული ქართული მასალის საფუძველზე გაშუქებულია ისეთი საკითხები, რომლებსაც დღემდე ნაკლებად შესწავლილ ბიზანტიური და ქართული პოეზიის სათავეებთან მიგყავართ და სხვ. ყოველივე ამან განაპირობა ის დიდი აღიარება, რომელიც წილად ხვდა ნაშრომს ქართველ და საზღვარგარეთელ მეცნიერთა ფართო წრეებში.

1980 წელს ე. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა და ც. ჭანკიევმა გამოაქვეყნეს ფუნდამენტალური შრომა „უძველესი ქართული იადგარი“ სერიაში „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები“. ამ უნიკალურსა და რთულ ძეგლს ე. მეტრეველი სწავლობდა წლების განმავლობაში. ჯერ კიდევ 1971 წელს მან წიგნი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ზოგად ხაზებში ჩამოაყალიბა თავისებურება ამ თარგმნილი ძეგლისა. მონოგრაფიის ავტორებმა შეძლეს X საუკუნის 4 სინური ხელნაწერის მიხედვით აღედგინათ უძველესი იადგარის თავდაპირველი სტრუქტურა, რომლის ბერძნულ მოდელს ჩვენამდე არ მოუღწევია და წარმოეჩინათ ის ცვლილებები, რომელიც განიცადა ამ ძეგლმა 3 საუკუნის მანძილზე. გამოკვლევაში ე. მეტრეველს ეკუთვნის თავები, სადაც განხალულია უძველესი იადგარის პოეტური ფორმები. ძველი და ახალი იადგარების შესწავლის საფუძველზე მან შეძლო ჩამოეყალიბებინა ის პრინციპები, რომლებიც საფუძველად დაედო საბაწმიდის ჰიმნოგრაფიულ ცენტრში VIII—X საუკუნეებში მიმდინარე რეფორმატორულ მუშაობას. იადგარის ორი თარგმანის შესწავლის გზით შესაძლებელი გახდა აგრეთვე V—X საუკუნეების ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ორი ძირითადი, ერთმანეთის მომდევნო ეტაპის უფრო მკვეთრად გამოჩვენა და საერთოდ მისი მნიშვნელობის წარმოჩენა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვის.

დიდ დროს უთმობს ე. მეტრეველი ცნობილი მეცნიერების გამოუქვეყნებელი სამეცნიერო მემკვიდრეობის პუბლიკაციას. 1955 წ. მან გამოსაცემად მოამზადა და გამოაქვეყნა ნ. მარის „იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკის 36 ქართული ხელნაწერის აღწერილობა“, 1973 წელს მისი და ც. ქურციკიძის რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი“, რომელიც სამაგიდო წიგნია ძველ ქართულ ტექსტებზე მომუშავე ყველა სპეციალისტისათვის, იმავე 1973 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა ახალი მასალით შევსებული ილ. აბულაძის ნაშრომი „ძველი ქართული დამწერლობის ნიმუშები“, 1981 წელს კი ისევ მისი და ც. ქურციკიძის რედაქტორობით დაიბეჭდა ილ. აბულაძის შრომების III ტომი.

ამ სტატიაში შეუძლებელია აღნუსხვა ე. მეტრეველის მთელი სამეცნიერო პროდუქციისა, რომელიც გამოქვეყნებულია როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ, კერძოდ, ბელგიაში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში, საბერძნეთსა და ავსტრიაში.

ფართო მეცნიერული თვალსაწიერი, საკვლევე საკითხთა და პრობლემათა დრმა და მასშტაბური ხედვა, დიდი ორგანიზატორული ნიჭი და პიროვნული თვისებები ე. მეტრეველს საშუალებას აძლევს წარმატებით წარმართოს ინსტიტუტის ძალზე მრავალმხრივი სამეცნიერო თემატიკა და ხელნაწერთა მოვლადაცვის საქმე. იგი მთლიანობაში ჭკრეტს როგორც მთელი ინსტიტუტის პრობლემეტიკასა და მიზანდასახულებას, ასევე ზედმიწევნით აქვს გააზრებული ყო-



ველი საკვლევი თემა, მისი კონკრეტული და ზოგადი მნიშვნელობა, დამუშავებულია დებლად იმისა, იგი მისი უშუალო ხელმძღვანელია, თუ არა. თითოეულ ნამშრომლის მუშაობის საქმის კურსშია, ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს მას, იქნება ეს რჩევით, მივლინებაში გაგზავნით, უცხოეთიდან უახლესი ლიტერატურისა და მიკროფილმების მოპოვებით თუ სხვ. (სხვათაშორის უცხოეთში ყოფნისას თანამშრომელთათვის საჭირო ლიტერატურა მას არაერთგზის საკუთარი სახსრებითაც შეუძენია). რაიმე სირთულეებისა და შეფერხებების შემთხვევაში იგი თვითონაც ერთვება სამუშაოში, აწყობს სისტემატიურ შეხვედრებს თანამშრომლებთან, განსაკუთრებით კოლექტიური სამუშაოების შემსრულებლებთან, რაც უთუოდ მდგომარეობის გამოსწორების განმაპირობებელი ფაქტორი ხდება. მის თანადგომასა და ქმედით დახმარებას თანაბრად გრძნობენ ქართულ და აღმოსავლურ ხელნაწერთა აღმწერლები, ქართულ-ბერძნული, ქართულ-სპარსული და ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევარნი, ქართული, სომხური, თურქული და არაბული ისტორიული დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების შემსწავლენი, ქართული მოხატული ხელნაწერებისა და საერთოდ ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიის ყველა სპეციალისტი და ხელნაწერებთან დაკავშირებული სხვა სფეროთა მუშაკნი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი შესანიშნავი აღმზრდელია ახალგაზრდა კადრებისა. თავიდანვე სწორად წარმართავს მათ, შეუცდომელია სამუშაო თემების შერჩევაში.

მისი მუდმივი ზრუნვითა და მეცადინეობით ინსტიტუტში, პირველ რიგში, გრძელდება და ხორცს ისხამს ილ. აბულაძის მიერ დასახული და მისი ხელმძღვანელობით დაწყებული სამუშაოები, როგორცაა ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლების პირველი 4 ტომის სიმფონია-ლექსიკონის შედგენა (აღნიშნული სიმფონია-ლექსიკონი მზ. შანიძის ხელმძღვანელობითა და ე. მეტრეველის საგანგებო ხელშეწყობით შეადგინეს ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა, იგი დღეისათვის დამთავრებულია და გამოიზეურებას ელოდება), ძველი აღთქმის წიგნთა ქართული რედაქციების კრიტიკულად დადგენილი ტექსტის სასტამბოდ მომზადება (ე. მეტრეველის დიდი მცდელობით ძველი ქართული მწერლობის ამ უნიკალური ძეგლის პირველი 8 წიგნი უკვე გადაცემულია გამოსაცემად), პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI—XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით (ამ ლექსიკონზე, რომელშიც თითოეულ ერთეულს ახლავს მდიდარი დოკუმენტური ინფორმაცია და ძალზე მნიშვნელოვანია ფეოდალური საგვარეულო სახლებისა და საერთოდ ქართული ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი შესწავლისათვის, მუშაობა შეყოვნებული იყრ. მისი განახლებისა და დასრულების საქმეს დიდად შეეწია ე. მეტრეველი), პალიმფსესტური ტექსტების ამოკითხვა და შესწავლა (ხელთა გვაქვს პალიმფსესტური ხანმეტი ტექსტების I წიგნი, მზადდება II), მოგვიანო საუკუნეების ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლების შესწავლა (დღეისათვის უკვე გამოქვეყნებულია ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლების შემდგომი V და VI ტომებიც) და სხვ.

ე. მეტრეველმა არსებულის გვერდით დასახა და დაამკვიდრა ახალი თემები და პრობლემები, რითაც ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკა და სამუშაოები უფრო ფართო და მასშტაბური გახდა. თუ ადრე ძველი ქართული ჰიპოგრაფიის საკითხებზე მხოლოდ ე. მეტრეველი და ორიოდ თანამშრომელი

მუშაობდა, ამეამად უკვე მეცნიერთა მოზრდილი ჯგუფი იკვლევს ძველი ქართული მწერლობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს.

აღნიშნული ჯგუფის გარდა, ინსტიტუტში ჩამოყალიბდა აგრეთვე ძველი ქართული ჰავიოგრაფიულ-ჰომილეთიკური ძეგლის — „მრავალთავის“, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეთიკურ „სიტყვათა“ ქართული თარგმანების, მეტაფრასული და ლიტურგიკული ძეგლების შემსწავლელი ჯგუფები, რომელთაგან ზოგიერთს თვითონ ე. მეტრეველი ხელმძღვანელობს. დიდი ყურადღება ეთმობა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლენასა და შესწავლასაც. ამასთან დაკავშირებით თანამშრომელთა ერთი ჯგუფი სისტემატურად აწყობს ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ისე რომ, ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკაში სხვა პრობლემების გვერდით მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჯერ ქართულმა ეპიგრაფიკამ, ხოლო შემდეგ, მუშაობის გაფართოებასთან ერთად, სხვაენოვანმაც.

ე. მეტრეველის ინიციატივითა და მცდელობის შედეგად ინსტიტუტში გაიხსნა სამი ახალი განყოფილება: დაცვის, აღრიცხვის და ექსპოზიციის, არქივებისა და აღმოსავლური განყოფილებები. პირველი აღრე არსებული ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილებასთან ერთად ხელნაწერთა შოვლა-დაცვის საქმეს ემსახურება, რასაც დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რადგან ინსტიტუტსა და მის ფარგლებს გარეთ სამეცნიერო მუშაობის გაშლამ დიდად გაზარდა ხელნაწერებით სარგებლობის საჭიროება. ამასთან დაკავშირებით განყოფილებაში გრძელდება ადრევე დანერგილი ტრადიცია და მზადდება მნიშვნელოვანი მოხატული ხელნაწერების პირება, რომლებიც გამოფენებზე ხელნაწერებს შეეცვლიან. ხელნაწერების ხმარებასაგან დაზოგვის მიზნით კი ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიაში გამუდმებით იღებენ მათ მიკრო და ფოტოასლებს, რომლებიც შემდეგ იკინძება და სარგებლობისათვის ვარგისი ხდება. ამ ლაბორატორიისა და დასახელებული განყოფილებების სათანადო დანადგარებითა და აპარატურით აღჭურვაზე ე. მეტრეველი გამუდმებით ზრუნავს. აღსანიშნავია, რომ დაცვის, აღრიცხვისა და ექსპოზიციის განყოფილებას ე. მეტრეველმა სამეცნიერო მიზნებიც დაუსახა: განყოფილების თანამშრომელთა ერთი ჯგუფი ცალკეულ ხელნაწერთა ისტორიის შესასწავლად რევიზორულციამდელ სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში აგროვებს ცნობებს მათ შესახებ.

არქივების განყოფილების გახსნა განაპირობა ინსტიტუტში საარქივო ფონდების ინტენსიურმა ზრდამ და ისეთი ცნობილი მწერლების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების არქივების არსებობამ, როგორიც არიან გ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. თამარაშვილი, მარი ბროსე, ივ. ჯავახიშვილი ნ. ბერძენიშვილი, ილ. აბულაძე, თ. სახოკია და სხვ.

ინსტიტუტში აღმოსავლეთმცოდნეთა ახალგაზრდა კადრების შემომატებასა და შესაბამისად აღმოსავლეთმცოდნეთა სამუშაო თემატიკის გაფართოებას ბუნებრივად მოჰყვა მათი გამოყოფა ტექსტოლოგიისა და კოდიკოლოგიის განყოფილებიდან და აღმოსავლური განყოფილების შექმნა.

ე. მეტრეველისავე ინიციატივით ჩამოყალიბდა ინსტიტუტში ე. წ. ინფორმაციის ჯგუფი სხვადასხვა ევროპული ენების მცოდნეთაგან, რომლებიც ყოველთვის დროულად აწოდებენ ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლებს ცნობებს უახლესი ლიტერატურის შესახებ და თარგმნიან სათანადო მასალას. მისი მცდე-



ლობის შედეგია ისიც, რომ უკვე არსებულ ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის კაბინეტებს შეემატა სხვა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა — ილ. აბულაძის, ნ. ბერძენიშვილის და ნინო და კალისტრატე სალიების კაბინეტები.

ე. მეტრეველს ასეთი დიდი სამეცნიერო პროდუქცია რომ არ შეექმნა, და, როგორც ინსტიტუტის დირექტორს, ინსტიტუტის კეთილდღეობისათვის ამდენი რამ არ გაეკეთებინა, მას ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში კეთილი სახელისათვის „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების“ სერიის და-არსება და მისი მესვეურობა ეყოფოდა.

წლების განმავლობაში ტექსტების ფილოლოგიური შესწავლის შედეგად ინსტიტუტში დიდძალი სამეცნიერო პროდუქცია დაგროვდა. მოსალოდნელი იყო კიდევ მეტი. ე. მეტრეველმა კარგად უწყოდა, რომ ეს პროდუქცია ამ სახით მეცნიერებას ბევრით ვერ შეეწეოდა და, რომ საჭირო იყო მის გამოქვეყნებაზე ზრუნვა. ასე დადგა დღის წესრიგში საგანგებო სერიის შექმნის საკითხი. ამ საკითხზე ზრუნვას დიდი დრო და ენერგია შეეწირა, ვიდრე ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი საბოლოო მიზანს მიადწევდა და შეიქმნებოდა აკადემიური სერია „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები“. იგი 1977 წ. დაარსდა. აღნიშნული სერიით უკვე დაბეჭდილია 9 ტომი, გადაცემულია პუბლიკაციისათვის 5 მომდევნო ტომი.

დღიდან დაარსებისა ეს სერია და აქ გამოცემული წიგნები ე. მეტრეველის მუდმივი ზრუნვის საგანია. მისი დიდი მონაწილეობის გარეშე თითქმის არცერთი ტომი არ გამოქვეყნებულა. უფრო მეტიც, აქ გამოცემული ტექსტების ერთ ნაწილს ძველი ქართული მწერლობის ისეთი ძეგლები შეადგენენ, რომელთა უდიდესი მნიშვნელობა ქართული (და არა მარტო ქართული) მწერლობის ისტორიისათვის წინასწარ თვითონვე ივარაუდა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების“ სერიით გამოქვეყნებული ყველა წიგნი ქართული ფილოლოგიური მეცნიერებას მნიშვნელოვანი შენაძენია. სერიის გამოცემებში წარმოდგენილია ძველი ქართული მწერლობის ყველა ის დარგი, რა მიმართულებითაცაა გაშლილი ტექსტოლოგიური მუშაობა ინსტიტუტში: პავიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა, ფილოსოფია, მეტაფრასტიკა, ბიბლიოლოგია. სერიის ყველა წიგნს გზა ე. მეტრეველმა დაულოცა თავისი დიდი ყურადღებით და ქომაგობით. იგი თვითონაა რედაქტორი რამდენიმე ტომისა (III, IV, V, VIII, IX, X, XIV). აღნიშნული სერიის დაარსებით, რომელიც თამამად უტოლდება ბიზანტიური ლიტერატურის შემსწავლელ ცნობილ სერიალებს, უთუოდ დიდ ეროვნულ საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

ე. მეტრეველის უდიდესი დამსახურებაა აგრეთვე ის, რომ მან კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი საერთაშორისო სარბიელზე გაიყვანა. როგორც მას, ასევე ინსტიტუტის თანამშრომლებს კონტაქტები აქვთ დამყარებული უცხოელ სპეციალისტებთან. ე. მეტრეველი თანამშრომლობს დუმბარტონაქსის საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრთან (ვაშინგტონი), როგორც აღნიშნეთ, უცხოელ მეცნიერებთან ერთად იგი ჩართულია ათონის აქტების გამოცემაში, მოხსენებებით გამოდის საერთაშორისო სიმპოზიუმებზე. საერთაშორისო პროგრამით ხორციელდება გრიგოლ ნაზიანზელის ქართულ „სიტყვათა“ შემსწავლელი ზემოთ მოხსენიებული ჯგუფის მუშაობა, რომელსაც სათავეში ე. მეტრეველი უდგას. ზოგიერთი თანამშრომელი თავისი საქმიანობით მჭიდროდ არის დაკავშირებული ტორონტოს შუა საუკუნეების კვლევის ინს-

ტიტუტთან, რომელიც მესვეურობს ბასილი კესარიელის შრომების შესწავლას. ინსტიტუტს აქტიური მეცნიერული კონტაქტები აქვს დამყარებული სიბალთან — ბალკანეთისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების წყაროებისა და ისტორიის შემსწავლელ საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრთან და 'სლავურ-ბიზანტიური კონტაქტების შემსწავლელ ივანე დუიჩევის სახელობის სამეცნიერო ცენტრთან (სოფია).

ე. მეტრეველს უნდა ვუმაღლოდეთ პარიზში მცხოვრებ ქართველოლოგებთან, ნინო და კალისტრატე სალიებთან, კონტაქტის დამყარებას და მათგან უცხოურ ენებზე მდიდარი ბიბლიოთეკის ინსტიტუტისათვის საჩუქრად გადმოცემას (მის ჩამოტანას დიდი ღვაწლი დასდო დირექტორის იმდროინდელმა მოადგილემ სამეცნიერო დარგში აწ განსვენებულმა ლ. ჯანაშიამაც). ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინსტიტუტის სამეცნიერო პროდუქციის ამაღლებას.

შესაბამისად გაიზარდა უცხოელ მეცნიერთა ინტერესიც ინსტიტუტის სამეცნიერო პროდუქციის მიმართ. ჩვენი კულტურით დაინტერესებული საზღვარგარეთელი მკვლევრები, თავის მხრივ, ეძებენ კონტაქტებს ინსტიტუტის თანამშრომლებთან, სხვადასხვა ქვეყნებში ბეჭდავენ რეცენზიებს მათ შრომებზე. ისინი ხშირად ჩამოდიან ინსტიტუტში სამუშაოდ და კონსულტაციების მისაღებად, გამოდიან მოხსენებებითა და ანგარიშებით მათ მიერ ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა საკითხებზე ჩატარებული მუშაობის შესახებ. ასე რომ, დიდი ქართველი მეცნიერის, კ. კეკელიძის, შიშს იმის თაობაზე, ვაი თუ ქართველოლოგიურმა კვლევის ცენტრმა უცხოეთში გადაინაცვლოსო, საფუძველი აღარა აქვს. ამის ერთ-ერთი თავდებია სამეცნიერო მუშაობა, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ე. მეტრეველის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

პრ. შარაშიძის დაბადების 100 წლისთავის
გამო



1987 წლის 2 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სააქტო დარბაზში ჩატარდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქართული ეროვნული კულტურის დიდი მოამაგის, შესანიშნავ მოქალაქისა და მეცნიერის ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. სესიაზე შეიკრიბა ამაგდარი მეცნიერის მადლიერი საზოგადოება — კოლეგები, ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები. მოისმინეს ქრისტინე შარაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მოხსენებები: ქრ. შარაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა (დ. მეგრელაძე), ქრ. შარაშიძე აღმოსავლეთ საქართველოს მთის პრობლემების შესახებ (ე. ხოშტარია-ბროსე), ქრ. შარაშიძე სამხრეთ საქართველოს ისტორიის მკვლევარი (დ. კლდიაშვილი), XVI ს. 80-იანი წლების სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის (ც. აბულაძე), ქრ. შარაშიძე და ვახტანგ VI მეცნიერული მემკვიდრეობის კვლევის საკითხები (რ. ჩაგუნავა). აღ. ბარამიძის, ა. გვაზარიას, ქ. ლომთათიძის, დ. მაჭავარიანის, ჯ. ოდიშელის, შ. ონიანის, გ. უორდანიას, შ. ქავთარიას, კ. ჩოლოყაშვილისა და ვ. ჭელიძის მოგონებებში გაცოცხლდა ქრ. შარაშიძის ნათელი სახე.

კრებულში იბეჭდება ელ. მეტრეველის სიტყვა, წარმოთქმული სესიაზე, და რამდენიმე მოხსენება.

ელ. მებრძველი

ქრისტიანე შარაშიძე

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დარბაზში, რათა პატივისცემითა და მოწიწებით გავიხსენოთ დიდად დეწმოსილი და ყველასათვის ახლობელი და საყვარელი, სრულიად არაორდინალური ადამიანი, რომლის სახელი ნათლობით იყო ქრისტიანე, ხოლო „სიყვარულით სახელი მისი ჩიტო“, რომელსაც მიმდინარე წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

ქრისტიანე შარაშიძის ერთნიშნა დახასიათება ძნელია. აქ დამსწრეთაგან ბევრს პირადად განუცდია მისი პიროვნული ხიზლი, და მისი ნიჭიერების, გონებასახვილობისა და ენასახვილობის ძალა.

მოწოდებით ქ-ნი ქრისტიანე საზოგადო მოღვაწე იყო, ამ სიტყვის ღრმა და ფართო მნიშვნელობით. ასე იცნობდა მას ქართველი საზოგადოება ამ საუკუნის პირველი წლებიდან. ასეთად დარჩა იგი სიცოცხლის ბოლომდე. რა სფეროშიც არ უნდა ემუშავა მას, რაც არ უნდა ეკეთებინა, ყველგან და ყოველთვის მის მოღვაწეობას საზოგადოებრივი უღერაულობა ჰქონდა. კვლევისა და ყოველთვის ის თავისი ქვეყნის თავდადებული, უანგარო მსახური იყო.

რთული, მძიმე, მღელვარე და ამავე დროს უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება განვლო ამ ნაზმა და მომხიბლავმა ქალმა. ის მოწმე იყო ჩვენი ისტორიის კატაკლიზმებისა ჩვენი საუკუნის დამდეგიდან. მასი მოგონებების მოსმენას არაფერი სჯობდა. არა და განსაკვიფრებელი მეხსიერებაც ჰქონდა; ისეთი სიცხოვებით და ისეთი დეტალებით დაგიხატავდათ საუკუნის დამდეგის რევოლუციურ და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობების სურათებს, რომელთა მონაწილე თვითონაც იყო, თითქოს გუშინდელ ამბებს გადმოგცემდათ. განუმეორებელი იყო ქალბატონ ქრისტიანეს თხრობის ხატოვანი და მეტად ემოციური მანერაც. ქალბატონი ქრისტიანე ამ ეპოქის ცოცხალი პარველწყარო იყო. დიდად დასანანი, რომ ყველაფერი, რის მომსწრე და მონაწილე და მხილველი იყო ქალბატონი ქრისტიანე, მას დაუწერელი დარჩა. ამ ხარვეზს საქართველოს ისტორიისა, ალბათ, ვეღარავინ ამოავსებს.

ერის სამსახურის დაუოკებელმა სურვილმა ქალბატონი ქრისტიანე მეცნიერებასთან მიიყვანა და განგებამ ინება, რომ ქალბატონი ქრისტიანე უქველესი ქართული ხელნაწერების მესაიდუმლე გამხდარიყო. ამ სიტყვას მე სავსებით გააზრებულად ვხმარობ, ვინაიდან სრულიად განსაკუთრებული იყო ქ-ნი ქრისტიანეს დამოკიდებულება ხელნაწერისადმი. ის მას გრძნობდა მთელი თავისი არსებით, ის მასთან მიდიოდა როგორც ცოცხალ არსებასთან, სჭვრეტდა მას შინაგანი ჰერეტიკით, იმორჩილებდა და ამეტყველებდა. ამ განსაკუთრებულ თვისებას მეცნიერი-ფილოლოგი ხელნაწერებზე ჩაღრმავებული ხანგრძლივი მუშაობის პროცესში აძენდა, ამ თვისებით. ახერხებდა იგი საუკუნეების მანძილზე



სხვებისათვის დაფარულ ხელნაწერის საიდუმლოების (არსის) გახსნას ამტკიცებდას. ასე გაჩნდა ქრისტიანე შარაშიძის შესანიშნავი ისტორიულ-ფილოლოგიური და კოდიკოლოგიური ნაშრომები. ასე გამოავლინა მეცნიერმა ხელნაწერების მრავალი ანდერძი, მინაწერი, ქრონიკა, სულთა მატრიანეები. ამ გზით შეიქმნა ქრისტიანე კლასიკური ნაშრომები — XV—XVII საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიის წყაროების კრებულების სახით, სადაც პირველად დოკუმენტურად წარმოჩენილ იქნა ჯაყელთა და ბოცოს ძეთა ბრწყინვალე სახლების მანამდე დაბინდული ისტორია:

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი ქალბატონ ქრისტიანე სამეცნიერო მოღვაწეობიდან.

ქ-ნ ქრისტიანე თანამოღვაწე და მეგობარი ექვთიმე თაყაიშვილი ახალი დაბრუნებული იყო პარიზიდან. ბუნებრივია, ჩამოსვლისთანავე ბატონი ექვთიმე ეწვია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ამ მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, სადაც ჩვენ ვმუშაობდით მაშინ, რათა ენახა სეიფებში მისი გარჯითა და რუდუნებით არქეოლოგიური ექსპედიციების დროს მის მიერ მოპოვებული რამდენიმე ათასი ხელნაწერი.

დაახლოებით (მგონი არ ვცდები) 1947 წლის დამდეგისათვის ქ-ნმა ქრისტიანემ განიზრახა წაეკითხა თავისი პირველი სამეცნიერო ინფორმაცია სამხრეთ-საქართველოს ისტორიის მის მიერ გამოვლენილი ახალი მასალების შესახებ. მოხსენების მოსასმენად მოწვეული იყო ექვთიმე თაყაიშვილიც. ჩვენ, ამ განყოფილების ჯერ კიდევ ახალგაზრდა თანამშრომლები, ძალზე ვღელავდით. ყველას გვაინტერესებდა ლეგენდარული ექვთიმე თაყაიშვილის ახლოს ნახვა და გაცნობა.

სხდომა გაიმართა ხელნაწერთა განყოფილების დიდ, ცივ ოთახში, რომლის ფანჯრები გადიოდა რუსთაველის პროსპექტზე. სხდომას ესწრებოდნენ, ძირითადად, განყოფილების თანამშრომლები და მომსვლელთა ვიწრო წრე.

ქალბატონ ქრისტიანეს მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი, ვინაიდან მოხსენებაში პირველად აეხადა ფარდა ჯაყელთა სახლის აქამდე ნაკლებად ცნობილ ისტორიას. მოხსენების დამთავრების შემდეგ მსმენელები ერთხანს გარინდებულნი იხსდნენ. მოხსენებაში ყველაფერი ახალი იყო. პირველად სიჩუმე ექვთიმე თაყაიშვილმა დაარღვია და მისთვის ჩვეული გულუბრყვილობით და უშუალოდ წამოიძახა: „ქალო, თუ ასეთი გამოკვლევების წერა შეგეძლო, რა გინდოდა დამფუძნებელ კრებაში?“ დარბაზში გაისმა ერთსულოვანი სიცილი და გარემოც განიძუმბა.

ჩუმად, უხმაუროდ, უანგაროდ, საქმისათვის და არა სახელისათვის იღვწოდა ქრისტიანე შარაშიძე მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისი ქვეყნისა და მეცნიერებისათვის. არასდროს უფიქრია მას ჯილდოებზე და წოდებებზე, თუმცა უმაღლესი პატივის ღირსი იყო, ვინაიდან ის არამარტო იკვლევდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ურთულეს საკითხებს და ქმნიდა შესანიშნავ შრომებს, არამედ, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, თავის გარშემო ქმნიდა ისეთ ზნეობრივ ატმოსფეროს, რომელსაც უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდებისათვის.

მე ვისურვებდი, რომ ქრისტიანე შარაშიძის მსგავსი მეცნიერი მოღვაწე ქალები არასდროს მოკლებოდნენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს.

დ. მიხრელაძე

ქრისტიანე (ჩიტო) შარაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

ქრისტიანე შარაშიძე არ იყო ცხოვრებისაგან განებივრებული ადამიანი. ლამაზი გარეგნობა, ნათელი გონება, უაღრესად დიდი შრომისმოყვარეობა, არაჩვეულებრივი სიკეთე — აი ის თვისებები, რითაც იგი დააჯილდოვა ბუნებამ. ამასთანავე, ფიზიკურად ფაქიზი, მტკიცე და გაბედული პიროვნებაც იყო.

ოჯახურმა გარემომ, სადაც იგი დაიბადა და იზრდებოდა, ხელი შეუწყო მის სულიერ ჩამოყალიბებას.

ქრ. შარაშიძე განათლებულ, არც თუ მდიდარ ოჯახში იზრდებოდა, სადაც ბავშვების აღზრდაში უპირატესობა ზნეობრივ-ინტელექტუალურ მხარეს ენიჭებოდა.

გვიან გაკეთებულ ქრ. შარაშიძის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ჩემი მუშაობა ნეთიერ უზრუნველყოფას არასოდეს არ მაძლევდა, მაგრამ ზნეობრივად ყოველთვის მაკმაყოფილებდა. — შეძენის, კეთილი ცხოვრების მოწყობის უნარიც, ალბათ, თანდაყოლილი ნიჭია. მე კი და მთლად ჩვენი ოჯახი იმთავიდანვე მოკლებული ვიყავით ამ უნარს“.

დედა — ნინო ათანასეს ასული ქიქოძე სოფ. ბახვის მკვიდრა იყო, ძმისწული ნათელი პიროვნებისა და ეროვნული მოღვაწის გაბრაულ ქიქოძისა. მას შინაური განათლება ჰქონდა მიღებული, შემდგომში კი — გამოცდები ჩაბარებული მასწავლებლობის უფლების მისაღებად.

მამა — გიორგი (გიგო) დავითის ძე წარმოშობით სოფ. საყვავისტყვიდან იყო ბახვში მოსული, შემდგომში აქვე დაოჯახებული და დაფუძნებული.

ნინო და გიგო შარაშიძეების უანგარო მოღვაწეობის შედეგად ბახვის სკოლა ერთ-ერთი მოწინავე იყო მთელს ამიერკავკასიაში, რაზეც ნათლად მეტყველებს ის მრავალრიცხოვანი ჯილდოები და მადლობები, რასაც სკოლა ღებულობდა სხვადასხვა გამოფენებზე მონაწილეობისათვის. ნინო შარაშიძისადმი გამოგზავნილი იაკობ გოგებაშვილის ვრცელი წერილადან კარგად ჩანს, რა დონეზე იყო ბახვის სკოლაში მოსწავლეთა სწავლების საკითხი. შარაშიძეების წყვილის საქმიანობა სკოლის ფარგლებსაც სცილდებოდა. მათი ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით XIX ს-ის მიწურულში ბახვში მდ. ნატანებიდან გადმოვადებული იქნა სარწყავი არხი, დაარსებული სასოფლო საკრედიტო საზოგადოება, ღარიბი გლეხებისათვის გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკათხველო და ა. შ. ამავე დროს ცოლ-ქმარი სცემდნენ პოპულარულ ბროშურებს და დროდადრო ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდნენ წერილებს (ლიტერატურული შემოქმედება არც შემდგომ ყოფილა უცხო შარაშიძეების ოჯახისათვის — უფროსი ვაჟი, შალვა (თავუხას ფსევდონიმით) მშვენიერი მწერალი-იუმორისტი, დავითი საფრანგეთში მთარგმნელობით საქმი-



ანობას ეწევა — თარგმნის ფრანგულიდან ქართულად და — პირიქით. ერეკლე
წერილში იგი ავტორის ნებართვას თხოულობს, რომ თარგმნოს „მამულსკი“
სამწუხაროდ, არ ვიცით რა ზედი ეწია ამ თარგმანებს!).

პატარა ქრისტიანე ძალიან ადრე — ოთხი წლისამ — ისწავლა ქართული
კითხვა. 7 წლისა ყაზბეგს კითხულობდა, 9—10 წლისა კი დოსტოევსკის. მიუხე-
დავად იმისა, რომ იგი ასაკისათვის შეუფერებელ ლიტერატურას ეწაფებოდა,
ბავშვს ოჯახში არ ზღუდადნენ. მას კითხვის სრული თავისუფლება ჰქონდა.

პირველდაწყებითი განათლება ქრ. შარაშიძემ ბავშვი მიიღო, სკოლაში,
სადაც მისი მშობლები ასწავლიდნენ. 11 წლისამ კი ისწავლა ქუთაისის გიმნა-
ზიაში (წმ. ნინოს სასწავლებელში) განაგრძო, სადაც იგი III კლასში დასვეს.

1904 წელს მოწაფეთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის ქრ. შარაშიძე
სხვა მეთაურ მოსწავლეებთან ერთად სასწავლებლიდან გაირიცხა. ერთი წლის
შემდეგ დედის დაყენებული მოთხოვნით მან ჩააბარა დამამთავრებელი გამოც-
დები ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში.

1905 წელს შარაშიძეების მთელი ოჯახი საცხოვრებლად გადმოდის თბი-
ლისში. ამ დროს თბილისი მღელვარე ცხოვრებით ცხოვრობდა. ხშირი იყო
მუშათა ვაფიცვა-დემონსტრაციები. შარაშიძეების ოჯახის უმცროსი თაობა
(ორი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი) აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა
რევოლუციურ ცხოვრებაში. ახალგაზრდა ქრისტიანე გაზეთებში — „მოგზაურ-
სა“ და „სხივში“ ვაფიცვა-დემონსტრაციების შესახებ ანგარიშებს აქვეყნებდა,
ხოლო პუბლიკაციებში აღებულ ჰონორარს ოჯახს ახმარდა. ფაქტიურად
ეს იყო მისი შრომითი მოღვაწეობის დასაწყისი.

1906 წელს ოჯახი ისევ დასავლეთ საქართველოში გადადის. უფროსი ძა-
ძმა პეტერბურგს მიემგზავრება სასწავლებლად. უმცროსი ძმა 5 წლით რუსე-
თის ფარგლებიდან იქნა გაძევებული. ოჯახს დახმარება სჭირდება. ქრისტიანე
კერძო ვაკვეთილებს იღებს. 1907 წელს ქუთაისის ქალთა კერძო გიმნაზიის
გამგებ, მარიამ ყაუხჩიშვილმა 20 წლის ქრისტიანე თავის სკოლაში მასწავლებ-
ლად მიიწვია. ამ დროიდან ათიოდე წლის განმავლობაში ქრ. შარაშიძე პედა-
გოგიურ მოღვაწეობას ეწევა. იგი რუსულ ენას ასწავლიდა ქუთაისსა და თბი-
ლისში დაბალ კლასებში, ხოლო მას შემდეგ რაც მან წარმატებით ჩააბარა გა-
მოდდა ქართულ ენაში ყოფილ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კან-
ცელარიასთან — ქართულ ლიტერატურას უფროს კლასებში — კერძოდ თბი-
ლისში ქალთა საოსტატო სემინარიაში. იგი ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა
აგრეთვე მუშებსა და ნოქრებს ქუთაისში.

პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში გამოდის მისი პირველი ნარკვე-
ვი — ბროშურა მოსწავლეთათვის: „მებრძოლი ფიქრის პოეტი ნ. ბარათაშვი-
ლი“ (1920 წ.).

1910 წელს ქრ. შარაშიძემ მონაწილეობა მიიღო ქუთაისის სახალხო უნი-
ვერსიტეტის ორგანიზაციებში. იგი არჩეული იყო ამ უნივერსიტეტის გამგე-
ობის წევრად — მდივნად და იქვე კითხულობდა ლექციებს ქართულ ლიტე-
რატურაში თემებზე: „ქართველი ქალის სახე ქართულ ლიტერატურაში“, „ნი-
კოლოზ ბარათაშვილი“, „ეგნატე ნინოშვილი“ და ა. შ.

ქრ. შარაშიძე იყო პირველი ქართველი ლექტორი
ქალი.

1915 წელს ქრ. შარაშიძე თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. იგი ჩაი-
რიცხა ქალთა უმაღლესი კურსების საისტორიო დარგზე, პარალელურად ეწე-
ოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც.

1917—1921 წწ. ქრ. შარაშიძე საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორის
ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიწვევით მუშაობას იწყებს ჟურნალის რედაქციო
რედაქციო კოლეგიაში.

ამ ხანებში სამსახურებრივი მოვალეობის პარალელურად იგი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა, ისეთი ქართველი მოღვაწეების მხარდა-
მხარ, როგორებიც იყვნენ ექ. თაყაიშვილი, ნიკო ცხვედაძე, სამსონ ფირცხალავა,
დავით კარიჭაშვილი, ნინო და ილია ნაკაშიძეები, ანასტასია თუმანიშვილ-
წერეთლისა და სხვები.

ქრ. შარაშიძე არაერთ საქველმოქმედო-სამეცნიერო საზოგადოების წევრი
იყო. 1917 წელს იგი არჩეული იქნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-
რცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად, ხოლო 1918 წელს სათანადო
თანხის შეწირვის შემდეგ მიღებული იქნა „ქართული უნივერსიტეტის დამა-
არსებელი საზოგადოების“ დამფუძნებელ წევრად. ეს უნივერსიტეტი მან 1931
წელს დაამთავრა — პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განხრით.

ჯერ კიდევ 1917 წელს, როდესაც ქრ. შარაშიძეს საისტორიო-საეთნოგრა-
ფიო საზოგადოების ბიბლიოთეკაში მუშაობის დაწყება სურდა, გიგო შარაშიძე
ექვთიმე თაყაიშვილს დიდის მოწიწებით წერდა ქრისტიანულ შესახებ: „ჩემს
ქალს განზრახული აქვს საქართველოს ისტორიის საფუძვლიანათ შესწავლა და
დარწმუნებულია, თქვენს საზოგადოებაში მუშაობა დიდად შეუწყობს ხელს მი-
სი სურვილის განხორციელებას“. მამის სიტყვებში ექვი არ შეგეპარებათ თუ
ნახავთ რა გულმოდგინებით იწერდა ქრისტიანე ივ. ჯავახიშვილის ლექციებს სა-
ქართველოს ისტორიაში და რა გულმოდგინებით მუშაობდა იგი საქართველოს
ისტორიის სემინარებში. მან სწორედ სტუდენტობის დროიდან დაიწყო „საქარ-
თველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა“, რასაც სიცოცხლის ბოლომდე
აგრძელებდა...

1919 წლის გაზაფხულზე იგი არჩეული იქნა დამფუძნებელი კრების დეპუ-
ტატად № 1 სიით. მუშაობდა დამფუძნებელი კრების სახალხო განათლებასა
და სარედაქციო კომისიებში და ასრულებდა უმცროსი მდივნის მოვალეობას.

როგორც განათლების კომისიის წევრმა მან მოიარა ქიზიყის სოფლები და
წარადგინა ვრცელი მოხსენება ამ სკოლების მდგომარეობის შესახებ (რაც შემ-
დგომში გამოქვეყნდა ქალაქთა კავშირის ორგანოში).

ქრ. შარაშიძე მრავალი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად და პირნათ-
ლად ემსახურებოდა საბიბლიოთეკო საქმეს. თავდაპირველად იგი
საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის საბიბლიოთეკო განყოფილებას ხელ-
მძღვანელობდა. 1929 წელს, როდესაც საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის
ფონდების დიდი ნაწილი საქართველოს მუზეუმს შეუერთდა, ქრ. შარაშიძე
საქართველოს მუზეუმის შტატში ჩაირიცხა, ხოლო 1934 წელს, საისტორიო-
საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისეული ბიბლიოთეკის თბილისის უნი-
ვერსიტეტში გადატანის გამო, ქრ. შარაშიძეც გადაყვანილ იქნა უნივერსიტეტ-
ში. 1935 წელს იგი მუშაობს ყოფილი „მეტეხის“ ბიბლიოთეკაში.

1936—1937 წწ. იგი ჩვეული ენერგიითა და გატაცებით მუშაობს შ. რუს-
თაველის საიუბილეო გამოფენის მოსამზადებლად. მისი ხელმძღვანელობითა და
უშუალო მონაწილეობით (თ. მაჭავარიანთან და მ. ცისკარიშვილთან ერთად)
შედგენილი იქნა რუსთაველის პირველი ვრცელი ბი-
ბლიოგრაფია (2000 ბარათზე მეტი).

1938—1941 წწ. საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის მოწვევით
ქრ. შარაშიძე მუშაობდა „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის I ტომის შედ-

გენაზე. ამ 565 გვერდიან გამოცემაში ქრ. შარაშიძეს ეკუთვნის: 1. შესავალი, 2. ძველი ნაბეჭდი წიგნების აღწერილობა, 3. სასტამბო და საგამომცემლო ტერმინები; მის მიერვეა შერჩეული ამ წიგნისათვის საილუსტრაციო მასალა.

ძველ ნაბეჭდ წიგნებზე ხანგრძლივმა მუშაობამ მას დიდი ცოდნა და ავტორიტეტი შესძინა, როდესაც 1934 წელს სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ბიორკბომმა ქართული შრიფტის ანაბეჭდებს მიაკვლია, წერილის გამოქვეყნებამდე ქართული შრიფტის შესახებ, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას მიმართა დახმარებისათვის. ბიორკბომის წერილი პასუხისათვის, როგორც სპეციალისტს, ქრ. შარაშიძეს გადაეცა. მალე ქრ. შარაშიძემ პასუხი გაგზავნა სტოკჰოლმში. ამრიგად, ქრ. შარაშიძე პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც ევროპელ მეცნიერებს ინფორმაცია მიაწოდა ქართული შრიფტის შესახებ. 1935 წ., როდესაც ბიორკბომმა თავისი წერილი გამოაქვეყნა, ქრ. შარაშიძეს ამონაბეჭდი გამოუგზავნა და მოსწერა: — „ფოსტით ვიგზავნი ამ ჟურნალის ცალკე ამონაბეჭდს და თან ვატან მოკლე რეზიუმეს, როგორც პატარა სამაგიერო სამსახურს მთელი იმ ღირსშესანიშნავი ცნობებისათვის, რომლითაც თქვენ დამავალეთ“ (ბიორკბომის წერილებს თარგმნიდა ქრ. შარაქიძის ყოფილი მოწაფე ფატი ხუნდაძე).

ამ მიმოწერას მოჰყვა ქრ. შარაშიძის 9 ნაშრომი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან. მათ შორის განმარტებული მონოგრაფია „პირველი სტამბა“ საქართველოში“ (215 გვ., 1950 წ.).

ქრ. შარაშიძის ნაშრომებმა ქართული შრიფტის შესახებ სხვა ევროპელ მეცნიერთა შორისაც გამოიწვია ინტერესი. უკვე 1961 წლის 8 მარტს უნგრელმა მეცნიერმა მარტინიშტვანოვიჩმა ქართულად დაწერილი მშვენიერი წერილი გამოუგზავნა, სადაც თხოვს ქრ. შარაშიძეს გაუგზავნოს თავისი ნაშრომი „ქართული შრიფტი ამსტერდამში 1686—1687 წწ., ... და აგრეთვე, მოხსენებულ თემაზე ახალი რამ თუ გაქვთ, ისიც...“

უნგრულ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის სრულებით უცნობია თქვენი მოღვაწეობა მესტამბე ნიკოლოზ კისფთან (უკეთ: კიშ) დაკავშირებით, თუმცა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ რა დიდ ინტერესს წარმოადგენს მისი რეზულტატები ჩვენთვის“ წერდა იგი.

სამეცნიერო მუშაობას ქრ. შარაშიძე 1923 წლიდან იწყებს, თავდაპირველად პედაგოგიურ მუშეუშეში, მაგრამ გარკვეული სამუშაოს შესრულების შემდეგ იგი ბიბლიოთეკას უბრუნდება.

1940 წლიდან კი ქრ. შარაშიძე ივ. ჯავახიშვილისა და სიმ. ჯანაშიას მიწვევით მუშაობას იწყებს ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების გადმოღება-შესწავლაზე. ამ დროიდან მოკიდებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქრ. შარაშიძის კვლევისა და ზრუნვის საგანი ქართული ხელნაწერები იყო. იგი მუშაობას იწყებს ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ხოლო 1958 წლიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებიდან — ამ ინსტიტუტში — 1964 წლამდე — პენსიაზე გასვლამდე.

ხელნაწერებზე გულმოდგინე მუშაობის შედეგია, რომ დღეს ჩვენ ხელთა ვვაქვს მის მიერ აღწერილი 1500-ზე მეტი ხელნაწერი და „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალების“ სამი ნაკვეთი.

მისი სამეცნიერო ინტერესები მარტო ხელნაწერებით არ ამოიწურებოდა.



1950 წელს მან საკვალიფიკაციოდ წარადგინა სოლიდური ნაშრომი: ხუმტი ბაგრატიონი და მისი ნათარგმნი შრომები“ (279 გვ.), მაგრამ მსაჯულთა ტექნიკური მიზნების გამო მისი ბოლომდე მიტანა არ მოხდა.

ქრ. შარაშიძე აქტიურად და საქმის სიყვარულით მონაწილეობდა საქართველოში თუ საქართველოს გარეთ მოწყობილ გამოფენებში, სადაც მასალის და ისტორიის შესანიშნავი ცოდნით ამდიდრებდა საგამოფენო ექსპოზიციებს.

მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით იქნა მოწყობილი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოფენა 1932 წელს; 1937 წელს იგი მონაწილეობს რუსთაველის გამოფენის მოწყობაში, 1952 წელს მოსკოვში მოწყობილ გამოფენაში — „ქართველები მოსკოვში“.

დიდი ამაგი დასდო მან აგრეთვე გურამიშვილის იუბილეადმი მიძღვნილ გამოფენას ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ყოველ წამოწყებულ საქმეს იგი უაღრესი სერიოზულობითა და გულმოდგინებით ეკიდებოდა. ამიტომაც არის, რომ მისი სამეცნიერო ანგარიშები 1948 და 1954 წწ. — ერევნის, 1954 წ. — მოსკოვისა და 1955 წ. — ლენინგრადის — სამეცნიერო თხზულებები უფროა ვიდრე სამეცნიერო ანგარიშები.

ქრ. შარაშიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი რგოლია ისიც, რომ მან შესანიშნავი პირადი არქივი შემოგვინახა.

მის არქივში ვერ ნახავთ ხარისხების მინიჭების თუ ჯილდოების მიღების ფაქტებს (ერთი სიგელი კი აქვს), ან საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ აღრესებს... მაგრამ ეს გარემოება მას ხელს არ უშლიდა ისევ და ისევ ერთგული ყოფილიყო თავისი საქმისა და უანგაროდ, თავდადებული კვლევა-ძიებით გაემდიდრებინა თავისი საყვარელი ქვეყნის სამეცნიერო საგანძური.

მის არქივში სხვადასხვა ხასიათის უამრავი მასალაა თავმოყრილი. ვხვდებით, როგორც მწვავე პოლემიკური ტონით დაწერილ რეცენზიებს ამა თუ იმ ნაშრომებზე, ასევე პასუხებს ქრ. შარაშიძის ნარკვევებზე დაწერილ რეცენზიებზე, რომელთა გამოქვეყნება ავტორმა თავის სიცოცხლეში საჭიროდ არ ჩათვალა... ან ვერ მოახერხა. ვფიქრობ ქრ. შარაშიძის ამ ხასიათის ნამოქმედარსაც თავისი ადგილი უნდა მოეძებნოს.

მდიდარი მასალაა თავმოყრილი არქივში ვაბრიელ ქიქოძის შესახებ (დაახლ. 1000 ფურცელი). ეს მასალა გამოსარჩევად ქართული გ-ანი ასოთია დანიშნული. ზოგჯერ გ-ანი ასოთი სრულიად განკერძოებული მასალა დანიშნული — ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, მასალა ენის, ეროვნების, ერესის საკითხებზე, ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის და ა. შ., რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორს განზრახული ჰქონდა დიდი მასშტაბის გამოკვლევა გაეკეთებინა ვაბრიელ ქიქოძის შესახებ.

დიდი ადგილი უჭირავს ქრ. შარაშიძის არქივში ეპისტოლარულ მასალას. ცნობილი პირების: იაკობ გოგებაშვილის, ივ. ჯავახიშვილის, არნ. ჩიქობავას, იოს. გრიშაშვილის და სხვათა საქმიანი წერილების გვერდით გარკვეული ადგილი უკავია კერძო ხასიათის საოჯახო წერილებსაც. ამ წერილებში კარგად ჩანს თანადროული საზოგადოების ყოფა. იქნება ის ბახვიდან, პეტრბურგიდან, საფრანგეთიდან თუ შუა აზიიდან გამოგზავნილი... და თუ დღეისათვის ამ წერილებში ასახული მოვლენები ჩვენი თაობისათვის ჯერ კიდევ ცოცხალია, — მომავალი თაობებისათვის ამ წერილებს წარსული ცხოვრების მატთანას როლი დაეკისრებათ. ამდენადაა ამ წერილების მნიშვნელობა დიდი.

ცხოვრებაში ქრ. შარაშიძე თავდაჭერილი, ჩუმი, კეთილგანწყობილი ადამიანი იყო. მას ყოველთვის ყოფნიდა უნარი, რომ სასოწარკვეთილებაში მყოფი

ადამიანი ენუგეშებინა და გაემხნევებინა, ხოლო სხვისი ბედნიერება თვე-თვემდე გაეზიარებინა. და ეს ყველაფერი კეთდებოდა ხოლმე ძალდაუტანებლად, უშუალოდ, ყოველგვარი მეღანჭოლისა და პათოსის გარეშე. სწორედ ეს უშუალო-ბა იყო ის მომხიზვლელი ძალა, რომელმაც მას უამრავი მეგობარი თუ პატივის-მცემელი შესძინა ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. მისთვის არ არსებობდა დახმარებაზე უარი. ახალგაზრდასა თუ თანატოლს, ახლობელსა თუ უცნობს იგი ერთნაირი ყურადღებით უთითებდა წყაროებსა თუ ლიტერატურას ამა თუ იმ საკითხებზე და საკუთარ დაკვირვებებსაც უზიარებდა მათ... და ზოგჯერ მეტისმეტად წყდებოდა გული, როდესაც მისი ნაზრები და გაზიარებული წინ დახვდებოდა ხოლმე, მითუმეტეს თუ ეს მატერიალური გამოჩენის მიზნით კეთდებოდა.. მაგრამ ეს გულისტკივილი არასოდეს გადაზრდილა გაბოროტე-ბაში.

საკუთარი ოჯახი მას არ ჰქონია (ალბად ამიტომ ეძახდა ხოლმე დედა — ნინო „ობოლ მარგალიტს“) და როცა 1932 წლიდან შარაშიძეების ოჯახს უბე-დურება უბედურებაზე დაერთო, ოჯახის მთელი სიმძიმე ქ-ნმა ქრისტიანე-ბე იტვირთა.

1932 წელს გარდაიცვალა ოჯახის უფროსი გიგო.

1934 წელს გარდაიცვალა შალვა. დედა ქალიშვილებს თამარსა და ჩიტოს თბილისში გადმოჰყავთ მოსავლელად. ბახვში მიტოვებულ სახლსა და კარმიდამოს ახალი პატრონი გამოუჩნდა. შალვას მეუღლე და დები ბახვში მიდიან შალვას პანაშვიდის გადასახდელათ — მამის საფლავზე. გულმოკლული ქრისტიანე ნათესავს წერდა: „...24-ს ნაშუადღევს, პირველ საათზე გადავიხდით პანაშვიდს მამის საფლავზე... ჩვენ ვთმობთ ჩვენი ოჯახის ერთადერთ საკუთრებას, ჩვენს აკვანს, ჩვენს ბედნიერ ბავშვობას, ვეთხოვებით ჩვენ საყვარელ ბახვს — მამაჩემის საფლავს!... გვითხოვე სიმონიშვილს, რომ უკანასკნელი ტკილი ნანინა და ჩონგური გააგონოს იმ მიდამოებს, სადაც ბახვის ცელქა, განებვირებული შვილის — შალვას აკვანი ირწეოდა...“.

1935 წელს ბედის უკუღმართობით უცხოეთში გადახვეწილი დავითიც გარდაიცვალა.

ქართული ნანინა წმინდა საგალობელი იყო მეორე ძმის დავითისათვისაც და სიკვდილის წინ „სთხოვა ერთ ქართველ ქალს, რომელიც უვლიდა, ქართული ნანინა მიმღერეო. მერე ცოლს და იმავე ქალს სთხოვა ეხლა ფრანგული ნანინა მიმღერეთო. ამით გაათავა უკანასკნელი სიტყვა“ — წერდა ახლო ნათესავი საფრანგეთიდან ქ-ნ ნინოს.

ეს წერილი დედას არ უნახავს. დავითის სიკვდილი მას დაუშალეს და ქრისტიანე იძულებულია ზვითონ შეთხზას ძმის სახელით ვითომც საფრანგეთიდან მოსული წერილები. ბუნებით ალაღმართალს ეს ქცევა, როგორც ჩანს, შინაგანად აწუხებდა და ერთ-ერთი ასეთი წერილის შავზე რუსულად მიუწერია: „Святая ложь“.

უკვლოდ არც ოცდაჩვიდმეტმა წელმა ჩაიარა შარაშიძეების ოჯახისათვის. ქალბატონი ქრისტიანე თბილისიდან ამხნევებს და პატრონობს შუა აზიაში უდანაშაულოდ დასჯილ დას (ერთხელ კიდევ ნახულობს) და თბილისში დარჩენა-დისწულებს. აწუხებს უცხოეთში მყოფი ძმისწულების ბედიც, მაგრამ... ვერ ეხმარება.

ცხოვრებისეული ეს მძიმე გამოცდა მას მისმა მტკიცე ხასიათმა გადაატანი-ნა... მისმა გაბედულმა და უშიშარმა ხასიათმა.



თუ არა მტკიცე ხასიათი, ვინ გაბედავდა ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვას ვაზზე, როდესაც გათხრილ სამარესთან 50-ოდე მღუმარე კაცი იდგა, შესანიშნავი გამოსათხოვარი სიტყვა ეთქვა აკად. აკ. შანიძის შემდეგ ამ ქვეყნიდან უპატიოდ გაცილებული ცხედარისათვის.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ფანქრით დაწერილი სიტყვის თავი და ბოლო ჯერჯერობით არ ჩანს. შუა ნაწილი კი ასე იკითხება: „რითა შესძელი შენ, ამ პატარა კაცმა, თავიდან ბოლომდე ბედისგან უწყალოთ დევნილმა, კერძო ცხოვრებაში უზომოთ უბედურმა და საშინლათ დასჯილმა, ასეთი სიყვარულის და საერთო გლოვის გამოწვევა?“

შენ, ძვირფასო ადამიანო, დაჯილდოვებული იყავი ისეთი სულიერი თვისებებით, რომელიც პატარა ადამიანს ჰქმნის დიდ პიროვნებათ, უჩინარ კაცს გამოჩენილ კაცად აქცევს!

რომელიმე ქვეყნის ბედნიერება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენადაც მტკიცეთ, პატიოსნათ და შეგნებით ასრულებს თავის მოვალეობას თითოეული მოქალაქე — უბრალო მწყემსიდან დაწყებული ქვეყნის მმართველ პიროვნებამდე! თუ ისინი ერთგულად და პატიოსნათ ებურობიან თავის მოვალეობას, თუნდაც სულ მცირედი იყოს ეს მოვალეობა, მაშინ ასეთი ქვეყნის კეთილდღეობა და ბედნიერება უზრუნველყოფილია“.

მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ქრ. შარაშიძე მტკიცედ, პატიოსნად და შეგნებით ასრულებდა თავის მოვალეობას. ამიტომაც დასტოვებამან ღრმა კვალი და ნათელი ხსოვნა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

დ. კლდიაშვილი

ქრისტიანე შარაშიძე — სამხრეთ საქართველოს ისტორიის
მკვლევარი

ქრ. შარაშიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში სამხრეთ საქართველოს, ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს გამორჩეული ადგილი უკავიათ. საქართველოს წერილობითი ძეგლების პუბლიკაციასთან დაკავშირებით ქრ. შარაშიძემ თავი მოუყარა სამხრეთ საქართველოს ისტორიის წერილობით წყაროებს და სპეციალურად შეისწავლა XIII—XVI სს-ის სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორის საკითხები, რითაც ფაქტურად სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესწავლას დაუდო საფუძველი.

ქრ. შარაშიძის დაინტერესება სამხრეთ საქართველოს ისტორიით შემთხვევით არ მომხდარა. 1940 წლიდან ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მიწვევით იგი იწყებს ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებზე მუშაობას. ხელნაწერებს აღწერილობებსა და მინაწერებზე მუშაობამ თავიდანვე განსაზღვრა ქრ. შარაშიძის ინტერესი სამხრეთ საქართველოსადმი. ამავე გარემოებამ დიდი როლი შეასრულა მისი, როგორც წყაროთმცოდნე ისტორიკოსის ჩამოყალიბების საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ ქრ. შარაშიძემ ისტორიულ მეცნიერებაში სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა საკმაოდ გვიან დაიწყო (დაახლოებით 50 წლის ასაკში). მიუხედავად ამისა, მკვლევარის ხელში თავმოყრილმა საინტერესო და მდიდარმა მასალამ, დაუღალავმა და თავდადებულმა შრომამ, შესანიშნავმა მეცნიერულმა აღლომა და ნიჭმა თავისი შედეგი გამოიღო. 50-ანი წლებიდან იგი იწყებს სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალების პუბლიკაციას. ქრ. შარაშიძემ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ორი ნაკვეთის გამოქვეყნება მოასწრო. პირველი ნაკვეთი 1954 წელს დაიბეჭდა, მეორე — 1961 წელს.

„საქართველოს ისტორიის მასალების (XV—XVI სს.)“ პირველ ნაკვეთში (იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961) ქრ. შარაშიძემ გამოაქვეყნა: ათაბაგთა სახლის ქრონიკის უცნობი ნუსხა (ხი H 1717), გიორგი მეფის ასულის, ქეთევონ-ქრისტიანეს სულთა მოსახსენებელი (ხი A—1737) და გერგეტის სულთა მატთანე (ხი A—1085).

ქრ. შარაშიძის გამოკვლევით, „ათაბაგთა ქრონიკას“ რამდენიმე შესწორება შეაქვს XV—XVI სს-ის II ნახ-ის გენეალოგიურ-ქრონოლოგიურ საკითხებში, ასწორებს ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიულ თხრობას ათაბაგთა ქრონოლოგიის შესახებ. იგი გვაწვდის უტყუარ ცნობებს ყვარყვარე ათაბაგის ოჯახის ხუთი თვალსაჩინო წევრის თარიღების შესახებ, ოთხი მათგანის წლოვანების აღნიშვნით. ქრ. შარაშიძის გამოკვლევით, ქრონიკის ნუსხა წარმოადგენს არა



დედას, არამედ დედნიდან უცდომლად გადმოტანილ ზედმიწევნით ჩანს. რეზი-
რებს, რომლებიც ვადაწერს ათაბაგთა თითოეული წევრის ვრცელი დახასია-
თებით გაუვრცია. მისივე ვარაუდით, ქრონიკა გადაწერილია არაუადრეს 1515
წლისა, ვინაიდან ქრონიკის უკანასკნელი ცნობა, მზეჭაბუკის გარდაცვალება,
ამ წლით არის დათარიღებული.

მეფეთ-მეფის გიორგის ასულის, ქეთონ-ქრისტინეს ბრძანებით შედგენი-
ლი სულთა მოსახსენებელი ჩართულია ხელნაწერ კრებულში, რომელზეც ქეთო-
ნის გაზრდილს, ზებედე ნაუასძეს გადაუწერია. სულთა მოსახსენებლის ძირი-
თადი ტექსტი და მისი შემდგომი ჩანამატები გვაცნობენ ქეთონ-ქრისტინეს
ოჯახის წევრებსა და ნათესავებს: პაპას — ყვარყვარე II (1451—1498 წწ.) ათა-
ბაგს, დიდდას — დედისიმედსა და მათი ოჯახის წევრებს, მამას — მეფე გი-
ორგი VIII (1446—1466, 1466—1476 წწ.), დედას — თამარს, რომელიც ქრ.
შარაშიძის გამოკვლევით, ყვარყვარე ათაბაგის ქალიშვილი იყო, ძმას — ვახ-
ტანგ — ყოფილი ვარსიმეს, თანამეცხედრეს — ვახუშტი — ყოფილი ვაპილიოს-
სა და მისი ოჯახის წევრებს. ქრ. შარაშიძემ ამ პერიოდის ისტორიული ძეგ-
ლებისა და ხელნაწერთა მინაწერების ურთიერთშეჯერების გზით ახალი მასა-
ლებით შეავსო მოსახსენებლის ცნობები, დაადგინა მოსახსენებლების დაწერის
დრო და მათში მოხსენიებულ პირთა ვინაობა, მათი ნათესაური დამოკიდებუ-
ლება ქეთონ-ქრისტინესთან. ქრ. შარაშიძის გამოკვლევით, ქეთონის მოსახსენ-
ებლების პირველი ვარიანტი დაწერილია 1505—1515 წლებს შუა. II და III
ვარიანტი 1505 წლის შემდეგ და 1515 წელზე ადრე. მისი აზრით, მოსახსენებ-
ლებში ყველაზე გვიან უნდა ჩაეწერათ თვით ქეთონისა და მისი სიძის (დის,
ელენეს ქმრის) სფრიდონ ბენაშვილის მოსახსენებლები. მათ შეტანას ხელ-
ნაწერში ქრ. შარაშიძე თავდაპირველად ვარაუდობდა 1514 წლის მიწურულში
ან 1515 წლის ივნისამდე. მოგვიანებით ახლად მოპოვებული მასალების სა-
ფუძველზე მან მოსახსენებელთა ეს ფენა მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდგომ
(1515 წ.) პერიოდს მიაკუთვნა.

ათაბაგთა ქრონიკისა და ქეთონ-ქრისტინეს მოსახსენებლების ცნობებს
XV ს-ის დამლევისა და XVI ს-ის დასაწყისის სამხრეთ საქართველოს ფეოდა-
ლური საგვარეულოების შესახებ რამდენადმე ავსებს „გერგეტის სულთა მა-
ტიანე“, სადაც შეტანილია ყვარყვარე ათაბაგის (1416—1498 წწ.) სახლის
წევრთა, მათთან მჭიდრო ნათესავურ კავშირში მყოფთა და XV—XVI სს-ის
სამცხის წარჩინებულ საერო და სასულიერო პირთა მოსახსენებლები. ქრ. შა-
რაშიძის დაკვირვებით, გერგეტის სულთა მათიანე ამჟღავნებს საკმაოდ მჭიდრო
კავშირის არსებობას სამცხის მმართველ წრესა და ხევ-არაგვის ერისთავებს
შორის. მისი აზრით, „მარტო XV—XVI სს. მასალების საფუძველზე ძნელია
გარკვევა რა სიღრმიდან მომდინარეობს ეს კავშირი. ჩვენთვის იგი მით არის
საგულისხმეო, რომ საქართველოს ორი ერთმანეთს საკმარისად დაშორებუ-
ლი მხარის ადამიანთა სიახლოვე „დარღვეულ“ XV საუკუნეშიაც, XV საუკუნე-
მდედელი საქართველოს მჭიდრო ისტორიული კავშირისა და ერთიანობის ერთ-
ერთ ცოცხალ მოწმობას წარმოადგენდა“.

ქრ. შარაშიძის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს პოლიტიკური
ერთიანობისათვის წარმოებულ ბრძოლათა ამსახველი მთელი რიგი მნიშვნე-
ლოვანი მასალების გამოვლენა. როგორც ცნობილია, გიორგი VIII-ის ბრძო-
ლა ყვარყვარე ათაბაგთან 1465 წელს ათაბაგის მიერ საქართველოს მეფის და-
ტყვევებით დამთავრდა. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ტყვეობიდან განთავი-



სუფლებული გიორგი მეფე ხელისუფლების დასაბრუნებლად ერთხანს ქალაქ თლში იბრძოდა, შემდეგ კი კახეთში გადავიდა. ახლად მოპოვებული მასალების მიხედვით, ქრ. შარაშიძემ გაარკვია, რომ გიორგი მეფე 1466 წლის ახლო ხანებში დაქორწინებულა ყვარყვარე ათაბაგის ასულ თამარზე, რომლისგანაც შესძენია სამი შვილი: ვახტანგ — ყოფილი ვარსიმე, ქეთევან-ქრისტინე (ვახუშტი-ყოფილი ვასილიოსის თანამეცხედრე) და ელენე (სფირიდიონ პაენაშვილის თანამეცხედრე). ქრ. შარაშიძის აზრით, „...ეს ერთი შეხედვით, რომანიული და რომანტიული ეპიზოდი ნამდვილად ყვარყვარე ათაბაგის ახალი, მოხერხებული „სკლის“ შედეგი უნდა ყოფილიყო“. მისი გამოკვლევით, 1483 წელს არადეთის ომში კონსტანტინე მეფის დამარცხების შემდეგ, ყვარყვარემ მიაღწია თავის მიზანს და 1484 წელს მცირე ხნით ქართლის ტახტზე აიყვანა თავისი შვილიშვილი, ვახტანგ გიორგი VIII-ის ძე.

„სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალების (XV—XVI სს.)“ II ნაკვეთში ქრ. შარაშიძემ თავი მოუყარა სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალებს XV ს-ის 20-ანი წლებიდან XVI ს-ის 70—90-ან წლებამდე. (იხ. ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები. XV—XVIII სს., მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, 1954), ნაშრომის წინასიტყვაობაში ქრ. შარაშიძე აღნიშნავდა: „მთლიანი სახით აღებული დასახელებული საბუთები სამხრეთ საქართველოს ცხოვრების ტრაგიკული ფინალის გარკვეულ ახსნას გვაძლევენ. წინააღმდეგობათა ეს რთული ხლართი, რომელიც ასახულია ხსენებულ ძეგლებში, XVI ს. 40—50-ან წლებში სულ უფრო და უფრო რთულდება და 70-ან წლებში მძაფრი შინაური ბრძოლის ხასიათს იღებს, რაც ხელს უწყობს თურქეთის აგრესიორების გამარჯვებასა და საათაბაგოს სრულ ანექსიას XVI ს. 80—90-ან წლებში“.

მასალების ამ ნაკვეთში გამოქვეყნებული XVI ს-ის სხვადასხვა წლებში დაწერილი სამი მოსახსენებელი: კობასძეთა სახლის (ხი Q 969), ამილახორთა სახლისა (ხი S 1246) და მეწიეთის მარხვანში (ხი Q 642) ჩართული მოსახსენებლები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ამ პერიოდის ათაბაგთა სახლის წევრებისა და სამცხის არისტოკრატიის უტყუარი სიის შესადგენად. ამ მასალის შესწავლამ ქრ. შარაშიძეს საშუალება მისცა გაესწორებინა ქართულ ისტორიოგრაფიაში (დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანიას და სხვ.) დამკვიდრებული მცდარი ვარაუდები ყვარყვარე დიდისა (1416—1498 წწ.) და მისი შვილიშვილის, ყვარყვარე ქაიხოსროს ძის (1516—1535 წწ.) ოჯახის წევრების შესახებ. მკვლევარის მახვილ თვალს ასევე შეუმჩნეველი არ დარჩენია ის ფაქტი, რომ XVI ს-ის I ნახევარში ლიხთ-იმერეთის მეფეების (ალექსანდრე, ბაგრატ) მიერ სამხრეთ საქართველოს შესაერთებლად წარმოებული ბრძოლის პირობებში გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციას უკავშირდება იმერეთის სამეფო სახლის დამოუკრება მესხეთის დიდ ფეოდალებთან (ალექსანდრე მეფე — სფირიდიონ პაენაშვილი). ნაშრომში ცალკე თავი აქვს დათმობილი XVI ს-ის მესხეთის მოწინავე საზოგადოების მსოფლმხედველობასა და განათლება-განსწავლულობას.

ე. წ. მცხეთის საბუთების გამოცემასთან დაკავშირებით ქრ. შარაშიძემ სპეციალურად შეისწავლა XV—XVI სს-ში სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე მდებარე მცხეთის საკათილოკოსოს კუთვნილი საეკლესიო და სხვა მამულების გამო ატეხილი დავა ქართლის მეფე-კათალიკოსსა და სამცხის ათაბაგებს შორის, გვიჩვენა ამ ბრძოლის ღრმა ეკონომიკური მიზეზები. ქრ. შარაშიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მცხეთის „ძველითგან საქონებელი და



სამწყსო“ საეკლესიო და სათავადო მამულების მოსარგებლე პირებზე, ლიდა
 ხნიდან განმტკიცებული ტრადიციის ძალით, უნდა ყოფილიყვნენ ქართლის
 თალიკოსის „წლითწლად მეძღუნენი და მოსამსახურენი“. ეკონომიური საკი-
 თხის წინ წამოწევის წყალობით ქრ. შარაშიძემ ახალი კუთხით დაგვანახა ცნო-
 ბილი და არაერთგზის გამოცემული საბუთები, განსაკუთრებით კი 1515—
 1516 წწ-ში შედგენილი საბუთი, რომლის სრული სათაურითაცაა: „კათოლიკე
 სამოციქულოსა საპატრიარქოსა მცხეთისა ეკლესიისა ძუელითვან საქონებელსა
 და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი“. საბუთში ჩამოთვლილი 25 დიდი
 მამული და მასზე მცხოვრებნი თავადნი, რომელნიც „ძუელთაგან“ მცხეთის
 ეკლესიის საქონებელსა და მობეგრეებს წარმოადგენდნენ, ქრ. შარაშიძის აზ-
 რით, შეუძლებელია გულგრილ მაყურებლებად დარჩენილიყვნენ ქართლის მე-
 ფე-კათალიკოსსა და სამცხის ათაბაგებს შუა ატეხილ ხანგრძლივ დავაში. აღ-
 ნიშნულ გარემოებას არამცირედი როლი უნდა შეესრულებინა ათაბაგების
 მიერ ამ ბრძოლის წაგებაში და სწორედ აქ უნდა იყოს ჩამარბული ათაბაგების
 ამ უბანზე დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი.

სურათის მთლიანობისათვის ქრ. შარაშიძემ „მასალების“ ამავე ნაკვეთში
 გამოაქვეყნა „მესხური ფსალმუნის მატეანის“ მეცნიერულ-კრიტიკულად და-
 დგენილი ტექსტი, ხი S 947 ხელნაწერის მიხედვით. მან ჩვეული გულმოდგინე-
 ბით შეისწავლა მესხური მატეანის ეს ნუსხა, რომელიც შეიცავს სამცხე-საათა-
 ბაგოს ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიას 1560—1587 წლებში. მისი გა-
 მოკვლევით, მატეანის ტექსტი თავბოლონაკლულია და აკლია არანაკლებ 3—
 4 გვერდისა. ქრ. შარაშიძემ ნუსხურით დაწერილი მატეანის ტექსტში გამოყო
 დამწერის ექვსი ხელი, რასაც ვადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მატეანის
 ავტოგრაფულობის საკითხის გადასაჭრელად. მესხური მატეანიდან ვახუშტი
 ბატონიშვილის სამცხე-კლარჯეთის ისტორიაში შესული ცნობებისა და მა-
 ტეანის ტექსტის ურთიერთშეჯერების შედეგად ქრ. შარაშიძემ დაამტკიცა მის
 ხელში მყოფი ნუსხის, როგორც დედნის, უპირატესობა. მისი აზრით, მესხური
 მატეანის ნუსხა და აქედან ვახუშტის ისტორიაში შეტანილი ვადაწყვეტული
 ნაწყვეტები ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც პირველი წყარო ცუდად
 ვადაწყვეტულ პირს. ქრ. შარაშიძის გამოკვლევით, „მესხური მატეანი“ არ არის
 მარტო ერთი პირის ავტორობით დაწერილი ქრონიკა. მატეანის ვარკვეული
 ადგილები ქაიხოსრო II ათაბაგის თანამეცხედრის, მუხრანბატონის ასულის,
 დედისიმედის მონაწილეობისა და, შეიძლება ითქვას, ავტორობას ვარკვეულ
 კვალს ატარებს და მისი უშუალო კარნახით უნდა იყოს დაწერილი ქრ. შა-
 რაშიძის აზრით, თვით მატეანის ცნობების ჩაწერა უნდა ეწარმოებინათ ათა-
 ბაგთა სახლის კარზე მყოფ სამღვდლო პირებს, რომელთაგან ერთ-ერთის სა-
 ხელი ზაქარია უნდა ყოფილიყო.

ქრონოლოგიურ-გენეალოგიურ შენიშვნებში ქრ. შარაშიძემ სპეციალუ-
 რად შეისწავლა XV—XVI სს. სამცხის ათაბაგები: ყვარყვარე II (1451—
 1498 წწ.), ქაიხოსრო I (1477—1500 წწ.), მზეჭაბუკის (1500—1515 წწ.), ყვარ-
 ყვარე III (1516—1535 წწ.), ქაიხოსრო I (1555—1573 წწ.) და მათი ოჯახის
 წევრების ბიოგრაფიული ცნობები, რის საფუძველზეც გაასწორა ქართულ ის-
 ტორიოგრაფიაში ვახუშტი ბატონიშვილიდან მომდინარე გენეალოგიურ-ქრო-
 ნოლოგიური შეცდომები.

ნაშრომს ქრ. შარაშიძემ დაურთო დასკვნითი შენიშვნები, სადაც განაზო-
 გადა მიღებული კვლევის შედეგები. ცალკე თავები მიუძღვნა: სამცხის გამო-

ყოფას საქართველოდან (XIII—XV სს.), საათაბაგოს დაპყრობას ბაგრატ III-ის იმერთა მეფის მიერ, ქაიხოსრო II-ის გაათაბაგებას თურქების დახმარებით, ლუარსაბ მეფის მომხრე დიდებულებს მესხეთში, 1576—1578 წლების შინაურ ომს საათაბაგოში და მის ქრონოლოგიურ ფარგლებს, ათაბაგთა წინააღმდეგ აჯანყებულთა შემადგენლობას, ძალებსა და მიზანს, ათაბაგთა სახლის სამხედრო ძალებსა და აჯანყებულებთან ბრძოლის არეს, ათაბაგთა სახლის მონაწილეობას თურქებთან ბრძოლაში 1578—1579 წლებში.

1982 წელს, ქრ. შარაშიძის გარდაცვალებიდან თითქმის ათი წლის შემდეგ, გამოქვეყნდა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დ. მეგრელაძის რედაქტორობით მომზადებული „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალების (XIII—XV სს.)“ III ნაკვეთი (იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV სს.), ტექსტები და გამოკვლევები მომზადებული ქრისტინე შარაშიძის მიერ, თბ., 1982), სადაც შევიდა ალისა და პარხლის ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები. სამცხეში, ფოცხოვის ხეობაში მდებარე ალის წმინდა გიორგის ეკლესიის კუთვნილი ხელნაწერი მეტაფრასისა (ხი H 1347) და სვინაქსარის (ხი S 1245) აშიებზე მოთავსებული აღაპები და 46 მინაწერი საბუთი სრულიად ახალ და პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს XIII—XV სს-ის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სამონასტრო და კულტურული ცხოვრების, ისტორიული გეოგრაფიისა და დენოგრაფიის შესასწავლად. განსაკუთრებით საინტერესო და უხვ ცნობებს შეიცავს იგი ჯაყელ-ბოცოსძეთა ფეოდალური საგვარეულოს შესახებ. ამასთან დაკავშირებით წიგნის რეცენზენტი ბ. ლომინაძე აღნიშნავდა: „საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე შემონახული გვაქვს მრავალი სააღაპე საბუთი სამეფო თუ კერძო ფეოდალთა გვარებიდან, მაგრამ ქრისტინე შარაშიძის მიერ დამუშავებული მასალა იმით არის უნიკალური, რომ აქ გვაქვს ერთი და იგივე გვარის კუთვნილი საბუთები საკმარისად გრძელი პერიოდის მანძილზე, სადაც თაობათა ცვლა რელიეფურად ჩანს“ (იხ. ბ. ლომინაძე, ახალი პუბლიკაცია — ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 20. VIII. 1982).

ქრ. შარაშიძე ალის მინაწერებზე მუშაობდა პერიოდულად 1943—1944 წლებიდან თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში. ალის მასალაზე მუშაობისას განსაკუთრებულ სიძნელეს ხელნაწერების აშიებიდან ყამთა ვითარებისაგან წარხოცილი და ძნელად გასარჩევი მინაწერი საბუთებისა და აღაპების ამოკითხვა და მათი დათარიღება წარმოადგენდა. ალის სვინაქსარის ადრეული აღაპებისა და საბუთების დათარიღების და მასში მოხსენიებული პირების ვინაობის გარკვევის სირთულესთან დაკავშირებით ქრ. შარაშიძე აღნიშნავდა: „მოსასმენად და საკითხავად არასასიამოვნო, საკვლევად დამტანჯავი ამ მუშაობის ჩატარება აუცილებელი იყო სვინაქსარისა და მეტაფრასის ფურცლების ნაპირებზე მიწერილი შესანიშნავი საბუთების ზედმიწევნითი სიზუსტით თუ არა დაახლოებით დათარიღებისათვის მაინც“.

ქრ. შარაშიძის აღნიშნით, თვალის ერთი გადავლებითაც ცხადი იყო, რომ ქალაღზე დაწერილი მეტაფრასი (ხი H 134) გაცილებით ადრინდელია ტყავის სვინაქსარზე (ხი S 1245). ხანგრძლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტყავის სვინაქსარი გადაწერილია აწყურში XIV ს-ის შუახანებში ანაფროსანის, იგივე ბოცო-ბასილის, დაკვეთით, რომელსაც ახალ სვინაქსარში გადმოუტანინებია ბეშქენ ბოცოს ძისაგან „სხვა“, ძველ სვინაქსარში, დროთა ვითარებით განქრეული და წარხოცილი აღაპები. სხვადასხვა წყაროების მოშველიებით ქრ.

შარაშიძემ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ალის მინაწერების ნაწილი ვინის „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანში“ და უამთაღმწერელთან ნიებულ ისეთ ცნობილ პირებს, როგორებიც არიან: დ ი დ ი ბ ო ც ო — თამარის მიერ 1191 წლის გიორგი რუსის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დამცრობილი სამცხის ერისთავი და სპასალარი ბოცო ჯაყელი; ბ ო ც ო ჩ უ ხ ჩ ა რ ე ხ ი და ი ვ ა ნ ე-მ-მ-ნ-ა — დიდი ბოცოს ძეები, 1226 წელს ჯალალ-ედ-დინას შემოსევის დროს თბილისის დაცვის მონაწილენი; ბ ე შ ქ ე ნ ბ ო ც ო ს ძ ე — ქრ. შარაშიძის გამოკვლევით, დიდი ბოცოს უმცროსი ვაჟი, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს ხვარაზმელთაგან თბილისის დაცვისას „დიდ ჰომთა და ბრძოლათა შიგა“ გმირულად დაღუპული ძმის, ივანე-მემნას ღვაწლის „ვრცლად და შემწყობით“ აღწერა.

სამწუხაროდ, ქრ. შარაშიძეს არ დასცალდა ალის საბუთებისა და აღაპების დათარიღება და კვლევითი ნაწილის გამართვა იმ სახით, როგორც ეს მას სამუშაო გეგმის მიხედვით ჰქონდა გათვალისწინებული. წიგნის რედაქტორის დ. მეგრელაძის შენიშვნით, „...ავტორს რომ დასცლოდა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება, დღეისათვის ახლებურად გვექნებოდა წარმოდგენილი XIII—XV სს საქართველოს ისტორიის რიგი მოვლენებისა“. განსხვავებული მეცნიერის პირად არქივში აღმოჩნდა ალის მონასტრის საბუთების კომენტარები ნაწილი და დაუმთავრებელი ნარკვევი ალის მასალის დათარიღებისა და სამცხის ეკონომიკური ვითარების განხილვასთან დაკავშირებით. ქრ. შარაშიძემ ალის საბუთებში შენიშნა იმ დროისათვის დამახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები, როგორც იყო: მამულის გარკვეული ნაწილის გადასვლა მონღოლთა მფლობელობაში, ძველი ფეოდალურა წესების რღვევა და მიწის გაყიდვა უგლებოდ („უჟაცოდ“), ფულადი გადასახადის სიჭარბე ნატურალურთან შედარებით, ცვლილებები პატრონისა და მონასტრის ურთიერთდამოკიდებულებაში და მათი უფლებრავე კომპეტენციის შეცვლა.

განსაკუთრებით საინტერესო მასალა ყოფილა დაცული ალის მონასტრის სენიანქსარის (ხი S 1245) მინაწერ საბუთებში ივანე ათაბაგის (1391—1444 წწ.) პოლიტიკის შესახებ სამხრეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის საპატრიარქოდან ჩამოსაშორებლად XV ს-ის I ნახევარში, ქრ. შარაშიძის გადმოცემით, სენიანქსარის პირველ გვერდებზე მოთავსებულ ოთხ საბუთში, რომელთაგან ორი იშხნელი მთავარეპისკოპოსისა და ანჩელ მთავარეპისკოპოს იოსების მიერაა გაცემული, სამხრეთ საქართველოს სამწყსოს საჭეთმპყრობელები საეკლესიო კანონით ემუქრებიან იმათ „ვინც პატრონსა ივანეს შენდობას დააკლებს“. ქრ. შარაშიძის აზრით, ამგვარი საბუთების შედგენა თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ ივანე ათაბაგის პოლიტიკის მიმართ სამცხის საეპისკოპოსოების მეთაურებს შორის თანხმობა არ იყო და სამცხის სამღვდელოების ნაწილი ოპოზიციაში უდგა ათაბაგს. სამწუხაროდ, ქრ. შარაშიძის მიერ დასაბუთებული ამ ოთხი საბუთის ტექსტი და მათ შესახებ გამოკვლევა დაკარგულია. მათ შესახებ მხოლოდ მითითებას ვხვდებით 1961 წელს გამოსული „მასალების“ მეორე ნაკვეთში.

„მასალების“ ამავე ნაკვეთში შევიდა ქრ. შარაშიძის მიერ 1945 წელს თბილისის სახელმ. საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი პარხლის 1241 წლით დათარიღებული სახარების ანდერძ-მინაწერები და სახარებაზე დართული სამკითხაო დანიშნულების მქონე ე. წ. „წილოვლების სახარების“ ტექსტი, რომელიც



მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს იმდროინდელი ყოფისა და კულტურის ტორიის შესასწავლად.

სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში ქრ. შარაშიძის ღვაწლის მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ არ მოვიხსენიებთ ი. აბულაძესთან ერთად დაბეჭდილ მის ადრეულ წერილს შოთა რუსთაველის სახელისა და წარმომავლობის შესახებ, სადაც გამოქვეყნდა XV ს-ის დამლევსა და XVI ს-ის დასაწყისში სვიმეონ შოთასძის მიერ სადგერის წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ოდა (იხ. ი. ვ. აბულაძე და ხ. გ. შარაშიძე, К вопросу об имени и родине Руставели, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, II, № 7, 1941). ქრ. შარაშიძის დამსახურებაა აგრეთვე 1955 წელს ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის დროს მაჭახელის ხეობის სულთა მატეანის ტექსტის მიკვლევა (ლათ P 10), რომლის შესწავლაც მკვლევარს განუხორციელებელი დარჩა (იხ. ქრ. შარაშიძე, მაჭახელის ხეობას ღემოგრაფიული ძეგლი [1961 წ.], მრავალთავი, XIII, 1968).

ქრ. შარაშიძის შესახებ საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი დამსახურება ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარების საქმეში. ქრ. შარაშიძე იმ ტიპის მკვლევართა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც კონკრეტული ისტორიული წყაროს ყოველმხრივი შესწავლისა და ანალიზის საშუალებით ზოგად ისტორიულ მოვლენებს იკვლევენ, მისთვის უცხოა გატაცება თეორიული საკითხებით. სწორედ ამით აიხსნება, რომ მისი ნაშრომების დამახასიათებელ მთავარ თვისებას კვლევის სიღრმესთან და სანდოობასთან ერთად მეცნიერული სიახლე წარმოადგენს.

ვფიქრობთ, რომ ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათელია, თუ რამდენად დიდია ქრ. შარაშიძის დამსახურება სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. ქრ. შარაშიძე უთუოდ იმ რჩეულთა შორისაა, რომელთაც თავიანთი კვალი დააჩნიეს ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებას. აქვე სინანულით გვინდა შევნიშნოთ, რომ ქრ. შარაშიძის ნაშრომები სათანადოდ ვერ აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III და IV ტომების ისტორიოგრაფიულ ნაწილში, ასევე არ მოიძებნა მის შესახებ ადგილი „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“.

ც. აბულაძე

სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან
(XVI ს. 80-იანი წლები)

1958 წელს გამოქვეყნდა „გურჯისტანის ვილაფეთის დიდი დავთრის“ III წიგნი-გამოკვლევა. იმ ხანად ქრისტიანე შარაშიძე გამოსაცემად ამზადებდა XV—XVI სს. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალებს. მესხურ ქრონიკაზე მუშაობისას, ბუნებრივია, იყენებდა ახლადგამოსულ წიგნს. სერგი ჯიქიას ნაშრომი მას ძალიან მოსწონდა და აღფრთოვანებას მისთვის ჩვეული უშუალოებით გამოხატავდა: „ეს არის სინდისის წვეთებით დაწერილი წიგნი, როგორი მოქალაქე და მეცნიერი უნდა იყო, რომ ასე თავდაუზოგავად იშრომო, იკვლიო ზღვა მასალა და ამდენი ცნობა მიაწოდო მკითხველს. რაზედაც არ მიემართე, მივიღე ამომწურავი პასუხი. მივიღე გაცილებით მეტი, ვიდრე მეგონა, რომ მჭირდებოდა. როგორ ვაადვილდებოდა მუშაობა, მსგავსი კაპიტალური ნაშრომი კიდევ რამდენიმე რომ გვექონოდაო“¹.

ზუსტად ამავე აზრს ბადებს ქრისტიანე შარაშიძის ყველა ნაშრომი. ახლა ასე გავრცელებული მეცნიერული ჟარგონით შექმნილი სტერეოტიპისაგან სრულიად განსხვავებული, ბუნებრივი, სადა, მაგრამ ძარღვიანი ქართულით აცოცხლებს იგი ეროვნული სტამბისა და მეფე-მთავრების ისტორიას, საათაბაგოს ერთნაირად აწეწილ საშინაო და საგარეო მდგომარეობას. სამცხის ათაბაგთა ავსა და კარგს ისე უბრალოდ, მაგრამ შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს, თითქოს მათი თანამედროვე იყო და თითოეულს — ყვარყვარესა და მანუჩარს, ქახოსროსა და ივანეს — თავისი „ზნეობრივი ავლადიდება“ და სულიერი მისწრაფება სწორედ მასთან ურთიერთობაში გამოემქლავნებინოს. აზრის ასეთი სიცხადე თუ სიმტკიცე ფაქტების საოცრად ზუსტი და ფრთხილი ანალიზის შედეგია. კატეგორიული ხმით ნათქვამი ბგერაც კი არ ისმის. ამიტომ მკითხველი, მით უფრო თუ იგი მოვლენებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირში აღიქვამს, ავტორის თანამოსაუბრე ხდება.

ქრ. შარაშიძე ხშირად ჩამოაგდებდა ლაპარაკს ჩილდირის ფაშების ჯაყელობაზე იმ განზრახვით, უფრო სწორად იმ იმედით, რომ გამახვლებულ თვალს ეგებ ოსმალურ წყაროში შეენიშნა მათი პროქართული ორიენტაცია. ქრ. შარაშიძეს არ ეჯერა ქართული ფესვების უნაყოფობა. ამიტომაც დიდი იმედით ეკიდებოდა ოსმალურ წერილობით ძეგლებს. მისი გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე საინტერესო ოსმალური წყარო ჩადგა ქართული ისტორიოგრაფიის სამსახურში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერცერთ მათგანში ვერ შეინიშნა გამაჰმადიანებულ ჯაყელთა ქართული სულისა და სისხლის ძახილი. ძირძველი ფეოდალური საგვარეულო ოსმალთა მოხელეთა რიგში მოექცა. ვასალის მდგო-

¹ ასეთივე განწყობითაა მითითებული „დავთარი“ წიგნში სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 43, 55, 159, 160.



წარმოებით „გაბედნიერებულები“ მამა-პაპულ სამფლობელოს გამგებლებად სულთნისა და „უფავუსტოესი“ დივანის გადაწყვეტალებით ინიშნებოდნენ. ოსმალეთის პროვინციად ქცეული ჩილდირის ეიალეთი, ქართული წყაროების ახალციხის საფაშო, გახდა საქართველოში ოსმალეთის ექსპანსიის საყრდენი ტერიტორია. ქართველ მეფეებთან მათი ურთიერთობა იყო ოფიციალური, საქმიანი და არავითარ შემთხვევაში მეგობრულ-ნათესაური. ერთი კია, ჩილდირის საფაშო არ სარგებლობდა იმ განსხვავებული უფლებებით, რაც ოსმალეთის სასაზღვრო ოლქებს ჰქონდა შიდა ვილაეეთებთან შედარებით, კერძოდ, რამდენადმე დამოუკიდებელი ურთიერთობა ჰქონოდა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. იგი, მართალია, კონტროლს უწევდა იმერეთს, მაგრამ თავად ექვემდებარებოდა არზრუმის დივანს.

საქართველოს შესახებ დღემდე შემორჩენილი ოსმალური დოკუმენტების დიდი წილი, გასაგები მიზეზების გამო, შეეხება სამხრეთ საქართველოს. მათშიც დომინირებს XVII—XVIII სს. თიმარბერათები — ოსმალური სამხედრო-ლენური სისტემით განპირობებული დოკუმენტები. შედარებით მცირეა პოლიტიკური შინაარსის დოკუმენტები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს შეიცავენ საკუთრივ ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის. ერთერთი ასეთი დოკუმენტია 1579 წლის 9 დეკემბრით დათარიღებული ჰუქმი, გაცემული სულთან მურად III-ის მიერ ჩილდირის ბეგლარბეგის მანუჩარყოფილი მუსტაფას სახელზე.

ჰუქმით სულთანმა მოაგონებს მანუჩარს იმ დამსახურებას, რაც მას მიუძღვის ოსმალეთის წინაშე — როცა ლალა ფაშამ 1578 წლის 9 აგვისტოს გაიმარჯვა ჩილდირის ველზე, მასთან მეორე დღესვე მივიდა მანუჩარი და მისი ძმა ყვარყვარე. შემდეგ მალაქ პორტას ეახლა მანუჩარი და რადგან ისლამით გაპატიოსნდა, მუსტაფა ეწოდა და ებოძა ჩილდირის ვილაეის ბეგლარბეგობა. ირკვევა, რომ ოსმალური სამხედრო-ეკონომიკური რეჟიმის კვალობაზე, ლალა ფაშას წარდგინებით სულთნის ბერათიც გამოსულა, რომელშიც, ალბათ, ჩამოთვლილი იქნებოდა მანუჩარის გამგებლობაში შესული ადგილები, მაგრამ ახლა სულთანს, მავანთა შეგონებით, საჭიროდ მიუჩნევია აღნიშნული ბერათიდან ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისის, ასპინძისა და აწყურის ლიეების ამოღება. მურად III აფრთხილებს მანუჩარს 17 ციხისა და 141 სოფლის გარდა სხვა ციხეებსა და სოფლებში ნუ შეხვალ და თავს ნუ დაესხმები.

დოკუმენტით მოწოდებული ინფორმაცია გასაგები ხდება მესხურ მატრიანეში ფიქსირებული ამბებისა და პირების ქრისტიანე შარაშიძისეული უცდომელო კვალიფიკაციის წყალობით. თავის მხრივ, ოსმალური ჰუქმი რამდენადმე აგსებს და ახუსტებს ჩვენს ცოდნას XVI ს-ის 80-იანი წლების სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან. მივყვით დოკუმენტის ჩვენებას და ქართული, თურქული თუ სხვაენოვანი პარალელური მასალის მოხმობით დავრწმუნდებით, რომ ნათქვამი მორიგე სიტყვები არ არის.

მესხური ქრონიკა, ალი ეფენდის „ნუსრეთ-ნამე“ და „ქუნჰ-ულ-ახბარ“, ფე-

² نصرت نامه مصطفى عالی افندی 66 IV ვსარგებლობ ვენტურა ნუსხით, რომელიც ქართული თარგმანითა და კომენტარებით გ მოსაცემად აქვს მომზადებული სერგი ჭიჭიას. كنه الاخبار

ს. В. Д. Смирнов, Образцовые произведения османской литературы в извлечениях и отрывках, С-Петербург, 1903. ст. 25—32.



ჩვენსა³ და სელანიქის⁴ ისტორიები და იტალიელთა რელაციები⁵ ერთნაირად გვამცნობენ, რომ ჩილდირთან ყიზილბაშებზე გამარჯვებულ ოსმალო სარდალს, ლალა მუსტაფას ეახლა მანუჩარი და მორჩილება გამოუცხადა. მესხური ქრონიკის თანახმად „პატივისა და მთავრობისმოყვარე“ მანუჩარს თან ახლდა არა უფროსი ძმა ყვარყვარე, არამედ არფაქსად ამპატიშვილი. „ხერთვისი და 5 ციხე მას შეეძღვნა და პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა“⁶. იმ ხანად, როგორც ქრ. შარაშიძე წერს, არც დედისიმედი და არც ყვარყვარე IV არ იზიარებდნენ მანუჩარის პოლიტიკურ განწყობილებას⁷. ცოტა უფრო ადრეც „ურჯუმთ პირს მიუდგეს პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე“, ყვარყვარე კი უგუნებოდ შექმნილა, გარიდებია ოსმალთ. იგი მხოლოდ 1578 წლის 5 ოქტომბერს მიეგება ლალა ფაშას⁸, ე. ი. მას შემდეგ რაც მთელი სამხრეთაღმოსავლეთ საქართველო აღმოჩნდა მტრის ხელში. ალბათ ამ ფაქტს გულისხმობდნენ ოსმალები, როცა 1579 წლის დეკემბერში გამოცემულ ჰუქუმში ჩაწერეს — ლალა ფაშას მორჩილება გამოუცხადა მანუჩარმა და მისმა ძმამ.

თურქულ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ძალით თუ ნებით, სულთანს სტამბოლში ყვარყვარეც ეახლა, მაგრამ მან საკუთარი ვაჟცაცობის ფასად შეინარჩუნა ქრისტეს სჯული და „ღ“ის წინაც შეურცხუ-წნელი და კაცთანაცა“ ქართველობით დაუბრუნდა თავის საბატონოს. ლაპარაკია მანუჩარზე, რომელიც დიდი პატივით მოუღიათ და ისლამით „გაპატიოსნებულისათვის“, ოსმალური წესის თანახმად, გამარჯვებული ვეზირის — მუსტაფა ლალა ფაშას სახელი მუსტაფა დაურქმევიათ.

ჩვენს დოკუმენტში, ისე როგორც სხვა თურქულ, სპარსულ და იტალიურ წყაროებში მანუჩარი ჩილდირის ბეგლარბეგად იხსენიება⁹. თურქულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა აზრია ახლადშექმნილი საბეგლარბეგოს ტერიტორიული შედგენილობის თაობაზე. ი. დანიშმენდს მიაჩნია, რომ ჩილდირის ვეაღეთში გაერთიანდა ახალციხის, არტანისა და ჭოროხის აუზში მდებარე ტერი-

³ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართულთარგმანიურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 41.

⁴ გ. ფუთურიძე. მუსტაფა სელანიქი საქართველოს შესახებ, თსუ-ს შრომები, ტ. 91, თბ., 1960, გვ. 263.

⁵ თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები 1577—1581, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალი შვილმა, თბ. 1987, გვ. 24.

⁶ ქრ. შარაშიძე, გვ. 49, 164.

⁷ იქვე, გვ. 47, 50—51, 167.

⁸ სიხუსტისათვის უნდა შეენიშნოთ, რომ ალი ეფენდის ცნობით ლალა ფაშამ 1578 წლის 8 ოქტომბერს დატოვა არეში და წამოვიდა საქართველოზე გავლით არზრუმსაკენ. 16 ოქტომბერს ჩავიდა იგი სულთაჩიქში, სადაც შეხვდა ერეკლე მირზას, ყუმუხისა და ყაითაღის მმართველებს. 24 ოქტომბერს მიადგა თბილისს, სადაც შეჩერება მოუხდა ავღრის გამო, იხ. ნუსხეთ-ნამე, 106v, 110v. ამგვარად ოქტომბრის ბოლომდე ვერ იქნებოდა მესხეთ-ჯავახეთში. ასე რომ ოსმალური წყარო კიდევ უფრო აძლიერებს თ. ყორდანის ეჭვს მესხურ ქრონიკაში აღნიშნული თარიღის თაობაზე. 1578 წელს ღვინობის თვის პირველი რიცხვი პარსიკეც კი არ მოდიოდა, არამედ ოთხშაბათს. იხ. ქრ. შარაშიძე, დას. ნაშრომი, გვ. 50. ცნობება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 147.

⁹ შ. სელანიქი, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVII სს. თბ., 1971, გვ. 131.

ტორიები¹⁰. ი. უზუნჩარშილი კი თვლის, რომ მის შემადგენლობაში შევიდა ოლთისი და არტანუჯი. მაგრამ ტაო-კლარჯეთი, ისპირი, ოლთისი, არტანუჯი ტანუჯი ხომ ქაიხოსრო II-ის დროს (1545—1573) დაიპყრეს თურქებმა¹¹.

ვენეციელი ანონიმი ავტორის რეალაციაში აღნიშნულია, თათქოს ლალა ფაშამ 16 აგვისტოს თეთრ ციხეში მისვლის შემდეგ თავისთან იხმო „დატყევებული“ მანუჩარი, რომელმაც ლალა ფაშას თხოვა „მადლობელი ვიქნები თუ საცხოვრებლად თითო ციხეს დაგვიტოვებ მე და ჩემს მოხუც დედასო“¹². მსგავსი რამ სხვა წყაროებით არ დასტურდება. „ნუსრეთ-ნამეს“ მიხედვით ჩილდირის ბრძოლამდე ერთი დღით ადრე ლალა ფაშას მიუღია დედისიმედის წერილი, რომელშიც იგი ვეზირს მძევლად მანუჩარის გაგზავნას და სხვა ქვეშევრდომების მსგავსად გარკვეული გადასახადის გადახდას პირდებოდა. სამაგიეროდ ითხოვდა სიველს, რომლითაც ქვრივი უფლებამოსილი იქნებოდა ყვარყვარესთან ერთად ყოფილიყო მფლობელი და გამგებელი გარდაცვლილი ქმრის — ქაიხოსროს მიწებისა¹³. ამავე ავტორის მიხედვით ლალა ფაშამ 936 წლის ჯუმად-ალ-ახერის თვეში (= 1578 წლის აგვისტო) მანუჩარს მისცა აწყურის სანჯაყი, ყვარყვარეს ოლთისი, დედისიმედს სამი სოფელი. სხვა მამულები კი უავგუსტოეს სახასოებლად იქნა ჩაწერილი¹⁴. 1579 წელს სტამბოლში გამაჰმადიანებულ მანუჩარს სულთნისაგან სათანადო ბერათით ებოძა ფაშობა და „სრულად მისი მამული“¹⁵, მაგრამ 1579 წლის დამლევისათვის საჭირო გამხდარა ამ ბერათის შესწორება და იქედან ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისის, აწყურისა და ასპინძის რაიონების ამოღება ადრე რომ მანუჩარის შესაუჯრის ლივეზად იყო მიჩნეული. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩემი მაღალი ზღურბლიდან გაცემული შენი ბერათი დაუყოვნებლივ გაუგზავნე ზემოხსენებულ ჩემ ვეზირს, რათა წინათ შენთვის მიზანშეწონილად მიჩნეული უავგუსტოესი პუქმის საფუძველზე გაცემული შენი ბერათი შესწორდეს და ისევ დაუბრუნდეს ჩემი ბედნიერების კარიბჭეს, რათა იმის მიხედვით ხელახლა გამოცეც წმინდა ბერათი.

ერთი სიტყვით, ზემოხსენებული ჩემი ვეზირის მიერ გამოგზავნილ დავთარში ჩაწერილ ადრე დაპყრობილ ხუთ ციხე-სიმაგრეში — ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისის, ასპინძისა და აწყურის სახელით ცნობილ ლივეზსა და მათზე დაქვემდებარებულ ადგილებში ნუ შეიჭრები და ნუ იომებ“.

უცნაურად გამოიყურება ჩილდირის ემალეთის ბეგლარბეგისათვის ჩილდირის ლივაზე უარის თქმა, რომ არაფერი ითქვას ზემოთდასახელებულ სხვა დანარჩენ ლივეზსა და ციხეებზე.

„დიდი დავთრის“ მიხედვით ჩილდირის ლივა შეიცავდა ჯანბაზის, ქანარბელისა და მგელციხის ნაპიფეებს, იმ ტერიტორიას, რომელიც ქართული და თურქული წყაროების მონაცემებით შალიკაშვილთა საგვარეულო მამული იყო. XVI ს-ის ერთ ოსმალურ დოკუმენტში (დოკუმენტი გამოყენებული აქვს ქუთუჩ ოღლუს წიგნში „ოსმალეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობანი“ — *Osmanli Iran Siyasi Münasebetleri I* (1578—1590), სტამბოლი 1962, გვ. 51).

¹⁰ I. H. Danişmend, *Izahli Osmanli Tarihi Kronoloğisi*. c. III, Ankara, 1961, გვ. 33.

¹¹ I. H. Uzunçarşılı, *Osmanli Tarihi*, c. III, k. 2, Ankara, 1954, გვ. 289.

¹² ელ. მამისთვალისვილი, გვ. 24.

¹³ ნუსრეთ-ნამეს, 60v, 61r.

¹⁴ იქვე, გვ. 72, ქუნ3-ულ-ახბარ, გვ. 26.

¹⁵ ქრ. შარაშიძე, გვ. 53.

აღნიშნულია, რომ კოკოლა შალიკაშვილი, იგივე მაჰმუდ ხანი, ფლობდა ში-
თან კალეს (ქართული ქაჯის ციხის გადათურქულებული სახელი), ჩილდირის¹⁶
აღჯაყალას (ქართული თეთრი ციხე) ჩილდირის ტბასთან, ახალქალაქს, ფო-
ცხოვს, კამაროვანს (ჩილდირის ლივაშია), თმოგვისა და ველის ციხეებს.

შალიკაშვილთა უდიდეს ციხე-სიმაგრეს ქაჯის ციხეს, რომელსაც დიდხანს
შეცდომით ჩილდირის ციხესთან აიგივებდნენ¹⁶, ფლობდა კოკოლა შალიკაშვი-
ლის ბიძა, გურგაქ. იგი ხან შეთქმულებს უჭერდა მხარს და ხანაც „ბატონებს“
შეეწყობოდა. ერთხანს მანუჩარს „მიერთო ქაჯისციხითა და ფიცითა დიდითა“
კოკოლას „კერძათ“ იყო ჩილდირის ლივაში მდებარე ურთის ციხე-საყდარის
ათაბაგების წინააღმდეგ 1576 წელს შალიკაშვილთა მეთაურობით მოწყობალო
შეთქმულება ჩილდირის რაიონში მდებარე ოლადის ქვაბიდან დაიწყო. თმოგვი
რომ შალიკაშვილებისა იყო გარკვევითაა მითითებული სამცხეში მდებარე
მცხეთის საკათალიკოსო საყდრის მამულების ნუსხაში, ანუ სამცხის თავადთა
სიაში¹⁷, XVI ს-ის ოცდაათიანი წლების თურქულ რეგლაციაში¹⁸. ამავე წყარო-
ებში ხერთვისისა და მისი შემოგარენის მფლობელად იხსენიება ამატაიშვილი
ანუ ამატაიანნი, „ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტერთა და კარის ეკლესი-
ითა ქამქამისძისა უელზედა არიან ამატაიანთა აქუს“ სწორედ ხერთვისი „შეს-
ძღუნა“ არფაქსად ამატაიშვილმა 5 სხვა ციხესთან ერთად ლალა ფაშას¹⁹.
რაც შეეხება აწყურსა და ასპინძას, ისინი დიასამიძეთა ფეოდალური საგვარე-
ულოს კუთვნილება იყო. ზემოთ მითითებულ თურქულ რეგლაციაში აღნიშნუ-
ლია, რომ აწყური და მისი მიმდებარე ჯავახეთის ტერიტორია შერმაზან დიასა-
მიძის მამულია²⁰. სამცხე საათაბაგოს მღვდელმთავართა XVI ს-ის დასაწყისში
შედგენილი სიის მიხედვითაც დიასამიძეთა საგვარეულო მაწყვერლის სამწყსო-
ში შედიოდა²¹. ამასთანავე თისლის მონასტრის სვინაქსარის მინაწერების მონა-
ცემებით დადგინდა, რომ თისლის მონასტერი ეკლესიითა და ეგვტერით დიასა-
მიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა²². ამავე მინაწერებში აღნიშნულია, რომ
„ლუარსაბ და ელია დიასამიძეები მამის ვარამის სალაპედ თისლის მონას-
ტერს სწირავენ ასპინძაში მდებარე მამულებს²³. ცხადია ასპინძა მათი კუთვნი-
ლია.

ამრიგად, თმოგვი და ჩილდირი შალიკაშვილთა სამკვიდრო მამულია, ხერ-
თვისი ამატაიშვილებისა, აწყური და ასპინძა დიასამიძეებისა. ესენი კი ის
ფეოდალური სახლებია, რომლებიც 1576 წლის ივნისში აუჯანყდნენ სამცხის
„ბატონებს“. როგორც ქრ. შარაშიძე წერდა, ბატონებმა მწარედ აზღვევინეს
შეთქმულებს. 20 თვის მანძილზე უსწორდებოდნენ აჯანყებულებს. ხუთჯერ
მოარბიეს შალიკაშვილებისა და მათი მომხრე დიასამიძე ამატაიშვილების მა-
მული — ჩრდილოეთით ოთის ციხიდან სამხრეთით ჩრდილის ტბის სამხრეთ-

16 ს. ჯიქია, „დავთარი“, წიგნი III, გვ. 403—05.

17 ქრ. შარაშიძე, გვ. 34, 65.

18 თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-სათაბაგოს ისტორიისათვის, თურ-
ქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ცისა-
ნა აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 52.

19 ქრ. შარაშიძე, გვ. 34.

20 ც. აბულაძე, თურქული წყაროები, გვ. 56, 57.

21 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 244.

22 თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა.
გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დარეჯან კლდიაშვილმა, თბ., 1986, გვ.
13, 49.

23 იქვე, გვ. 49—51.



აღმოსავლეთ ნაპირებამდის, აღმოსავლეთით თმოგვიდან დასავლეთით ყულონა ციხემდე. ასე ბურჯმორყეული ციხე-საყდრებით დაუხვდნენ სამცხის ათაბაგებს და ფეოდალები ლალა ფაშას²⁴. მერე მტერმა დალაშქრა ჩამოთვლილი ადგილები; დაიპყრო ქაჯის ციხე, მგელციხე, აღჯაყალა და ველისციხე. აჯანყებულებმა, ჩანს, ათაბაგებზე ბევრად ძლიერი მტრის მორჩილება არჩიეს და „დაეზრახნენ“ ხონთქარს. ამით ათაბაგთა მორიგი ხელყოფისაგან იხსნეს თავიანთი ციხე-სიმაგრეები.

ამრიგად, წინამდებარე ჰუქმი ზუსტად გვამცნობს ჩილდირის (ახალციხას) საფაშოს შექმნის თარიღს²⁵, ჩილდირის პირველი ბეგლარბეგის მანუჩარყოფილი მუსტაფას საგამგებლო ტერიტორიას ზღუდავს 17 ციხითა და 141 სოფლით, რომლის მიღმა რჩება აჯანყებულთა, ძირითადად, ჯავახეთში მდებარე მამულები²⁶. ადასტურებს ვახუშტის ცნობას იმის თაობაზე, რომ ვარაზას ძემან კოკოლამ და ვიეთთამე მესხთა უწყეს ზრახვა ხონთქარს²⁷, რასაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ვახუშტის შეცდომად მიიჩნევდნენ²⁸.

დოკუმენტი შედგენილი ჩანს სასულთანო სიგელებისათვის დამახასიათებელი ფორმულარით: მაგრამ ჩვენს ხელთ არის თურქი მეცნიერის მ. ქირზიოღლუს წიგნზე დამატების სახით დართული მასალა²⁹. აღნიშნული დოკუმენტი ავტორს გადმოუღია „მუჰიმე დავთრების“ (მნიშვნელოვანი სიგელების სარეესტრო დავთარი) XXXIX ტომის 48 წიგნიდან³⁰. „მუჰიმე დავთრებში“ კი, როგორც ცნობილია, დოკუმენტი შეჰქონდათ სრული ესქატოკოლისა და პროტოკოლის ვარეშე. ასე რომ ჩვენ საქმე გვაქვს დოკუმენტის ძირითად ნაწილთან, ნარაციოსა და დისპოზიციოსთან:

აქ ქვეყნდება ჰუქმის ქართული თარგმანი. დოკუმენტს რომ თავისი სახე შერჩეს არ გადმოგვაქვს ქირზიოღლუს განმარტებები, რომლებიც აქა-აქ, ფრჩხილებში ჩასმული, ჩართულია ტექსტში.

ჩილდირის ბეგლარბეგისადმი ბრძანება შემდეგია: კეთილშობილმა დესოურმა, ჩემმა ვეზირმა მუსტაფა ფაშამ — მაღალმა ალლაჰმა ხანგრძლივ ყოს მისი სიდიადე — ჩემი ბედნიერების კარიბჭეში წერილა გამოგზავნა მანამდე ზემოხსენებული ჩემი ვეზირი როცა თქვენს მხარეში მოვიდა, შენ და შენი ძმა მასთან მიხვედით და რადგან სრული მორჩილება გამოუცხადეთ, თქვენი მდგომარეობა გამოასწორეთ. როდესაც ხელთ მოგცეს უავეუსტოესი ფირმანი, ჩემი ბედნიერების კარზე გამოცხადდით, ვინაჲდან წმინდა ისლამით გაპატიოსნდი, ჩილდირის სახელით ცნობილი ოღქის ბეგლარბეგობა გებობა და თქვენივე კარნახით ზოგიერთი ადგილი თქვენს ბერათში ჩააწერინეთ. ჩემი ღვთავედაცული ქვეყნის მიერ გმირულად დაპყრობილ ადგილთაგან ზოგიერთაში შეჭრა, რადგან არ გავა-

²⁴ ქრ. შარაშიძე, გვ. 153—161.

²⁵ მ. სვანიძე, გვ. 125—135.

²⁶ ვითარება სწრაფად შეიცვალა, ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მერად III მიერ 1588 წელს გაცემული ბარათი (Turd 55), რომლითაც მანუჩარის უმცროს ძმას თვალშეწიერ ივანეს (?) ზეამთის სახით უბოძებენ ხერთვისის ლივაში მდებარე სოფლებს.

²⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 719.

²⁸ ქრ. შარაშიძე, გვ. 157, ალბათ, იმიტომ რომ ქრონოლოგიურად შესაბამის ადგილზე არ არის ჩართული.

²⁹ M. Fahrettin Kirzioğlu, Osmanlıların Kafkas Ellerini Fethi (1451—1590), Ankara, 1976, გვ. 409—447.

³⁰ იქვე, გვ. 423—434.

გებინე, საჭირო გახდა შენი ბერათის შეცვლა. რის შესახებ წმინდა პატრიარქმა გაგზავნა ზემოხსენებულ [ვეზირს მუსტაფა ფაშას] შარკი კარაჰისარის³¹ გუგუზ, არზრუმის მუჰარირის³² — ომერსა, გაგრძელდეს მათი პატივი — და არზრუმის დევთერლარს.

ვბრძანე, როცა იგი თქვენამდე მოაღწევს, ჩემი წმინდა ფირმანის შესაბამისად დაუყოვნებლივ გაუგზავნეთ ჩემი მაღალი ზღურბლიდან გაცემული ბერათი ზემოხსენებულ ჩემს ვეზირს, რათა წინათ შენთვის მიზანშეწონილად მიჩნეული უავგუსტოესი ჰუქმის საფუძველზე გაცემული შენი ბერათი შესწორდეს და ისევ დაუბრუნდეს ჩემი ბედნიერების კარიბჭეს, რათა იმის მიხედვით ხელახლა გამოვცე წმინდა ბერათი.

ერთი სიტყვით, ზემოხსენებული ჩემი ვეზირის მიერ გამოგზავნილ დავთარში [ჩაწერილი] ადრე დაპყრობილ ხუთ ციხე-სიმაგრეში — ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისის ასპინძისა და აწყურის სახელით ცნობილ ლივეებსა და მათზე დაქვემდებარებულ ადგილებში ნუ შეიტრები და ნუ იომებ. როცა დაპყრობისა და დამორჩილების დრო დაგიდგება, თქვენს ხელში მყოფი 17 ციხისა და 141 სოფლის გარდა, სხვა ციხეებსა და სოფლებში ნუ შეხვალ და თავს ნუ დაესხმები.

„მუჰტიმე“ XXXIX, 48, 19, შვეალი 987 წელი (1579 წლის 9 დეკემბერი).

Ц. А. АБУЛАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ САМЦХЕ-СААТАБАГО (80-е годы XVI века)

Резюме

В статье публикуется грузинский перевод хюкма, выданного султаном Мурадом III в декабре 1579 года. В основе перевода лежит текст, опубликованный М. Ф. Кырзыоглу.

Приведенные в документе факты становятся понятными благодаря комментариям Хр. Г. Шарашидзе к «Месхотской хронике» (XVI в.). Вместе с тем османская грамота уточняет и обогащает наше знание по истории Южной Грузии 80-х годов XVI века новыми данными, в частности: 1) указана точная дата создания Чилдырского (Ахалцихского пашалыка, 2) определены территориальные грани владений первого Чилдырского бегларбега — 141 деревней и 17 крепостей, за пределами которого оставались Чилдыр, Хертвис, Ацкур и Аспиндза, принадлежавшие к князьям, восставшим против дома Джакели: Шаликашвили, Аматакишвили и Диасамидзе, 3) подтверждается сведение Вахушти о том, что «Коккола, сын Варазни и некоторые месхи стали связываться с султаном».

³¹ ახლანდელი შებინ კარაჰისარი ჩრდილო აღმოსავლეთ ანატოლიაში.

³² მუჰარირი < არაბ. *محرر* მწერალი, მდივანი, შემდგენელი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ОГЛАВЛЕНИЕ

ნ. გოგუაძე, კრიპტოგრამა X საუკუნის ათონურ ნუსხაში	3
Н. Д. Гогоуадзе, Криптограмма в афонской рукописи X века (резюме)	6
ე. შელიძე, „ანტონ დიდის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანებისა და რედაქციების ურთიერთმიმართების შესახებ	7
Э. Г. Челидзе, О взаимоотношении древнегрузинских переводов и редакции «Жития Антония Великого» (резюме)	17
თ. ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტირების ისტორიიდან	18
Т. З. Отхмезури, К истории комментирования Слов Григория Назианзина (резюме)	31
ლ. ახოზაძე, ნოემბრის თვის მეტაფრასების ორი ათონური ნუსხა	32
Л. Т. Ахобадзе, Афонские сборники метафрастов ноября месяца (резюме)	37
უ. ცინდელიანი, „მეფეთა წიგნების“ ქართული ფრაგმენტები სომხეთის წიგნთსაცავებიდან	38
У. Е. Цинделиани, Грузинские фрагменты «Книг царств» из армянских книгохранилиц (резюме)	50
ბ. შალამბერიძე, „ლონგინოზის მარტილოზის“ მეტაფრასული ვერსიის შესახებ	51
Н. М. Шаламберидзе, О метафрастической версии «Мученичества Лонгиноза» (резюме)	55
М. А. Момина, Б. Л. Фонкич, Греческая Триодь X—XI вв. Государственной Публичной библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина	56
მ. შანიძე, ფსალმუნის ათონური ნუსხა	111
М. Шанидзе, Афонский список Псалтыря (резюме)	116
დ. კლდიაშვილი, სინის მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით	117
Д. К. Клдашвили, Икона св. Георгия Синайского монастыря с портретным изображением Давида Строителя (резюме)	135
ლ. რატიანი, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ბრძოლა წინაფეოდალურ ოპოზიციასთან	136
Л. В. Ратиани, Борьба Теймураза II и Ираклия II против феодальной оппозиции (резюме)	148
ე. ხოშტარიან-ბროსე, სიტყვა „მუშაკის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში	149
Э. В. Хоштария-Броссе, О значении слова «мушаки» в древнегрузинских письменных памятниках (резюме)	152
ვ. სილოგავა, XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელმყოფელი და მისი ანდერძები	153

В. И. Силогава, Грузинский книжник XI в. Васили Торели и его сочинение (резюме)	165
ბ. ჯანაშია, „დაწერილი ფაენელისა მღვიმისადმი“ (არქეოგრაფიული შენიშვნები)	166
Н. С. Джанашия, «Писания Павнели Шиомгвимскому монастырю»	171
რ. გვარამია, ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე, ელ. მეტრეველი	172

პრ. შარაშიძის დაბადების 100 წლისთავის გამო

ელ. მეტრეველი, ქრ. შარაშიძე	181
დ. მეგრელაძე, ქრ. შარაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა	183
დ. კლდიაშვილი, ქრ. შარაშიძე — სამხრეთ საქართველოს ისტორიის მკვლევარი	190
ც. აბულაძე, სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან	197
Ц. А. Абуладзе, Из истории Самцхе-Саатабаго (резюме)	203

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4142

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ებრალიძე
მხატვარი გ. ნადირაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექნორედაქტორი ნ. შოენაძე
კორექტორი ც. ქიტიაშვილი
გამომწვევი ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 13.10.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.10.1989;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 18,2;
პირ. სალ.-გატ. 18.38; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.13;
უე 02399; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 2427;

ფასი 2 მან. 50 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

МРАВАЛТАВИ, XV
ИСТОРИКО-ФИЛОЛОГИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ
(На грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»

1989

